



# სამსუქ- თელის ქაღალა ში



საქართველო  
თავისუფალი  
ქვეყანაა.  
აი

თბილისი  
2014

წიგნი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოცემული დასკვნები და შეფასებები არ უნდა იქნეს განხილული როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მოსაზრებები. ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <https://www.facebook.com/giz.publications>



**ავტორები:**

თორნიკე დარჯანია (კაზუსები)  
კობა ყალიჩავა (ადმინისტრაციული სამართალდარღვევები)  
კახა წიქარიშვილი (სისხლის სამართალი)  
ანა ხარაიშვილი (სამოქალაქო სამართალი)  
გიორგი გობრონიძე (სკოლის დისციპლინა)

**ტექსტის ენობრივი რედაქტორი:**

თამარ გაბელაია

**სამეცნიერო რედაქტორი:**

თორნიკე დარჯანია

**მატვარ-ილუსტრატორი:**

ფილიპ ანდრონიკი (Filip Andronik)

**გაფერადება:**

ესმირ პრლია (Esmir Prlja)

**ტექნიკური უზრუნველყოფა:**

გვანცა მახათაძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი:**

საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),  
თბილისი, 2014

წიგნში მოყვანილი კაზუსები განხილულია  
2014 წლის 30 აპრილის სამართლებრივი მდგომარეობით

ISBN 978-9941-0-6761-7

## წინასიტყვაობა

„ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ – „პატარა უფლისწულის“ ავტორის, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ეს სიტყვები, ალბათ, ყველას გეცნობათ. ცოტა თუ მოიძებნება ასეთი უნივერსალური ხასიათის გამონათქვამი. მართლაცდა, ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ: ბავშვობაში ვსწავლობთ ახლობლის სიყვარულს, ბავშვობაში ვიძენთ ყველაზე ძვირფას მეგობრებს, ბავშვობაშივე ვაცნობიერებთ, რისი უფლება გვაქვს და რა გვეკრძალება... და ამით ვყალიბდებით ადამიანებად, მოქალაქეებად.

შეიძლება, ზოგ თქვენგანს ჯერ კიდევ ახსოვს, როგორ უთხრა მშობელმა, რომ წითელ შუქზე გზაზე გადასვლა არ შეიძლება, რომ სხვისი ნივთის დაზიანება ცუდი საქციელია; მაგრამ, ამავე დროს, გასწავლათ, რომ შეგიძლიათ, თქვენი ასაკის შესაბამისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მიიღოთ, თავისუფლად განკარგოთ „ჯიბის ფული“, იყოთ სკოლის თვითმმართველობის აქტიური მონაწილე.

ეს დარიგებები, შესაძლოა, თავდაპირველად მშობლისაგან დაწესებულ უბრალო აკრძალვებად და ნებართვებად მიგაჩნდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში, ალბათ, ხვდებოდით, რომ ამ უფლებებისა და აკრძალვების მიღმა წესების ის ერთობლიობა დგას, რომელიც ადამიანებს შორის მშვიდობიან თანაცხოვრებას უზრუნველყოფს. მართლაც რომ ვთქვათ, სწორედ ეს „წესების ერთობლიობა“ არის სამართალი... და რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჩანდეს, ყოველ თქვენგანს თითქმის ყოველწუთიერი შეხება აქვს სამართალთან: გინდათ, რომ მეგობარს მისიური გაუცვალოთ? მაშინ იზრუნეთ, რომ ორივეს მშობლები თანახმა იყვნენ, ვინაიდან რეალურად ეს „გაცვლის ხელშეკრულება“, რომელიც არასრულწლოვნის მშობლის თანხმობის გარეშე „დადებულად“ არ ჩაითვლება და, მისი წინააღმდეგობის შემთხვევაში, თქვენ გაცვლილი ნივთის უკან დაბრუნება მოგიწევთ; ვიდაცამ თქვენი Facebook-ის გვერდი გატეხა? – იცოდეთ, რომ ეს თქვენი პირადი მიმოწერის საიდუმლოების დარღვევაა და მისი ჩამდენი ისჯება, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე.

წიგნის სულისკვეთებიდან გამომდინარე, მის სათაურად „სამართლის ქალაქი“ შევარჩიეთ. თავად ეს სიტყვათწყობა გამოგონილია, თუმცა აუცილებლად გავონილი გექნებათ ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“, ანუ სახელმწიფო, სადაც როგორც ხელისუფლება, ისე ყოველი მოქალაქე სამართალს ემორჩილება. ჩვენ გვსურს, რომ ამ წიგნის მკითხველმა წარმოსახვით ქალაქში – „სამართლის ქალაქში“ – იმოგზაუროს, იქ, სადაც ყოფით ურთიერთობებს სამართლის კუთხით განიხილავენ და სადაც ყოველთვის გაგვემენ სწორ პასუხს: რა არის სამართლიანი და რა – არა.

იმედია, ამ წიგნში განხილული სიტუაციები და მათზე პასუხები მოგცემენ საკმარის ცოდნას იმისათვის, რომ თქვენ, როგორც მოქალაქეებმა, დაიცვათ თქვენი უფლებები, არ შელახოთ სხვებისა და ამით ააშენოთ თქვენი „სამართლის ქალაქი“.

გისურვებთ სასიამოვნო მოგზაურობას „სამართლის ქალაქში“.

### შალვა პაპუაშვილი

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის ჯგუფის ხელმძღვანელი

# სარჩევი

წინასიტყვაობა	3
<b>თავი 1. მოზარდი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები</b>	<b>9</b>
<b>არასრულწლოვანთა დაცვა მკვლელობის შემთხვევაში</b>	<b>11</b>
კაზუსი 1. თამბაქოს მიყიდვა არასრულწლოვნისათვის	11
კაზუსი 2. ალკოჰოლის შექმნა არასრულწლოვანი პირის მიერ	14
კაზუსი 3. აზარტული თამაში	16
<b>საგზაო მოძრაობის წესები</b>	<b>18</b>
კაზუსი 4. პირადობის მოწმობა	18
კაზუსი 5. მართვის მოწმობის აღება არასრულწლოვანი პირის მიერ	20
კაზუსი 6. ავტომობილის გადაცემა მართვის უფლების არმქონე პირისათვის	23
კაზუსი 7. ავტომობილის მართვა ნასვამ მდგომარეობაში	25
კაზუსი 8. უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა	27
კაზუსი 9. სიჩქარის გადაჭარბება	29
კაზუსი 10. ავტორბოლა სასიკვდილო შედეგით (ადმინისტრაციული გადაცდომა თუ სისხლის სამართლის დანაშაული?)	32
<b>საგზაო მოძრაობის წესების დაცვა</b>	<b>35</b>
კაზუსი 11. გინება საზოგადოების თავშეყრის ადგილებში (წვრილმანი ხულიგნობა)	35
კაზუსი 12. სიტყვიერი შეურაცხყოფა	38
კაზუსი 13. პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა	40
კაზუსი 14. ძალის გასეირნება	42
კაზუსი 15. ხმაური სამეზობლოში	44
კაზუსი 16. ქალაქის იერსახის დამახინჯება	46
<b>საგზაო მოძრაობის ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევა</b>	<b>48</b>
კაზუსი 17. უბილეთოდ მგზავრობა	48
კაზუსი 18. ავტობუსის სავარძლის დაზიანება	51
კაზუსი 19. მეტროს მოძრაობის შეფერხება	53
კაზუსი 20. ჯარიმა	55
<b>გარემოსდაცვითი წესების დარღვევა</b>	<b>58</b>
კაზუსი 21. ზღვის დაბინძურება	58
კაზუსი 22. „ჭიაკოკონობა“	61
კაზუსი 23. თევზჭერის წესების დარღვევა	64
კაზუსი 24. ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა	67

<b>თავი 2. მოზარდი და სისხლის სამართალი</b>	<b>69</b>
<b>ადამიანის სიცოცხლისა და ჰანმრთელობისათვის საფრთხის შიშისა</b>	<b>71</b>
კაზუსი 25. აივ ინფექციით დაავადებულთან სქესობრივი კონტაქტი	71
კაზუსი 26. განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა	73
კაზუსი 27. შეუტყობინებლობა და დაუხმარებლობა	76
კაზუსი 28. განსაცდელში მიტოვება	79
კაზუსი 29. გამშველელს მეტი ხვდება	82
კაზუსი 30. ჩაგვრა	84
კაზუსი 31. აუცილებელი მოგერიება	88
კაზუსი 32. საშიში ცხოველების ყოლა	90
<b>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ</b>	<b>92</b>
კაზუსი 33. ყაჩაღობა	92
კაზუსი 34. ძარცვა	95
კაზუსი 35. სხვისი საკრედიტო ბარათის გამოყენება	98
კაზუსი 36. ნივთის დაზიანება	101
კაზუსი 37. დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზება	103
კაზუსი 38. დანაშაულის ჩადენაში დახმარება	106
კაზუსი 39. ავტობუსის დაზიანება	108
კაზუსი 40. მოპარულის შეძენა	110
<b>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ</b>	<b>112</b>
კაზუსი 41. მიმოწერის საიდუმლოება	112
კაზუსი 42. „ფეისბუქის“ გატეხა	115
კაზუსი 43. კომპიუტერული მონაცემების მოპარვა	118
კაზუსი 44. თავისუფლების შეზღუდვა	120
კაზუსი 45. დამნაშავის დაკავების უფლება	122
<b>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ</b>	<b>124</b>
კაზუსი 46. არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის ქცევა	124
კაზუსი 47. თექვსმეტ წელს მიუღწევლთან სქესობრივი კონტაქტი	127
<b>დანაშაული საგოგადოებრივი უშიშროებისა და ნუსრიგის წინააღმდეგ</b>	<b>129</b>
კაზუსი 48. ქურდული სამყაროს წევრობა	129
კაზუსი 49. ცივი იარაღის ტარება	132
<b>ნარკოტიკული დანაშაული და ნარკომანია</b>	<b>134</b>
კაზუსი 50. ნარკოტიკი	134
კაზუსი 51. სუბუტექსი	138

კაზუსი 52. ჰერონი	140
კაზუსი 53. წებოს შესუნთქვა	142
კაზუსი 54. ჰაშიში	144
კაზუსი 55. ამფეტამინის ტაბლეტები	147
კაზუსი 56. კოფეინი	149
<b>დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ</b>	<b>151</b>
კაზუსი 57. ძეგლების შეურაცხყოფა	151
კაზუსი 58. ძეგლების დაზიანება	153
<b>დანაშაული სახელმწიფოსა და მმართველობის წესის წინააღმდეგ</b>	<b>156</b>
კაზუსი 59 ბოროტი ხუმრობა	156
კაზუსი 60. ცრუ განგაში	159
კაზუსი 61. დოკუმენტის გაყალბება	161
კაზუსი 62. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა	163
<b>არასრულწლოვნის დანაშაული</b>	<b>165</b>
კაზუსი 63. არასრულწლოვნის ბრალდებულად ცნობა	165
კაზუსი 64. მცირეწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა	168
კაზუსი 65. დაკავების ბრძანება	170
კაზუსი 66. ნასამართლობა	173
<b>კიბერდანაშაული</b>	<b>175</b>
კაზუსი 67 ჰაკერი	175
<b>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საგოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ</b>	<b>178</b>
კაზუსი 68. ცხოველის მოკვლა	178
<b>დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ</b>	<b>181</b>
კაზუსი 69. ცრუ ჩვენების მიცემა	181
<b>თავი 3. მოგარდი და სამოქალაქო სამართალი</b>	<b>183</b>
<b>მშობლებისა და შვილების ურთიერთობა</b>	
<b>(სათჯახო სამართალი)</b>	<b>185</b>
კაზუსი 70. მეზრძოლი ძაღლები	185
კაზუსი 71. საოჯახო საქმეები	187
კაზუსი 72. ოჯახში ძალადობა	189
კაზუსი 73. განათლების მიღების სურვილი და პროფესიის შერჩევის თავისუფლება	191
კაზუსი 74. დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება	193
კაზუსი 75. მეგობართან შეხვედრის აკრძალვა	195
კაზუსი 76. მშობლების გაყრა	197


კაზუსი 77. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა მშობლების გაყრის შემდგომ	199
კაზუსი 78. დაქორწინება	203
კაზუსი 79. მემკვიდრეობა	206
კაზუსი 80. მეურვე	208
<b>არასრულწლოვნის მიერ გარიგების დადება</b>	<b>210</b>
კაზუსი 81. ქმედუნარიანობა	210
კაზუსი 82. ნივთების გაცვლა	212
კაზუსი 83. ჯიბის ფული	215
კაზუსი 84. დივანი	217
კაზუსი 85. ონლაინშესყიდვა	219
კაზუსი 86. ტაქსით მგზავრობა	222
კაზუსი 87. ყურის გახვრეტა და ტატუ	224
კაზუსი 88. საბანკო ანგარიში	226
კაზუსი 89. მოტყუებით დადებული ხელშეკრულებები	227
კაზუსი 90. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები	229
<b>არასრულწლოვანი შრომით ურთიერთობებში</b>	<b>231</b>
კაზუსი 91. სამოდელო კარიერა	231
კაზუსი 92. რეკლამაში გადაღება	233
კაზუსი 93. 14 წლის ძიძა	235
კაზუსი 94. გამოსაცდელი ვადა	237
კაზუსი 95. შრომითი ხელშეკრულება	239
კაზუსი 96. სტაჟირებისა და შრომითი ხელშეკრულების გამიჯვნა	241
კაზუსი 97. არასრულწლოვნის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა	243
კაზუსი 98. გასაუბრება	245
<b>არასრულწლოვნის მიერ გიანის მიყენება</b>	<b>247</b>
კაზუსი 99. შინაური ცხოველი	247
კაზუსი 100. ზიანის ანაზღაურება	250
კაზუსი 101. ჩამტვრეული მინა	252
კაზუსი 102. ფასიანი საუბარი	254
<b>საავტორო უფლებები</b>	<b>255</b>
კაზუსი 103. ნაწარმოების პირატული გამრავლება	255
კაზუსი 104. საავტორო უფლებების დარღვევა	258
<b>არასრულწლოვნის სამოქალაქო უფლებები</b>	<b>260</b>
კაზუსი 105. დისკოთეკა	260
კაზუსი 106. აბორტი	262
კაზუსი 107. რელიგიის თავისუფლება	264



<b>თავი 4. მოზარდი და სკოლის დისციპლინა</b>	<b>267</b>
კაზუსი 108. საჩივარი მასწავლებლის წინააღმდეგ	269
კაზუსი 109. დღიურის საიდუმლოება	272
კაზუსი 110. გაკვეთილების გაცდენა	275
კაზუსი 111. მოსწავლის დასჯა	278
კაზუსი 112. სკოლის გაცდენა	281
კაზუსი 113. სკოლაში სიგარეტის მოწევა	284
კაზუსი 114. რელიგიის გაკვეთილი	286
კაზუსი 115. მოსწავლის დასჯის მეთოდი	288
კაზუსი 116. „შატალო“	290
კაზუსი 117. „შპარგალკები“	292
კაზუსი 118. საკონტროლოს გადაწერა	294
კაზუსი 119. სკოლის ინვენტარის დაზიანება	296
კაზუსი 120. ჟურნალის დაწვა	298
კაზუსი 121. ჟურნალში „10-იანების“ შეტანა	300
კაზუსი 122. მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე ატეხილი ხმაური/გაკვეთილის ჩაშლა	302
კაზუსი 123. მასწავლებლის მიერ საკუთარი მოსწავლის მომზადება	304
კაზუსი 124. სკოლა და „ჭემმარიტება“	305
კაზუსი 125. მოსწავლის დისკრიმინაცია	307

# თავი 1

## მოზარდი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები



## არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისაგან

### თამბაქოს მიყიდვა არასრულწლოვნისათვის



15 წლის ლუკა მამამ სიგარეტის საყიდლად სუპერმარკეტში გაგზავნა. გამყიდველმა ლუკას არ მიჰყიდა სიგარეტი და განუმარტა, რომ „არასრულწლოვნებისათვის თამბაქოს მიყიდვა აკრძალულია“. სწორად მოიქცა თუ არა გამყიდველი?



– დიახ, გამყიდველი სწორად მოიქცა. სიგარეტის არასრულწლოვნისათვის მიყიდვა არის თამბაქოს რეალიზაციისათვის (გაყიდვისათვის) დადგენილი მოთხოვნების დარღვევა და ისჯება კანონით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155<sup>3</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე“ გამოიწვევს სამართალდამრღვევის (გამყიდველის) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.



### კანონის განმარტება

ამ მუხლის მიხედვით, ადამიანი ისჯება თამბაქოს გაყიდვისათვის (ანუ მისი რეალიზაციისათვის) და არა ყიდვისათვის. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამყიდველს ლუკასათვის სიგარეტი რომ მიეყიდა, დაისჯებოდა მხოლოდ გამყიდველი. სწორედ ამიტომ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი (2010 წ.) ამ უკანასკნელს აძლევს ფართო უფლებებს, რათა მან თავიდან აიცილოს როგორც სამართალდარღვევის ჩადენის, ისე არასრულწლოვან პირებზე თამბაქოს მიყიდვის შესაძლებლობა. ამ მიზნის მისაღწევად გამყიდველს უფლება აქვს, პირის არასრულწლოვანებაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში, მისგან მოითხოვოს სრულწლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა).

მართალია, თავის მხრივ, გამყიდველმა თამბაქოს რეალიზაციის ადგილას უნდა განათავსოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „არასრულწლოვან პირებზე თამბაქოს გაყიდვა აკრძალულია“, თუმცა ასეთი ინფორმაციის არარსებობა ლუკას მაინც არ მისცემს სიგარეტის შეძენის უფლებას. ამავე დროს, არაფერს ცვლის ის ფაქტი, რომ რეალურად სიგარეტის მომხმარებელია არა თავად არასრულწლოვანი, არამედ მისი ზრდასრული მამა. ვინაიდან ამის გამოკვლევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ კანონმდებელმა გამოიყენა სხვა გარეშე აკრძალა, ზოგადად, არასრულწლოვანისათვის თამბაქოს მიყიდვა.



### გახსოვდეთ,

თამბაქოს რეალიზაციის ასეთი მკაცრი წესების შემოღების მიზეზი არის ის გარემოება, რომ საქართველოში თამბაქოს წვევის გავრცელების მასშტაბმა არასრულწლოვნებსა და მოზრდილებში საშიშ ზღვარს მიაღწია. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, გამყიდველს დაუწესოს ისეთი აკრძალვები, რომლებიც არაპირდაპირ მოემსახურება მოზარდთა უფლებების დაცვას.



### საგულისხმო ფაქტები

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) კვლევების მიხედვით, ყოველი მეხუთე ადამიანი მწეველია. ამავე დროს, ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ სიგარეტის მწეველთა რიცხვი პერმანენტულად იზრდება განვითარებად ქვეყნებში, ხოლო მაღალშემოსავლიან სახელმწიფოებში, პირიქით, მწეველთა რაოდენობა იკლებს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში სკოლის მოსწავლეების დაახლოებით 22% მწეველია. თამბაქოს მასობრივ მოხმარებას ვაჟები 10-11 წლის ასაკში იწყებენ, გოგონები კი 12-13 წლის ასაკში. მოზარდების უმრავლესობა

სობა თამბაქოს მოხმარებას იწყებს მიზაძვით. კერძოდ, „სიგარეტის მოწევა“ ასოცირდება „დიდობასთან“ და თანატოლებში ან საზოგადოებაში თავის დამკვიდრებასთან. თუმცა, ფსიქოლოგების აზრით, მოზარდების ეს წარმოდგენები სუბიექტური და არარეალურია. შედეგად ისინი იღებენ მხოლოდ ნიკოტინ-დამოკიდებულებას, რასთან ბრძოლაც მათ შესაძლოა მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუწიოთ. საგანგაშოა, რომ თამბაქოს მოხმარება მსოფლიოში ყოველწლიურად 3 მილიონ ადამიანს კლავს და ეს რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

## ალკოჰოლის შეძენა არასრულწლოვანი პირის მიერ



*16 წლის ნიკას სუპერმარკეტში ლუდის შეძენა სურდა, თუმცა გამყიდველმა ამის საშუალება არ მისცა, რაც დაასაბუთა იმით, რომ მას არასრულწლოვნისათვის ალკოჰოლის მიყიდვის უფლება არ ჰქონდა. ნიკას კი მიაჩნია, რომ ამით მას ეზღუდება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. არის თუ არა ეს სწორი?*



– არა, ნიკას მსჯელობა იმის შესახებ, რომ ლუდის არასრულწლოვნისათვის მიყიდვის აკრძალვით მას ეზღუდება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, არ არის სწორი. ამ შემთხვევაში კანონმდებელი უფრო მეტ სიკეთედ არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვას მიიჩნევს და ამისთვის ადგენს სპეციალურ წესებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155-ე მუხლის შესაბამისად, „არყით და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა“ გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.



**კანონის განმარტება**

ქვეყანაში მოზარდებზე სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესებს განსაზღვრავს „მაგნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი (2001 წ.). სწორედ ამ კანონით დადგენილი წესების მეშვეობით ხდება გასაგები, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს 155-ე მუხლში დასახელებული ვაჭრობის წესების დარღვევად. კანონით აკრძალულია მოზარდისათვის ნებისმიერი სახის ალკოჰოლური სასმელის მიყიდვა. მართალია, კანონში განმარტებული არ არის არასრულწლოვანი პირის ასაკი, თუმცა ამ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ზოგადი წესი, რომლის თანახმად, „სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს“. რადგან ნიკას არ მიუღწევია ამ ასაკისათვის, ამიტომ ის ითვლება არასრულწლოვნად და, შესაბამისად, მისთვის ლუდისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების მიყიდვა აკრძალულია.



**უნდა აღინიშნოს, რომ,**

მართალია, კანონით დადგენილ აკრძალვებს შეუძლია მოზარდებზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, თუმცა ამ ყველაფრის დაცვა, უმეტესწილად, საკუთრივ მოზარდზე, მის მშობლებსა და საზოგადოებაზე დამოკიდებულია. ალკოჰოლიზმისაგან განკურნება კი საკმაოდ რთული და ძვირადღირებული პროცესია.



**საგულისხმო ფაქტები**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, ალკოჰოლიზმით გამოწვეული დაავადებები ყოველწლიურად 2,5 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. აქედან დაახლოებით 14%-ამდე შემთხვევა 15-იდან 29 წლამდე ასაკის ჯგუფზე მოდის; ბრიტანული კვლევითი ცენტრის გამოკვლევებით, საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ალკოჰოლის მოხმარებამ 1,3 %-ით იმატა. განვითარებულ ქვეყნებში კი (მაგ.: აშშ, გერმანია, კანადა) პირიქით ხდება – იქ ალკოჰოლური სასმელების მოხმარება თანდათან იკლებს.

## აზარტული თამაში

კაზუსი 3



17 წლის გიორგის საყვარელი გუნდია მადრიდის „რეალი“. ერთ დღესაც მას მეგობარმა ურჩია, რომ, რადგან დარწმუნებული იყო მადრიდის „რეალის“ მოგებაში, კარგი იქნებოდა, თუ ტოტალიზატორში ფსონს ამ გუნდზე დადებდა, მაგრამ ტოტალიზატორის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მას ამის საშუალება არ მისცა. გიორგის აინტერესებს, ჰქონდა თუ არა ხელმძღვანელს ამის უფლება?



– დიახ, „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონით (2001 წ.) ტოტალიზატორის ხელმძღვანელს მოზარდთა არდაშვების მიზნით უფლება აქვს, შეამოწმოს დაწესებულებაში შესულ (მათ შორის, არამოთამაშე) პირთა ასაკი და არასრულწლოვანების დადგენისას მათგან მოითხოვოს დაწესებულების დატოვება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 176<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „21 წლამდე ასაკის პირის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში სათამაშოდ დაშვება ან 18 წლამდე ასაკის პირის სათამაშო აპარატების სალონში სათამაშოდ დაშვება...“ გამოიწვევს ორგანიზატორის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.





### გამონაკლისი ზოგადი წესიდან

აზარტული თამაშებისათვის დადგენილი ეს აკრძალვები არ ეხება ე.წ. წამახალისებელ გათამაშებას, როდესაც ორგანიზატორი (მაგ., მობილური ოპერატორები, ინტერნეტპროვაიდერები, სააფთიაქო ქსელები და სხვ.) საპრიზო ფონდს ათამაშებს ყველასათვის ცნობილი წესების მიხედვით. მოგება დამოკიდებული არ არის რაიმე საპირისპირო მოქმედებაზე, მისი დადგენა ხდება შემთხვევითობის პრინციპით (მაგ., დოლურიდან გათამაშების ბილეთის ამოღებით). რადგან ასეთი წამახალისებელი გათამაშება არასრულწლოვნისათვის რაიმე მნიშვნელოვან საფრთხეს არ შეიცავს, ამიტომ მასში 18 წელს მიულწეველი პირების მონაწილეობა კანონით არ იკრძალება.



### საგულისხმო ფაქტები

კანონმდებლის სიფრთხილე ამ საკითხისადმი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება (ანუ ე.წ. „გემბლინგი“) XXI საუკუნის ერთ-ერთ სენად იქცა. მეცნიერების შეფასებით, მას ნარკომანიის კლასიკური გამოვლინებები ახასიათებს და ბევრი უბედურება უკავშირდება. მათ შორის აღსანიშნავია: ქონების დაკარგვა, ოჯახის დანგრევა, სუიციდი (თვითმკვლელობა) და სხვ. სწორედ ამის გამო 1896 წელს აშშ-ში შექმნილ პირველ სათამაშო ავტომატებს ხალხმა „ცალხელა ბანდიტები“ უწოდა.

## საგზაო მოძრაობის წესები

### პირადობის მოწმობა

კაზუსი 4



გზის არასწორად გადაკვეთის გამო ანა პოლიციელმა გააჩერა და მოსთხოვა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ანა თექვსმეტი წლისაა და ჯერ არ აქვს პირადობის მოწმობა ადებ ული. პატრულმა ის მაინც დააჯარიმა 10 ლარის ოდენობით.



– პატრული სწორად მოიქცა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის მიხედვით, „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის 16 წლის ასაკს მიღწეულ პირებს. ხოლო საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად კი, საქართველოს მოქალაქე ვალდებულია, 14 წლის ასაკს მიღწევიდან 6 თვის ვადაში მიიღოს პირადობის მოწმობა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, „ქვეითად მოსიარულის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით“.



### კანონის განმარტება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ასაკად 16 წელს მიიჩნევს, შესაბამისად, ანა, რომელიც უკვე 16 წლის არის და რომელმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინა, – ქვეითად მოსიარულის მოძრაობის წესები დაარღვია, – დაჯარიმდება 10 ლარის ოდენობით და შეეფარდება ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომას. ამასთან, შესაბამისი კანონმდებლობა ანას, როგორც 14 წლის ასაკს გადაცილებულ პირს, სავალდებულო წესით სთხოვს პირადობის მოწმობის ქონასაც.



### გახსოვდეთ,

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის ანაზე, როგორც არასრულწლოვანზე, გავრცელებით კანონმდებლის მიზანია, უზრუნველყოს მოძრაობის წესების განუხრელი დაცვა. მართალია, ანა არასრულწლოვანია, მაგრამ ქვეითად მოსიარულის მოძრაობის წესებისადმი მორჩილება ყველა შემთხვევაში მარტივად აღსაქმელია ნებისმიერი 16 წლის პირისათვის და ის ფაქტი, რომ მას პირადობის მოწმობა არ აქვს, არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

გზაზე მოძრაობის წესების დაცვა როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს, ისე ქვეითად მოსიარულეებს თანაბრად ევალებათ. სამწუხაროდ, საქართველოში საზოგადოება ამ მხრივ განსაკუთრებული მოწესრიგებულობით ვერ გამოირჩევა. გზის გადაკვეთა იქ, სადაც აკრძალულია, ან შუქნიშნით არის დარეგულირებული, მოქალაქეებს სამართლის დარღვევად, ხშირად, არც მიაჩნიათ. სინამდვილეში გზის გადაკვეთის წესების დარღვევა ჩვეულებრივი სამართალდარღვევაა. ასე რომ, როდესაც მოქალაქე და, მით უმეტეს, არასრულწლოვანი, გზას წესების დარღვევით კვეთს, საფრთხეში აგდებს არა მხოლოდ საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, არამედ კანონდამრღვევაც გვევლინება. ამიტომაც კანონმდებელი მკაცრად რეაგირებს ასეთ ქმედებაზე და ამ გადაცდომის გამო პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომად ფულად ჯარიმას უწესებს. და იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევი დაკისრებულ ჯარიმას არ იხდის, საქმეში შესაბამისი ორგანო (აღსრულების ეროვნული ბიურო) ერთვება, რომელიც იძულებითი წესით ახდენს ამ თანხის პირის შემოსავლიდან ამოღებას. (ძირითადად, იგულისხმება დამრღვევის ნებართვის გარეშე თანხის ჩამოჭრა, იხ. მე-19 კაზუსი).

## მართვის მოწმობის აღება არასრულწლოვანი პირის მიერ



*17 წლის სოფიომ ავტომობილის მართვის მოწმობის მოსაპოვებლად სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიმართა. ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა სოფიოს, მონაწილეობა მიეღო თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდებში მანამ, სანამ იგი არ წარმოადგენდა მშობლების თანხმობას. სწორად მოიქცა თუ არა სააგენტო?*



– დიახ, სააგენტო სწორად მოიქცა, ვინაიდან „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის (2013 წ.) თანახმად, იმისათვის, რომ განსაზღვრული სახეობის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი იქნეს დაშვებული, აუცილებელია არასრულწლოვნის ერთ-ერთი მშობლის ან მზრუნველის წერილობითი თანხმობა.



### კანონის განმარტება

ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, ჯერ კიდევ 2011 წელს, კანონმდებლობაში შეტანილ იქნა ცვლილება, რითაც არასრულწლოვან პირებზე მართვის უფლების საგამონაკლისო წესით მინიჭება გახდა შესაძლებელი. ამას, მართალია, საფუძვლად დაედო ადამიანის საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, მაგრამ, გარკვეული საფრთხეების გამო, პარალელურად დაწესდა გარკვეული შეზღუდვები. ამ მხრივ, 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისათვის მართვის უფლების მინიჭება დასაშვები გახდა მხოლოდ შემდეგ სატრანსპორტო საშუალებებზე:

#### 17 წლის ასაკიდან:

- ➔ „A1“ ქვეკატეგორიაზე (მსუბუქი სიმძლავრის მოტოციკლი);
- ➔ „B“ ქვეკატეგორიაზე (ავტომობილი, რომლის მასა არ აღემატება სამნახევარ ტონას და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, არ აღემატება რვას);
- ➔ „T“ კატეგორიაზე (სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო ან სატყეო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი თვლიანი ან მუხლუხა მანქანა).

#### 16 წლის ასაკიდან:

- ➔ „B1“ ქვეკატეგორიაზე (მოტორიზებული ტრიციკლი და კვადროციკლი).

სატრანსპორტო საშუალებათა შეზღუდული სახეების განსაზღვრის გარდა, მეორე მოთხოვნად კანონმდებელი აწესებს მშობლის ან მზრუნველის თანხმობას.

შესაბამისად, წარმოდგენილ შემთხვევაში სოფიოს უფლება აქვს, მოიპოვოს „B“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების (ანუ ავტომობილის) მართვის უფლება, თუ მას ექნება ერთ-ერთი მშობლის თანხმობა და თუ ის წარმატებით ჩააბარებს შესაბამისი ქვეკატეგორიისათვის განკუთვნილ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდას.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ გამოცდების ჩაბარების მომენტიდან პირს ავტომატურად არ ეძლევა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. ამისათვის მან უნდა აიღოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (მართვის მოწმობა).



### არასრულწლოვანმა უნდა გაითვალისწინოს,

რომ 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მართვის მოწმობა არის საგამონაკლისო წესით გაცემული დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს გარკ-

ვეულ შეზღუდვებს. ამ სპეციალური უფლების მფლობელ პირს, გარდა „T“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების (ანუ ტრაქტორის) მძღოლისა, ეკრძალება როგორც მგზავრთა გადაყვანა შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით (მაგ., ტაქსის სერვისი), ისე მძღოლად მუშაობა შრომითი ურთიერთობის საფუძველზე.



### საგულისხმო ფაქტები

არასრულწლოვანთათვის მართვის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, ჰოლანდიაში ლეიდენის უნივერსიტეტთან არსებულმა თავის ტვინის შემსწავლელმა ლაბორატორიამ გამოიკვლია 16-17 წლის ასაკის მოზარდთა ფსიქიკა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ ასაკის მოზარდებისათვის, ვინაიდან ისინი მეტად არიან მიდრეკილები რისკისაკენ, მეცნიერებმა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს მართვის უფლების მინიჭება. თუმცა, მშობლის თანხმობა ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად აწესრიგებს. ის იძლევა მოზარდის პიროვნების, მისი ხასიათისა და მიდრეკილებების ინდივიდუალურად შეფასების შესაძლებლობას. შეცდომების თავიდან ასაცილებლად მოზარდის შეფასებისას, თავის მხრივ, მშობელი უნდა იყოს მაქსიმალურად ფრთხილი და წინდახედული.



### ვებგვერდი

თეორიული გამოცდის ტესტები იხ.: <http://www.sagency.ge/>

## ავტომობილის გადაცემა მართვის უფლების არმქონე პირისათვის



*17 წლის გოგამ სპეციალური წესით აიღო მართვის მოწმობა. გოგას მეგობარ ლევანსაც სურს მართვის მოწმობის აღება. მან სთხოვა გოგას მანქანა, რათა ესწავლა ტარება და პრაქტიკული გამოცდა მასაც წარმატებით ჩაებარებინა. მანქანით მოძრობისას ლევანი გააჩერა პატრულმა, რომელმაც ორივე, ლევანიც და გოგაც, დააჯარიმა, შესაბამისად, 500 და 700 ლარის ოდენობით. გოგას აინტერესებს, ჰქონდა თუ არა საპატრულო პოლიციას ორივეს დაჯარიმების უფლება?*



– დიახ, საპატრულო პოლიციას ჰქონდა ორივეს დაჯარიმების უფლება. სამართალდარღვევად ითვლება როგორც ავტომობილის ტარება მართვის მოწმობის გარეშე, ისე სატრანსპორტო საშუალების გადაცემა იმ პირისათვის, ვისაც არ აქვს ასეთი მოწმობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება...“, გამოიწვევს პირის 500 ლარით დაჯარიმებას.

იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ... იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ...“, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მე-საკუთრის) დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით.



#### კანონის განმარტება

აქ უნდა განიმარტოს, რომ ავტომობილის გადაცემა უნდა იყოს ნებაყოფლობითი. ამავე დროს, მნიშვნელობა არ ექნებოდა იმ გარემოებას, რომ გოგას თუნდაც გაუცნობიერებლად გადაეცა ავტომობილი მართვის მოწმობის არმქონე მეგობრისათვის. ასეთ დროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა უნდა გამოარკვიოს ავტომობილის გადაცემის შემაფერხებელი ყველა გარემოება. ამით კანონმდებელს სურს შესაძლო უბედური შემთხვევების მაქსიმალური პრევენცია (თავიდან აცილება).



#### გამონაკლისი ზოგადი წესიდან

დარღვევად არ ჩაითვლება ავტომობილის გადაცემა მართვის მოწმობის არმქონე პირისათვის, თუ მოძრაობა ხორციელდება ისეთ ადგილებში, რომლებიც არ მოიცავს საგზაო მონაკვეთს (მაგ., დიდი მოედნები). საქმე ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები არ ირღვევა და, შესაბამისად, მასზე არც საპატრულო პოლიციის კონტროლი ხორციელდება.



#### გახსოვდეთ, რომ

ავტომობილის მართვის უნარ-ჩვევების უფრო კვალიფიციურად შესაძენად პირმა უნდა მიმართოს სპეციალურ დაწესებულებებს. როგორც ცნობილია, ასეთი მომსახურება ბევრად უფრო ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე ეს ზემოთ აღნიშნული ჯარიმების ჯამია.



## ავტომობილის მართვა ნასვამ მდგომარეობაში



*17 წლის შოთას არ აქვს მართვის მოწმობა. ერთ დღეს ის მეგობრებთან წვეულებაზე წავიდა მამის ავტომობილით. წვეულებაზე მან დალია ალკოჰოლური სასმელი. სახლში რომ ბრუნდებოდა, პატრულმა გააჩერა და მოსთხოვა მართვის მოწმობა. ალკოჰოლის ტესტმაც სიმთვრალე დაადასტურა. პატრულმა შოთას ჩამოართვა ავტომობილი და დააჯარიმა 1000 ლარით. შოთას აინტერესებს, ჰქონდა თუ არა პოლიციელს ამის უფლება?*



– დიახ, საპატრულო პოლიციას ჰქონდა შოთასთვის ავტომობილის ჩამორთმევისა და მისი 1000 ლარით დაჯარიმების უფლება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი და 4<sup>2</sup> ნაწილების თანახმად, „სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში“ თუ პირს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.



### კანონის განმარტება

მართალია, შოთამ ერთდროულად ჩაიდინა ორი სამართალდარღვევა: „ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში ტარება“ და „მართვის მოწმობის გარეშე სატრანსპორტო საშუალების ტარება“ (რომლისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა 500 ლარის ოდენობით), თუმცა, ასეთ შემთხვევაში, დადგენილი წესების თანახმად, ერთ-ერთი მაღალი ან იმავე ზომის სახდელი შთანთქავს მეორე სახდელს და გამოიყენება მხოლოდ ერთი (ამ შემთხვევაში დაჯარიმება 1000 ლარის ოდენობით). ამასთანავე, შოთას რომ ჰქონოდა მართვის მოწმობა საგამონაკლისო წესით აღებული, მაშინ მის მიმართ სახდელის სახით გამოყენებული იქნებოდა მართვის უფლების 1 წლის ვადით შეჩერება. სხვა მხრივ, ავტომობილის მესაკუთრის (ანუ შოთას მამის) მიმართ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ცალკე ჯარიმა 700 ლარის ოდენობით. ასეთი მკაცრი რეგულაციების მიზანია მშობლების მხრიდან მეტი წინდახედულების გამოჩენა.

საპატრულო პოლიციას ასევე უფლება აქვს, საქმის განხილვამდე დამრღვევს (ანუ შოთას) დროებით ჩამოართვას სატრანსპორტო საშუალება და ის გადაიყვანოს სპეციალურად დაცულ სადგომზე, რომლის ხარჯებიც შოთასვე დაეკისრება. რაც შეეხება ჩამორთმეულ სატრანსპორტო საშუალებას, ის დაუბრუნდება მხოლოდ მის მესაკუთრეს (შოთას მამას), თუ წარადგენს: ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობას, ავტომობილის ევაკუაციისათვის გათვალისწინებული ხარჯებისა და ჯარიმის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.



### საგულისხმო ფაქტები

2010-2011 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სამართალდარღვევაა. ყოველწლიურად დაახლოებით 50 000-მდე ასეთი ფაქტი ფიქსირდება. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან ყველაზე გავრცელებულია: უბილეთო მგზავრობა, მოძრაობის წესის დარღვევა, სატრანსპორტო საშუალებათა მართვა მართვის მოწმობის გარეშე და ა.შ.

## უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა



გოგა და მისი მეგობრები ავტომანქანით გაემგზავრნენ ბათუმში ერთ-ერთ ფესტივალზე. გოგას დაუინებული თხოვნის მიუხედავად, მის გვერდით მჯდომმა თემურმა უსაფრთხოების ღვედი არ გადაიჭირა, რის გამოც საპატრულო პოლიციამ გოგა გააჩერა და დააჯარიმა. გოგა კი თავს არ ცნობს სამართალდამრღვევად და მის ნაცვლად მოითხოვს თემურის დაჯარიმებას. არის თუ არა ეს მოთხოვნა კანონიერი?



– არა, გოგას მოთხოვნა არ არის კანონიერი, ვინაიდან, მოქმედი წესების თანახმად, ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია სწორედ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის (და არა მგზავრის) დაჯარიმება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, „ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა“ გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.



### კანონის განმარტება

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის (2013 წ.) თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვისას მძღოლი ვალდებულია, გამოიყენოს უსაფრთხოების ღვედი და ასევე უზრუნველყოს მისგან მარჯვენა (ან მარცხენა) მხარეს მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედით სარგებლობა. შესაბამისად, პასუხისმგებლობა (ჯარიმა) ორივე შემთხვევაში, უსაფრთხოების ღვედის მძღოლის ან/და მგზავრის მიერ გამოუყენებლობისას, ეკისრება მძღოლს.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ, თუ სამართალდამრღვევი (ანუ გოგა) ერთი თვის ვადაში ნებაყოფლობით არ გადაიხდის ჯარიმას, მაშინ მას დაეკისრება საურავი 150 ლარის ოდენობით. ამ უკანასკნელის გადაუხდელობისას კი ჯარიმა შეიცვლება მართვის უფლების 1 წლის ვადით ჩამორთმევით.



### გამონაკლისი ზოგადი წესიდან

უსაფრთხოების ღვედით სარგებლობა ყოველთვის არ არის სავალდებულო. მაგ., ამის ვალდებულება არ მოქმედებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე და იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა კონსტრუქცია არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს (მაგ., სამარშრუტო ტაქსებსა და ავტობუსებში, მძღოლისათვის განკუთვნილი ადგილის გარდა, მოტოციკლები და სხვ.).



### ისეთ შემთხვევებში,


როცა მძღოლის გვერდით მჯდომი მგზავრი დაუმორჩილებლობას აცხადებს ღვედის შეკვრაზე, მძღოლმა ავტომობილი არ უნდა დაძრას ადგილიდან.



### საგულისხმო ფაქტები

უსაფრთხოების ღვედი (ინგლ. „Seat belt“) ჯერ კიდევ 1800 წელს შექმნეს ენთუზიასტმა კონსტრუქტორებმა, რომლებიც ცდილობდნენ პირველი საფრენი აპარატების პრაქტიკაში გამოცდას. ავტომობილებში ასეთი ღვედი მხოლოდ 1930-იანი წლების მეორე ნახევარში გამოჩნდა, როცა მასობრივად დაიწყო ე.წ. „ჩქაროსნული გზების“ მშენებლობა. დღეს კი უკვე თითქმის არავინ დავობს ავტომანქანის მართვისას მისი გამოყენების აუცილებლობაზე. ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ უსაფრთხოების ღვედების გამოყენებით შესაძლებელია ბევრი უბედური შემთხვევის თავიდან აცილება. სწორედ ეს გახდა ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების მიზეზი, რომლის საფუძველზეც უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობისათვის დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 40 ლარის ოდენობით.

## სიჩქარის გადაჭარბება



გოგა საკუთარი ავტომობილით გაეშურა მცხეთისაკენ თავისი მეგობრის მოსანახულებლად. მან მოძრაობისას თბილისი – მცხეთის გზატკეცილზე დაშვებულ 80 კმ/სთ. სიჩქარეს გადააჭარბა 10 კმ/სთ.-ით. სიჩქარის გადა-  
მეტება დააფიქსირა ერთ-ერთ ზომზე დამონტაჟებულმა რადარმა და კა-  
მერამ. რამდენიმე დღის შემდგომ მას სახლში მიუვიდა 50-ლარიანი საჯა-  
რიმო ქვითარი. გოგას აინტერესებს, თუ რამდენად ითვლება 10 კმ/სთ.-ით  
სიჩქარის გადაჭარბება სამართალდარღვევად.



– კანონმდებლობით დაშვებული მოძრაობის სიჩქარის გადამეტება 10 კმ/სთ.-ით არ ითვლება სამართალდარღვევად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ.-ზე მეტი სიჩქარით“ გამოიწვევს 50 ლარით დაჯარიმებას.



### კანონის განმარტება

შესაბამისად, გოგას უფლება ჰქონდა, მოძრაობის დადგენილი სიჩქარი-სათვის (ანუ 80 კმ/სთ.-ისათვის) გადაემეტებინა 15 კმ/სთ.-ით. ამიტომაც გოგა მხოლოდ ამ „დასაშვები გადამეტების გადამეტებისას“ შეიძლებოდა დაჯარიმებულიყო 50 ლარით.

ზოგადად, დასაშვები სიჩქარეების ზღვარს არეგულირებს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონი. ამ კანონით დადგენილი წესების მიხედვით, სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა დასახლებულ პუნქტში ნებადართულია არა უმეტეს 60 კმ/სთ. სიჩქარით.

### დაუსახლებელ პუნქტში ნებადართულია მოძრაობა:

- ➔ „A“ კატეგორიის, აგრეთვე „A1“ და „B1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ყველა გზაზე არა უმეტეს 80 კმ/სთ. სიჩქარით;
- ➔ „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა:
  - თუ ის არ ახორციელებს მსუბუქი მისაბმელის ბუქსირებას, ავტომაგისტრალზე არა უმეტეს 110 კმ/სთ. სიჩქარით, ხოლო სხვა გზაზე – არა უმეტეს 90 კმ/სთ. სიჩქარით;
  - თუ ის ახორციელებს მსუბუქი მისაბმელის ბუქსირებას, ყველა გზაზე არა უმეტეს 80 კმ/სთ. სიჩქარით;
- ➔ „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ყველა გზაზე არა უმეტეს 70 კმ/სთ. სიჩქარით;
- ➔ „C“ და „CE“ კატეგორიების, აგრეთვე „C1“ და „C1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა:
  - ავტომაგისტრალზე არა უმეტეს 80 კმ/სთ. სიჩქარით, ხოლო სხვა გზაზე – არა უმეტეს 70 კმ/სთ. სიჩქარით;
  - დადგენილი წესით, ძარათი მგზავრების გადაყვანის შემთხვევაში ყველა გზაზე არა უმეტეს 60 კმ/სთ. სიჩქარით;
- ➔ „D1“ და „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ყველა გზაზე არა უმეტეს 80 კმ/სთ. სიჩქარით;
- ➔ „D“ და „DE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ავტომაგისტრალზე არა უმეტეს 80 კმ/სთ. სიჩქარით, ხოლო სხვა გზაზე – არა უმეტეს 70 კმ/სთ. სიჩქარით;
- ➔ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დასახლებულ ან დაუსახლებელ პუნქტში ნებადართულია:
  - „T“ და „S“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ყველა გზაზე არა უმეტეს 40 კმ/სთ. სიჩქარით;

- მოპედისა და მასთან გათანაბრებული სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ყველა გზაზე, სადაც ამ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა დასაშვებია, არა უმეტეს 45 კმ/სთ. სიჩქარით;
- ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავის მოძრაობა ყველა გზაზე, სადაც ამ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა დასაშვებია, არა უმეტეს 20 კმ/სთ. სიჩქარით;
- იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, რომელიც ახორციელებს სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ბუქსირებას, არა უმეტეს 50 კმ/სთ. სიჩქარით.

სიჩქარის დადგენილი შეზღუდვების გარდა, მძღოლმა უნდა გაითვალისწინოს მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით და სხვ. გოგას შემთხვევაში ასეთი გარემოებები არ ყოფილა.



### გამონაკლისი ზოგადი წესიდან


ზოგიერთ ქალაქში (მაგ., თბილისი) შესაბამისი ნიშნის გამოყენებით შესაძლებელია, მოძრაობის სიჩქარე გაიზარდოს გზის ცალკეულ მონაკვეთზე, თუ საგზაო პირობები ქმნის მაღალი სიჩქარით მოძრაობის შესაძლებლობას. არსებობს ასევე პრეზიდენტის ბრძანებულებით სპეციალურად დაშვებული მანქანები (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის, საპატრულო, სპეციალური დაცვის სამსახურის და სხვ.), რომლებსაც შეუძლიათ სიჩქარის გადაჭარბება.



### როგორც ცნობილია,

დაშვებული სიჩქარე საშუალებას აძლევს მძღოლს, მუდმივი კონტროლი გაუწიოს სატრანსპორტო საშუალებას და არ დაარღვიოს მოძრაობის წესებით დადგენილი მოთხოვნები. მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში მძღოლმა უნდა მიიღოს ყველა ზომა მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად, ავტომობილის სრულ გაჩერებამდე. ასეთ დროს სიჩქარის დასაშვებ ზღვარს მნიშვნელობა არ აქვს.

## ავტორბოლა სასიკვდილო შედეგით (ადმინისტრაციული გადაცდომა თუ სისხლის სამართლის დანაშაული?)



*17 წლის კახა და მისი მეგობრები შეთანხმდნენ, რომ კვირის ბოლოს ავტორბოლა მოეწყოთ. რბოლის დროს კახას ავარია შეემთხვა, რამაც სხვა ავტომობილების დაზიანება და მგზავრების სიკვდილი გამოიწვია. საპატრულო პოლიციამ დაადგინა სიჩქარის გადამეტება, რის გამოც მძღოლმა ავტომობილი ვერ დაიმორჩილა. რა სახის სასჯელი ემუქრება კახას?*



– ვინაიდან ავტოსაგზაო შემთხვევას მოჰყვა ადამიანის დაღუპვა, კახას ასეთი ქმედებისათვის ემუქრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის თანახმად, „ავტომობილის ... მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს“ (1-ლი ნაწილი), „რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“ (მე-5 ნაწილი), ისჯება ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.



**შედარება:**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის შესაბამისად, „სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ.-ზე მეტი სიჩქარით“ (1-ლი ნაწილი), „რომელსაც მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება“ (მე-5 ნაწილი), გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით.



**კანონის განმარტება**

როგორც აღინიშნა, წარმოდგენილ შემთხვევაში გამოიყენება სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელი. საქმე ისაა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც უფრო მსუბუქი სახის გადაცდომებისათვისაა განკუთვნილი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ მას მოჰყვება ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება. რაც შეეხება ისეთ ავტოსატრანსპორტო შემთხვევებს, რომლებმაც გამოიწვია ადამიანის დაღუპვა ან მისი ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება (რაც სხეულის მსუბუქ დაზიანებას აღემატება), ის მომეტებული საფრთხის შემცველ ქმედებად ითვლება და ამიტომ ისჯება მკაცრად (ანუ ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით).



**გამოცდილება გვასწავლის,**

რომ ავტორბოლის თვითნებურად ჩატარება ქალაქის დასახლებულ პუნქტებში დაუშვებელია. ასეთ არაორგანიზებულ რბოლებს მრავალი უბედურება მოჰყვება. ამიტომ, როგორც წესი, ის იგეგმება ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. ორგანიზაციული საკითხების გარდა, ავტორბოლაში მონაწილე მძღოლი კარგად უნდა ფლობდეს პრაქტიკულ და თეორიულ უნარ-ჩვევებს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველოში (1996 წლიდან) არსებობს ეროვნული სატრანსპორტო ფედერაცია, რომელიც უზრუნველყოფს მძღოლთა შიდა ლიცენზირების (კვალიფიკაციის შემოწმება-დადასტურების), ავტორბოლების კატეგორიზაციის, მისი რეგლამენტირების, ჩატარების ორგანიზებისა და ა.შ. საკითხებს. ქ. რუსთავში განთავსებულია ასევე სარბოლო ტრასა, სადაც იმართება ხოლმე ჩემპიონატები რბოლაში და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა.



### ვებგვერდი

საქართველოს ეროვნული სატრანსპორტო ფედერაციის შესახებ დაწვრი-  
ლებით იხ.: <http://www.gaf.ge>

საქართველოს საავტომობილო სპორტის ასოციაცია: <http://gasa.org.ge/>

რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი: <http://www.rustavi1.com/>

## საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

### გინება საზოგადოების თავშეყრის ადგილებში (წვრილმანი ხულიგნობა)



*კოტე სკოლიდან ავტობუსით ბრუნდებოდა სახლში. მძღოლი ავტობუსს ცუდად მართავდა და ხშირად ამუხრუჭებდა. ერთ-ერთი დამუხრუჭების დროს კოტე იქვე მდგომ ქალბატონს შეეჯახა. გაბრაზებულმა კოტემ მძღოლს დაუწყო უშვერი სიტყვებით გინება. სწორად მოიქცა თუ არა კოტე?*



– არა, კოტე არ მოიქცა სწორად. ერთი პირის მიერ ჩადენილი არასწორი საქციელი მეორე პირს არ აძლევს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად, „წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს“, გამოიწვევს

დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, გამოიწვევს 90 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას.



### კანონის განმარტება

აღნიშნული 166-ე მუხლით კოტეს საქციელი შეიძლება შეფასდეს წვრილმან ხულიგნობად. ასეთი საქციელის მიმართ საპატრულო პოლიციას უფლება აქვს, შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი და ის საქმის სხვა მასალებთან ერთად განსახილველად გადაუგზავნოს სასამართლოს.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ ამ შემთხვევის მიმართ ცალსახად არ იქნება გამოყენებული ადმინისტრაციული პატიმრობა. სავარაუდოდ, სამართალდარღვევის ნაკლებად მძიმე ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლო კოტეს მიმართ მხოლოდ 100-ლარიანი დაჯარიმებით შემოიფარგლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ადმინისტრაციული პატიმრობა ასეთი მსუბუქი დარღვევების მიმართ საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

წვრილმანი ხულიგნობა შინაარსობრივად სხვადასხვა სახის ქმედებებს მოიაზრებს (მაგ.: კანონსაწინააღმდეგო მანიფესტაცია, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შიშველ მდგომარეობაში ყოფნა, მოშარდვა და სხვ.). ამავე დროს, წვრილმანი ხულიგნობა განსხვავდება სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ხულიგნობისაგან. ეს უკანასკნელი ხასიათდება უკიდურესი ცინიზმით, განსაკუთრებული თავხედობით და ა.შ., რისთვისაც გათვალისწინებულია მკაცრი სახის სასჯელი.



### როგორც ითქვა,

ავტობუსის მძღოლის საქციელი არანაირად არ არის გამართლებული. მისი მოვალეობაა, მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მგზავრებს და არ გამოიწვიოს მათი გაღიზიანება. თუმცა, თავის მხრივ, გაღიზიანებულ მგზავრსაც არ აქვს უფლება, გამოიყენოს მძღოლისათვის მიმართვის არაკორექტული ფორმები და ამით დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი. ასეთი შემთხვევებისათვის მხოლოდ საქმიანი შენიშვნები და მითითებები მიზანშეწონილი.



### საგულისხმო ფაქტები

როგორც ცნობილია, სიტყვა „ხულიგანი“ ირლანდიური გვარია (Holigan). ამ გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც მე-18 საუკუნის მი-

წურულს ლონდონში ცხოვრობდა, სახელი გაითქვა თავაწყვეტილი საქციელით, შლეგობითა და ძალისმიერ ქმედებათა ჩადენისადმი მიდრეკილებით. შემდგომში ხულიგნებს უწოდებდნენ ქუჩის შფოთისთავეებს, მოძალადეებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს.



### ვებგვერდი

თბილისის სატრანსპორტო კომპანია: <http://ttc.com.ge>

მძღოლის ან კონტროლიორის მიერ მგზავრთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეგიძლიათ დარეკოთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 293-44-44

ბათუმის სატრანსპორტო კომპანია:

<http://batauto.ge/>

ცხელი ხაზი: (+995 422) 24 76 76

## სიტყვიერი შეურაცხყოფა

კაზუსი 12



*15 წლის გოგამ ქუჩა გადაკვეთა შუქნიშნის წითელ ფერზე, რამაც მოძრაობის შეფერხება გამოიწვია. ერთ-ერთი მძღოლის სიგნალს კი გოგამ შუა თითის ჩვენებითა და გინებით უპასუხა, რის შემდეგაც მძღოლი გადმოვიდა მანქანიდან, ბიჭი დაიჭირა და პოლიცია გამოიძახა.*



– მძღოლს შეუძლია მხოლოდ იჩივლოს სამოქალაქო წესით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ხოლო, თუ შეურაცხყოფა ჩადენილია საზოგადოებრივ ადგილას ისეთი ფორმით, რომ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, გოგა შეიძლება დაჯარიმდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის 100 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობით 90 დღემდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად, „წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს“, გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით ან, თუ, საქმის გარემოებათა და

დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, გამოიწვევს 90 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას.



**კანონის განმარტება**

სიტყვისა და აზრის თავისუფლება ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში დაცულია კონსტიტუციითა და სხვა კანონებით, თუმცა ზოგ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენა შეიძლება „მხოლოდ სიტყვით“. მაგალითად, სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების მუქარა (როდესაც მსხვერპლი ამას რეალურად აღიქვამს) დანაშაულია; ასევე დანაშაულია „სიტყვით“ ადამიანის წაქეზება ან მისთვის რჩევის მიცემა დანაშაულის ჩასადენად.

რაც შეეხება სიტყვიერ შეურაცხყოფას, ის არ არის დანაშაული. თუმცა, თუ შეურაცხყოფა ჩადენილია საზოგადოებრივ ადგილას ისეთი ფორმით, რომ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, ის შეიძლება ჩაითვალოს წვრილმან ხულიგნობად, რომელიც არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ისჯება 100 ლარის ოდენობის ჯარიმით ან 90 დღემდე პატიმრობით.



**ზოგჯერ შეიძლება გვეგონოს,**

რომ ჟარგონით საუბარი და უწმაწური სიტყვების ხმარება მოდაშია, ან აუცილებელია ჩვენი უპირატესობის წარმოსაჩენად, ან თანატოლებს შორის ადგილის დასამკვიდრებლად..., მაგრამ ვიფიქროთ იმ „უკუმდეგებზე“, რაც ამან შეიძლება გამოიწვიოს: ლანძღვა-გინებამ შეიძლება ჩვენში გაზარდოს შინაგანი აგრესია, წარმოგვაჩინოს გაუნათლებლად და ვულგარულად, დაგვაშოროს მეგობრებს, ხშირად ჩაგვაყენოს კონფლიქტურ სიტუაციებში და ა.შ. მაშინ, როცა ზოგიერთ კულტურაში უწმაწური სიტყვებით მიმართვა უფრო მოსათმენია, საქართველოში ის მძიმე შეურაცხყოფის ტოლფასია და, როგორც წესი, იწვევს მწვავე უკურთხევას, ფიზიკურ დაპირისპირებამდე და ხშირად ტრაგიკულ შედეგებამდეც კი მიდის. ამასთან ერთად, როგორც უკვე ვნახეთ, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება კანონით აკრძალულია და ისჯება.



**საგულისხმო ფაქტები**

ბევრ ქვეყანაში უწმაწური სიტყვებით საჯარო ადგილას საუბარი დასჯადია. მაგალითად, აშშ-ის ვირჯინიის შტატში, საჯარო ადგილებში, უწმაწური და უზრდელი სიტყვების ხმარება კანონმდებლობით ისჯება 20 დოლარის ოდენობის ჯარიმით. ინგლისში ასეთი ქმედება მხოლოდ მაშინ ისჯება, თუ ის „ვინმეს აწუხებს“.

## პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა

კაზუსი 13



თაზო და გია სკოლის კედლებზე აკეთებდნენ წარწერებს, როცა ისინი პოლიციის ინსპექტორმა შეამჩნია. მან ბიჭებს მოსთხოვა, წაჰყოლოდნენ განყოფილებაში, თუმცა ისინი არ დაემორჩილნენ და გაიქცნენ.



– თაზომ და გიამ ჩაიდინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის მიხედვით, „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთიდან ექვს თვემდე ვადით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით“.

ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის თანახმად, „პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის



შემლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, – ჩადენილი ჯგუფის მიერ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე“.



**კანონის განმარტება**

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება პოლიციის ვალდებულებაა. შესაბამისად, როდესაც პოლიციელი თავის მოვალეობას ასრულებს, ყველა ვალდებულია, დაემორჩილოს მის განკარგულებებს ან მოთხოვნებს. პოლიციელისადმი წინააღმდეგობის გაწევა დანაშაულია, ხოლო მისი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. წარმოდგენილ შემთხვევაში თაზომ და გიამ ჩაიდინეს დანაშაული – პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, რაც ისჯება 400 ლარის ოდენობის ჯარიმით ან 90 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობით.



**გახსოვდეთ,**

სამართლებრივ სახელმწიფოში პოლიციას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს. როდესაც პოლიცია ამ ფუნქციას არ ან ვერ ასრულებს, იზრდება დანაშაულთა რიცხვი, იმატებს დაუსჯელობის სინდრომი და ქვეყანაში განუკითხაობა ისადაგურებს. ორი ათეული წლის წინ საქართველოს ისტორიას ახსოვს ასეთი პერიოდი, 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და არავინ გრძნობდა თავს კრიმინალისაგან დაცულად.

იმისთვის, რომ პოლიციელმა თავისი ფუნქციები ჯეროვნად შეასრულოს, კანონი მას ანიჭებს მთელ რიგს უფლებებისას, რომლებიც ჩვეულებრივ მოქალაქეს ან, თუნდაც, სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირს არ გააჩნია. კერძოდ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პოლიციელს აქვს ადამიანისა და სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების, ადამიანის შემოწმების ან ჩხრეკის, ხანმოკლე დაკავების უფლება და სხვ. იმისათვის, რომ პოლიციელმა ამ უფლებების განხორციელება შეძლოს, მოქალაქეებს ეკისრებათ პოლიციელის კანონიერი მოთხოვნებისადმი დამორჩილების ვალდებულება.

შესაბამისად, უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა და შეუსრულებლობა ისჯება კანონით.

## ძაღლის გასეირნება



კაზუსი 14

*16 წლის ცოტნეს ჰყავს გერმანული ნაგაზი, რომელსაც ის ხშირად ასეირნებს პარკში. ერთ დღესაც ცოტნემ ვერ იპოვა საბმელი და მის გარეშე მოუწია ძაღლის გამოყვანა. ამის გამო პარკის ადმინისტრაციამ ცოტნე დააჯარიმა. ცოტნე დაჯარიმების აქტს მიიჩნევს უსაფუძვლოდ იმის გამო, რომ ძაღლს არავისთვის არ მიუყენებია ზიანი. მართალია თუ არა ცოტნე?*



– არა, ცოტნე არ არის მართალი. დასჯადია შინაური ცხოველების სპეციალური აღჭურვილობის გარეშე გამოყვანა საზოგადოებრივ ადგილებში. მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, რომ ძაღლს არავისთვის არ მიუყენებია ზიანი (მაგ. არ უკბენია).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ძაღლის საბმელის ან ალიკაპის გარეშე ყოლა თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში“ გამოიწვევს მფლობელის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.



### კანონის განმარტება

როგორც ითქვა, აღნიშნული 103-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელი არ არის, ვინმეს მიმართ დამდგარი იყოს რაიმე სახის ზიანი. ამავე დროს, ზიანის დადგომამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სასჯელის არჩევისას. ამ თვალსაზრისით, ვინაიდან, წარმოდგენილი კაზუსის მიხედვით, არავინ დაშავებულა, ამიტომ ცოტნემ შეიძლება იდავოს ჯარიმის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე, რათა მის მიმართ გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გაფრთხილება.

ამავე დროს, სამართალდარღვევად არ ჩაითვლება ძაღლის ყოფნა თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე, თუ ის სახლიდან თვითნებურად არის გამოქცეული. ასეთი შემთხვევისათვის არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1997 წ.) 1003-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, „ცხოველის მფლობელმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული...“. ჯარიმის სახით კი ის პასუხს არ აგებს.



### უნდა გახსოვდეთ, რომ

შინაური ცხოველების ყოლის წესების დარღვევამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს. ამის ერთ-ერთი მაგალითია ცოფი (ლათ. rabies – სიგიჟე). ცოფი არის მწვავე ინფექცია, რომელიც იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე, აღუდგენელ დაზიანებას და შესაძლებელია, სასიკვდილო შედეგით დამთავრდეს. მისი თავიდან აცილების ერთადერთი გზა არის ცხოველებისათვის ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) აცრების დროულად და კვალიფიციურად ჩატარება გამოცდილი მედიკოსების ზედამხედველობით.

## ხმაური სამეზობლოში

კაზუსი 15



16 წლის გიორგი მშობლებთან ერთად მრავალბინიან კორპუსში ცხოვრობს. ერთ დღეს გიორგიმ და მისმა მეგობრებმა გვიან ღამით ხმამაღლა ჩართეს მუსიკა. მუსიკისაგან მეზობლები შეწუხდნენ. მიუხედავად მრავალჯერ გაფრთხილებისა, გიორგიმ მუსიკას არ ჩაუწია, რადგან ფიქრობდა, რომ მეზობელი, უბრალოდ, აჭარბებდა. გაღიზიანებულმა მეზობელმა საპატრულო პოლიცია გამოიძახა. ადგილზე პოლიციას, მუსიკის გარდა, შემოესმა ახალგაზრდებს შორის ცხარე კამათისა და ჩხუბის ხმა. პოლიციელს კარი არავინ გაუღო. როგორ უნდა მოიქცეს საპატრულო პოლიცია ამ შემთხვევაში?



– რამდენადაც ამ კაზუსში წარმოდგენილია ორი სამართალდარღვევა, საპატრულო პოლიციას აქვს შემდეგი ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება:

- ➔ დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინაში (ამასთან, შეამტკრიოს კარები); და
- ➔ დააფიქსიროს ახალგაზრდების მიერ მუსიკით გამოწვეული ხმაურის დეციბელი.



**კანონის განმარტება**

მოზარდების მიერ ხმაურის გამოწვევასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიცია ხმაურის დონის დასაფიქსირებლად საქმეში დამატებით ჩართავს შესაბამის სამსახურებს (მაგ.: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ან/და მერიის ზედამხედველობის სამსახურს). შემოწმებისას თუ დაფიქსირდება ხმაურის ნორმაზე მაღალი დონე, შეწუხებულ მოსახლეს შეუძლია, ბინის მესაკუთრეს სასამართლოში უჩივლოს მორალური ზიანის ანაზღაურებისა და შემდეგში ხმაურის არგამოწვევის მოთხოვნით.

საქართველოში დადგენილი ნორმების მიხედვით, დილის 7 საათიდან საღამოს 11 საათამდე ხმაურის დონე 40 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს, 23 საათის შემდეგ კი – 30 დეციბელს. იგივე წესები მოქმედებს რესტორნებისა და კაფე-ბარების მიმართაც.

საკუთრივ საპატრულო პოლიციას გიორგის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლება არ აქვს იმის გამო, რომ ასეთი ქმედებისათვის რაიმე სახის სასჯელი არ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება ჩხუბის ფაქტს, საპატრულო პოლიციას, ამ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, უფლება აქვს, კონკრეტული საფრთხის აღსაკვეთად იძულებით შეაღწიოს გიორგის ბინაში.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ სადავოა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ექნებოდა საპატრულო პოლიციას კარების შემტვრევის უფლება მხოლოდ ხმაურის აღკვეთის მიზნით. ასეთ შემთხვევაში, უცხოური გამოცდილების (მაგ., გერმანია) მიხედვით, პოლიციელს უფლება აქვს, ბინაში შეაღწიოს იძულებით. ამ დროს ფასდება პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უფლების, როგორც ორი განსხვავებული სამართლებრივი სიკეთის, პროპორციულობის საკითხი.



**საგულისხმო ფაქტები**

სხვადასხვა ქვეყანას ხმაურთან ბრძოლის განსხვავებული წესები აქვს. მაგ.: დიდ ბრიტანეთში საღამოს 11 საათიდან დილის 7 საათამდე ხმაური საერთოდ აკრძალულია. ნორმის დარღვევის შემთხვევაში, სპეციალურ მაკონტროლებელ ორგანიზაციებს (ე.წ. Environmental health officer-ებს) უფლება აქვს, მეპატრონის დაჯარიმებასთან ერთად, ჩამოართვას ხმაურის გამომწვევი მოწყობილობა; ჩიკაგოში ხმაურის ნორმის დარღვევისათვის ობიექტის მეპატრონეს პირველ, მეორე და მესამე ჯერზე ეკისრება ჯარიმის გადახდა, შესაბამისად, 300, 500 და 1000 აშშ-ის დოლარის ოდენობით. შემდეგ ჯერზე კი შესაძლოა, მას, საერთოდ, საქმიანობის ლიცენზია ჩამოერთვას.

## ქალაქის იერსახის დამახინჯება



16 წლის თამუნას ხატვა და სხვადასხვა სახის წარწერების შესრულება ეხერხება. ერთ დღესაც, თავისი შესაძლებლობების დემონსტრირების მიზნით, მან თბილისში ერთ-ერთი კორპუსის კედლის ნაწილის მოხატვა და მასზე შესაბამისი წარწერების შესრულება გადაწყვიტა. ამის გამო საპატრულო პოლიციამ ის დააჯარიმა 50 ლარის ოდენობით. თამუნა პატრულის მოქმედებას მისი ინტელექტუალური შემოქმედების უფლების დარღვევად მიიჩნევს. მას აინტერესებს, ჰქონდა თუ არა საპატრულო პოლიციას მისი დაჯარიმების უფლება?



– დიახ, საპატრულო პოლიციას ჰქონდა თამუნას დაჯარიმების უფლება. ფასადების მოხატვა შესაძლებელია გარკვეული მიზნებით და მხოლოდ სათანადო ნებართვების საფუძველზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე...“, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი...“, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.



### გამონაკლისი ზოგადი წესიდან

შენობათა ფასადების მოხატვა, ვიტრინებზე გარკვეული წარწერების შესრულება ან სხვა მსგავსი ქმედებების განხორციელება დასაშვებია, თუ ეს გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტით, ან თუ მასზე გაცემულია თვითმმართველობის ორგანოების სპეციალური ნებართვა (მაგ., სარეკლამო წარწერების თაობაზე). როგორც ცნობილია, თბილისში არსებობს ისეთი სახის შენობა-ნაგებობები (მაგ., ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეა), რომელთა ფასადებზე გამოყენებულია მხატვრობის ელემენტები.



### საგულისხმო ფაქტები

საზღვარგარეთის ქვეყნებში (მაგ.: ესპანეთი, გერმანია, იტალია, მექსიკა და სხვ.) ხშირად შეხვდებით მოყვარული ან პროფესიონალი ხელოვნების მიერ მოხატულ ტროტუარებს, ფასადებს (მაგ., შენობის კედელი ბეთჰოვენის სახლ-მუზეუმის წინ, რომელზეც შესრულებულია ბეთჰოვენის პორტრეტი), ასევე სხვადასხვა წარწერას, რომლებიც ნებადართული ან დაკვეთილია შესაბამისი თვითმმართველობების მიერ. ის ცნობილია ე.წ. „კედლის მხატვრობის“ სახელით და ქალაქის იერსახის განუყოფელ ნაწილად არის ჩამოყალიბებული. ამასთან, ხელოვნების ეს სახე თავისი ბუნებით არსებითად განსხვავებულია. მის მიმართ ხორციელდება ერთგვარად გამართლებული ცენზურა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო განსაზღვრავს კედლის მოხატვის დასაშვებ და დაუშვებელ შემთხვევებს, რათა ის ვანდალიზმის ნაირსახეობად არ იქცეს.



### ვებგვერდი

„სტრიტ არტი“ საქართველოში: <https://www.facebook.com/tbilisistreetart>

## საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევა

### უბილეთოდ მგზავრობა

პაზუსი 17



*ავტობუსში მგზავრობის დროს თავის ბილეთის შესაძენად საკმარისი ფული არ აღმოაჩნდა. მას არც მოსწავლის მოწმობა ჰქონდა თან. ამის გამო კონტროლიორმა იგი დააჯარიმა 5 ლარის ოდენობით. თავის ეს დაჯარიმება მიაჩნია უკანონოდ და მოსწავლის ბარათის წარმოდგენის შემთხვევაში მოითხოვს მის გაუქმებას. თავის აინტერესებს, როგორ წესრიგდება ეს ურთიერთობა?*



– ასეთ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს უფასოდ მგზავრობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოგვიანებით წარდგენის პროცედურებს. ამდენად, თავის ქმედება ჩაითვლება ჩვეულებრივ სამართალდარღვევად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, „უბილეთოდ მგზავრობა“ ტროლეიბუსით, ტრამვაით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით (მიკროავტობუსით) გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით.





**კანონის განმარტება**

როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდში ქვეყანაში მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში უბილეთოდ მგზავრობის პრობლემა. კონტროლის გამკაცრების პარალელურად, დისკუსიის საგანი გახდა საკუთრივ „უბილეთოდ მგზავრობის“ განსაზღვრის საკითხი, განსაკუთრებით საქალაქო ავტობუსებში. პირველ რიგში, დისკუსიაში მონაწილე მხარეები ვერ თანხმდებიან ბილეთის შეძენის დროსთან დაკავშირებით. უმრავლესობის აზრით, ბილეთის შეძენა შესაძლებელია მგზავრობის დამთავრების ანუ ავტობუსიდან ჩასვლის დროსაც. ამიტომ, მათი აზრით, მგზავრობის განმავლობაში ბილეთის არქონა სამართალდარღვევად არ უნდა ჩაითვალოს.

იურიდიულად ეს აზრი მცდარია. საქმე ისაა, რომ, თუ ჩვენ „სამგზავრო ბილეთს“ განვმარტავთ როგორც დოკუმენტს, რომელიც მგზავრს ბილეთში აღნიშნული რეისით მგზავრობის უფლებას ანიჭებს, მაშინ თავისთავად ნათელი გახდება, რომ მისი შეძენა უნდა მოხდეს მგზავრობის დაწყების წინ ან მის დაწყებისთანავე.

პრობლემურია ასევე გარკვეული კატეგორიის მგზავრების (მაგ.: სკოლის მოსწავლეების, ომის ვეტერანების და სხვ. მსგავსი პირების) მიერ მგზავრობის სპეციალური ბარათების დავიწყების, დაკარგვის და ა.შ. შემთხვევები. ბევრ ევროპულ ქვეყანაში (მაგ., გერმანიაში) ასეთ დროს გამოიყენება გარკვეული ვადის დადგენის მექანიზმი მაკონტროლებელი ორგანოსათვის აღნიშნული ტიპის დოკუმენტის წარსადგენად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პირს დაეკისრება გაცილებით ნაკლები ოდენობის ჯარიმა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ჩვეულებრივ შემთხვევაში (მაგ., 7 ევრო 40-ის ნაცვლად).



**მნიშვნელოვანია, რომ**

დაჯარიმებულმა პირმა (ამ შემთხვევაში თავომ) ყურადღება მიაქციოს ჯარიმის გადახდის ვადებს. დადგენილი წესის მიხედვით, ჯარიმის ნებართვითი გადახდისათვის განსაზღვრული 1-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი 50 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან მომდევნო 30 დღის ვადაში, ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, პირის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდევინების იძულებითი ღონისძიებები.



**საგულისხმო ფაქტები**

ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა და მისი ორგანიზება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

თბილისში ელექტრონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ისტორია ტრამვავით იწყება. ეს პროექტი ერთ-ერთმა ბელგიურმა კომპანიამ 1904 წელს განახორციელა. მისი სახელი „კონკა“ დღეს ყველასათვის არის ცნობილი. მან 1910 წლამდე იარსება. გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ამ ტრადიციამ კვლავ აღორძინება დაიწყო და მისმა ქსელმა დედაქალაქში 100 კილომეტრს გადააჭარბა. სამწუხაროდ, 2006 წელს ტრანსპორტის ეს სახეობა ტროლეიბუსთან ერთად თბილისში საერთოდ გაქრა. დღეს დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ძირითად სახეობებს მიეკუთვნება: ავტობუსი (რომლის ისტორია 1933 წლიდან იწყება), მეტრო (1966 წლიდან) და სამარშრუტო ტაქსი (90-იანი წლებიდან).



იხ. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ვებგვერდი: <http://ttc.com.ge>

## ავტობუსის სავარძლის დაზიანება

კაზუსი 18



17 წლის თორნიკე მეგობართან სტუმრობის შემდეგ, ავტობუსით ბრუნდებოდა სახლში. ჩასხდომიდან რამდენიმე წუთში მან ავტობუსის ერთ-ერთი სავარძელი სათამაშო დანით დააზიანა. ეს შეამჩნია მძღოლმა და ადმინისტრაციაში შესაბამისი შეტყობინება გაგზავნა. შემდეგ გაჩერებაზე სპატირული პოლიციამ თორნიკეს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. რა სახის სასჯელი მოეწიება მას?



– აღნიშნულ სამართალდარღვევის ოქმს პოლიციის უფლებამოსილი პირი, საქმის სხვა მასალებთან ერთად (მაგ.: დანა, ფოტოსურათები, მძღოლის ჩვენება და სხვ.), განიხილავს მისი შედგენიდან 7 დღის ვადაში. ჯარიმის ოდენობა აისახება საქმის განხილვის შედეგად გამოტანილ დადგენილებაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 107<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, „საჰაერო, რკინიგზის და მეტროპოლიტენის ტრანსპორტის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის, ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტრამვაის და სამარშრუტო ტაქსის შიდა მოწყობილობის დაზიანება“ გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე.



### კანონის განმარტება

რას ნიშნავს შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა? ეს უკანასკნელი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“ (1999 წ.). ამ ბრძანებულების მიხედვით, მინიმალურ ხელფასთან (შრომის ანაზღაურებასთან) დაკავშირებული სანქციების, ჯარიმებისა და სამართალდარღვევებისათვის გათვალისწინებული გადასახდელებისათვის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა (მინიმალური ხელფასი) განისაზღვრება 40 ლარით. ამ წესით დაკისრებული ჯარიმა კი არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.



### მნიშვნელოვანია ის გარემოება,

რომ თუ დაზიანებული სავარძლის ღირებულება 150 ლარზე მეტია, თორნიკეს ქმედება იქნება სისხლისსამართლებრივად დასჯადი (იხილეთ მაგ. 38-ე კაზუსი) და მას დაეკისრება გაცილებით მაღალი სასჯელი. ამიტომ, უნდა გვახსოვდეს, რომ საერთო საზოგადოებრივი ნივთების დაზიანება არის მავნებლური საქციელი, რომელიც მიმართულია საზოგადოების ყველა წევრის მიმართ. დამნაშავე თავისი ქმედებით გამოხატავს უპატივცემულობას, ვინაიდან ის არ ფიქრობს იმაზე, რომ სავარძლით სხვამაც უნდა ისარგებლოს.

## მეტროს მოძრაობის შეფერხება



კობა და ნოდარი სკოლის შემდგომ მეტროპოლიტენით გაემგზავრნენ სახლში. დიდუბის გაჩერებაზე ნოდარმა ფეხი ჩაუდო კარებს, რის გამოც კარები არ დაიკეტა. მატარებლის მესაჭემ მიკროფონში მოუწოდა მგზავრებს, გაეთავისუფლებინათ კარები. ნოდარმა მესაჭის მოწოდება ყურად არ იღო, რის გამოც მეტროპოლიტენის ადმინისტრაციის თანამშრომელმა ნოდარი დააჯარიმა. რომელი კანონით ისჯება ასეთი ქმედება?



– გაჩერებაზე მეტროს ვაგონის კარის გაღება-დახურვის განზრახ შეფერხების გამო პირის დაჯარიმებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 107<sup>2</sup>-ე მუხლის თანახმად, „მოძრაობის დროს ვაგონის კარის გაღება, გაჩერებაზე კარის გაღება-დახურვის განზრახ შეფერხება, საჭიროების გარეშე მატარებლისა და ესკალატორის მოძრაობის გაჩერება“ გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.



### გამონაკლისი ზოგადი წესიდან

არის შემთხვევები, როცა გაჩერებაზე მეტროს ვაგონის კარის გაღება-დახურვის შეფერხება არ არის დასჯადი. ასეთებია, მაგ., თანამგზავრებისათვის მეტროში შესვლის შესაძლებლობის შექმნა ან ისეთი სიტუაცია, როცა მგზავრი ვერ ასწრებს ჩანთის ვაგონში შეტანას და სხვ. თუმცა ამ პროცესმა არ უნდა მიიღოს ხანგრძლივი ხასიათი და არ უნდა გამოიწვიოს მოძრაობის დიდი ხნით შეფერხება. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მეტროს მოძრაობისათვის დადგენილია მკაცრი გრაფიკი, ასევე გათვალისწინებულია სხვა მგზავრთა ინტერესებიც.

შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის ცნების შესახებ იხილეთ მე-17 კაზუსი.



### საგულისხმო ფაქტები

თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება, ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, 1951 წლის 29 სექტემბერს მიიღეს. ოფიციალურად კი ის 1966 წლის 11 იანვარს გაიხსნა. თავდაპირველად გაჩერებები მხოლოდ 6 სადგურისაგან შედგებოდა. დროდადრო მისი რაოდენობა 21-ამდე გაიზარდა. დღეს მეტრო თბილისში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სატრანსპორტო საშუალებაა, ამიტომაც მისი მოძრაობის მკაცრად ორგანიზება და მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დაცვის ორგანიზება დედაქალაქის მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.



იხ. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ვებგვერდი: <http://ttc.com.ge>

## ჯარიმა



17 წლის რეზომ, რომელმაც ახლახან აიღო მართვის მოწმობა, გზაზე მოძრაობისას შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზი გადაკვეთა. რეზომ თვალი მოავლო გარემოს და როცა მიხვდა, რომ საპატრულო პოლიცია არსად იყო, შვებით ამოისუნთქა. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ტერიტორიაზე დამონტაჟებული ყოფილა სამეთვალყურეო კამერა, რომელსაც ეს დარღვევა დაუფიქსირებია. მოგვიანებით მას სახლში 50-ლარიანი საჯარიმო ქვითარი მიუვიდა. ქვითრის უკანა მხარეს მითითებულია, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმა გასამმაგდება, ხოლო შემდგომი გადაუხდელობის შემთხვევაში მოხდება თანხის იძულებითი ამოღება. რეზოს საერთოდ არ წაუკითხავს, რა ეწერა ქვითრის უკანა მხარეს, ყურადღება არ მიაქცია მას და გადააგდო. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს რეზოს საქციელს?



– რეზომ ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, კერძოდ, დაარღვია გზაზე მოძრაობის წესები, რის გამოც ის კანონიერად დაჯარიმდა. ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში რეზოს დაეკისრება საურავი 150 ლარის ოდენობით. ამ უკანასკნელის გადაუხდელობის შემთხვევაში კი დაიწყება იძულებითი აღსრულება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. ამავე კოდექსის მიხედვით, სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საბანკო დაწესებულებაში შეტანის გზით. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში პირს ეკისრება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია საურავის გადახდის უზრუნველსაყოფად.



#### მატერიალური კანონმდებლობა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, პირი 16 წლის ასაკიდან აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. წარმოდგენილი კაზუსის მიხედვით, ბიჭი 17 წლისაა, შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ასაკს უკვე მიღწეულია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მძღოლის მიერ უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთისათვის 50-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. ამასთანავე, ის ფაქტი, რომ საპატრულო პოლიციამ ვერ დაინახა ეს დარღვევა, სულაც არ ათავისუფლებს რეზოს პასუხისმგებლობისაგან. ირკვევა, რომ შემთხვევის ადგილას სამეთვალყურეო კამერა იდგა, რომელმაც დააფიქსირა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა და რეზოს ჯარიმა სახლში მიუვიდა. რეზოს დაჯარიმების შესახებ დადგენილებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ჯარიმის გადახდის ვადა, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობით 30 დღეა, ასევე მითითებული უნდა იყოს ის შედეგებიც, რაც ამ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობას მოჰყვება. წარმოდგენილი მაგალითიდან ჩანს, რომ რეზო გულგრილად მოეკიდა საჯარიმო ქვითარს და, სავარაუდოდ, გაუშვებს კიდეც უშედეგოდ ვადას. შესაბამისად, მას დაეკისრება საურავი 150 ლარის ოდენობით. კანონმდებელი საურავის დაკისრებიდან კიდეც 30 დღეს აძლევს პირს, რათა გადაიხადოს ჯარიმა და საურავი 200 ლარის ოდენობით. მაგრამ თუკი პირმა ამ ვადაშიც არ შეიტანა შესაბამისი თანხა ანგარიშზე, მაშინ მოხდება მისი სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია თანხის დასაფარავად.





**გაითვალისწინეთ,**

გზაზე მოძრაობის წესების დაცვა როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების, ისე ქვეითად მოსიარულეების ვალდებულებაა. ერთი შეხედვით უწყინარმა მანევრმა შესაძლოა, საავარიო სიტუაცია შექმნას, მით უმეტეს, როდესაც საუბარი შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის სამოდრო მხარეს გადასვლაზეა. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება ამ მხრივ განსაკუთრებული მოწესრიგებულობით ვერ გამოირჩევა. ასევე, უფრო მეტი უყურადღებობა და დაუდევრობა დაკისრებული ჯარიმის შესაბამის ვადებში გადაუხდელობა, რაც ისევ და ისევ სამართალდამრღვევ პირს აზიანებს, რადგანაც ამგვარი უმოქმედობითა და კანონის მოთხოვნის არაერთჯერადი უგულებელყოფით შესაძლოა, გადასახდელი ჯარიმა 200 ლარამდე ავიდეს და უარეს შემთხვევაში კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების იძულებითი რეალიზაციაც კი გამოიწვიოს. ამიტომ უნდა გვახსოვდეს: როცა საფოსტო გზაწილის მიღებისას ხელს ვაწერთ შესაბამის გრაფაში, ვიბარებთ დადგენილებას დაჯარიმების შესახებ და ვადასტურებთ, რომ შეტყობინება წავიკითხეთ და ინფორმირებულები ვართ ჯარიმისა და შემდგომი საურავების შესაძლო დაკისრების შესახებ.

## გარემოსდაცვითი წესების დარღვევა

### ზღვის დაბინძურება

პაზუსი 21



გიგა და ლევანი ზღვაზე დასასვენებლად ბათუმში წავიდნენ. ერთ დღესაც მათ პლაჟზე საზამთრო და ლიმონათები წაიღეს, რაც ბანაობის შემდგომ მიირთვეს. გიგამ კი საზამთროს ნარჩენები და ცარიელი პოლიეთილენის ბოთლები ზღვაში ჩაყარა. ეს შეამჩნია ბათუმის ბუღვარის ადმინისტრაციის ინსპექტორმა, რომელმაც დასუფთავების წესების დარღვევისათვის ორივე, გიგაც და ლევანიც დააჯარიმა. სწორად მოიქცა თუ არა ინსპექტორი?



– არა, ინსპექტორს უფლება არ ჰქონდა, დასუფთავების წესების დარღვევისათვის ორივე, გიგაც და ლევანიც დაეჯარიმებინა, რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, არ იცნობს თანამონაწილეობის ცნებას, როცა ერთი ქმედებისათვის პასუხს აგებენ ამ ქმედებაში მონაწილე სხვა პირები (დამხმარის ან წამქეზებლის სახით). ინსპექტორს ჰქონდა მხოლოდ გიგას 50 ლარის ოდენობით დაჯარიმების უფლება.



### კანონის განმარტება

აღნიშნული მუხლის მიხედვით, ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის თანამშრომელს უნდა დაეჯარიმებინა მხოლოდ გიგა. ამასთან, ლევანსაც რომ გადაეყარა ზღვაში ნარჩენები, მაშინ ინსპექტორს ექნებოდა მისი დაჯარიმების უფლებაც. საქმე ისაა, რომ ამ მუხლის გამოყენებისათვის გადაყრილი ნარჩენების ოდენობას რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში სანაპირო ზოლში დასუფთავების წესების უზრუნველყოფაზე ზრუნავს ბათუმის ბულვარის ადმინისტრაცია, დანარჩენ ადგილებს კი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარის სამსახური მეთვალყურეობს.



### სავალდებულოა, რომ

დამსვენებლებმა, რომელთაც პლაჟზე თან მიაქვთ საჭმელი და სასმელი, მოაგროვონ დარჩენილი ნაფცქვენები, ქილები, ქაღალდები და სხვა ნაგავი და წაიღონ უახლოეს ურნამდე. მართალია, ბულვარის ადმინისტრაცია დასუფთავების წესების დარღვევისათვის იყენებს დაჯარიმებებს, მაგრამ, ცხადია, რომ მათ მიერ სანაპირო ზოლზე თითოეული ადამიანის გაკონტროლება შეუძლებელია. ამ საქმეში წამყვანი როლი საკუთრივ დამსვენებლების თვითშეგნებას ენიჭება. შეგნებული ადამიანი კი კონტროლს უწევს არა მარტო თავის, არამედ სხვების საქციელსაც. ერთი რამ უდავოა: დაბინძურებულ სანაპირო ზოლზე დასვენება არავის არ სიამოვნებს, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ იმ გარემოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ!



### საგულისხმო ფაქტები

ბათუმში ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ჩადის. სადავო არ არის, რომ ტურისტული გარემოს შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სუფთა ზღვა და ნაპირზე ეკოლოგიური ნორმების დაცვაა. სხვადასხვა გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები

(NGO-ები) ხშირად საუბრობენ შავი ზღვის კატასტროფულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და იქ ამიაკისა და სხვა მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მომატებაზე. ამასთან, დადგენილია, რომ ადამიანი ბანაობისას 200 მილგრამ წყალს ყლაპავს და მსგავსი ნივთიერებების ორგანიზმში მოხვედრა ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. დაბინძურების სხვადასხვა წყაროს შორის ამ სავალალო შედეგებში თავისი უარყოფითი წვლილი სანაპირო ზოლის დაბინძურებასაც შეაქვს.

## „ჭიაკოკონობა“



პაწუსი 22

სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში 16 წლის ბაკურმა და დიმიტრიმ ავტომანქანების გაცვეთილი საბურავები შეაგროვეს. მათ სოფელში დიდი „ჭიაკოკონობის“ მოწყობა სურდათ. ამ მიზნით ერთმანეთზე დაალაგეს 10-ამდე სხვადასხვა ზომის საბურავი და მარიამობის დღესასწაულის დადგომისთანავე, 28 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, უზარმაზარი კოცონი დაანთეს. მთელმა სოფელმა მალე ცეცხლთან მოიყარა თავი. ამასობაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორებიც გამოჩნდნენ. მათ ორივე არასრულწლოვანი 400-400 ლარით დააჯარიმეს. ბაკური და დიმიტრი არა ეთანხმებიან დაჯარიმებას. მათი აზრით, ინსპექტორებს უფლება არ აქვთ, აღკვეთონ ეს ძირძველი ტრადიცია. როგორ წესრიგდება ეს ურთიერთობა?



– ერთი შეხედვით, გრემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორის მიერ ახალგაზრდების დაჯარიმება ეწინააღმდეგება ამ წარმართულ ქართულ ტრადიციას, თუმცა საეჭვოა, ეს ტრადიცია საბურავების დაწვით დაწყებულიყო. საქმე ისაა, რომ ჭიაკოკონობის ტრადიციას გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე რეზინის საბურავების გამოგონებას. ამიტომაც ინსპექტორების ქმედება ყველანაირად გამართლებულია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება ნებისმიერი ტიპის ნარჩენების (მათ შორის, ფოთლების, საბურავების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარებში დაწვისას“ გამოიწვევს სამართალდამრღვევის 400-იდან 600 ლარამდე დაჯარიმებას.



### კანონის განმარტება

გარემოსდაცვითი და სანიტარიული წესების მიხედვით, რეზინის საბურავებისა და ფოთლების დაწვას როგორც ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე, ისე მთლიანად ეკოსისტემაზე დიდი მავნე ზეგავლენა აქვს. „განსაკუთრებით სახიფათოა რეზინის საბურავი, რომელიც უამრავ საშიშ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს და მისი წვის შედეგად გამოთავისუფლდება მთელი რიგი მაღალტოქსიკური დამაბინძურებლებისა. არსებული მონაცემებით, 1 ტონა რეზინის საბურავის ღია წესით დაწვისას ატმოსფეროში გამოიყოფა 270 კგ ჰვარტლი და 450 კგ სხვადასხვა ტოქსიკური აირი. მცენარეული ნარჩენების, მათ შორის ფოთლების, წვა აბინძურებს როგორც ჰაერს, ისე ნიადაგს. 1 ტონა მცენარეული ნარჩენის ბოლი გამოყოფს 9 კგ მიკრონაწილას. ისინი ჰაერის ორთქლთან ურთიერთქმედებენ და წარმოქმნიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ ეგრეთ წოდებულ „სმოგს“; ნიადაგის ზედაფენაში კი მძიმე მეტალების შემცველობა 1,5-2-ჯერ იზრდება. ხშირად კოცონში ხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებიც. პოლიეთილენის პაკეტის, პლასტიკური ბოთლის და მსგავსი ნარჩენების წვის დროს წარმოიქმნება მთელი რიგი ტოქსინებისა, ხოლო ქლორთან ურთიერთქმედების შემთხვევაში ატმოსფეროში გამოიყოფა დიოქსინები. ყოველივე ეს იწვევს იმუნური სისტემის დათრგუნვას, ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევას, ღვიძლის დაზიანებას. აგრეთვე, კავშირშია ონკოლოგიურ დაავადებებთან“ (ამონარიდი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის აპრილის თვეში გავრცელებული განცხადებიდან). ამიტომაც გასაგებია კანონმდებლის ასეთი მკაცრი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.



### ალბათ გაინტერესებთ,

როგორ უნდა მოიძებნოს გამოსავალი? შეიძლება თუ არა „ჭიაკოკონობის“ ტრადიციის ისეთნაირად შენარჩუნება, რომ ის მოქმედ წესებს არ ეწინააღმდეგებოდეს? ასეთი რამ შესაძლებელია. პირველ რიგში, საცეცხლე მასალად გამოყენებულ უნდა იქნეს შეშა. როგორც ცნობილია, ასეთი

რამ პიკნიკებზე გამოიყენება მწვადის შესაწვავად, რაც კანონმდებლობას არანაირად არ არღვევს. ამავე დროს, ცეცხლის დასანთებად უნდა გამოიყენონ მხოლოდ ნებადართული საშუალება (მაგ., მოთხრილ-მოტეხილი კუნძები და ფიჩხები, რომლებიც ბლომად მოიპოვება საქართველოს ტყეებსა თუ მდინარეთა ნაპირებზე). ნებადართული საშუალების გამოყენებას აქვს შემდეგი მიზანი – ერთმა გარემოსდაცვითმა ღონისძიებამ (ამ შემთხვევაში საბურავების დაწვის თავიდან არიდებამ) წინააღმდეგობა არ უნდა შეუქმნას სხვა გარემოსდაცვით ინტერესს (მაგ., ხე-ტყის უკანონო გაჩეხვისაგან დაცვას).



ჭიაკოკონობის ტრადიციის შესახებ დაწვრილებით იხ.:  
<http://www.ambioni.ge/wiakokonoba>

## თევზჭერის წესების დარღვევა

კაზუსი 23



16 წლის ანდრიამ და გიზომ ივლისის შუა რიცხვებში მოილაპარაკეს, სათევზაოდ პალიასტომის ტბაზე წასულიყვნენ. მათ თან წაიღეს სამოყვარულო თევზჭერისათვის დაშვებული სპინინგი და მიწაში მოპოვებული ჭიკელები და სატყუარები. იღბალიც მათ მხარეს აღმოჩნდა – შუადღემდე მათთვის საკმარისი შავი ღორჯოები დაიჭირეს და უკვე სახლში დაბრუნებასაც აპირებდნენ, თუმცა მოულოდნელად გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორი გამოჩნდა. მან ახალგაზრდებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და მოპოვებული თევზიც ჩამოართვა. მისი განმარტებით, ბიჭები აკრძალულ დროს თევზაობდნენ. ბიჭები ინსპექტორის მიერ შედგენილი აქტის ბათილად ცნობას (გაუქმებას) მოითხოვენ. აქვთ თუ არა მათ ამის საფუძველი?



– დიახ, ბიჭებს აქვთ სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის (გაუქმების) მოთხოვნის კანონიერი საფუძველი. კანონმდებლობით თევზჭერისათვის დადგენილი აკრძალვები სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის შემთხვევაში განსხვავებულად მოქმედებს.



საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის იარაღისა და ხერხების გამოყენებით“ გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარიდან 200 ლარამდე, მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით.



**კანონის განმარტება**

აქ უნდა გაირკვეს, თუ რა ითვლება სამოყვარულო თევზჭერის წესების დარღვევად. ზოგადად, სამოყვარულო და სპორტულ თევზჭერად მიიჩნევა: თევზჭერა მხოლოდ ყველა სისტემისა და დასახელების ხელის ანკესით, სპინინგით, სასროლი ბადით, ეკრანით, ჩოგანბადითა და ხოლიხიბადით, ასევე წყალქვეშა ნადირობა და ჰიდრობიონტების შეგროვება.

დადგენილი წესების მიხედვით, აკრძალულია აღნიშნული იარაღების გამოყენება, თუ:

- ➔ ნემსკავების რაოდენობა ერთ მოყვარულზე ზღვაში თვითსატყუარათი 12-ზე მეტია და სატყუარათი 6-ზე მეტი, ხოლო ერთ მოყვარულზე შიდა წყლებში თვითსატყუარათი – 6-ზე მეტი და სატყუარათი 3-ზე მეტი;
- ➔ ნემსკავის სიგანე, მანძილი წვერსა და ღეროს შორის აღემატება 8 მმ-ს;
- ➔ გამოყენებულია მსხვილი ნემსკავები, ასევე ქორეული და სამეული ნემსკავები.

ანდრია და გიზოს შემთხვევაში ასეთი აკრძალვები დარღვეული არ ყოფილა.

შემდეგი საკითხი, რომელიც ბიჭებს უნდა გაეთვალისწინებინათ სამოყვარულო თევზჭერის დროს, არის თევზების აკრძალული სახეობები. ესენია:

- ➔ ზუთხისებრთა (მთელი წლის განმავლობაში);
- ➔ ზღვის ძუძუმწოვრები (მთელი წლის განმავლობაში);
- ➔ შავი ზღვის ორაგული (მთელი წლის განმავლობაში);
- ➔ მდინარისა და ტბის კალმახი (მთელი წლის განმავლობაში);
- ➔ ქამბალა-კალკანი (1 მაისიდან 1 ივლისამდე);
- ➔ მდინარის კიბოები (მთელი წლის განმავლობაში).

ანდრეასა და გიზოს შემთხვევაში არც ეს აკრძალვები დარღვეულა. როგორც აღინიშნა, მათ მხოლოდ შავი ღორჯოები დაიჭირეს, რაც მითითებულ ჩამონათვალში არ ხვდება.

დაბოლოს, უნდა გაირკვეს, თევზაობდნენ თუ არა ბიჭები აკრძალულ დროს. ზოგადად, პალიასტომის ტბაზე შავი ღორჯოს დაჭერა აკრძალულია 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე, თუმცა ეს აკრძალვა არ ეხება სამოყვარულო და სპორტულ თევზჭერას, ამიტომ ამ შემთხვევაში არც ეს აკრძალვა მოქმედებს.

შესაბამისად, ბიჭებს თევზჭერის წესები არ დაურღვევიათ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის აქტი კი ბათილია და ის უნდა გაუქმდეს.



**ვებგვერდი:**

ნადირობისა და თევზჭერის შესახებ დამატებით იხილეთ:  
<http://www.bazieri.ge/>

## ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა

კაზუსი 24



*16 წლის თამაზი, დათო და მისი მეგობრები პიკნიკის მოსაწყობად ტყეში წავიდნენ. სახლში დაბრუნებისას დათომ ჩაუმჩრალი სიგარეტის ნამწვი გადააგდო, რის გამოც ტყეში გაჩენილმა ცეცხლმა ტყის ფართობის დიდი ნაწილი გაანადგურა. რა სახის სასჯელი ემუქრება დათოს?*



– დათოს ასეთი ქმედებისათვის ემუქრება დაჯარიმება 100-იდან 200 ლარამდე და გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, „ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, აგრეთვე ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვება ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე“, გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე.



### კანონის განმარტება

ტყეში, სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხანძარსაშიშ სეზონში აკრძალულია მოქალაქეების მიერ:

- ➔ ცეცხლის დანთება წიწვიან მოზარდ ტყეში, ძველ ნახანძრალეებში, ტყის დაზიანებულ უბნებში, ტორფიან ადგილებში, სადაც გამხმარი ბალახია, აგრეთვე ხეების ვარჯის ქვეშ. როცა ცეცხლი საჭირო აღარ არის, იგი უნდა დაიფაროს მიწით, ანდა ჩაქრეს წყლის დასხმით.
- ➔ ტყეში ჩაუქრობელი ასანთის ღერის, სიგარეტის ნამწვისა და სხვა საგნების გადაადება;
- ➔ ტყეში სპეციალურად გათვალისწინებული ადგილის გარდა, საწმენდი ჩვრების დატოვება, რომელიც გაჟღენთილია ზეთით, ბენზინით, ნავთით ან სხვა საწვავი ნივთიერებით;
- ➔ ტყეში შიგა წვის ძრავების ავზში საწვავის ჩასხმა ძრავის მუშაობის დროს, მანქანით სარგებლობა, რომელსაც მოუწესრიგებელი აქვს საწვავის კვების სისტემა, აგრეთვე თამბაქოს წევა, ანდა ღია ცეცხლით სარგებლობა მანქანების ახლოს მათი საწვავით შევსების დროს.

ცეცხლის დანთების მკაცრი აკრძალვა მოქმედებს დაცული ტერიტორიების ფარგლებში მოქცეულ ტყეებში. გამონაკლისია ის ადგილები, რომლებიც გამოყოფილია ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის.

გარკვეულ დისტანციაზე აკრძალულია ასევე ცეცხლის დანთება იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც ემიჯნება ტყის საზღვრებს.



### საგულისხმო ფაქტები

ტყეებში გაჩენილმა ხანძარმა საქართველოს გარემოს ბევრჯერ მიაყენა გამოუსწორებელი ზიანი. უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს ხანძრის შედეგად კურორტ აბასთუმნის ტერიტორიაზე 500 ჰა-ამდე ტყის მასივი განადგურდა; 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ბორჯომში გაჩენილი ხანძრის შედეგები, რამაც ხეობაში კლიმატი საგრძნობლად შეცვალა, ყველამ ეკოციდად შეაფასა. განადგურებული ტყის აღდგენა კი დიდ დროსა (საუკუნეებს) და უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს. ასეთი ფატალური შედეგები უსაფრთხოების ნორმების მიმართ ნებისმიერმა დაუდევრობამ შეიძლება გამოიწვიოს, ამიტომ: „ფრთხილად გარემოსთან“!

## თავი 2

### მოზარდი და სისხლის სამართალი



# ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა

## აივ ინფექციით დაავადებულთან სქესობრივი კონტაქტი კაზუსი 25

*ლაშას თავისმა მეგობარმა უთხრა, რომ დასჯადია, თუ ვინმესთან ექნება დაუცველი სქესობრივი კავშირი იმ შემთხვევაში, როდესაც მას აქვს აივ ინფექცია. შეესაბამება ეს სინამდვილეს?*



– დიახ, სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრა ან განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, „სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრა ან შეყრის საფრთხის შექმნა ისჯება ვადით სამიდან შვიდ წლამდე“.



### კანონის განმარტება.

სახელწოდება „აივ“ (ინგ. HIV) აღნიშნავს „ადამიანის იმუნოდეფიციტურ ვირუსს“. სხვა სიტყვებით, ეს არის ვირუსი, რომელიც აინფიცირებს ადამიანს და აქვეითებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას.

შიდსი ანუ „შემენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი“ განიმარტება როგორც დაავადება, რომელიც ვითარდება ორგანიზმის აივ-ით ინფიცირების შედეგად.

მიუხედავად თანამედროვე მედიცინის მიღწევებისა, შიდსი კვლავ უკურნებელ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. შიდსის სხვა ადამიანზე გადადება ნელი მოქმედების მომაკვდინებელი შხამის მიწოდების ტოლფასია. ამიტომაცაა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა კრძალავს არამხოლოდ შიდსის განზრახ შეყრას, არამედ სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხეში ჩაყენებას. „განზრახ“ გულისხმობს მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც ადამიანმა იცის, რომ მას აქვს შიდსი და სხვას შეგნებულად აგდებს შიდსის საფრთხეში.

**უნდა გვახსოვდეს,**

რომ შიდსის გადაცემა ყველაზე ხშირად დაუცველი სექსუალური კავშირის, ასევე ნარკოტიკების ინიექციური მოხმარებისას აივ-ით ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცებისა და ნემსების გამოყენებით ხდება, ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თავი ავარიდოთ დაუცველ სექსუალურ კავშირებს შემთხვევით პარტნიორთან, ასევე ნარკოტიკების მოხმარებას.

აივ-ით ინფიცირებული ადამიანები, როგორც წესი, ერიდებიან თავიანთი სტატუსის გამჟღავნებას, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს მათი საზოგადოებისაგან იზოლირება.

თუმცა, კანონით, აივ-ით ინფიცირებული/შიდსით დაავადებული, რომლისთვისაც ცნობილია საკუთარი აივ-ით დაავადების დადებითი სტატუსი, ვალდებულია, დადგენილი წესით აცნობოს მეუღლეს/სქესობრივ პარტნიორს ამის შესახებ.

აივ-ით ინფიცირებულთან ერთად ცხოვრება, მასთან ურთიერთობა და მეგობრობა არ არის საშიში. დაავადება გადადის მხოლოდ სისხლით და არა შეხებით ან, თუნდაც, კოცნით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ შიდსით დაავადებულებს არ მოვეპყროთ ისე, როგორც „კეთროვანს“, არ ვაგრძნობინოთ სიძულვილი და უარყოფითი დამოკიდებულება, რათა არ გამოიწვიოს მათი საზოგადოებიდან გარიყვა.


**საგულისხმო ფაქტები**

დღეისათვის, ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიოში შიდსის ვირუსით ინფიცირებულია 20 მილიონამდე ადამიანი. საქართველოში დარეგისტრირებულია აივ-ით ინფიცირების 4038 შემთხვევა, მათ შორის 2963 მამაკაცი და 1075 ქალი. მათგან შიდსი განუვითარდა 2469 პაციენტს, ხოლო 873 გარდაიცვალა. საქართველოში ფუნქციონირებს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი. იგი პასუხისმგებელია აივ ინფექცია/შიდსის და სხვა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის, ეპიდზედამხედველობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის მომსახურებაზე და სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე. აღნიშნულ ცენტრში აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკა (ანალიზების გაკეთება) უფასოა.



დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ვებგვერდი: <http://www.aidscenter.ge/>

## განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა



*მიშიკო, რომელსაც არ აქვს სექსუალური გამოცდილება, უფროსმა მეგობრებმა წაიყვანეს მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან. მიშიკომ ქალთან დაამყარა სექსუალური კონტაქტი, რის შედეგადაც მას შეეყარა სიფილისი და გონორეა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქალმა იცოდა, რომ ის ამ ინფექციების მატარებელი იყო. დაისჯება თუ არა ის სისხლისსამართლებრივი წესით?*



– ვინაიდან წარმოდგენილ შემთხვევაში ინფიცირებულმა იცოდა, რომ დაავადებული იყო განსაკუთრებით საშიში ინფექციებით და მაინც დაამყარა დაუცველი სექსუალური კონტაქტი, ის დაისჯება სისხლისსამართლებრივი წესით.

სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ „სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა ისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.





### კანონის განმარტება

კანონით, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს მიეკუთვნება დაავადებები, რომლებიც განსაკუთრებულ რისკს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას. ასეთებია, მაგალითად: ლეპრა (ე.წ. კეთრი), შავი ჭირი, ქათმისა და ღორის გრიპები, მათ შორის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებიც: სიფილისი, გონორეა და ა.შ.

საინტერესოა ის, რომ კანონით ისჯება არა მხოლოდ ინფექციის შეყრა, არამედ ინფექციის შეყრის საფრთხის შექმნა, ანუ მიშიკოს რომ არც გადასდებოდა ინფექციური დაავადება, მისი პარტნიორი მაინც დაისჯებოდა საფრთხის შექმნისათვის.



### უნდა გვახსოვდეს,

რომ ჯანმრთელობა შეუფასებელი ღირებულებაა, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის ჯანმრთელობასაც. ვიცით, რომ ზოგი დაავადება გადამდებია, ზოგი კი არა, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი დაავადება საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და ის ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა სხვადასხვა სახის კონტაქტით. ასეთ დაავადებებს განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს უწოდებენ. როგორც სიფილისი, ასევე გონორეა განსაკუთრებით საშიში ინფექციებია, რომლებიც, ძირითადად, გადაეცემა დაუცველი სქესობრივი კავშირის დროს. დაავადებულ პარტნიორთან პირველივე კონტაქტის დროს არსებობს ამ დაავადების შეყრის 20-იდან 60%-ამდე ალბათობა. ამ დაავადებათა გადაცემის რისკი არ არსებობს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ურთიერთობების (მაგ., სხვისი ნივთების ხმარებისას) შემთხვევაში. შესაბამისად, ისევე როგორც სექსუალური გზით გადამდებ სხვა დაავადებათა თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, მოვერიდოთ დაუცველ სქესობრივ კავშირებს.



### საგულისხმო ფაქტები

**სიფილისი (Siphylis)** ქართულად ათაშანგი ეწოდება. სიფილისის გამომწვევია გრძელი, სპირალურად დახვეული ბაქტერია „Treponema pallidum“. სიფილისი გადის განვითარების 3 სტადიას: პირველადი სიფილისის დროს, დასენიანებიდან 10–30 დღის შემდეგ, გარეგან სასქესო ორგანოებზე წარმოიქმნება ზედაპირული, მცირე ზომის წყლული; დაავადების მეორე სტადიაზე ვლინდება კანსა და ლორწოვან გარსებზე გამონაყარი. ამ პერიოდში ავადმყოფი ძალზე სენგადამდებია; მესამეული სიფილისის დროს სხვადასხვა ქსოვილსა და ორგანოში ვითარდება გუმა. ამ სტადიაზე განსაკუთრებით ხშირად ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემა, რასაც, საბოლოოდ, ავადმყოფი მიჰყავს დამბლამდე და ფსიქიკის მოშლამდე.

**გონორეა** სქესობრივი გზით გადამდები ინფექციაა, რომელსაც იწვევს ბაქტერია „Neisseria gonorrhoeae“. მას საყოფაცხოვრებო ენაზე „ტრიპერსაც“ უწოდებენ. ძირითადი სიმპტომები კაცებში არის წვის შეგრძნება მოშარდვისას, გამონადენი სასქესო ორგანოდან; ქალებში უმეტესად ინფექცია უსიმპტომოდ მიმდინარეობს, თუმცა გარკვეულ ნაწილს აქვს გამონადენი და ტკივილი მენჯის არეში. კაცებშიც და ქალებშიც, თუ არ მოხდება მისი დროული მკურნალობა, მას შეუძლია გავრცელდეს ირგვლივ მდებარე ქსოვილებში და გამოიწვიოს მენჯის ანთებითი დაავადება, დააინფიციროს სახსრები და გულის სარქველები, ხშირად ეს დაავადება უშვილობის მიზეზი ხდება. დღევანდელ მსოფლიოში სიფილისით დაახლოებით 12 მილიონამდე, ხოლო გონორეით 60 მილიონამდე ადამიანია დაავადებული.



დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შემდეგი სამედიცინო ვებ-გვერდები: <http://medportal.ge>  
<http://www.mkurnali.ge>  
<http://www.med.ge>

## შეუტყობინებლობა და დაუხმარებლობა

პარაგრაფი 27



სისხლის სამართალი

გვანცამ დაინახა, სკოლის ეზოში სამი ბიჭი თუ როგორ უმოწყალოდ სცემდა თანასკოლელ ვაჟას. დასისხლიანებული ვაჟა მიწაზე დაეცა, თავ-დამსხმელები კი გაიქცნენ. გვანცას უნდოდა დახმარებოდა მას, მაგრამ შეეშინდა „საქმეში გარევისა“ და უყურადღებოდ მიატოვა გასაჭირში მყოფი ვაჟა.



– იმ შემთხვევაში, თუ ვაჟამ მიიღო ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანება და ის იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, გვანცა პასუხს აგებს დანაშაულის შეუტყობინებლობისა და დაუხმარებლობისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ჯგუფურად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ცხრა წლამდე“.

კოდექსის 129-ე მუხლით, „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების

გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეემლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

კოდექსის 376-ე მუხლით, „დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე“.



### კანონის განმარტება

როდესაც ადამიანი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, ყველას გვაკისრია სოლიდარული ვალდებულება, რომ მას დავეხმაროთ, ან შევატყობინოთ სათანადო სამედიცინო დაწესებულებებს (სასწრაფო დახმარების სამსახურს). თუ დახმარების აღმოჩენა საფრთხეს უქმნის თავად მშველელს, მაშინ დახმარების ვალდებულება აღარ არსებობს, თუმცა შესაბამისი დაწესებულებისათვის შეტყობინება მაინც გვევალება.

ვინაიდან წარმოდგენილ შემთხვევაში თავდამსხმელები უკვე გაიქცნენ, გვანცას საფრთხე აღარ ემუქრებოდა და მას ევალებოდა ვაჟასთვის დახმარების აღმოჩენა ან სასწრაფო დახმარებისათვის შეტყობინება. მან, რადგან ეს არ გააკეთა, ჩაიდინა სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ამასთან ერთად, გვანცამ ჩაიდინა „დანაშაულის შეუტყობინებლობა“, სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის მიხედვით, ის, ვინც იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და არ შეატყობინებს სათანადო ორგანოებს, ისჯება ჯარიმით ან ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ვინაიდან თავდამსხმელებმა ჯგუფურად „ჩაიდინეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება“, მათი დანაშაული მიეკუთვნება მძიმე დანაშაულის კატეგორიას (მძიმეა დანაშაული, რომელიც ისჯება ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით), შესაბამისად, სათანადო ორგანოსათვის მისი შეუტყობინებლობა ისჯება კანონით.



### უნდა გვახსოვდეს,

რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენ გვეკისრება სოლიდარული, ურთიერთდახმარების ვალდებულება. მაგალითად, როდესაც ადამიანის სიცოცხლე იმყოფება საფრთხეში, ყველა ჩვენგანს ეკისრება მისი დახმარების ან სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინების ვალდებულება. მაგრამ, თუ საფრთხე ემუქრება მხოლოდ ქონებას (მაგალითად, მეზობლის ავტოფარეხს გაუჩნდა ცეცხლი), მისი გადარჩენის სამართლებრივი ვალდებულება არ არსებობს, თუმცა, ზნეობისა და მორალის თვალსაზრისით, ჩვენი უმოქმედობა შეიძლება გასაკიცხი იყოს.

გარდა განსაცდელში მყოფი პირის დახმარებისა, ჩვენ ასევე გვეკისრება ვალდებულება, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ ვაცნობოთ სამართალდამცავ ორგანოებს.

მაშასადამე, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სწორი მოქმედებით შეიძლება გადარჩეს ადამიანის სიცოცხლე ან გაიხსნას მძიმე დანაშაული, ანუ აღსრულდეს მართლმსაჯულება. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ამ შემთხვევებში უმოქმედობა დასჯადია სისხლის სამართლის კანონმდებლობით.



### საგულისხმო ფაქტები

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვანაირად განიხილავს დაუხმარებლობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის საკითხებს: ზოგან, მაგალითად ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეს საერთოდ არ ისჯება. აქ მოიაზრება, რომ ადამიანის თავისუფლება უფრო მაღლა დგას, ვიდრე ურთიერთდახმარების ან დანაშაულის შეტყობინების ვალდებულება, ამიტომ ვერავის ვერ დავავალდებულებთ, იმოქმედოს სხვის გადასარჩენად; საფრანგეთსა და ევროპის მრავალ ქვეყანაში კი პირიქით, ისჯება. მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით, დანაშაულის შეუტყობინებლობა ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან 45 000 ევრომდე ოდენობის ჯარიმით, დახმარების აღმოუჩენლობა ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან 75 000 ევრომდე ჯარიმით.

## განსაცდელში მიტოვება

პასუხი 28



16 წლის ნიკას მეზობელმა სთხოვა, ნახევარი საათით მიეხედა მისი ბავშვებისათვის, რომლებიც აუზში ბანაობდნენ. აუზი ღრმა იყო და ბავშვებმა ცურვა კარგად არ იცოდნენ. ნიკა დაეთანხმა და ბავშვებს თვალყურს ადევნებდა, მაგრამ ცოტა ხანში მას მეგობარმა ზვიადმა დაუძახა. ნიკამ მიატოვა ბავშვები და ზვიადთან ერთად სათევზაოდ წავიდა. ერთ-ერთი ბავშვი კი, რომელიც ღრმად შევიდა აუზში, დახრჩობას ძლივს გადაარჩინა შემთხვევითმა გამვლელმა. აგებს თუ არა პასუხს ნიკა და რისთვის?



– ნიკამ ჩაიდინა დანაშაული – განსაცდელში მიატოვა ბავშვები.

სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლის მიხედვით, „დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალეზობდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას ორმოც საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.



### კანონის განმარტება

დანაშაული, როგორც წესი, გამოიხატება ადამიანის აქტიური მოქმედებით (მაგალითად: ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა, ძირითადად, აქტიური მოქმედებებით ხორციელდება). თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი დანაშაულს თავისი უმოქმედობით ჩადის.

ეს ის შემთხვევებია, როდესაც საზოგადოება ჩვენგან აქტიურ მოქმედებას მოელოს, მაგრამ ჩვენ ვპასიურობთ და არ ვასრულებთ კანონით დაკისრებულ ვალდებულებას.

მაგალითად, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, რომ დედამ თავისი ახალშობილი შვილი არ გამოკვებოს, პოლიციელმა დამნაშავე არ დააკავოს, მეხანძრემ ხანძარი არ ჩააქროს, სასწრაფო დახმარების სამსახურმა ავადმყოფს არ მიხედოს, მატარებლის მემანქანემ ყურადღება მოადუნოს და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში შეიძლება დადგეს გამოუსწორებელი შედეგი.

#### ➔ საინტერესოა, საიდან მომდინარეობს მოქმედების ვალდებულება?

ეს გამომდინარეობს: კანონიდან (მაგალითად, პოლიციელს კანონით ევალება, აღკვეთოს დანაშაული), საფრთხის შემქმნელი ქმედებიდან (მაგალითად, ვინც ტყეში ცეცხლს დაანთებს, მანვე უნდა ჩააქროს), წერილობითი ან სიტყვიერი შეთანხმებიდან (მაგალითად, ნიკას შეთანხმება მეზობელთან, რომ ის მიხედავს ბავშვებს), ნათესაური ურთიერთობიდან (დედას ეკისრება ვალდებულება, გამოკვებოს შვილი) და სხვ.

წარმოდგენილ მაგალითში ნიკამ ჩაიდინა უმოქმედობა, მან განსაცდელში მიატოვა ბავშვები. ბავშვები იმყოფებოდნენ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და ნიკას ეკისრებოდა დახმარების აღმოჩენის ვალდებულება. მისი ვალდებულება გამომდინარეობდა მასა და მეზობელს შორის არსებული შეთანხმებიდან. განსაცდელში მიტოვება თავისთავად არის დანაშაული, თუმცა, რომ დამდგარიყო ფატალური შედეგი და ბავშვი დაღუპულიყო, ნიკა პასუხს აგებდა ასევე სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის.

#### ➔ რატომ უნდა იყოს უმოქმედობა დანაშაული?

როდესაც ადამიანი თავის თავზე იღებს რაიმე კანონიერ ვალდებულებას, საზოგადოებაში ჩნდება მოლოდინი, რომ ის ამ ვალდებულებას შეასრულებს – „ეს საქმე მას აქვს მინდობილი“. მისმა უმოქმედობამ ზოგჯერ მძიმე შედეგიც კი შეიძლება გამოიწვიოს. შესაბამისად, სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ვალდებულების ჩვენს თავზე აღებას და წინასწარ ვიფიქროთ იმ შედეგებზეც, რაც ჩვენმა უმოქმედობამ შეიძლება გამოიწვიოს.



### **უნდა გვახსოვდეს,**

რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ზოგჯერ ადამიანისაგან აქტიურ მოქმედებას მოითხოვს და მისმა უმოქმედობამ შეიძლება მძიმე შედეგი გამოიწვიოს. ასე რომ, ფრაზა „მე არაფერი ჩამიდენია“ – ამ შემთხვევაში არ ამართლებს. საქმე ისაა, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა „არაფრის ჩადენა“ არის დანაშაული. როდესაც ნიკამ თავის თავზე აიღო ბავშვებზე ყურადღების მიქცევის ვალდებულება, მას დაეკისრა შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულებაც. არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ეს შეთანხმება სიტყვიერია და არა წერილობითი. ვინაიდან საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამ დროს უწყურადღებობამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგი და ჩაითვალოს დანაშაულად.



## გამშველებელს მეტი ხვდება

კაზუსი 29



ლუკამ სკოლის ეზოში დაინახა, თუ როგორ სცემდნენ მის თანაკლასელს უცხო ბიჭები. იგი შეეცადა მათს გაშველებას, თუმცა გაშველების დროს შემთხვევით ერთ-ერთმა ბიჭმა მუშტი მოარტყა თვალში და დაუღურჯა. თვალის მკურნალობა ერთ თვეს გაგრძელდა და საკმაოდ ძვირიც დაჯდა. გარდა ამისა, მას მოუწია გაკვეთილების გაცდენა.



– ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, ჩადენილი გაუფრთხილებლობით, არ ისჯება. თავდამსხმელები პასუხს აგებენ მხოლოდ ლუკას თანაკლასელის ცემისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის თანახმად, „ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.

ხოლო კოდექსის 125-ე მუხლით, „ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტიდან ოცდაოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.



### კანონის განმარტება

ადამიანის ჯანმრთელობა უდიდესი ღირებულებაა. ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, ისევე როგორც სიცოცხლის ხელყოფა, დანაშაულია, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს დაზიანების ხარისხს.

სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს სამი სხვადასხვა ხარისხით ჯანმრთელობის დაზიანებას: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი ხარისხის დაზიანებებს. რაც უფრო მძიმე ხარისხისაა დაზიანება, მით უფრო მკაცრია სასჯელი. სასჯელის სიმკაცრე ასევე დამოკიდებულია იმაზე, ჯანმრთელობის დაზიანება განზრახ არის ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. განზრახ დანაშაულის ჩადენის დროს სასჯელი ყოველთვის უფრო მკაცრია, ვიდრე იმავე დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენისას.

ლუკა მოიქცა მართლზომიერად, როდესაც შეეცადა მოჩხუბართა გაშველებას და თანაკლასელის დაცვას, თუმცა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. ვინაიდან ეს მოქმედება ჩადენილია გაუფრთხილებლობით, ის არ ისჯება (ისჯება მხოლოდ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ჯანმრთელობის მძიმე და ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები).

მიუხედავად ამისა, თავდამსხმელები პასუხს აგებენ ცემისათვის, რომელიც არის დანაშაული და ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით.



### ბუნებრივია,

რომ, როდესაც ადამიანზე მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა ხდება, ყველას გვაქვს უფლება, ჩავერიოთ მის დასაცავად. ამ უფლებას, როგორც ჩვენთვის ცნობილია, აუცილებელი მოგერიების უფლება ეწოდება. კანონი გვაძლევს უფლებას, ამ დროს ზიანი მივაყენოთ თავდამსხმელს, თუმცა არ უნდა გადავაცილოთ მოგერიების ფარგლებს.

თუ ჩვენი მიზანია მხოლოდ მოჩხუბრების გაშველება, ჩვენი ქმედება ამ შემთხვევაშიც კანონიერია, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ „გამშველებელს მეტი ხვდება“.

## ჩაგვრა



კობა კარგად სწავლობს და ამიტომ თანაკლასელი კოტე მუდმივად აბუჩად იგდებს, ამცირებს; კოტეს საქციელს სხვა თანაკლასელი ბიჭებიც ბამავენ და დაბრიყვებული კობა მუდმივად მათი დაცინვისა და ჩაგვრის ობიექტია. ერთ დღესაც, კობა რომ კვლავ დაემცირებინა, კოტე მას საკლასო კარის უკან ჩაუსაფრდა, გაკვეთილიდან გამოსულს, ხელი ჰკრა და წააქცია. დაცემის შედეგად კობას ცხვირი გაუტყდა.



– კოტე სისტემატურად ცდილობს თანაკლასელის ჩაგვრას, კონკრეტულ შემთხვევაში კი მან ჩაიდინა დანაშაული – ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება არაპირდაპირი განზრახვით.

სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მიხედვით, „დანაშაულად ითვლება ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია“.



### კანონის განმარტება

ადამიანის ჯანმრთელობა შეუფასებელი ღირებულებაა, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვების ჯანმრთელობას. სხვისი ჯანმრთელობის ხელყოფა დანაშაულია. კანონი ერთმა-

ნეთისგან ასხვავებს სამი ხარისხის – მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქ – დაზიანებას. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ძირითადად, საშიშია სიცოცხლისათვის, ან იწვევს რომელიმე ორგანოს დაკარგვას; ნაკლებად მძიმე დაზიანება ასეთ მძიმე შედეგთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლას იწვევს; მსუბუქი დაზიანება კი ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლას იწვევს. ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით. წარმოდგენილ მაგალითში კოტემ არაპირდაპირი განზრახვით მსუბუქად დაუზიანა თანაკლასელს ჯანმრთელობა – ის ითვალისწინებდა, რომ ხელისკვრითა და წაქცევით კობა შეიძლებოდა დაშავებულიყო, თუმცა შედეგს შეგნებულად უშვებდა ან ნაკლებად ადარდებდა იგი.

### **ძალადობა არცერთ შემთხვევაში პრობლემიდან გამოსავალი არ არის.**

ძალის გამოყენების უფლებას კანონი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იძლევა (მაგ.: აუცილებელი მოგერიება, დამნაშავეს შეპყრობა) და ჩარჩოებით ზღუდავს. ხშირად გვინახავს, ჰოლივუდის ამა თუ იმ ფილმის გმირები როგორ ოსტატურად იყენებენ ფიზიკურ ძალასა და საბრძოლო ილეთებს პრობლემების გადასაწყვეტად, მაგრამ ეს მხოლოდ ფილმია, რეალობა კი სხვაგვარია. სინამდვილეში ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებაც კი ისჯება, რომ არაფერი ვთქვათ სხვა მძიმე შედეგებზე. კონკრეტული დაზიანების გარდა, კაზუსიდან ნათლად ჩანს, რომ თანაკლასელი კობას სხვა ბიჭებთან ერთად სისტემატურად ავიწროებს და ჩაგრავს, რაც ცალკე დანაშაულია და უფრო მეტად საშიში და დასაგმობია, ვიდრე ერთჯერადი ფიზიკური დაზიანება. ბიჭი მიზანმიმართულ ჩაგვრას ახორციელებს კობაზე. ჩაგვრა, იგივე მობინგი (ინგლისური ენიდან შემოსული ტერმინია), ჯგუფის მიერ ადამიანზე განხორციელებულ ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ძალადობას გულისხმობს, კერძოდ: პირის სისტემატურ დამცირებას, დაცინვას, აბუჩად აგდებას, შეურაცხყოფას, მასზე უარყოფითი ჭორების გავრცელებას, იზოლირებასა და გარიყვას, დაშინებას. მთლიანობაში მობინგის (ჩაგვრის) განმახორციელებლები მსხვერპლს ექცევიან არა როგორც პიროვნებას, რომელიც პატივისცემის ღირსია, არამედ როგორც უსულო საგანს. მობინგი (ჩაგვრა) შესაძლოა განხორციელდეს როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირების მიმართ სამუშაო ადგილას, სკოლაში, ეზოში და ა.შ., თუმცა სოციალურად ყველაზე საშიში არასრულწლოვნებს შორის განხორციელებული მობინგია (ჩაგვრა). სკოლებში ხშირია ერთი არასრულწლოვნის მიერ მეორე არასრულწლოვანზე განხორციელებული ზემოქმედება, თუმცა უფრო მძიმე ჯგუფის მიერ განხორციელებული ზეწოლაა ინდივიდზე. ისეთ აქტიურ და მაღალი საშიშროების შემცველ ქმედებებთან შედარებით, როგორებიცაა: ჯანმრთელობის დაზიანება ან მკვლელობა, მობინგი (ჩაგვრა),

ერთი შეხედვით, ნაკლები საშიშროების მატარებელი ჩანს. ამიტომაც საზოგადოება მის საწინააღმდეგო მოქმედებებში ბევრად უფრო პასიურია, ვიდრე ზემოთ მითითებული შემთხვევების დადგომისას. ყოველივე ამას კი იმ შედეგების დადგომის განსხვავებული დრო განაპირობებს, რაც ამ ქმედებებს მოსდევს. მკვლელობის დროს შედეგი იმწუთიერია და საზოგადოების მკაცრი და რადიკალური რეაქციაც არ აყოვნებს. ხოლო მობინგის (ჩაგვრის) შემთხვევაში, რომელიც ხშირად გაუხმაურებელიც კი რჩება, შედეგი მოგვიანებით, ჩაგვრის მსხვერპლის დანგრეული ფსიქიკითა და საზოგადოების არასრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებით ვლინდება, რაც, თავის მხრივ, საკმაოდ სახიფათო შეიძლება გახდეს სოციუმისათვის და შესაძლოა, ისეთი მაღალი საშიშროების შემცველი ქმედების ჩამდენად მოგვევლინოს, როგორცაა მკვლელობა.

მობინგი (ჩაგვრა) ყოველთვის ძალიან მტკივნეულია, ის მრავალ ფსიქოლოგიურ ტრავმას იწვევს, რამაც შესაძლოა პიროვნების როლი და, საბოლოოდ, მისი ცხოვრების მიმართულეა განსაზღვროს სოციუმში. ხშირ შემთხვევაში თავად მობინგის (ჩაგვრის) განმახორციელებლებიც კი ვერ ხვდებიან, რამხელა ზეგავლენასა და ზეწოლას ახდენენ ჩაგვრის მსხვერპლზე და, საბოლოოდ, შესაძლოა, ვერც მსხვერპლმა გაიაზროს, რომ ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე მისი კონკრეტული ქცევა სწორედ რომ ბავშვობის დროინდელი ჩაგვრის გამოძახილია. ნებისმიერი ადამიანისათვის და, მით უმეტეს, არასრულწლოვნისათვის, რომელიც საზოგადოების წინაშე ჯერ კიდევ თვითდამკვიდრების პროცესშია, თანატოლების თვალწინ სისტემატური დამამცირებელი მოპყრობა აუტანელია. ასეთი მოპყრობა პიროვნების თავისუფალ განვითარებას უშლის ხელს, საკუთარ თავში ჩაკეტვასა და სოციუმისაგან გარიყვას განაპირობებს. არის შემთხვევები, როდესაც ჩაგვრის მსხვერპლნი ბევრად უფრო რადიკალურ და ფატალურ ქმედებებს მიმართავენ. ამიტომაც თითოეულმა არასრულწლოვანმა უნდა იცოდეს, რომ მის ქმედებას არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სხვაზე, უნდა გაიაზროს, რომ თანატოლის სისტემატური დათრგუნვა და მისი დამცირება სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიური ძალადობა. ძალადობა კი, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის ახალ ძალადობას წარმოშობს და ნებისმიერი სოციუმისათვის დეგრადაციის საწინდარია.

ჩაგვრას კრძალავს და მის აღსაკვეთად ქმედით ღონისძიებათა მთელ რიგს ითვალისწინებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“. ამ საკანონმდებლო აქტით უზრუნველყოფილია ბავშვთა დაცვის ხელ-

შეწყობა ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ. ამასთანავე, კანონმდებელი ძალადობის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფორმებს გამოყოფს და შეურაცხყოფას, დამცირებას, შანტაჟს, ცემასა და ბავშვის პატივისა და ღირსების შემლახავ სხვა ნებისმიერ ქმედებას ძალადობის ნიშნებად მიიჩნევს. ეს აქტი ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენას ყველა იმ დაწესებულებას ავალებს, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ბავშვთან, მათ შორისაა სკოლაც. ეს უკანასკნელი ვალდებულია, ეჭვის არსებობის შემთხვევაში, რაც შესაძლოა ბავშვის მდგომარეობამ (დაზიანებები სხეულზე) ან ქცევამ (ხასიათის დათრგუნვა, შიშები) წარმოშვას, სათანადოდ გამოიკვლიოს სიტუაცია და მის აღმოსაფხვრელად შესაბამისი ზომები მიიღოს, მათ შორის მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, უკიდურეს შემთხვევაში კი გამოიძახოს პოლიცია. ამასთანავე, კანონი სკოლას ავალებს, შეიმუშაოს ბავშვის ძალადობისაგან დამცავი წესები და მუდმივად აკონტროლოს სიტუაცია. ამდენად, ჩაგვრის საწინააღმდეგოდ სკოლას შეუძლია და ევალება კიდევ ქმედითი ღონისძიებების გატარება.

გახსოვდეთ, ჩაგვრაზე (მოზინგზე) უარის თქმა ძალიან მარტივია, თუკი სხვას ისევე მოვექცევით, როგორც გვინდა, რომ თავად ჩვენ მოგვექცნენ.

## აუცილებელი მოგერიება

კაზუსი 31



სისხლის სამართალი

ნიკას თავს დაესხა სამი ბიჭი. წააქციეს იგი და უმოწყალოდ ურტყამდნენ. ნიკამ მოახერხა აეღო იქვე დაგდებული ჯოხი, რომელიც მოუქნია თავდამსხმელებს. მათგან ერთ-ერთს ჯოხი თვალში მოხვდა. დარტყმის შედეგად ბიჭს თვალი დაუზიანდა და მხედველობა დაუქვეითდა. დაშავებული ბიჭის მშობლებმა ნიკას წინააღმდეგ პოლიციაში საჩივარი შეიტანეს.



– ნიკა მოქმედებდა „აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში“. მისი მოქმედება არის მართლზომიერი და ის არ დაისჯება.

სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის (აუცილებელი მოგერიება) მიხედვით, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი, ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად“.

ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილით, „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან“.



### კანონის განმარტება

კანონის მიხედვით, ყველას, ვისაც მართლსაწინააღმდეგოდ თავს ესხმიან, უფლება აქვს, მოიგერიოს თავდამსხმელი და მიაყენოს მას ზიანი, თუმცა არ უნდა იყოს აშკარა შეუსაბამობა თავდაცვასა და თავდასხმას შორის. მარტივად რომ ვთქვათ, სახეში გაწნულ სილას პისტოლეტით არ უნდა ვუპასუხოთ.

აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს მანამ, სანამ გრძელდება თავდასხმა, ანუ აუცილებელი მოგერიების უფლება იწყება თავდასხმის მომენტიდან და წყდება თავდასხმის შეწყვეტისთანავე. თუ თავდამსხმელმა შეწყვიტა მოქმედება, ჩვენ აღარ გვაქვს უფლება, მას მივაყენოთ ზიანი.

აუცილებელი მოგერიების უფლება გვაქვს იმ შემთხვევებშიც კი, როცა თავდამსხმელი არასრულწლოვანი ან ფსიქიკურად დაავადებულია. თუმცა ამ დროს მკაცრად უნდა დავიცვათ მოგერიების პროპორციულობისა და აუცილებლობის ფარგლები.

ასევე, უნდა ვიცოდეთ, რომ მომგერიებელს არ ევალება გაქცევა, თუნდაც ამის სრული შესაძლებლობა ჰქონდეს.

გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან, ნიკა „მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში“. თავდამსხმელები სარგებლობდნენ რიცხობრივი უპირატესობით, ამიტომ ნიკას არ ევალებოდა გაქცევა და მის მიერ ჯოხის გამოყენება ვერ ჩაითვლება არაპროპორციულ მოგერიებად. შესაბამისად, ის არ დაისჯება მიყენებული დაზიანებისათვის.



### გახსოვდეთ,

სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა, დაიცვან მოქალაქეები დანაშაულებრივი თავდასხმისაგან, მაგრამ შეუძლებელია, პოლიცია ყოველთვის დროულად ჩაერიოს. ამიტომ კანონი ანიჭებს უფლებას ადამიანს, რომ თავად დაიცვას საკუთარი თავი, ასევე დაიცვას სხვაც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან. აუცილებელი მოგერიების უფლების არსებობა ასევე შემაკავებლად მოქმედებს დამნაშავეზე, რომელმაც იცის, რომ შესაძლებელია, მსხვერპლმა წინააღმდეგობა გაუწიოს და მას საპასუხო ზიანი მიაყენოს.



## საშიში ცხოველების ყოლა კაზუსი 32

სალომეს ნაცნობმა შესთავაზა, რომ ეყიდა შხამიანი ობობა, რომელიც მოთავსებული ჰყავდა მინის ჭურჭელში. სალომემ იყიდა იგი, რადგანაც დაინტერესებული იყო მსგავსი მწერებით. ერთ დღესაც მას დაავიწყდა, დაეხურა მინის ჭურჭელი და, რას ხედავს... ობობა გაპარულა. ბევრი ძებნის მიუხედავად, მან ობობას ვერ მიაგნო. რამდენიმე დღის შემდეგ კი შეიტყო, რომ შხამიან ობობას უკბენია მეზობლისთვის, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეზობელმა სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება მიიღო, თუმცა ორი თვის მკურნალობის შემდეგ ის გადარჩა.



– სალომე პასუხს აგებს „გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის“.

სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის მიხედვით, „ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე“.



### კანონის განმარტება

საშიში ცხოველების ან მწერების ყოლა თავისთავად არ არის დანაშაული, მაგრამ თუ ასეთ არსებებს ვიყოლიებთ, უნდა დავიცვათ უსაფრთხოების ყველა ზომა. თუ უსაფრთხოების ზომებს არ დავიცავთ და ისინი ვინმეს დააზიანებენ, ჩვენ პასუხს ვაგებთ გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენებისათვის.

ცნობილია, რომ არსებობს ორი სახის გაუფრთხილებელი დანაშაული: თვითიმედოვნებით და დაუდევრობით ჩადენილი.

კანონის მიხედვით, ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

სალომემ გამოიჩინა დაუდევრობა. კერძოდ, მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ შეიძლებოდა, ობობა ამოსულიყო მინის ჭურჭლიდან და შეეძლო

კიდევ ამის გათვალისწინება. მისმა დაუდევრობამ კი მძიმე შედეგი გამოიწვია – მეზობლის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.



### **საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქმედებს წინდახედულების მრავალი ნორმა**

ზოგი მათგანი დაწერილია, ხოლო უმეტესობა დაუწერელი. ამ ნორმებს ჩვენ ვეცნობით ცხოვრებისეული გამოცდილებით. ის, რომ დაუშვებელია დასახლებულ პუნქტში ავტომანქანით 60 კმ/ზე მეტი სიჩქარით მოძრაობა, დაწერილი ნორმაა, ხოლო ის, რომ 2 წლის ბავშვი გახურებულ ღუმელთან მარტო არ უნდა დავტოვოთ, – დაუწერელი. წინდახედულების ნორმების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება მომეტებული საფრთხის წყაროს (ავტომანქანა, გაზქურა, ელექტროსახურებელი ხელსაწყოები ა.შ). ვინაიდან სალომემ შეიძინა შხამიანი ობობა, მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოეჩინა მისი მოვლისას. რადგან სალომემ მოადუნა ეს ყურადღება, ამან გამოიწვია მავნე შედეგი. ამიტომ სალომე პასუხს აგებს გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის.

# დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

## ყაჩაღობა



სისხლის სამართალი

*ქუჩაში მიმავალ გიორგის ორი ბიჭი მიუახლოვდა. ერთ-ერთმა მათგანმა სთხოვა, მობილურით დამარეკინეო. როცა გიორგიმ მას ტელეფონი მი-  
აწოდა, ბიჭმა გამოსტაცა იგი და გაიქცა. მეორე კი გიორგის დანით და-  
ემუქრა.*



– გიორგის მიმართ განხორციელდა ჯგუფური ყაჩაღობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მიხედვით, ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით და ასეთი ქმედებისათვის დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან შვიდ წლამდე ვადით, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის კი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით.



### კანონის განმარტება

ყაჩაღობა არის ერთ-ერთი ყველაზე საშიში დანაშაული, ვინაიდან ის ემუქრება არა მარტო ადამიანის საკუთრებას, არამედ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ყაჩაღობა განსხვავდება მარცვისა და ქურდობისაგან. მათ შორის საერთო არის ის, რომ სამივე შემთხვევაში დამნაშავე ცდილობს, დაეუფლოს სხვის ქონებას, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჩადენის მეთოდით: ქურდობის დროს დამნაშავე მოქმედებს ფარულად, მარცვის დროს – აშკარად, ხოლო ყაჩაღობის დროს იყენებს სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას.

საინტერესოა ის, რომ კანონის ენაზე ყაჩაღობა უკვე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, ანუ მნიშვნელობა არ აქვს, თავდამსხმელები დაეუფლნენ თუ არა მობილურ ტელეფონს. თუ პოლიციამ ისინი თავდასხმის მომენტში დააკავა, ითვლება, რომ პირებმა ყაჩაღობა ჩაიდინეს.

დანაშაულის დამთავრების მომენტი კი, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანია სხვადასხვა თვალსაზრისით. მაგალითად: დანაშაულზე ხელის აღება შეიძლება მხოლოდ დანაშაულის დამთავრებამდე, დამთავრებული დანაშაული, ზოგადად, უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე მისი მცდელობა და ა.შ.

ხშირად, ჯგუფურად დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა და სასჯელის გამკაცრებას იწვევს.

რადგანაც წარმოდგენილ შემთხვევაში ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფურად, შესაბამისად, დამნაშავეებს სასჯელის სახით ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

სასჯელის თვალსაზრისით, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელმა გაიტაცა მობილური ტელეფონი და რომელმა განახორციელა მუქარა – ორივე მათგანი ყაჩაღობის თანამსრულებელია და კანონი მათ ერთნაირი სიმკაცრით ეპყრობა, თუმცა მოსამართლემ სასჯელის განსაზღვრის დროს შეიძლება გაითვალისწინოს თითოეული მათგანის როლი (ვინ იყო ინიციატორი, ვინ ახორციელებდა მუქარას, ვინ გაიტაცა ტელეფონი) ჩადენილ დანაშაულში.



### ცნობილია,

რომ ისსხლის სამართლის უპირველესი ფუნქციაა, დაიცვას ინდივიდები და საზოგადოება დანაშაულისაგან. დანაშაული ისეთივე საზიანო მოვლენაა, როგორც ავადმყოფობა ან ბუნებრივი კატასტროფა. დაზარალებულისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მიაყენებს მას ზიანს – ბუნება, ცხოველი თუ ადამიანი.

შესაბამისად, სისხლის სამართალი, რომელიც დასჯადად აცხადებს ყაჩაღობას, ცდილობს, რომ საზოგადოებას აარიდოს ეს უკიდურესად საშიში დანაშაული.

აქვს თუ არა გიორგის უფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს თავდამსხმელებს?

დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება, უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა. თუმცა კანონი რიგით მოქალაქესაც ანიჭებს უფლებას, მოიგერიოს თავდამსხმელი და ამ მიზნით მას ზიანიც კი მიაყენოს (აუცილებელი მოგერიება, იხ. 30-ე კაზუსი), ან შეიპყროს დამნაშავე სამართალდამცავ ორგანოში წარსადგენად (დამნაშავის შეპყრობა, იხ. 44-ე კაზუსი).

უფრო მეტიც, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, კანონით, გიორგის აქვს უფლება, დაედევნოს თავდამსხმელს და „ცხელ კვალზე“ დაიბრუნოს წართმეული ნივთი, თუკი ეს შესაძლებელია.

მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თავდასხმას ახორციელებს დანით შეიარაღებული ორი პირი და სახეზეა სიცოცხლისათვის საშიში მუქარა, ალბათ, უმჯობესია, რომ გიორგიმ მათ არ გაუწიოს წინააღმდეგობა და მხოლოდ შემდგომ მიმართოს პოლიციას.

ყაჩაღობის გახსნა და დამნაშავეთა დაკავება, როგორც წესი, საკმაოდ რთულია. თუმცა ამ შემთხვევაში საქმეს აადვილებს ორი გარემოება: დამნაშავეებს ნიღბები არ ჰქონიათ, რის გამოც მათი ამოცნობა შესაძლებელია; ასევე მათ გაიტაცეს მობილური ტელეფონი, რომლის ადგილმდებარეობის დადგენაც პოლიციას შეუძლია თანამედროვე ტექნიკური აპარატურის გამოყენებით.

მას შემდეგ, რაც მოხდება დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა და მათთვის სასჯელის დაკისრება, გიორგის უფლება აქვს, დაიბრუნოს წართმეული მობილური ტელეფონი, ან, მისი მიუღებლობის შემთხვევაში, სასამართლო წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

### საგულისხმო ფაქტები

ყაჩაღობა საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია და მისი გახსნაც ასევე საკმაოდ რთულია, ვინაიდან, როგორც წესი, ყაჩაღები ყოველთვის წინასწარ ცდილობენ შენიღბვას, რათა მათი დადგენა შეუძლებელი გახდეს. თუმცა, თუ საქართველოში არსებულ ოფიციალურ სტატისტიკას დავყვრდნობით, პოლიცია ახერხებს ჩადენილი ყაჩაღობების ნახევარზე მეტის გახსნას. ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად საქართველოს სასამართლოები იხილავენ 150-იდან 250-ამდე ყაჩაღობის საქმეს.

## მარცვა

პასუხი 34



გაკვეთილებიდან გამოსულმა გუგამ სკოლის წინ, ხილის მაღაზიაში, შენიშნა, რომ ბანანები იყიდებოდა, ცალი 90 თეთრად. გუგას ფული არ ჰქონდა, მაგრამ ძალიან შიოდა, ამიტომ მან გამყიდველის თვალწინ დასტაცა ბანანს ხელი და გაიქცა. გამყიდველი მას ვერ დაეწია, თუმცა გამოიძახა პოლიცია, რომელმაც გუგა დააკავა.



– გუგამ ჩაიდინა მარცვა, თუმცა, ვინაიდან მის ქმედებას მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია, მას შეიძლება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.

სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მიხედვით, „მარცვა არის სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით – ვადით სამიდან ხუთ წლამდე“;

სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, „შესაძლოა, პირს არ დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ მის მიერ ჩადენილ ქმედებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“.

**კანონის განმარტება**

ყაჩაღობის შესახებ კაზუსის განხილვისას ვნახეთ, რომ ერთმანეთისგან განსხვავდება ქურდობა, ყაჩაღობა და ძარცვა. ძარცვის დროს ხდება ქონების აშკარა, ხოლო ქურდობის დროს ფარული დაუფლება; ყაჩაღობის დროს ხდება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ამ ძალადობით მუქარა. ძარცვა უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ქურდობა, თუმცა ნაკლებად მძიმე, ვიდრე ყაჩაღობა.

მართალია, გუგამ ჩაიდინა ძარცვა, კანონი გვეუბნება, რომ, თუ ჩადენილმა ქმედებამ გამოიწვია მხოლოდ უმნიშვნელო ზიანი, დამნაშავე შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. ვინაიდან მიყენებული ზიანი არ აღემატება ერთ ლარს, სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს სასჯელისაგან მისი გათავისუფლების თაობაზე, თუმცა გუგას შეიძლება დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**ზოგჯერ შეიძლება გვეგონოს,**

რომ წვრილმანი ქურდობა თუ ძარცვა არ არის დანაშაული. რა დაშავდება, თუ ბაზარში მოვიპარავთ ორიოდ ფუნთუშას, ან სადეკორატივო რეზინს, ან თუნდაც ბანანს. ჩვენ, ალბათ, ხშირად გაგვიგონია გამოთქმა: „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი – ორივე ქურდია“.

მართალია, ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს „ნემსის ქურდის“ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას (სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი), მაგრამ უნდა გვახსოვდეს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს თუნდაც მცირე მნიშვნელობის მქონე ნივთის მოპარვას. ჩვენი ამ ქცევით ვაზარალებთ სხვას და საფრთხეში ვაგდებთ ჩვენს თავს, გარდა ამისა, თუ ეს ქცევა დაუსჯელი დარჩა, შეიძლება შემდგომში ბანანის მაგივრად ხელი წაგვიცდეს ფულზე და ან სხვა ძვირფას ნივთებზე, რომლებიც ასევე „ძალიან გვჭირდება“.

ალბათ, ასევე გაგვიჩნდება მეორე შეკითხვა: თუ ადამიანს შიმშილი აწუხებს და არ აქვს ფული, რომ საკვები იყიდოს, აქვს თუ არა უფლება, მოიპაროს საჭმელი საკუთარი თავის გამოსაკვებად?

მას ამის უფლება აქვს იშვიათ და უკიდურეს შემთხვევაში, კერძოდ, თუ მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე და მას ქურდობის ჩადენის მეტი სხვა საშუალება არ დარჩენია (უკიდურესი აუცილებლობა). მაგალითად, თუ ტურისტი დაიკარგა უკაცრიელ ტყეში და ის შიმშილით იღუპება, მას აქვს უფლება, გატეხოს მეტყევის სახლი და იქ არსებული პროდუქტი მოიხმაროს. გუგას შემთხვევაში კი, ეს პირობები სახეზე არ გვაქვს, ამიტომ ის ამ საფუძვლით ვერ გამართლდება. ის შეიძლება, პასუ-

ხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს მხოლოდ იმის გამო, რომ მის მიერ გატაცებული ნივთი არის მცირე მნიშვნელობისა.



### **საგულისხმო ფაქტები**

ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებია, თუმცა ქურდობა გაცილებით უფრო გავრცელებული დანაშაულია, ვიდრე ძარცვა და ყაჩაღობა. თუ ბოლო პერიოდის სტატისტიკას დავიმოწმებთ, საქართველოს სასამართლოებში ყოველწლიურად იხილება ქურდობის 3000-ამდე, ძარცვის 300-ამდე და ყაჩაღობის 150-ამდე საქმე.



## სხვისი საკრედიტო ბარათის გამოყენება



*მიზამ ინტერნეტში, „ამაზონის“ საიტზე, შეუკვეთა აიპოდი, გადახდის მონაცემების გრაფაში კი რეკვიზიტები მიუთითა დეიდის საკრედიტო ბარათიდან, რომელიც მას (დეიდას) მაგიდაზე დარჩენოდა. ჩაიდინა თუ არა მიზამ დანაშაული?*



– დიახ, მიზამ ჩაიდინა დანაშაული – ქურდობის მცდელობა.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით, „ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთიდან სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით“.



### კანონის განმარტება

ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

წარმოდგენილ შემთხვევაში მიზამ იმოქმედა დეიდისაგან ფარულად. ნივთის შესაძენად მან გამოიყენა დეიდის საბანკო მონაცემები. ეს იგივეა, რაც სხვისი საფულის გამოყენება მაღაზიაში ნივთის საყიდლად.

მაგრამ მიზას საქციელს ჰქვია ქურდობის მცდელობა. ქურდობა დასრულებული იქნება, როდესაც დეიდას ჩამოეჭრება ფული თავისი ანგარიშიდან.

კანონით, დანაშაულის მცდელობა ისევე მკაცრად ისჯება, როგორც დასრულებული დანაშაული, თუმცა მოსამართლეს შეუძლია, გაითვალისწინოს გარემოებები, რის გამოც ჩადენილი დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და დამნაშავეს შეუფარდოს უფრო მსუბუქი სასჯელი.



### თქვენ უკვე გეცოდინებათ, რომ

საკრედიტო ბარათები სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. საკრედიტო ბარათით ვიძენთ ნივთებს მაღაზიასა და ინტერნეტში, ვსარგებლობთ მომსახურებით, ვსადილობთ რესტორანში, ვიხდით სწავლის საფასურს და ა. შ.

მართალია, საკრედიტო ბარათი უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ნაღდი ფული, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ის დაცული არ არის ბოროტმოქმედებისაგან. სხვას შეუძლია, ჩვენი საკრედიტო ბარათით ისარგებლოს, თუ ის მოიპოვებს იმ ციფრებს, რაც განთავსებულია ბარათის ზედაპირზე, ან, თუ ფიზიკურად ხელში ჩაიგდებს ჩვენს ბარათს და ეცოდინება მისი კოდი (თუმცა ზოგიერთი ტიპის ბარათით პირდაპირ, კოდის გარეშე შეიძლება სხვადასხვა მომსახურების გადახდა).

შესაბამისად, გამოცდილება გვკარნახობს, რომ საკრედიტო ბარათებს ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ყოველთვის უნდა ვიცოდეთ, თუ სად არის ჩვენი ბარათი; არასოდეს არ უნდა მივცეთ იგი ან მისი მონაცემები სხვას გამოსაყენებლად, ხშირად უნდა შევცვალოთ პინკოდი.

ასევე მოვერიდოთ სხვისი ბარათის გამოყენებას მფლობელის ნებართვის გარეშე, რაც შეიძლება დანაშაულიც კი იყოს.



### საგულისხმო ფაქტები

საკრედიტო ბარათის იდეა პირველად 1887 წელს აღწერა ედვარდ ბელამიმ თავის უტოპიურ ნოველაში – „ხედვა უკან“. საკრედიტო ბარათის პირველი წინამორბედი გამოყენებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1940-იან წლებში, ავტომობილის საწვავის შესაძენად. თანამედრო-

ვე საკრედიტო ბარათების ანალოგი გაჩნდა 1958 წელს კალიფორნიაში. ის სწრაფად გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, და შემდეგ მთელ მსოფლიოში.

საკრედიტო ბარათების გავრცელებასთან ერთად გავრცელდა სხვისი ბარათების ბოროტად გამოყენების შემთხვევებიც. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ყოველი მეათე ამერიკელი თავს საკრედიტო ბარათით ჩადენილი ქურდობის მსხვერპლად მიიჩნევს.

## ნივთის დაზიანება



გიორგიმ და მისმა მეგობარმა თანაკლასელის ქურთუკზე სადღეავით დააწერეს „ჩამშვეები“, რადგან იფიქრეს, რომ გაცდენილი გაკვეთილების შესახებ მან „ჩაუშვა“ ისინი მასწავლებელთან.



– თუ დავეშვებით, რომ ქურთუკის ღირებულება 150 ლარს აღემატება, გიორგისა და მისი მეგობრის ქმედება არის სხვისი ნივთის დაზიანება.

სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მიხედვით, სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, პირი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ასიდან ას ოთხმოც საათამდე ვადით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი ერთ წლამდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე ვადით.



### კანონის განმარტება

საკუთრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, ამიტომ საკუთრების ხელყოფა აკრძალულია და ისჯება კანონით.

ნით. მაგალითად: ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებია. ასეთ დანაშაულებს მიეკუთვნება ასევე სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება.

ნივთის განადგურება გულისხმობს ნივთზე იმგვარ ზემოქმედებას, როცა იგი ფიზიკურად ისპობა ან გამოუსადეგარი ხდება, ხოლო ნივთის დაზიანება გულისხმობს მისი თვისებების ისეთ შეცვლას, რომლის დროს არსებითად უარესდება ამ ნივთის მდგომარეობა, თუმცა მისი აღდგენა შეიძლება რესტავრაციის, რემონტის ან სხვა საშუალებით.

ამავე დროს, ზიანი უნდა იყოს მნიშვნელოვანი. სისხლის სამართლის კოდექსით, მნიშვნელოვანი ზიანი განისაზღვრება, მინიმუმ, 150 ლარით.

წარმოდგენილ შემთხვევაში გიორგის თანაკლასელებმა „ჩაიდინეს ნივთის დაზიანება“, სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.



#### **ალბათ, ყველას გვსმენია პრინციპი**

– „არ მოექცე სხვას ისე, როგორც შენ არ გინდა, რომ მოგექცენ“. ეს წესი, რომელიც „ოქროს წესად“ მოიხსენიება და მსოფლიოს რვა რელიგიის მიერ არის აღიარებული (მათ შორისაა: ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი), საფუძვლად უდევს ცივილიზებული სამყაროს მორალსა და სამართალს.

ეს პრინციპი ამბობს, რომ სხვა ადამიანს არ უნდა მივაყენოთ ტკივილი, ვინაიდან ჩვენც არ გვსიამოვნებს, როცა ტკივილს გვაყენებენ. თუმცა ყოველგვარი ტკივილის მიყენება როდია დანაშაული. მაგალითად, შეყვარებულთან დათქმულ პაემანზე მიუსვლელობა დანაშაული არ არის, მაგრამ დანაშაულია ჯანმრთელობის დაზიანება, სხვისი ნივთის დაზიანება და სხვ.

სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება განსაკუთრებულად მავნებლური ქცევაა, ვინაიდან ამ დროს ზიანის მიყენება დამნაშავესათვის თითქმის თვითმიზანია, ანუ ის სიამოვნებას იღებს სხვისთვის ზიანის მიყენების გზით.

სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს ზოგი ისეთი დანაშაული, რომელთა ცოდნა კოდექსის წაკითხვის გარეშე თითქმის შეუძლებელია, მაგალითად, ცოტამ თუ იცის, რომ სამეწარმეო საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება დანაშაულია.

მაგრამ ასევე არსებობს ისეთი ქმედებები, რომელთა შესახებ თითქმის ინსტინქტურად ვიცით, რომ დანაშაულია. ასეთია, მაგალითად, სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება, რაც ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

## დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზება

პაზუსი 37



იანეტაყაყაი რსაბდესი

თაკო მეგობართან ერთად სავაჭრო ცენტრში შევიდა. ერთ-ერთ მაღაზიაში მის მეგობარს ძალიან მოეწონა „ლევისის“ ჯინსის შარვალი, თუმცა ის ძალიან ძვირი ღირდა. თაკომ მეგობარს ურჩია: „რატომ გადავყაროთ ამდენი ფული, მოდი, შედი გასახდელში, ძველი ტანსაცმელი იქ დატოვე და ახალი ჩაიცვი, მაინც ვერავინ შეგამჩნევს“. მეგობარს ეს ჭკუაში დაუჯდა და, მართლაც, მათ მოპარული ჯინსით ჩუმად დატოვეს მაღაზია.



– თაკომ ჩაიდინა დანაშაული – ქურდობის წაქეზება.

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით, „ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და იგი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთიდან სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, ხოლო იგივე ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე“.

სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად“.



### კანონის განმარტება

ქურდობა დანაშაულის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა. კანონი ქურდობას განმარტავს როგორც სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ქურდობა განსხვავდება ძარცვისა და ყაჩაღობისაგან იმით, რომ ამ დროს დამნაშავე სხვებისაგან შეუმჩნევლად, ფარულად მოქმედებს.

ჩვეულებრივი ქურდობისათვის დამნაშავე ისჯება ჯარიმით ან ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების შეზღუდვით, ან თავისუფლების აღკვეთით (კანონის ენაზე ეს ნაკლებად მძიმე დანაშაულია); დამამძიმებელ გარემოებებში ქურდობისათვის პირი ისჯება უფრო მკაცრად – თავისუფლების აღკვეთით ხუთ, შვიდ ან ათ წლამდე. დამამძიმებელი გარემოებებია, მაგალითად, ქურდობა ბინაში უკანონოდ შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დიდი ოდენობით ქონების დატაცება და ა. შ.

როგორც ცნობილია, ადამიანი შეიძლება უშუალოდ ჩადიოდეს დანაშაულს (ამსრულებელი), ან სხვა პირის მეშვეობით (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი).

კანონის მიხედვით, წამქეზებელი არის ის, ვინც სხვას დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად.

წარმოდგენილ მაგალითში თავი არის დანაშაულის წამქეზებელი, ხოლო მისი მეგობარი ამსრულებელი.

კანონი დანაშაულის წამქეზებელს თითქმის იმავე სიმკაცრით ეპყრობა, როგორც ამსრულებელს, ვინაიდან წამქეზებელი არის ის, ვისგანაც მოდის ინიციატივა დანაშაულის ჩადენის შესახებ.

ამიტომ ყოველთვის უნდა ვიცოდეთ, რომ დანაშაულის ჩადენაში ვინმეს წაქეზება (თუ ეს დანაშაული განხორციელდა) თითქმის ისეთივე სიმძიმის დანაშაულია, როგორც ამ დანაშაულის უშუალოდ ჩადენა.

თუ წაქეზებულმა უარი თქვა დანაშაულის ჩადენაზე, მაშინ წამქეზებელი დაისჯება ამ დანაშაულის მომზადებისათვის (თუმცა, თუ წარმოდგენილ შემთხვევაში თავის მეგობარი არ ჩაიდენდა ქურდობას, თავი არ დაისჯებოდა, ვინაიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება არ ისჯება.).



### **ზოგჯერ ადამიანს უჩნდება სურვილი,**

საწადელს არაკანონიერი გზით მიაღწიოს, თუმცა იმაზე ნაკლებად ფიქრობს, რომ ამით სხვას აზიანებს და, ამავე დროს, საფრთხეში აგდებს საკუთარ თავსაც – თუ მისი საქციელი გამომჟღავნდა, მას შეიძლება დაეკისროს სასჯელი, ემუქრება გაკიცხვა მეგობრების, ოჯახის, საზოგადოების მხრიდან და ა.შ.

სხვისი წაქეზება დანაშაულის ჩადენისაკენ ისეთივე დასჯადია, როგორც თავად ამ დანაშაულის ჩადენა.

### **შეუძლიათ თუ არა თავოსა და მის მეგობარს, რომ გადაურჩნენ პასუხისმგებლობასა და სასჯელს?**

სამართალი უშვებს დანაშაულზე ხელის აღებას (ანუ დამნაშავეს სთავაზობს ე.წ. „ოქროს ხიდს“, რომ ის დანაშაულებრივი გზიდან უკან დაბრუნდეს), თუმცა ეს შეიძლება მოხდეს დანაშაულის დასრულებამდე.

თავოსა და მის მეგობარს შეუძლიათ, დანაშაულზე ხელი აიღონ მაღაზიის დატოვებამდე – მათ შეუძლიათ, გადაიხადონ ჯინსის შარვლის საფასური, ან უკან დააბრუნონ იგი. ამ შემთხვევაში ისინი გათავისუფლებიან პასუხისმგებლობისაგან. მაღაზიის დატოვების შემდეგ ქურდობაზე ხელის აღება შეუძლებელია, თუმცა, თუ ისინი მაინც განაცხადებენ ამის შესახებ და დააბრუნებენ მოპარულ ნივთს (ამ ქმედებას კანონის ენაზე „ქმედითი მონაწილეობა“ ეწოდება), სასამართლო ამას გაითვალისწინებს და შეუფარდებს გაცილებით უფრო მსუბუქ სასჯელს, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

თუ მხოლოდ თავოს სურს, რომ ხელი აიღოს ქურდობის ჩადენაზე, მან მაღაზიის დატოვებამდე ხელი უნდა შეუშალოს თავის მეგობარს – გადაარწმუნოს ის და დააბრუნებინოს ჯინსის შარვალი, ან შეატყობინოს დაცვას. მას შემდეგ, რაც თავოს მეგობარი დატოვებს მაღაზიას მოპარული ნივთით, თავოს დანაშაულზე ხელის აღება აღარ შეუძლია და მას მხოლოდ ქმედითი მონაწილეობით შეუძლია, პასუხისმგებლობა შეიმსუბუქოს.



### **საგულისხმო ფაქტები**

საინტერესოა ის, რომ დანაშაულისაკენ წაქეზება, ზოგადად, ყველა ქვეყანაში ისჯება. თუმცა ზოგან (მაგალითად ინგლისში) ის ისჯება, ასევე, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული (incitement), მიუხედავად დამდგარი შედეგისა; საფრანგეთში წაქეზება ისჯება მხოლოდ მაშინ, თუ ის მოხდა „საჩუქრით, დაპირებით, მუქარით, ბრძანებით, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით“, ანუ საფრანგეთში უბრალოდ წაქეზება არ ისჯება, თუ წამქეზებელმა არ გამოიყენა: „მუქარა, დაპირება, საჩუქარი, ბრძანება“ ა. შ.

თავისუფალი საქართველო



# დანაშაულის ჩადენაში დახმარება

## კაზუსი 38

გიორგის მეგობრებმა ფულის გადასახურდავებელი ჯიხურის გაქურდვა გადაწყვიტეს. ჯიხურის კარების გასატეხად კი გიორგის სთხოვეს იარაღების მიტანა. გიორგიმ მათი ეს თხოვნა შეასრულა.



– გიორგიმ ჩაიდინა დანაშაული – ქურდობაში დახმარება.

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით, „ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“. 24-ე მუხლის მიხედვით კი, „დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას“.



### კანონის განმარტება

როგორც ცნობილია, დანაშაულის ჩადენაში შეიძლება სხვადასხვა ფორმით რამდენიმე პირი მონაწილეობდეს: ის, ვინც უშუალოდ ჩადის დანაშაულს, ამსრულებელია; ხოლო ის, ვინც მონაწილეობს სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულში, თანამონაწილეა. არსებობს სამი სახის თანამონაწილე: წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი.

კანონის განმარტებით, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. დანაშაულის დახმარება გულისხმობს იარაღის მიწოდებას, დაბრკოლების თავიდან აცილებას, სასარგებლო რჩევის მიცემას და ა. შ.

დახმარება, ისევე, როგორც სხვა სახის თანამონაწილეობა, შეიძლება დანაშაულის დამთავრებამდე. დანაშაულის დამთავრების შემდეგ დახმარება არის უკვე თვისებრივად სხვა დანაშაული, რასაც დანაშაულის დაფარვა ეწოდება.



### უნდა ვიცოდეთ,

რომ დანაშაულში დახმარება თითქმის ისეთივე სიმძიმის დანაშაულია, როგორც დანაშაულის უშუალოდ ჩადენა, თუმცა კანონი აძლევს უფლებას დამხმარეს, რომ დანაშაულის დამთავრებამდე ხელი აიღოს მის ჩადენაზე, რა შემთხვევაშიც ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. წარმოდგენილ შემთხვევაში გიორგის შეუძლია, დანაშაულზე ხელი აიღოს.

თუ ქურდობის დამთავრებამდე ის დაარწმუნებს მეგობრებს, რომ აღარ ჩაიდინონ დანაშაული, ან უკან დაიბრუნებს საკუთარ იარაღებს, ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.



### **საგულისხმო ფაქტები**

საინტერესოა ის, რომ დანაშაულში დახმარება შეიძლება არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ინტელექტუალურად. მაგალითად, რჩევის მიცემა ინტელექტუალური დახმარებაა. ამავე დროს, საინტერესოა ისიც, რომ ე.წ. „უშედეგო დახმარება“ არ ისჯება. ანუ, გიორგის მეგობრებს რომ გადაეფიქრებინათ ქურდობის ჩადენა, მაშინ გიორგი არ დაისჯებოდა.

## ავტობუსის დაზიანება

პაზუსი 39



სისხლის სამართალი

გაკვეთილების შემდეგ თიკა და გვანცა ავტობუსით გაემუზნენ სახლისაკენ. ავტობუსში გვანცამ ფლომასტერით სავარძელზე დაწერა: „თიკა + გიო = შეყვარებულებს“. თიკა გაბრაზდა გვანცას ამ საქციელზე და წარწერა ე. წ. „ბრიტვიტ“ ამოჭრა სავარძლიდან. სავარძლის ღირებულება არის 200 ლარი.



– თიკამ ჩაიდინა დანაშაული – მან სხვისი ნივთი განზრახ დააზიანა.

სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მიხედვით, „სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე“.



### კანონის განმარტება

პირი სისხლისსამართლებრივად ისჯება სხვისი ნივთის ისე დაზიანებისათვის, რაც მნიშვნელოვან ზარალს იწვევს. ნივთის დაზიანება გულისხმობს მისი თვისებების ისეთ შეცვლას, რომლის დროსაც არსებითად უარესდება მისი მდგომარეობა, თუმცა მისი აღდგენა შეიძლება რესტავრაციის, რემონტის ან სხვა საშუალებით.

თუმცა გვანცამ ჩაიდინა გასაკიცხი საქციელი, მისი ქმედება სისხლისსამართლებრივად არ ისჯება, ვინაიდან ფლომასტერით დაწერილი შეიძლება მოიშალოს რაიმე დამატებითი ხარჯის გარეშე, მაგრამ თიკოს ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯადია, ვინაიდან სავარძლის ღირებულება აღემატება 150 ლარს და იგი საჭიროებს რესტავრაციას.

ნივთის დაზიანება შეიძლება როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით, თუმცა განზრახ დაზიანება გაცილებით უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე გაუფრთხილებლობით გამოწვეული დაზიანება.



### გახსოვდეთ,

ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს უფრო ხშირად ადამიანი ჩადის ანგარების მოტივით. ის იპარავს, ძარცვავს და თაღლითობს, რათა რაიმე ქონება მოიპოვოს. ეს საქციელი მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანს არ ყოფნის ნებისყოფა, თავისი შრომით შეიძინოს სასურველი ნივთები და ურჩევნია, სხვისი ქონებით ისარგებლოს.

მაგრამ ქონების განზრახ დაზიანებაც ასევე განსაკუთრებით მავნებლური ქცევაა. ამ დროს ნივთი გამოუსადეგარი ხდება არა მხოლოდ მფლობელისათვის, არამედ თავად დამნაშავისთვისაც. როდესაც არასრულწლოვანი განზრახ აზიანებს ქონებას, ცხადია, მას საერთოდ არ აქვს გაცნობიერებული, რომ მის გარდა არსებობს საზოგადოება და ის ამ საზოგადოების წევრია. ის საერთოდ არ ფიქრობს იმაზე, რომ ამ ნივთის შექმნაზე ადამიანის შრომაა დახარჯული, ან იმაზე, რომ ამ ნივთით ოდესმე სხვამაც უნდა ისარგებლოს.

## მოპარულის შეძენა

კაზუსი 40



სისხლის სამართალი

თაკოს ნაცნობმა იაფად შესთავაზა ძვირადღირებული მობილური ტელეფონი. თაკოს გაუკვირდა – რატომ ღირდა ტელეფონი ასე იაფი? ნაცნობმა უთხრა, რომ ტელეფონი მოიპარა ერთი თვის წინ. თაკომ გაიფიქრა: „მაინც ვერავინ ვერაფერს გაიგებს, მოდი, ვიყიდი“.



– თაკომ ჩაიდინა დანაშაული – „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა“.

სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მიხედვით, „წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.



### კანონის განმარტება

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ კანონით დასჯადია დამნაშავეს დახმარება არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენამდე, არამედ მის შემდეგაც (სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის დაფარვისათვის).

ასევე დასჯადია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფლობა, მისით სარგებლობა, შექმნა ან გასაღება.

წარმოდგენილ შემთხვევაში, თაკომ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა, რადგან მან წინასწარი შეცნობით შეიძინა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი.

არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა დანაშაულის შედეგად არის მოპოვებული ქონება, ძარცვით, ყაჩაღობით, თაღლითობით თუ სხვა გზით, მთავარია, შემქმნმა იცის, რომ ქონება დანაშაულის გზით არის მოპოვებული.



### გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან,

ყოველთვის, როდესაც რაიმე ნივთს (ტელეფონს, კომპიუტერს, სამკაულს თუ სხვ.) გვთავაზობენ საექვოდ დაბალ ფასში, მიზანშეწონილია, გადავამოწმოთ ნივთის წარმომავლობა, ან ვიცოდეთ გამყიდველის ვინაობა, რაც თავიდან აგვარიდებს ბევრ უსიამოვნებას.

# დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ

## მიმოწერის საიდუმლოება

კაზუსი 41



*16 წლის ლუკას ჰყავს შეყვარებული, რომელსაც მობილურით სასიყვარულო შეტყობინებებს უგზავნის ხოლმე. ერთ დღეს ლუკამ დაინახა, თუ როგორ კითხულობდა მისი თანაკლასელი და მეგობარი ცოტნე მის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. აქვს ცოტნეს ამის უფლება?*



– ცოტნეს ამის უფლება არ აქვს, მან დაარღვია პირადი მიმოწერის საიდუმლოება

სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის, ანდა ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონოდ დარღვევა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამოციდან ას ოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით“.



### კანონის განმარტება

საქართველოს კონსტიტუციით, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია.

ადამიანის ამ უფლების შეზღუდვა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებით ან მის გარეშე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას (მაგალითად, როდესაც ტარდება ჩხრეკა, პირადი კორესპონდენციის ამოღება, სატელეფონო მოსმენა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში).

კერძო პირებს სხვისი კერძო ცხოვრების საიდუმლოებაში ჩარევის უფლება არ აქვთ.

შესაბამისად, იმისათვის, რათა დაცული იყოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს პირადი მიმოწერის საიდუმლოების უკანონოდ დარღვევას.

ფორმალურად, ცოტნემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, თუმცა შესაძლებელია, ის გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, ვინაიდან მის ქმედებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი (იხ. სსკ-ის მე-7 (2) მუხლი და 33-ე კაზუსი)



### უნდა ვიცოდეთ, რომ

ადამიანებს შორის კომუნიკაცია განვითარდა კაცობრიობის წარმოშობისა და განვითარების პარალელურად. დაახლოებით 100 000 წლის წინ ადამიანმა დაიწყო მეტყველება, 30 000 წლის წინ აზრის გამოხატვა სიმბოლოების მეშვეობით, ხოლო 4 000 წლის წინ წერა. გასულ ორ საუკუნეში არნახული პროგრესი იქნა მიღწეული კომუნიკაციის განვითარების თვალსაზრისით. მე-19 საუკუნის ბოლოს გაჩნდა რადიო და ტელეფონი, ხოლო 1926 წელს პირველი ტელევიზორი. გასული საუკუნის ბოლოს ინტერნეტის გამოგონებამ კაცობრიობის ყველა მიღწევას გადააჭარბა. მთელი კაცობრიობა ჩაერთო ერთიან საინფორმაციო სივრცეში ინტერნეტის საშუალებით, რომლითაც ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება და გადაცემა ხდება მომენტალურად დედამიწის ნებისმიერ ადგილას, სადაც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს.

კომუნიკაციის საშუალებების განვითარების პარალელურად უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვამ. დღეს ჩვენი კომპიუტერი და ტელეფონი ჩვენ შესახებ შეიძლება იმაზე მეტ ინფორმაციას ინახავდეს, ვიდრე პირადი დღიური. ამიტომაც არის, რომ



სისხლის სამართლის კანონი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ტექნიკური საშუალებით გადაცემულ ინფორმაციაზე და მის უკანონო მოპოვებას სჯის სისხლის სამართლის წესით. შესაბამისად, უნდა ვიცოდეთ, რომ სხვისი წერილების წაკითხვა, ადრესატის დაუკითხავად და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, დანაშაულია და კანონით ისჯება (არ აქვს მნიშვნელობა, ეს სასიყვარულო წერილებია თუ საქმიანი ინფორმაცია, მისი ავტორი ჩვენი მეგობარია თუ სრულიად უცხო პირი).

### საგულისხმო ფაქტები

2010 წელს აშშ-ის მიჩიგანის შტატში მცხოვრებ 34 წლის ლეონ უოკერს ბრალად დაედო საკუთარი ცოლის „იმიელების“ კითხვა მეუღლის კომპიუტერში, მისგან დაუკითხავად. ვინაიდან ისინი განქორწინების პროცესში იყვნენ, მას მეუღლემ უჩივლა პოლიციაში. მიჩიგანის შტატის კანონმდებლობით, უოკერს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. ის გადაარჩინა მხოლოდ იმან, რომ, როგორც გაირკვა, მეუღლეს კითხულობდა მის სატელეფონო მესიჯებს, მისგან დაუკითხავად. ვინაიდან ცოლიც და ქმარიც – ორივე დაზარალებული აღმოჩნდა, პროკურატურამ მის მიმართ დევნა შეწყვიტა.

ეს მაგალითი მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ სხვისი კორესპონდენციის წაკითხვა არცთუ ისე „უწყინარი“ ქმედებაა და ის დასჯადია როგორც ქართული, ასევე საზღვარგარეთული კანონმდებლობებით.

## „ფეისბუკის“ გატეხა



კახამ და მისმა მეგობარმა თანაკლასელის „ფეისბუკი“ („Facebook“) გატეხეს და მისი ყველა ელექტრონული შეტყობინება წაიკითხეს. როგორც აღმოჩნდა, თანაკლასელს მიმოწერა ჰქონდა პარალელურ კლასელ ანასთან: „ეგრეც ვიცოდით, მას ნამდვილად ანა უყვარს“ – დაასკვნეს მათ.



– კახამ და მისმა მეგობარმა ჩაიდინეს დანაშაული – პირადი მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა.

სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მიხედვით, „პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის, ანდა ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონოდ დარღვევა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამოციდან ას ოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით“.



### კანონის განმარტება

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ სხვისი წერილების წაკითხვა ადრესატისაგან დაუკითხავად არა მხოლოდ ცუდი საქციელი, არამედ დანაშაულია და ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით. სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლი ითვალისწინებს პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დაცვას.

შესაბამისად, კახამ და მისმა მეგობარმა სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინეს. თუმცა, თუ პროცესის მწარმოებელი ორგანო ჩათვლის, რომ მათს ამ ქმედებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი, შეიძლება ისინი გათავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.



### უნდა გავითვალისწინოთ, რომ

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული ვხდებით კომპიუტერსა და ინტერნეტზე. ინტერნეტს ვანდობთ ჩვენი ცხოვრების სულ უფრო და უფრო მეტ მონაცემს. თუ ვინმემ დაუკითხავად შეაღწია ჩვენს ვებგვერდზე, მისთვის შეიძლება ცნობილი გახდეს ჩვენი პირადი ცხოვრების ისეთი დეტალები, რომლებიც ოჯახის წევრებისთვისაც კი არ არის ცნობილი. იმისათვის, რომ სოციალურ ქსელებში ჩვენი პირადი ანგარიში დაცული იყოს არასასურველი პირების წვდომისაგან, მაგალითად, სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ 6 რეკომენდაციას გვთავაზობს:

1. ავარჩიოთ ძლიერი პაროლი, რომელიც მინიმუმ 6 ციფრის, ასოს ან პუნქტუაციის ნიშნების კომბინაციისაგან შედგება;
2. მივუთითოთ დაცული ელექტრონული ფოსტა;
3. უცხო კომპიუტერის გამოყენების დროს აუცილებლად გამოვიდეთ ჩვენი ანგარიშიდან (log-out);
4. კომპიუტერი ხშირად გავწმინდოთ ანტივირუსით;
5. გამოვიყენოთ ვებგვერდის უსაფრთხოების დამატებითი პარამეტრები;
6. დავფიქრდეთ, ვიდრე რამეზე დავაწკაპუნებთ ან გადმოვწერთ ინტერნეტიდან.



### საგულისხმო ფაქტები

მსოფლიო კომპიუტერული ქსელი – ინტერნეტი პირველად შექმნეს 1981 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი კი მხოლოდ 1995 წელს გახდა.

2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ორ მილიარდ ოთხას მილიონს შეადგენს, რაც მსოფლიო მოსახლეობის 34%-ია. მათგან ყველაზე მეტი, ერთი მილიარდი მომხმარებელი, აზიის ქვეყნებზე მოდის.

სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებელთა რაოდენობა ყოველთვიურად 1,1 მილიარდს შეადგენს, ხოლო მათგან 665 მილიონი „ფეისბუქს“ ყოველდღიურად იყენებს.

# კომპიუტერული მონაცემების მოპარვა

## კაზუსი 43

კახამ და მისმა მეგობარმა მეორე თანაკლასელის ელექტრონული ფოსტაც გატეხეს და მისი ყველა ელექტრონული შეტყობინება წაიკითხეს. შეტყობინებებში აღმოაჩინეს თანაკლასელის პირადი ფოტოები, რომლებიც მას საცურაო კოსტიუმში ჰქონდა გადაღებული. „ჰა, ჰა, რა მაგარია... მოდი, ეს ფოტოები ინტერნეტში განვათავსოთ!“ – თქვეს მათ და ფოტოები მართლაც ატვირთეს კლასის „ფეისბუკგვერდზე“.



– კახამ და მისმა მეგობარმა ჩაიდინეს დანაშაული – „კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა“, რაც გამოიხატა ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებით.

სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე“.



### კანონის განმარტება

ყველა ადამიანის პირადი ცხოვრება დაცულია კანონითა და კონსტიტუციით. კანონი კრძალავს კერძო საუბრის, პირადი მიმოწერის საიდუმლოების დარღვევას. იგი კიდევ უფრო მკაცრია, როდესაც საქმე ეხება უკანონოდ მოპოვებული პირადი ინფორმაციის გავრცელებას.

კახამ და მისმა მეგობარმა დაარღვიეს კერძო კომუნიკაციის საიდუმლოება, კერძოდ, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული მონაცემი უკანონოდ გაავრცელეს, ანუ ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე.



### უნდა გვახსოვდეს, რომ

კომპიუტერი სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს ცხოვრებაში. ბევრი ადამიანისათვის ის არის ინფორმაციის გაცემისა და მიღების, სამ-

ყაროს შემეცნების, მუშაობის, გართობის, ადამიანებთან ურთიერთობის უმთავრესი წყარო.

სოციალურ ქსელებში შექმნილი ჩვენი პროფილი თითქმის ჩვენი ვირტუალური სახლია. მასში ვინახავთ სულ უფრო და უფრო მეტ პირად ინფორმაციას. წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცამ ჩვენი სახლში არყოფნის დროს ჩვენი ბინა გატეხოს, შევიდეს ყველა ჩვენს ოთახში, გამოაღოს კარადები, ჩაიხედოს უჯრებში, გამოიტანოს ჩვენი პირადი სურათები და დაურიგოს სხვებს.

როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, კახასა და მისი მეგობრის საქციელი ძალიან არ განსხვავდება ყველაფერ ამისაგან. ამიტომ არის, რომ კანონმდებელი ცალკე დანაშაულის სახით ითვალისწინებს კომპიუტერულ სისტემაში შეტანილი მონაცემების უნებართვოდ მოპოვებას, გამოყენებასა და გავრცელებას.

## თავისუფლების შეზღუდვა

კაზუსი 44



სისხლის სამართალი

გაკვეთილები დამთავრდა და მოსწავლეები და მასწავლებლები სახლებში წავიდნენ, გიორგიმ და გელამ კი გართობა გადაწყვიტეს – სკოლის დარაჯს მოჰპარეს საკლასო ოთახის გასაღები, თანაკლასელი შეიტყუეს შიგნით, ჩაკეტეს და ასე დატოვეს. მხოლოდ რამდენიმესათიანი ყვირილის შემდეგ შემლო ჩაკეტილმა ბიჭმა, ხმა მიეწვდინა დარაჯისათვის, რომელმაც იგი გაათავისუფლა.



– გიორგიმ და გელამ ჩაიდინეს დანაშაული – „თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა“.

სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე“.



### კანონის განმარტება

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით, ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების

სხვაგვარად შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

წარმოდგენილ მაგალითში გიორგიმ და გელამ ჩაიდინეს „თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ“, რაც მძიმე დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ათ წლამდე ვადით.



### **ადამიანის თავისუფლება ფუნდამენტური უფლებაა,**


რომელიც აღიარებულია არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, არამედ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით. სახელმწიფოს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეუძლია, შეუზღუდოს ადამიანს თავისუფლება. ყველაზე ხშირად პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა ხდება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის დაკავების ან დაპატიმრების სახით.

კერძო პირებს სხვისი დაკავების ან თავისუფლების შეზღუდვის უფლება არ აქვთ. მცირე გამონაკლისი ამ წესიდან დაიშვება დამნაშავის შეპყრობის დროს (იხ. 44-ე კაზუსი). შესაბამისად, უნდა ვიცოდეთ, რომ სხვის თავისუფლებასთან თამაში არ შეიძლება და ის, რაც უწყინარ ხუმრობად შეიძლება მოგვეჩვენოს, მძიმე დანაშაულია და ისჯება კანონით.



## დამნაშავის დაკავების უფლება

პაზუსი 45



ლევანმა დაინახა, თუ როგორ სცემდა ვიღაც მოზარდი ტურისტს. იგი დაეხმარა ტურისტს, დააკავა დამნაშავე და დაურეკა პოლიციას. აქვს ლევანს ამის უფლება?



– ლევანს აქვს უფლება, დააკავოს დამნაშავე.

სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლის (დამნაშავის შეპყრობა) მიხედვით, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით, დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეპყრობის გარემოებებთან“.



### კანონის განმარტება

ადამიანის შეპყრობა და მისთვის თავისუფლების აღკვეთა აკრძალულია და კანონით ისჯება, მაგრამ ზოგჯერ კანონი გამონაკლისის სახით

მოქალაქეს ანიჭებს ამის უფლებას, მაგალითად, დამნაშავეს შეპყრობისას.

ცხადია, დამნაშავეს შეპყრობა, უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა, მაგრამ იმისათვის, რომ დამნაშავე არ გაექცეს მართლმსაჯულებას, კანონი ამ უფლებას ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც ანიჭებს.

დამნაშავეს შეპყრობა რომ მართლზომიერად ჩაითვალოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს: 1. სახეზე უნდა იყოს დანაშაული, ანუ სისხლის სამართლის კანონით დასჯადი ქმედება; 2. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს დამნაშავეს ხელისუფლების ორგანოში წარდგენის მიზანი; 3. შემპყრობმა არ უნდა გადააცილოს საამისოდ აუცილებელ ზომებს, ანუ, ვინაიდან დამნაშავეს შესაპყრობად აუცილებელია ფიზიკური ძალის გამოყენება, დამნაშავეს არ უნდა მივაყენოთ იმაზე მეტი ზიანი, რაც აუცილებელია მის შესაბოჭად და სათანადო ორგანოში წარსადგენად.



**უნდა ვიცოდეთ, რომ**

დანაშაულის აღკვეთა და საზოგადოების დაცვა სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა. მაგრამ, თუ საზოგადოებაც არ დაეხმარა, მხოლოდ პოლიცია ვერაფერს გახდება. კანონი მოქალაქისაგან გმირობას არ ითხოვს. ის ითხოვს მხოლოდ დახმარების მინიმუმს: როდესაც ვიცით, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, უნდა ვაცნობოთ პოლიციას; როდესაც ვართ გამოძახებული მოწმედ, უნდა გამოვცხადდეთ და მივცეთ სწორი ჩვენება; როდესაც ვართ გამოძახებული ნაფიც მსაჯულად, უნდა მივიღოთ მონაწილეობა საქმის განხილვაში.

რაც შეეხება დამნაშავეს შეპყრობას, ის მხოლოდ ჩვენი უფლებაა და არა ვალდებულება, ანუ საგანგებო სიტუაციებში ჩვენც შეგვიძლია, „პოლიციელის“ ფუნქცია შევასრულოთ, თუმცა უნდა ვიმოქმედოთ მხოლოდ კანონის ფარგლებში.

# დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეშებლობის წინააღმდეგ

## არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის ქცევა

პაზუსი 46



სისხლის სამართალი

15 წლის თიკო თანაკლასელ გოგოებთან ერთად წავიდა „open air“-ის კონცერტზე, რომელიც თბილისის ზღვის მიმდებარედ, ტრიალ მინდორზე იმართებოდა. კონცერტს ძალიან ბევრი მაცურებელი ესწრებოდა და გადაჭედილი იყო ხალხით. თიკოსა და მისი მეგობრების უკან მდგარმა ნასვამმა ბიჭებმა გოგოებს ხელებით ინტიმურ ადგილებზე მოფერება დაუწყეს.



– ბიჭებმა ჩაიდინეს დანაშაული – „გარყვნილი ქმედება წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირებთან“.

სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით, „ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.



### კანონის განმარტება

სექსუალური ხასიათის ქცევები სქესობრივად მოუმწიფებელთან ზიანს აყენებს მის ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას. ასეთ ქმედებებს (რაც სექსუალურ კავშირს არ მოიცავს) კანონის ენაზე „გარყვნილი ქმედება“ ეწოდება. გარყვნილი ქმედება შესაძლებელია, გარეგნული გამოხატულების მიხედვით, იყოს ორი სახის: ფიზიკური და ინტელექტუალური. ფიზიკური გარყვნილი ქმედება სახეზეა, როცა პირი 16 წლის ასაკს მიუღწეველი მოზარდის წინ სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის ქმედებას ახორციელებს სხვა პირთან, ან 16 წელს მიუღწეველს ასწავლის, თუ როგორ განახორციელოს საკუთარ სხეულზე გარყვნილი ქმედება, ან ხელით ეხება მისი სხეულის ეროგენულ ადგილებს.

ინტელექტუალური გარყვნილი ქმედების დროს დამნაშავე თავად არ ახორციელებს სექსუალური ხასიათის მოქმედებას. იგი 16 წელს მიუღწეველს ესაუბრება სექსუალური ცხოვრების ისეთ დეტალებზე, რამაც შეიძლება მოზარდში სექსუალური ლტოლვა გამოიწვიოს. ინტელექტუალური გარყვნილი ქმედება სახეზე აგრეთვე, როცა პირი მოზარდს უჩვენებს პორნოგრაფიულ ნაწარმოებს (ფილმს, სურათს და სხვ.).

16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან გარყვნილი ქმედებისათვის კანონი ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

ასევე, დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ დაზარალებული არის 16 წელს მიუღწეველი. თუ მოზარდის გარეგნული და სხვა მონაცემების მიხედვით, ის გონივრულად ვარაუდობს, რომ მოზარდი 17, 18 ან მეტი წლისაა, მაშინ ის ვერ მიეცემა პასუხისგებაში ამ დანაშაულის ჩადენისათვის.



### დადგენილია,

რომ სექსუალური ურთიერთობები ადრეულ ასაკში საზიანოა ჯანმრთელობისათვის, თუმცა „ადრეული ასაკი“ დამოკიდებულია პიროვნების განვითარებაზეც: ზოგისთვის სექსუალური მომწიფების ასაკი უფრო ადრე დგება, ზოგისთვის უფრო გვიან, ამის მიუხედავად, კანონი ცალმხრივია და ერთმნიშვნელოვანი – ის კრძალავს სექსუალური ხასიათის ქმედებებს 16 წელს მიუღწეველ პირთან. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ კანონისმიერი აკრძალვის შესახებ და მოვერიდოთ მის დარღვევას. თუ ვართ 16 წელს მიუღწეველი და ვინმემ ასეთი რამ შემოგვთავაზა ან ჩვენ მიმართ განახორციელა, აუცილებლად უნდა ვაცნობოთ მშობელს, ნათესავს და შემდგომ პოლიციას.



### საგულისხმო ფაქტები

1500 ადამიანის გამოკითხვის შედეგად ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სქესობრივი ცხოვრების დასაწყებად საუკეთესო ასაკი

20 წლიდან იწყება. ისინი, რომლებმაც დიდხანს შეინარჩუნეს ქალწულობა, უფრო ბედნიერები იყვნენ შემდგომ ცხოვრებაში, ვიდრე ისინი, რომლებმაც 14-15 წლიდან დაიწყეს სექსუალური ცხოვრება. მეცნიერების დაკვირვებებმა აჩვენა, რომ მყარი ოჯახი და წარმატებული სექსუალური ცხოვრება აქვთ მათ, ვინც გვიან დაიწყეს სქესობრივი ცხოვრება. ადრეული სექსი კი, ფაქტობრივად, ქმნის წინაპირობას, რომ ადამიანი პირად ცხოვრებაში ბედნიერი ვერ იქნება და მყარ ოჯახს ვერ შექმნის. ფსიქოლოგების აზრით, ამას მარტივი ახსნა აქვს: ისინი, რომლებმაც არ იჩქარეს სქესობრივი ცხოვრების დაწყება, მეტად დაკვირვებულები არიან და არ ჰყვებიან ვნებასა და ემოციებს; მათ ზუსტად იციან, რა სურთ. ასეთი ადამიანები ცხოვრების მეგზურის არჩევას დიდი სერიოზულობით ეკიდებიან, შედეგად კი იღებენ მყარ და ბედნიერ ოჯახს.

## თექვსმეტ წელს მიუღწეველთან სქესობრივი კონტაქტი



*15 წლის ნინოსა და 19 წლის თენგოს დიდი ხანია, ერთმანეთი უყვართ. თენგო ფიქრობს ნინოს ცოლად მოყვანას. რადგან ორივეს ერთმანეთი მაღლიან უყვართ, სურთ, ჰქონდეთ სქესობრივი კონტაქტი.*



– სქესობრივი კონტაქტის შემთხვევაში, თენგო ჩაიდენს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს – ესაა სექსუალური კონტაქტი 16 წლის ასაკს მიუღწეველთან.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, „სრულწლოვანი პირის მიერ წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარება, ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე“.

**კანონის განმარტება**

სექსუალური ურთიერთობა 16 წელს მიუღწეველ პირთან აკრძალულია და ისჯება სისხლის სამართლის კანონით. არ აქვს მნიშვნელობა, მათ სურთ თუ არა ისჯებოდნენ, თუ არა.

საქართველოში, თუ 16 წელს მიუღწეველმა პირმა დაამყარა სექსუალური ურთიერთობა, კანონი სჯის მხოლოდ მის პარტნიორს და არა თავად ამ პირს. ანუ წარმოდგენილ მაგალითში სისხლისსამართლებრივი წესით დაისჯება არა ნინო, არამედ თენგი.

ასევე, დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ დაზარალებული არის 16 წელს მიუღწეველი. თუ მოზარდის გარეგნული მონაცემების მიხედვით დამნაშავე გონივრულად ვარაუდობს, რომ მოზარდი 17 ან 18 წლისაა, მაშინ ის ვერ მიეცემა პასუხისგებაში ამ დანაშაულის ჩადენისათვის.

**დადგენილია,**

რომ სექსუალურად მოუმწიფებელ ასაკში სექსუალური ურთიერთობები ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. კანონი აწესებს მკაფიო ზღვარს – დაუშვებელია სექსუალური ურთიერთობა 16 წელს მიუღწეველ პირთან. შესაბამისად, უნდა ვიცოდეთ, რომ აღნიშნული ქმედება კანონის დარღვევაა და ისჯება.

**საგულისხმო ფაქტები**

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით, განსხვავდება ასაკი, რომლიდანაც შეიძლება სექსუალური ურთიერთობის დაწყება, მაგალითად: თურქეთსა და მალტაში მინიმალური ასაკი 18 წელია; დანიაში, ესტონეთში, საბერძნეთსა და პოლონეთში – 15 წელი; რუსეთში, შვეიცარიასა და ბელგიაში – 16 წელი; საქართველოსაც ამ საკითხის მიმართ „შუალედური“ მიდგომა აქვს, რადგან დასაშვები ასაკი 16 წელია.

# დანაშაული საგოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

## ქურდული სამყაროს წევრობა

### კაზუსი 48

აჩიკო აზარტული მოზარდია. ერთ დღეს მან უბნის ბირჟაზე გელასთან ბანქო („ბურა“) ითამაშა და წააგო 500 ლარი, თუმცა ხელზე მხოლოდ 100 ლარი ჰქონდა. ვინაიდან დარჩენილ ფულს ვერ იხდიდა, გელამ იგი უბნელ ნიკასთან დაიბარა. ნიკა 17 წლის მოზარდია, რომელსაც ძალიან მოსწონს ქურდული ტრადიციები და მათი მიმდევარია. ამას განაპირობებს ისიც, რომ მისი ნათესავი კანონიერი ქურდია, რომელიც ციხეში იხდის სასჯელს. ნიკა თავის უბანში ცნობილია როგორც ქურდული წესებით საქმეების გამრჩევი. იგი საქმის გარჩევების დროს მოქმედებს კრიმინალური ავტორიტეტების (მათ შორის, თავისი ნათესავის) სახელით და ემორჩილება „ქურდულ წესებს“. აჩიკოსა და გელას საქმის გარჩევისას ნიკამ გელას მხარე დაიჭირა და აჩიკოს უთხრა, რომ „თუ ერთი კვირის განმავლობაში 400 ლარს არ მიიტანდა, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა“.



– ნიკას მოქმედება არის დანაშაული, ქურდული სამყაროს წევრობა ისჯება კანონით.

სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, „ქურდული სამყაროს წევრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ“.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, თავის მხრივ, განმარტავს ტერმინებს: „ქურდული სამყარო“, „ქურდული სამყაროს წევრი“, „კანონიერი ქურდი“, „ქურდული გარჩევა“. „მუხლი 3. ქურდული სამყარო, ქურდული სამყაროს წევრი, კანონიერი ქურდი

– ქურდული სამყარო – პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/ადიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.



– ქურდული სამყაროს წევრი – ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

– ქურდული გარჩევა – ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება.

– კანონიერი ქურდი – ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს“.



როგორც ზემოთ აღინიშნა, ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქურდული სამყაროს წევრად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, რაც ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგაა მიმართული. სისხლის სამართლის კანონმდებლობამ ქურდული სამყაროს წევრობა განმარტა და დასჯად ქმედებად გამოაცხადა 2005 წლიდან, რაც განპირობებული იყო ამ სახიფათო მოვლენასთან სახელმწიფოს შეურიგებელი ბრძოლით. დამოუკიდებელ და უფრო მძიმე დანაშაულად არის მიჩნეული თავად კანონიერი ქურდობა, თუმცა ეს ცალკე მსჯელობის საგანია. პირი რომ მიჩნეულ იქნეს ქურდული სამყაროს წევრად, აუცილებელია, არსებობდეს მთელი რიგი ნიშნებისა, როგორებიცაა: პირის მიერ ქურდული სამყაროს და, თავის მხრივ, ქურდული სამყაროს მიერ პირის აღიარება, ქურდული სამყაროს მიზნებისათვის პირის აქტიური მოქმედება, ქურდულ გარჩევებში მონაწილეობის მიღება, თავად ქურდული სამყაროს, როგორც ინდივიდუალური და „ქურდული“ წესებით მოქმედი დაჯგუფების, გამოკვეთა. ყოველივე ეს საკმაოდ რთულია, თუმცა სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებსაც ამ კუთხით მუშაობის ეფექტური ხერხები და მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

წარმოდგენილი მაგალითის მიხედვით, ნიკა ცდილობს, უბანში ქურდული წესები დაამკვიდროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ იგი კრიმინალური ავტორიტეტების სახელით მოქმედებს, ანუ უბნელებმა იციან, რომ მის უკან კრიმინალური ავტორიტეტი (შესაძლოა „კანონიერი ქურდი“) დგას. აჩიკოსა და გელას საქმის გარჩევისას იგი, ქურდული წესების შესაბამისად, ავალდებულებს აჩიკოს, თანხა გადაიხადოს, ამასთანავე, იყენებს დაშინების ფორმას და უცხადებს, რომ, თუ არ გადაიხდის,

სერიოზული პრობლემები შეექმნება. აჩიკოსაც, შესაბამისად, რადგან ითვალისწინებს, რომ შესაძლოა, გადაუხდელობას მიმე შედეგები მოჰყვეს, სხვა გამოსავალი არ რჩება, თუ არა ის, რომ რამენაირად იშოვოს თანხა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამოქალაქო კოდექსის 951-ე მუხლის თანახმად, „თამაშობა ან სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ გელა სამართლებრივად ვერ მოსთხოვს აჩიკოს თანხის გადახდას, ვინაიდან ამ შემთხვევაში კანონმდებლის მიზანი ცალსახაა: დაიცვას მოქალაქეები აზარტული თამაშებისაგან და მათ შედეგად გაკოტრებისაგან. დაუშვებელია, ქუჩაში ბანქოს თამაშისას თანხის წაგება ჩავთვალოთ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად. შესაბამისად, ნიკას მიერ აჩიკოს დავალდებულება თანხის გადახდის თაობაზე ეფუძნება ქურდული სამყაროს წესებს.



ქურდული სამყარო საშიში და რთული მოვლენაა. შეიძლება ითქვას, რომ ის განყენებული სოციუმია, რომელსაც ინდივიდუალური, განსხვავებული და ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისათვის მიუღებელი წესები აქვს. განვითარებული და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპები – თანასწორობა და კანონის უზენაესობა – ამ ფენის მიერ უარყოფილია. მისი სამოქმედო წესებისათვის დამახასიათებელი მუქარა, ძალმომრეობა და თვითნებობა იმთავითვე ეწინააღმდეგება ნებისმიერი საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დანაწესს – ვიცხოვროთ უსაფრთხო, სამართლიან და მშვიდ გარემოში. ამიტომაც ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თანამედროვე მსოფლიოსათვის. სწორედ ეს მიზანი ჰქონდა ქართველ კანონმდებელს, როდესაც ქურდული სამყაროს წევრობა მიმე დანაშაულად გამოაცხადა. ამით სახელმწიფო ცდილობს, მავნე ზეგავლენისაგან დაიცვას ახალგაზრდობა და ხელი შეუშალოს მათ ჩათრევას უკანონო და დამლუპველ საქმიანობაში. ამ გარემოში ნებით თუ უნებლიეთ მოხვედრილ არასრულწლოვნებზე არაერთი მხატვრული ნაწარმოები შექმნილა, თუმცა რეალობა ბევრად უფრო სასტიკი და მიუღებელია, ვიდრე ეს წიგნებსა თუ ეკრანებზე ჩანს. ამ სოციუმში შესვლის შემდგომ შეუქცევადი პროცესი იწყება და, სურვილის მიუხედავადაც კი, ნორმალურ ცხოვრებას, როგორც წესი, ვერავინ უბრუნდება. მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით კი, ისტორია არაერთ ახალგაზრდას იცნობს, რომელთაც ადრეულ ასაკში ფატალური შედეგით დაასრულეს სიცოცხლე.

## ცივი იარაღის ტარება

პაზუსი 49



სისხლის სამართალი

17 წლის გოგა გატაცებულია დანებით. მას სურს, შეაგროვოს სხვადასხვა ცნობილი ფირმის დანები და თავისი ჯიბის ფულით ყიდულობს ხოლმე მათ. ერთ დღესაც სკოლის ეზოში მდგარ გოგას ხელში ეჭირა „ოპინელის“ ფირმის დანა, რომელსაც თანაკლასელებს აჩვენებდა. ამ დროს იგი შეამჩნია პოლიციელმა და დააკავა.



– გოგამ ჩაიდინა დანაშაული – „ცივი იარაღის ტარება“

სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, „21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება ისჯება ჯარიმით“.



### კანონის განმარტება

ცივი იარაღის ტარება მოზარდებში საკმაოდ გავრცელებულია. მოზარდებს შორის კონფლიქტების დროს ცივი იარაღის გამოყენებას ხშირად ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის სავალალო შედეგებამდე მივყავართ. ამის გამო 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით სისხლის სამართლის წესით აიკრძალა ცივი იარაღის ტარება 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ. არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზნით ხდება ცივი იარაღის ტარება – თავდაცვის, საყოფაცხოვრებო მოხმარების, კოლექციის შეგროვებისა თუ სხვა მიზნით.

გოგამ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და მას შეიძლება დაეკისროს ჯარიმა.



### უნდა გვახსოვდეს, რომ

მოზარდებს შორის დანის ტარება ხშირად ხდება ჯანმრთელობის დაზიანებისა და ზოგჯერ სიკვდილის მიზეზი. ზოგი ფიქრობს, რომ დანის ტარება აუცილებელია საკუთარი უსაფრთხოებისა და თავდაცვისათვის.

სამართლებრივად ეს არგუმენტი ნაკლებად მყარია. დანის მატარებელი ფლობს უპირატესობას და მას გაუჭირდება ამტკიცოს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. ის რომც გამართლდეს აუცილებელი მოგერიების გამო, მაინც ვერ გადაურჩება პასუხისმგებლობას ცივი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის.

რაც შეეხება ზნეობრივ მხარეს, არც ერთ კულტურაში ჩხუბისას ცივი იარაღის გამოყენება გმირობად არ ითვლება და უფრო ადამიანის ლაჩრობაზე მიუთითებს, ვიდრე მის გაბედულებასა და სიმამაცეზე.

არც დამატებითი უსაფრთხოება არ არის არგუმენტი ცივი იარაღის სატარებლად. თუ მოწინააღმდეგემ იცის, რომ დანას ვატარებთ, ისიც მიიღებს შესაბამის ზომებს და უფრო მეტი რისკია, დაპირისპირების შემთხვევაში დადგეს სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის სავალალო შედეგი.

# ნარკოტიკული დანაშაული და ნარკომანია

## ნარკოტიკი

### კაზუსი 50

– რა არის ნარკოტიკი? არის თუ არა ნარკომანია დანაშაული?



– ნარკოტიკი არის ნივთიერება, რომელიც გავლენას ახდენს ფსიქიკურ აქტივობაზე და იწვევს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; ნარკოტიკების მოხმარება ადმინისტრაციული სამართალდაღვევაა, ხოლო განმეორების შემთხვევაში დანაშაულია.

სისხლის სამართალი

ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის მიხედვით, „ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან, გამონაკლის შემთხვევებში, ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე“.

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად კი, „ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტ წლამდე“.

კოდექსის 273-ე მუხლით, „პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.



#### კანონის განმარტება

ნარკომანია არის დაავადება, რომელიც ვითარდება ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატიური მოხმარების შედეგად და ვლინდება ნარკოტიკის მიღების დაუძლეველი ან ძნელად დასაძლევი მოთხოვნების სახით. სამეცნიერო ლიტერატურაში ის მოიხსენიება როგორც წამალდამოკიდებულება.

ექიმის დანიშნულების გარეშე მცირე ოდენობით ნარკოტიკის შენახვა ან მოხმარება ისჯება მხოლოდ ადმინისტრაციული წესით, მაგრამ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებიდან 1 წლის განმავლობაში იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ასევე დანაშაულია ნარკოტიკის დამზადება, შექმნა, შენახვა, ფლობა, გადატანა, გასაღება. კანონი განსაკუთრებით მკაცრად ნარკოტიკის გამსაღებლებს ექცევა. ნარკოტიკის დიდი ოდენობით შენახვა უვადო თავისუფლების აღკვეთითაც კი ისჯება.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ ნივთიერებათა სიას, რომელთა უკანონოდ შენახვა, მოხმარება, გადატანა ისჯება სისხლის სამართლის კანონით.



**როგორ ხდება ადამიანი ნარკომანი?**

ყველაფერი იწყება წამლის გასინჯვით – ექსპერიმენტით, რომელიც, როგორც წესი, მეგობრების რჩევით და მათთან ერთად ტარდება. ნარკოტიკისაგან მიღებული ეიფორია კი აჩენს ინტერესს – „რა დაშავდება, თუ ერთხელ კიდეგ გავსინჯავ“.

შემდგომ ეტაპზე ნარკოტიკის მიმართ ინტერესი ძლიერდება და ნარკოტიკების მიღება რეგულარულ ხასიათს იძენს. ადამიანი ნარკოტიკს მოიხმარს რეგულარულ შუალედებში (მაგალითად, შაბათ-კვირას), ან გარკვეულ გარემოებებში (როდესაც მოწყენილია, თავს მარტოხელად გრძნობს და ა. შ.), ამავე დროს, ფიქრობს, რომ აკონტროლებს ნარკოტიკის მოხმარებას და თავის თავს წამალზე დამოკიდებულად არ მიიჩნევს.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ნარკოტიკის მოხმარებელი ხდება წამალდამოკიდებული. მას უვითარდება ტოლერანტულობა წამლის მიმართ – ანუ სჭირდება უფრო მეტი დოზა, რათა მიიღოს ისეთივე სიამოვნების ეფექტი.

ბოლო ეტაპზე ნარკომანი არა მხოლოდ ფსიქიკურად არის დამოკიდებული ნარკოტიკზე, არამედ ფიზიკურადაც. მას ეწყება ნარკოტიკული შიმშილი, ე.წ. „ლომკები“, და ის ნარკოტიკს ახლა უკვე მის დასაძლევად იღებს. „ლომკის“ დროს ნარკომანს თითქმის ყველაფერზე შეუძლია წასვლა – ოღონდ იგი მოიხსნას და მზადაა, დანაშაულიც ჩაიდინოს ნარკოტიკის შესაძენად საჭირო ფულის მოსაპოვებლად.

ნარკომანია დაავადებაა. ნარკოტიკის რეგულარული მოხმარება პრობლემებს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, სულიერ განვითარებასა და პირად თუ პროფესიულ ცხოვრებას; ნარკოტიკების მოხმარება მთლიანად ცვლის პიროვნებას, მას უყალიბდება ახალი ღირებულებები და ფასე-

ულობები, რომლებიც ნარკოტიკის მოპოვებასა და მის მოხმარებას უკავშირდება.

### **უნდა იყოს თუ არა ნარკოტიკების მოხმარება დანაშაული?**

ზოგი ფიქრობს, რომ უნდა იყოს, ზოგი ფიქრობს, რომ არა, ზოგსაც ნარკოტიკების მოხმარება პირის თავისუფალი არჩევანის გამოხატულებად მიაჩნია; მეორე მხრივ, ნარკომანების დასჯა შედეგს ვერ იძლევა, თუ ნარკოტიკები კანონით იქნება დაშვებული – ეს გამოიწვევდა კონტროლის აუცილებლობას ნარკოტიკებზე, მათს ხარისხზე და ა. შ.

სხვები მიიჩნევენ, რომ ნარკოტიკების მოხმარებელთა დასჯა ამცირებს ნარკოტიკების გავრცელებას მოზარდებში, ამცირებს დანაშაულს, იცავს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და ა. შ.

ფაქტია, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს ამ საკითხთან. მაგალითად, ზოგიერთი კატეგორიის ნარკოტიკის მოხმარება დაშვებულია ნიდერლანდსა და ესპანეთში, მაგრამ აკრძალულია საფრანგეთში.

საქართველოში ნარკოტიკების მოხმარება აკრძალულია კანონით და ისჯება როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლისსამართლებრივი წესით (იხ. ზემოთ).

### **საგულისხმო ფაქტები**

სიტყვა „ნარკომანია“ მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვებიდან: „ნარკოს“ ნიშნავს ძილს და „მანია“ – მიდრეკილებას. ნარკოტიკულ საშუალებებს კაცობრიობა უძველესი დროიდან იყენებდა სხვადასხვა მიზნით, გასართობად, რელიგიური რიტუალის ჩასატარებლად, სამედიცინო დანიშნულებისათვის. თუმცა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ნარკომანია კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სენად გადაიქცა.

ნარკოტიკული საშუალების მიღება ადამიანში იწვევს ეიფორიულ მდგომარეობას, რომელიც შემდგომ თანდათან გადაიზრდება ამ ნივთიერებისადმი მიჩვევაში და ბოლოს ვითარდება აბსტინენცია ანუ ნარკოტიკული შიმშილი.

ნარკოტიკების მოხმარების სამი ყველაზე გავრცელებული მიზეზია: 1. მოწყვნილობა და ცნობისმოყვარეობა; 2. მეგობართა თავყრილობის დროს ერთდროული გამოყენება; 3. არსებული რეალობისაგან გაქცევის სურვილი.

სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა რიცხვი ყოველწლიურად სამი ათასიდან ხუთი ათასამდე მერყეობს.

გაეროს კვლევის თანახმად, განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული ნარკოტიკია კანაფი (დაახლოებით 150 მილიონი მომხმარებელი ჰყავს), მას მოსდევს ამფეტამინების ჯგუფის სტიმულატორები (დაახლოებით 30 მილიონი ადამიანი, ძირითადად, მეტამფეტამინსა და ამფეტამინს, 8 მილიონი – ექსტაზს იყენებს). 13 მილიონ ადამიანზე მეტი იყენებს კოკაინს და 15 მილიონი – ოპიატებს (ჰეროინი, მორფინი, ოპიუმი, სინთეტიკური ოპიატები), მათ შორის დაახლოებით 9 მილიონი ადამიანი იყენებს ჰეროინს.

ზოგიერთი სახის ნარკოტიკული ნივთიერება აფთიაქში ხელმისაწვდომი მედიკამენტებისა და ჩვეულებრივი ლეგალური ნივთიერებებისაგან მზადდება. მაგალითად, ასეთია ე.წ. „კრაკადილი“. მის დასამზადებლად გამოიყენება: ხელმისაწვდომ მედიკამენტებს პლუს ბენზინი, ბლომად ასანთი და მარილმჟავას სახით – „კროტი“, ანუ სპეციალური ხსნარი, რომელსაც საკანალიზაციო ჭების გასაწმენდად იყენებენ. სახლის პირობებში „კრაკადილის“ დამზადებისათვის დაახლოებით 2–3 საათია საჭირო. „კრაკადილი“-ს დასახელებული ინგრედიენტები პირდაპირ შლის ადამიანის ორგანიზმს და ალპობს მას, შესაბამისად, მისგან განკურნება შეუძლებელი ხდება.



## სუბუტექსი

კაზუსი 51



*გოგლას უბნელმა ბიჭებმა სუბუტექსი შესთავაზეს. მათ უთხრეს, რომ ეს კარგ ხასიათზე აყენებს და საზიანოც არაა. გოგლას გაგონილი ჰქონდა, რომ სუბუტექსი ნარკოტიკია და თავი შეიკავა მისი გასინჯვისგან.*



– გოგლას შესთავაზეს ნარკოტიკული ნივთიერება. მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მის მოხმარებაზე უარი განაცხადა.



### კანონის განმარტება

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ნარკოტიკული საშუალებების არა მხოლოდ რეალიზაციას ან შენახვას, ასევე მოხმარებას. თუმცა ნარკოტიკების მოხმარებელი გაცილებით უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე რეალიზატორი.

გოგლას რომ მიეღო სუბუტექსი, ის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული წესით დაისჯებოდა.



**უნდა ვიცოდეთ, რომ**

სუბუტექსი არის ნარკოტიკული მედიკამენტი, რომელსაც ექიმის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ჰეროინზე დამოკიდებული პაციენტების სამკურნალოდ იყენებენ. ძირითადად, გამოიყენება დასავლეთ ევროპაში ექიმის რეცეპტით.

სუბუტექსი შეიცავს ბუპრენორფინს, მეტადონის მსგავს სინთეტიკურ ოპიატს, რომელიც მსუბუქ ეიფორიას იწვევს. ბუპრენორფინი მიეკუთვნება ნარკოტიკულ ნივთიერებებს და საქართველოში მისი პირველადი მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ისჯება.

სუბუტექსი აბების სახით ვრცელდება. მისი მოხმარება იწვევს ნარკოტიკზე ფიზიკურ და ფსიქიკურ დამოკიდებულებას, რაც თანდათანობით ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციის მოშლას იწვევს.



**საგულისხმო ფაქტები**


სუბუტექსის მთავარი შემადგენელი ელემენტი – ბუპრენორფინი პირველად მოხმარებაში გამოჩნდა ინგლისში 1978 წელს, ამჟღავნების სახით, როგორც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი. 1982 წელს ის უკვე აბების სახით გავრცელდა. 2003 წლიდან ბუპრენორფინი ფართოდ გამოიყენება წამალდამოკიდებულ პირთა სამკურნალოდ. მისი მეშვეობით ხდება ოპიატების ჩანაცვლება, ე.წ. „ლომკის“ (დამოკიდებულების) მოხსნა.

თუმცა ის, რაც ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, თავად გახდა ნარკოტიკი. ის ძალიან სწრაფად გავრცელდა ევროპაში და ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ფინეთში, ყველაზე მნიშვნელოვანი ნარკოტიკი გახდა. მან თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ჰეროინი.

სამწუხაროდ, სუბუტექსი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკია. მისი ტრანსპორტირება საქართველოში სხვადასხვა შეფარული მეთოდით ხორციელდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მხოლოდ 2009 წელს უკანონო ბრუნვაში მყოფი 8992 აბი სუბუტექსი იქნა ამოღებული.

## ჰეროინი

კაზუსი 52



*ერთ დღეს კოტეს უზნელმა ბიჭებმა შესთავაზეს, ჰეროინი გაესინჯა. კოტემ იცოდა, რომ ჰეროინი ნარკოტიკია და უარი განუცხადა მათ.*



– კოტეს შესთავაზეს ნარკოტიკული ნივთიერება, მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც უარი განაცხადა ნარკოტიკის მოხმარებაზე.



### კანონის განმარტება

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ნარკოტიკული საშუალებების არა მხოლოდ რეალიზაციას ან შენახვას, ასევე მოხმარებას.

კოტეს რომ გაესინჯა ჰეროინი, პირველად მოხმარების გამო ის დაისჯებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ხოლო განმეორებით მოხმარებისას – სისხლისსამართლებრივი წესით.



### ნარკომანია კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სენია.

ნარკოტიკს მსოფლიოში ყოველწლიურად 200 მილიონამდე ადამიანი მოიხმარს, ხოლო მათგან 200 ათასი ყოველწლიურად იღუპება ნარკოტიკის მოხმარების გამო.



# წებოს შესუნთქვა

## კაზუსი 53

– თაზოს რამდენიმე მეგობარი ჩუმად იკრიბება სკოლის უკანა ეზოში და წებოს ისუნთქავს. თაზომ იცის, რომ ეს ჯანმრთელობისათვის ცუდია, თუმცა აინტერესებს, დასჯადია თუ არა წებოს შესუნთქვა?



– წებოს შესუნთქვა დასჯადი არ არის, მაგრამ საშიშია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.



**უნდა ვიცოდეთ, რომ,**

მართალია, წებო არ მიეკუთვნება ნარკოტიკულ ნივთიერებებს, თუმცა, ის ძალიან საშიშია ჯანმრთელობისათვის. შეიძლება, ზიანი მიაყენოს ტვინის უჯრედებს, გულს, გამოიწვიოს სმენის დაკარგვა და ნერვული სისტემის პრობლემები. ქრონიკულად შესუნთქვამ შეიძლება გამოიწვიოს დამოკიდებულება, რა შემთხვევაშიც იზრდება გადაჭარბებული დოზის მიღებისა და სიკვდილის რისკი.

მოზარდი, რომელიც წებოს შეისუნთქავს, მომავალში უფრო მეტადაა დაინტერესებული ნარკოტიკული ნივთიერების გასინჯვით.

შესაბამისად, აუცილებელია ვიცოდეთ ყველა ეს ნეგატიური შედეგი, სანამ მივბაძვთ მათ, ვინც წებოთი „კაიფობს“.



**საგულისხმო ფაქტები**


საინჰალაციო (შესასუნთქი) ნივთიერებების ბოროტად გამოყენების პირველი შემთხვევები მე-19 საუკუნის ბოლოს აღწერეს. ეს მედიცინის მუშაკების მიერ სანარკოზე ეთერის ორთქლის შესუნთქვა გახლდათ. მე-20 საუკუნის შუა ხანებში აშშ-ში, ევროპაში, შემდეგ კი ჩვენს ქვეყანაშიც მოზარდები სულ უფრო და უფრო ხშირად შეისუნთქავდნენ სხვადასხვა აიროვან ნივთიერებას: ბენზინის ორთქლს, ზოგიერთი სახის წებოს, გამხსნელებსა და მეწაღეთა კრემებს. ტოქსიკური ნივთიერებების შესუნთქვა განსაკუთრებით გავრცელებულია ქუჩის ბავშვებში, რომლებიც ქუჩაში შეგროვებული ფულით სხვადასხვა საშუალებას ყიდულობენ და ცდილობენ „იკაიფონ“.

შესუნთქული ნივთიერება სისხლის ნაკადში ძალზე სწრაფად ხვდება, პირდაპირ მოქმედებს თავისა და ზურგის ტვინზე, პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე. დროთა განმავლობაში ტოქსიკომანების ტვინში საკ-

მაოდ სერიოზული ცვლილებები ვითარდება, პატარავდება ტვინის ქერქი და ტვინის ზოგიერთი უბანი. ტოქსიკომანები ნელ-ნელა კარგავენ აზროვნების, მეხსიერების, კუნთების კოორდინებულად მოძრაობის უნარს (წყარო: <http://www.mkurnali.ge>).

## ჰაშიში

კაზუსი 54



*შალვა თავის მეგობრებთან ერთად საღამოს წვეულებაზე წავიდა. ბევრი ცეკვის შემდეგ ბიჭებმა შესთავაზეს, ჰაშიში მოეწია. შალვამ მშობლებისაგან იცოდა, რომ არ შეიძლება ჰაშიშის მოწევა. თუმცა მეგობრებმა უთხრეს, რომ ჰაშიში ნარკოტიკი არაა, იგი, უბრალოდ, კარგ ხასიათზე აყენებს ადამიანს.*



– ჰაშიში არის ნარკოტიკი და მისი მოხმარებისათვის ადამიანი ისჯება კანონით.



### კანონის განმარტება

ჰაშიში, ისევე როგორც მარიხუანა (იგივე „პლანი“), მზადდება მცენარე კანაფისაგან. ის შეტანილია ნარკოტიკული საშუალებების სიაში და მისი პირველად მოხმარება ისჯება ადმინისტრაციული, ხოლო განმეორებითი მოხმარება სისხლის სამართლის წესით.



### ზოგი ფიქრობს,

რომ ჰაშიში არ იწვევს შერყევას და არ არის ჯანმრთელობისათვის საზიანო. მას აქვს დამათრობელი ეფექტი, ქმნის მხიარულ განწყობილებას და კმაყოფილების გრძნობას, ადამიანის დადებით სტიმულებს და ა.შ.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ კანაფის „უვნებლობის“ მითი მოგონილია. მედიცინაში აღწერილია ათეულობით მავნე შედეგი, რომელთაც კანაფის მოხმარება იწვევს, კერძოდ: ის მოქმედებს ტვინზე – აზროვნებაზე, გაგების უნარზე, აბსტრაქტულ აზროვნებაზე, სწავლის შესაძლებლობაზე; მოქმედებს ფილტვებზე – იწვევს თამბაქოს მწვეველთათვის დამახასიათებელ უამრავ მავნე ეფექტს: ბრონქიტს, ფარინგიტს, სინუსიტს; იგი ხელს უწყობს ზედა სასუნთქი გზებისა და არხების დაავადებებს; მოქმედებს გულზე – იწვევს გაძლიერებულ გულისცემას, პულსის გახშირებას და სისხლის წნევის მომატებას. განსაკუთრებით მავნებელია ის ადამიანებისათვის, რომელთაც სწავლით გული აქვთ; ასევე აქვს ნევროფსიქოლოგიური ეფექტები, როგორებიცაა: აპათია, ჰალუცინაციები, მოტივაციის ნაკლებობა, საკუთარი თავის აღქმის უნარის დაქვეითება და სხვ. არასწორია ასევე ის შეხედულება, თითქოს ის არ იწვევს შეჩვევას. კანაფს აქვს დამატრობელი ეფექტი, ეიფორია, რომელიც უკვე თავისთავად, ფიზიკური მოთხოვნილებებისა თუ აბსტინენციის გარეშე, არ შეიძლება მოზარდისათვის მიმზიდველი არ გახდეს და ჩვევაში არ გადაიზარდოს. დროთა განმავლობაში გრძლად გაბოლების, დამშვიდების, მხიარულ ხასიათზე დადგომის ყოველდღიური მოთხოვნილება ვითარდება და თავს იჩენს ფსიქიკური დამოკიდებულება.



**საგულისხმო ფაქტები**

მარიხუანასა და ჰაშიშს „მსუბუქ ნარკოტიკებს“ უწოდებენ და ისინი ყველაზე მეტად გავრცელებული მცენარეული წარმოშობის ნარკოტიკული ნივთიერებებია. ორივე მიიღება საკმაოდ მრავალდანიშნულებიანი ბალახეული მცენარისაგან, რომელიც კანაფის სახელითაა ცნობილი. სიტყვა „მარიხუანა“ მექსიკური ესპანურიდან გავრცელდა, „ჰაშიში“ კი არაბულიდან. მარიხუანა მდებრი კანაფის კვირტებია, ხოლო ჰაშიში კანაფის ყვავილის მტვრის, ზეთისა და ცვილის ნარევი. ორივე მათგანი, ძირითადად, ინჰალაციის მეშვეობით გამოიყენება და მათ ურთიერთმსგავსი როგორც ფსიქოაქტიური, ასევე გამაბრუებელი ზემოქმედება აქვთ.

თავდაპირველად კანაფის ნარკოტიკული თვისებები რიტუალური და სამედიცინო დანიშნულებით გამოიყენებოდა, რაც ძველ ინდოეთსა და ჩინეთში უკვე ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულიდან დასტურდება. მას, უპირველეს ყოვლისა, გამაყუჩებელ და საძილე საშუალებად იყენებდნენ, თუმცა, როგორც შორეულ აღმოსავლეთში, ასევე კოლუმბამდელ ამერიკაში, კანაფის სხვა მრავალი სამკურნალო თვისებაც იყო ცნობილი. ევროპაში კანაფის ფართოდ გავრცელება და მისი აღმოსავლეთიდან ექსპორტი ჯვაროსნულ ომებს უკავშირდება. XIX საუკუნის ევროპაში ჰაშიშის გამოყენება ფსიქიატრებმა დაიწყეს:



როგორც აფროდიზიაკი და მსუბუქი ჰალუცინოგენი, ფსიქიატრებს ფსიქიკურ დარღვევათა მთელი რიგის ექსპერიმენტულ შესწავლაში ეხმარებოდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ნარკოტიკები მთელ მსოფლიოში იმდენად გავრცელდა, რომ 1925 წელს ჟენევაში მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებით, რომელიც, ძირითადად, ოპიატების (ჰეროინი, მორფიუმი) აკრძალვისაკენ იყო მიმართული, მარიხუანა და ჰაშიშიც ნარკოტიკულ ნივთიერებებად შეირაცხა და აიკრძალა.

დღეისათვის კანაფი მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში კანონით აკრძალულია. დროდადრო ისმის არგუმენტები კანაფის ლეგალიზაციის სასარგებლოდ. კანაფის ლეგალიზაციას საქართველოშიც ჰყავს მომხრეები. თუმცა, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, ის საქართველოშიც კანონით აკრძალულია და მისი მოხმარება ისჯება ჯერ ადმინისტრაციული, შემდეგ სისხლისსამართლებრივი წესით (წყარო: <http://www.radiotavisupleba.ge>).

# ამფეტამინის ტაბლეტები

## კაზუსი 55

*გუგა თავის მეგობრებთან ერთად იყო დისკოთეკაზე, როცა ვიღაც უცხო ადამიანი მიუახლოვდა და შესთავაზა, ეყიდა ამფეტამინის ტაბლეტები. იგი გუგას არწმუნებდა, რომ აბები კარგ ხასიათზე დააყენებდა, მათი მიღება კი უსაფრთხო იყო ჯანმრთელობისათვის. გუგამ თავი შეიკავა მისი ყიდვისაგან. სწორად მოიქცა იგი?*



– ამფეტამინი არის ნარკოტიკული საშუალება და მისი მიღებისათვის პირი ისჯება კანონით. გუგა სწორად მოიქცა, როდესაც თავი შეიკავა ტაბლეტების ყიდვისაგან.



### კანონის განმარტება

ამფეტამინი არის სინთეტიკური ნივთიერება, რომლის ქიმიური გადაშენების შედეგად მიიღება ფერადი ფხვნილი ან აბები. ამფეტამინი ნარკოტიკული საშუალებაა და მისი პირველად მიღება ისჯება ადმინისტრაციული, ხოლო განმეორებით მიღება სისხლისსამართლებრივი წესით.



### უნდა ვიცოდეთ, რომ

ამფეტამინის რეგულარულად მიღება იწვევს წამალდამოკიდებულებას, რისგანაც თავის დაღწევა უკიდურესად ძნელია. მაშასადამე, ამფეტამინიც არის ერთ-ერთი დერეფანი იმ შავი სამყაროსაკენ, რომელიც წუთიერი სიამოვნების საფასურად განადგურებას უქადის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.



### საგულისხმო ფაქტები

ნარკოლოგთა ინფორმაციით, ამფეტამინი სტიმულატორულ ნარკოტიკს განეკუთვნება, რომელიც პირველად 200 წლის წინ იქნა სინთეზირებული. ეს არის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი ძლიერი საშუალება, რომელიც ადამიანს ძალით ადავსებს და უშიშარს ხდის. იგი 1777 წელს აღმოაჩინა გერმანელმა ქიმიკოსმა. გასული საუკუნის 30-იან წლებში თავისუფლად იყიდებოდა როგორც მასტიმულირებელი საშუალება. მეორე მსოფლიო ომში ჯარისკაცები სვამდნენ ამფეტამინს, რათა არ ჩასძინებოდათ. დღეს ეს ნივთიერება საერთაშორისო კონტროლს ექვემდებარება.

ამფეტამინის ზემოქმედება წინასწარ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს, თუ მცირე რაოდენობით იქნება მიღებული. დიდმა დოზამ შეიძლება მოულოდნელი არასასიამოვნო რეაქცია გამოიწვიოს. მიღე-

თსხლის სამართალი

ბიდან 20-30 წუთში მთელ ორგანიზმს ედება პირველი ტალღა, ადამიანი გრძნობს ძალის მოზღვავებას, სიფხიზლეს და საკუთარ თავში დარწმუნებულობას. ადამიანს ჰგონია, რომ ყველა და ყველაფერი აჩქარებულია, ხშირად პიროვნება საათობით აღზნებულია და შეუძლია, შეუჩერებლად ივარჯიშოს, იცეკვოს და ასე შემდეგ. ამფეტამინი მაღლა სწევს სხეულის ტემპერატურას. არსებობს სწრაფად გადახურების საფრთხეც. ეს საფრთხე კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, თუ ამფეტამინს ალკოჰოლს ან ექსტაზს დაამატებენ. ამფეტამინის სისტემატიურად მიღების შემდეგ არსებობს ფსიქიკური დამოკიდებულების გაჩენის საფრთხე. ერთადერთი საშუალება, რომ ადამიანმა თავი დააღწიოს ამფეტამინის მიღებისაგან გამოწვეულ დეპრესიასა და დაღლილობას, ისევე ამ ნივთიერების დამატებაა. თუ ასეთი სიმპტომები რამდენიმე დღეს გაგრძელდა, მაშინ ადამიანი სრულიად ნადგურდება, ხდება ნერვული, უჩნდება ფსიქიკურად დაავადებულის ნიშნები.

ამფეტამინი ზოგ ქვეყანაში მთლიანად აკრძალულია, ხოლო ზოგან მისი კანონიერი მოპოვება შეიძლება ექიმის დანიშნულებით. საქართველოში ამფეტამინი შეტანილია აკრძალულ ნარკოტიკთა სიაში (წყარო: <http://www.medportal.ge>).

## კოფეინი



**15 წლის მარის ძალიან უყვარს ყავის დალევა. თუმცა მეგობარმა უთხრა, რომ ყავა არის ნარკოტიკი. მარი დაფიქრდა: მართლა არ შეიძლება ყავის დალევა?!**



– ყავა შეიცავს კოფეინს, რომელიც, სამართლებრივი გაგებით, ნარკოტიკების ჯგუფს არ განეკუთვნება. შესაბამისად, კოფეინი არ არის აკრძალული.



### **გახსოვდეთ,**

კანონი ნარკოტიკებთან მიმართებით ძალიან მკაცრია. თვით პასიური შენახვაც კი კანონში ჩამოთვლილი კონკრეტული ნარკოტიკული საშუალებებისა დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული. რა განაპირობებს ასეთ მკაცრ მიდგომას? – ამ ტიპის ნივთიერებების მავნე ზეგავლენა ადამიანზე და მათთან შეჩვევის თვისება. თითქმის ასეთსავე მიდგომას ავითარებს კანონმდებელი ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ და მოტივაციაც მსგავსია. როგორც ნარკოტიკული, ისე ფსიქოტროპული ნივთიერებები ადამიანს საღ აზრს აკარგვინებს და მის დეგრადირებას იწვევს. რაც შეეხება ყავას, ის ზემოთ მოხსენიებულ ნივთიერებებთან შედარებით

უვნებელია. თუმცა მეცნიერები გარკვეული დოზით მის უარყოფით თვისებებზეც საუბრობენ: ის კოფეინის შემცველი მცენარეა, ეს უკანასკნელი კი ნერვული სისტემის მცირე დოზით სტიმულატორად გვევლინება. აქედან გამომდინარე, ყავის გადამეტებული რაოდენობით მიღება კოფეინზე დამოკიდებულებას – კოფეინიზმს იწვევს. კოფეინის მიღების შედეგად იზრდება გულის ცემა, რაც ზრდის სისხლის წნევას, თუმცა 3-6 საათის შემდეგ კოფეინის მოქმედება მთავრდება, რაც იწვევს დაღლილობას, დაქვეითებულ შრომისუნარიანობას და სხვ.

### საგულისხმო ფაქტები

კოფეინს შეიცავს ისეთი მცენარეები, როგორებიცაა: ყავის ხე, ჩაი, მატე, გუარანა, კოლა და სხვ. გარდა კოფეინის შემცველობისა, ჩაისა და ყავას შორის განსხვავება ამ კოფეინის ზემოქმედების სისწრაფეშია. ყავის კოფეინი მომენტალური ზემოქმედებით ხასიათდება, თუმცა ის ასევე სწრაფად გამოიდევენება ორგანიზმიდან. ჩაიში შემავალი კოფეინის მოქმედება კი უფრო ნელი და ხანგრძლივია, რაც ჩაიში შემავალი ტანინებით არის განპირობებული. ამიტომ ყავა სწრაფად და შედარებით მოკლე პერიოდით გაფხიზლებთ, ჩაი კი უფრო რბილ, თუმცა უფრო ხანგრძლივ და სტაბილურ ეფექტს იძლევა. კოფეინი არ არის უვნებელი ნივთიერება! 10 გ კოფეინი ადამიანისთვის სასიკვდილო დოზაა. ამიტომ მის შემცველ ყველა სასმელთან მიმართებით უნდა დავიცვათ ზომიერება. ადამიანისთვის უვნებელ დოზად 150 მგ კოფეინი მიიჩნევა. ერთი ჭიქა ჩაი დაახლოებით 50 მგ კოფეინს შეიცავს, ერთი ჭიქა ყავა კი ორჯერ მეტს. საბედნიეროდ, კოფეინი ორგანიზმიდან მალე გამოიდევენება, ამიტომ დასაშვებია დღეში 3-4 ჭიქამდე ყავის და 6 ჭიქამდე ჩაის დალევა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს რაოდენობა ერთდროულად არ უნდა დავლიოთ! (სასურველია, ჭიქებს შორის 3-4-საათიანი ინტერვალი მაინც დავიცვათ).

2008 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტ ყავას მოიხმარენ ფინეთში, ამ მონაცემებით, საქართველოს 68-ე ადგილი უჭირავს, ხოლო ყველაზე ნაკლებად ამ მცენარეს პურტო-რიკოში იყენებენ.



<http://www.ico.org> – ყავის საერთაშორისო ორგანიზაცია.

# დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ

## ძეგლების შეურაცხყოფა



*გიამ და მისმა მეგობარმა გართობა გადაწყვიტეს. სახლის სარდაფში იპოვეს ცისფერი საღებავი, რომლითაც გააკეთეს წარწერები მეზობელ შენობებზე, ხოლო შემდგომ საღებავით აკაკი წერეთლის ძეგლიც შეღებეს.*



– კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაზიანება დანაშაულია და ისჯება კანონით.

სისხლის სამართლის კოდექსის 259<sup>2</sup>-ე მუხლის მიხედვით, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება ან განადგურება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

**კანონის განმარტება**

საქართველოს აქვს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს იცავს კანონი. არა მხოლოდ აკრძალულია ძეგლის დაზიანება ან ანადგურება, არამედ მის ირგვლივ, დადგენილ პერიმეტრზე, ისეთი საქმიანობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმასა თუ გამოყენებას.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შესაბამისი სტატუსი მიენიჭებათ მინისტრის ბრძანებით.


წარმოდგენილი კაზუსის მიხედვით, თუ დავუშვებთ, რომ კონკრეტული ძეგლი შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში, მაშინ მისი განზრახ დაზიანება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

**უნდა ვიცოდეთ, რომ**

საქართველო გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის სიმდიდრით, რომელსაც მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. სხვადასხვა დროის კულტურული ძეგლები ქმნიან საქართველოს ისტორიის ცოცხალ სურათს. ის, ვინც კულტურის ძეგლს ანადგურებს, ნებით თუ უნებლიეთ ანადგურებს ერის ისტორიას, კულტურასა და მის წარსულს. ამიტომ კულტურის ძეგლის დაზიანება მკაცრად ისჯება კანონით.

## ძეგლების დაზიანება

პაზუსი 58



*კლასის დამრიგებელმა თავისი სადამრიგებლო კლასი ჯვრის მონასტერში ექსკურსიაზე წაიყვანა. მოსწავლეებმა – კოსტამ და ზურიკამ – ეკლესიის კედელზე ამოკაწრეს წარწერა: „კოსტა + ელენე = შეყვარებულეებს“.*



–კოსტამ და ზურიკამ ჩაიდინეს დანაშაული – დააზიანეს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლი.

სისხლის სამართლის კოდექსის 259<sup>2</sup>-ე მუხლის მიხედვით, „ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განადგურება, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის დაზიანება ან განადგურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე“.



### კანონის განმარტება

საქართველო გამოირჩევა უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობით. საქართველოს ყოველი კუთხე მდიდარია კულტურული თუ ეროვნული მნიშვნელობის მქონე ძეგლებით. მათზე ზრუნვა და მათი გაფრთხილება როგორც სახელმწიფოს, ასევე თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა.



ყველა კულტურული და ეროვნული მნიშვნელობის მქონე ძეგლი აღწერილი და დაცულია. ძეგლს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ენიჭება მინისტრის ბრძანებით, ხოლო ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი – პრეზიდენტის განკარგულებით.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შესაბამისი სტატუსი ენიჭებათ მათი სიძველის, უნიკალურობის ან ავთენტურობის გამო, ხოლო ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებს მათი მხატვრული ან ესთეტიკური ღირებულების გამო, ან, თუ ისინი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, პიროვნებასთან, ერის განვითარების ეტაპსა და გამორჩეულ ზოგად ეროვნულ ღირებულებებთან.

რაც შეეხება მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს, მათ სტატუსს ანიჭებს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO).

მცხეთის ჯვრის მონასტერი შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ამიტომ მისი დაზიანება ან განადგურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან რვა წლამდე.



#### **ყველა ჩვენგანის ვალია**

კულტურის ძეგლების გაფრთხილება. საქართველოს კულტურის ძეგლებმა მრავალ ჟამთასვლას და მრავალ ისტორიულ ქარტეხილს გაუძლეს. საქართველოში შემოსული მტერი ყოველთვის ცდილობდა, გაენადგურებინა ერის კულტურა და მისი სულიერება, რაც ერის დაპყრობისა და დამორჩილების საშუალებას მისცემდა.

ქართული კულტურის ძეგლები ასევე მსოფლიო კულტურის ნაწილს შეადგენენ. მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორია დღეს უცხოელ ხელოვანთა, ისტორიკოსთა და ტურისტთა აღფრთოვანებას იწვევს. რამდენიმე მათგანი შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ვინც კულტურის ძეგლს აზიანებს, მან ან არ იცის ამ ძეგლის მნიშვნელობა, ან იცის და სწორედ ამიტომ უნდა მისი განადგურება. ნებისმიერ შემთხვევაში, კულტურის ძეგლის განადგურება არის დანაშაული და მკაცრად ისჯება კანონით.



#### **საგულისხმო ფაქტები**

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია – იუნესკო (UNESCO – United Nations Educational, Scientific and Cultural Organization) 1945 წლის 16 ნოემბერს დაარსდა. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში. ამ ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარებას მთელ მსოფლიოში.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სია აერთიანებს მხოლოდ ისეთ ობიექტებს, რომლებსაც უნივერსალური მნიშვნელობა აქვთ ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით. დღეისათვის ამ სიაში 981 ობიექტია შეტანილი, რომელთაგან ხუთი საქართველოს ტერიტორიაზეა, ესენია: სვეტიცხოველი, მცხეთის ჯვარი, ზაგრატი, გელათი, ჩაქაშის ციხესიმაგრე სვანეთში.



<http://en.unesco.org/>

# დანაშაული სახელმწიფოსა და მმართველობის წესის წინააღმდეგ

## ბოროტი ხუმრობა

სისხლის სამართალი



*მე-9 კლასელმა ბექამ, ბაქარმა და ბუბამ გართობა გადაწყვიტეს, მათ 2 მაისს დაამზადეს ვიდეოკლიპი, სადაც ნაჩვენებია იყო, თუ როგორ დაესხმებოდნენ ტერორისტები 26 მაისის სამხედრო აღლუმს და ააფეთქებდნენ ბომბს. მათ ეს ვიდეოკლიპი „Youtube“-ზე ატვირტეს. იმის გამო, რომ ვიდეო რეალურს ჰგავდა, ჩაიშალა სამხედრო აღლუმი. რამდენიმე თვის შემდეგ კი გამოძიებამ ბექა, ბაქარი და ბუბა დააკავა.*



– არასრულწლოვნებმა, წინასწარი შეთანხმებით, ჩაიდინეს დანაშაული – ტერორიზმის ცრუ შეტყობინება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლით „ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე“.



**კანონის განმარტება**

ცრუ შეტყობინება გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ იცის ტერორიზმის საფრთხის არარეალურობის შესახებ და მაინც ატყობინებს შესაბამის ორგანოებს. დამნაშავეს შესაძლოა, სხვადასხვა მიზანი ამოძრავებდეს: მას სურდეს მოსახლეობის შეშინება, სასწავლო პროცესის ჩაშლა, ან, უბრალოდ, გართობა, მაგრამ კანონისათვის არ აქვს მნიშვნელობა მიზანს – დამნაშავე ყველა შემთხვევაში ისჯება.



**ყველასთვის ცნობილია,**

რომ ტერორიზმი ჩვენი საუკუნის ყველაზე საშიში დანაშაულია. ალბათ, ბევრჯერ გვსმენია ტერორისტული აქტების შესახებ, რომლებსაც პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა კრიმინალური ორგანიზაცია. რაც უფრო ვითარდება თანამედროვე ტექნოლოგიები, ტერორისტული აქტები უფრო მასშტაბურ და ფატალურ ხასიათს იძენს. გავიხსენოთ, თუნდაც, ცნობილი 11 სექტემბრის ტერაქტი, რომლის დროსაც ცხრამეტმა თვითმკვლელმა ტერორისტმა იმსხვერპლა სამი ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე.

როდესაც რეალურად არსებობს ტერორიზმის საფრთხე, ნებისმიერმა სიგნალმა ან შეტყობინებამ შეიძლება ადამიანების სიცოცხლე გადაარჩინოს, მაგრამ, ამავე დროს, ტერორიზმის ცრუ შეტყობინება იწვევს პანიკას, უწყესრიგობას, დაგეგმილი ღონისძიებების შეფერხებას. გარდა ამისა, უსაფრთხოების სამსახურები ვალდებულნი არიან, განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებებისა ტერორისტული აქტის აღსაკვეთად – მოსახლეობის ევაკუაცია, ბომბის მოძიება.

ამავე დროს, თუ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებები ფართოდ გავრცელდა, საზოგადოება უკვე სერიოზულად ვეღარ აღიქვამს ტერორიზმის საფრთხეს, ანუ, თუ საფრთხე მართლაც იარსებებს, მას უკვე ყურადღებას აღარავინ მიაქცევს.

სწორედ ამიტომ კანონი მკაცრად სჯის ტერორიზმის შესახებ ცრუ შემტყობინებელს.



**საგულისხმო ფაქტები**


ალბათ, ყველას გვახსოვს, რომ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებებმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო 2013 წლის სექტემბერში – კერძოდ, 2013 წლის 12 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით საქართველოში ცრუ შეტყობინების 16 შემთხვევა დაფიქსირდა. შეტყობინების ავტორები მიუთითებდნენ ბომბის არსებობის შესახებ პარლამენტში, სკოლებში, ტელევიზიებში.

16-ივე შემთხვევა გაიხსნა და დადგინდა ცრუ შეტყობინების ავტორები, რომელთაგან 12 არასრულწლოვანი იყო.

ამის შედეგად, 2013 წლის სექტემბერში პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც გაამკაცრა პასუხისმგებლობა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებისათვის. კერძოდ, თუ მანამდე ბექას, ბაქარისა და ბუბას ქმედება ისჯებოდა სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ კანონი ხუთიდან შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## ცრუ განგაში

კაზუსი 60



– რა ჯობია მზიან ამინდში გარეთ სეირნობას, მოდი, გავაცდინოთ გაკვეთილები – მოილაპარაკეს ერთ დღეს ნათიამ და მისმა მეგობრებმა, თუმცა, ვინაიდან მათ არ სურდათ, ჟურნალში დაფიქსირებულიყო გაკვეთილების გაცდენა, გადაწყვიტეს, ჩაეშალათ სასწავლო პროცესი. გოგონებმა ქუჩის ტელეფონიდან დაურეკეს სკოლის ადმინისტრაციას და უთხრეს, რომ სკოლაში ბომბია. სკოლაში სასწავლო პროცესი მართლაც ჩაიშალა, რადგან პოლიცია მივიდა შენობის შესამოწმებლად.



– ნათიამ და მისმა მეგობრებმა ჩაიდინეს დანაშაული – „ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ“, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მათ მიერ ჩადენილი ქმედებისათვის ადამიანი ისჯება.

სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე“.

**კანონის განმარტება**

ნათიას და მისი მეგობრების მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება უწყინარ ხუმრობად მოგვეჩვენოს, სინამდვილეში არის მძიმე დანაშაული – „ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება“.

**უნდა ვიცოდეთ, რომ**

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება სულ უფრო მეტად ორგანიზებულია, ვიდრე ოდესმე და უფრო და უფრო მეტად არის დამოკიდებული სხვადასხვა ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებაზე (ავიღოთ, თუნდაც, საზოგადოებრივი ტრანსპორტი). შესაბამისად, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებამ შეიძლება გამოიწვიოს სრული დეზორგანიზაცია, პანიკა, არეულობა და მსხვერპლიც. ამდენად, უნდა ვიცოდეთ, რომ ბომბის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინება არ არის „უწყინარი ხუმრობა“, – მას შეუძლია, მძიმე შედეგი გამოიწვიოს და დასჯადია სისხლის სამართლის წესით.

**საგულისხმო ფაქტები**

ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა. მიმდინარე წლის განმავლობაში ჩინეთში ტერორიზმის შესახებ 80 ცრუ შეტყობინება დაფიქსირდა, რამაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ორგანიზაციებისა და აეროპორტების სერიოზული შეფერხება გამოიწვია. მათი უმრავლესობა ჩადენილი იყო პირადი მოტივით, მაგალითად, ერთ შემთხვევაში, შეყვარებულმა თვითმფრინავში ბომბის არსებობის შესახებ შეტყობინება გაგზავნა აეროპორტში შეყვარებულის გაფრენის შესაფერხებლად. ამის გამო ჩინეთმა პასუხისმგებლობა გაამკაცრა 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთითა და მიყენებული ზიანის ოდენობის მიხედვით.

ბომბის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინებისათვის პირი განსაკუთრებით მკაცრად ისჯება მასაჩუსეტსის შტატში, სადაც 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და 50 000 დოლარის ჯარიმაც კი არის გათვალისწინებული.

## დოკუმენტის გაყალბება

კაზუსი 61



ერთ დღესაც 16 წლის გიგას დაუზარა სკოლაში წასვლა. ამ დღეს კლასი ექსკურსიაზე მიდიოდა მუზეუმში და მან იფიქრა, რომ მაინც ვერაფერს შეიტყობდა. თუმცა კლასის დამრიგებელმა მაინც გაიგო, რომ გიგამ გაკვეთილები და ექსკურსია გააცდინა და მოსთხოვა მშობლის წერილობითი ახსნა-განმარტება. გიგამ თვითონვე შეადგინა ახსნა-განმარტება და მამის ნაცვლად მიმსგავსებით მოაწერა ხელი დოკუმენტს. მასწავლებელმა მოგვიანებით სახლში დარეკა და გაცდენის მიზეზი იკითხა.



– გიგას მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული, თუმცა მას შეიძლება დაეკისროს სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მიხედვით, „ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება ან გამოყენება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.



**კანონის განმარტება**

დოკუმენტი არის წერილობითი საბუთი, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ უფლებას ან იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს.

სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს მრავალ სხვადასხვა მუხლს, სადაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისათვის. სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით იკრძალება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შექმნა, შენახვა ან გამოყენება.

თუმცა, ვინაიდან გიგას მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება არ არის ოფიციალური დოკუმენტი, მას ვერ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

გიგამ შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესის დარღვევისათვის და დაეკისროს ერთ-ერთი შემდეგი სახის პასუხისმგებლობა: გაფრთხილება, საჯაროდ ბოდიშის მოხდა, საყვედური, სასტიკი საყვედური ან სკოლიდან გარიცხვა.

**გახსოვდეთ,**

რომ ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ძალიან ხშირად შეხება გვიწევს ბევრ სხვადასხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტთან, როგორებიცაა, მაგალითად: პასპორტი, პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, დიპლომი და სხვ. სწორედ დოკუმენტების მეშვეობით ვამყარებთ ურთიერთობას სხვადასხვა ორგანოსთან, მოვიპოვებთ ამა თუ იმ უფლებას და სხვ. მაგალითად, მართვის მოწმობა ჩვენ გვამძლევს ავტომანქანის ტარების უფლებას, ზოგადი განათლების ატესტატი გვამძლევს უფლებას, ჩავაბაროთ უმაღლეს სასწავლებელში და ა.შ.

დოკუმენტი შეიცავს მრავალ მონაცემს, რომელთა სისწორესა და სიზუსტეს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ცხოვრებისათვის, ასევე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის.

მაგალითად, თუ ჩვენს პირადობის მოწმობაში ჩვენი სახელი, გვარი ან დაბადების თარიღი არასწორად წერია, ეს ჩვენ გვიქმნის უამრავ პრობლემას მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მოზარდებს ზოგჯერ არასერიოზული დამოკიდებულება აქვთ ოფიციალურ დოკუმენტებთან და ფიქრობენ, რომ დოკუმენტის განადგურება, დაზიანება თუ გაყალბება დიდი ტრაგედია არ არის. უნდა ვიცოდეთ, რომ დოკუმენტებთან „თამაში“ საფრთხილოა და ზოგ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი წესითაც ისჯება.

# განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა

## კაზუსი 62

*ნათიამ შემთხვევით გაიგო, თუ როგორ გეგმავდა ორი ახალგაზრდა შეიარაღებულ თავდასხმას სავაჭრო ცენტრზე. მან დიდხანს იფიქრა, შეეტყობინებინა თუ არა პოლიციისათვის და მოგვიანებით გადაიფიქრა, რადგან „საქმეში გარევა“ არ სურდა.*



– ნათიამ ჩაიდინა დანაშაული – დანაშაულის შეუტყობინებლობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მიხედვით, „დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე“.



### კანონის განმარტება

დანაშაულთან ბრძოლა სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა, მაგრამ თუ მათ ამ ბრძოლაში ჩვენც არ დავეხმარეთ, ის ვერ იქნება წარმატებული. სამართალდამცავი ორგანოების დახმარება ხშირად არა მხოლოდ მორალური, არამედ სამართლებრივი ვალდებულებაცაა. ამიტომ, თუ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და არ შევატყობინებთ შესაბამის ორგანოებს, ჩვენი უმოქმედობაც დანაშაულია.

წარმოდგენილ შემთხვევაში, მზადდება შეიარაღებული თავდასხმა სავაჭრო ცენტრზე, რაც არის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. შესაბამისად, ნათიამ თავისი უმოქმედობით ჩაიდინა დანაშაული „დანაშაულის შეუტყობინებლობის სახით“.



### ზოგს მიაჩნია,


რომ დანაშაულის შეტყობინება პოლიციისათვის, ანუ იგივე „ჩაშვება“, არასწორი და „არაკაცური“ საქციელია. დანაშაულის შეტყობინება, როდესაც ის ჯერ კიდევ მომზადების ან მცდელობის სტადიაშია, თავიდან

გვაცილებს იმ მძიმე შედეგს, რაც შეიძლება დანაშაულმა გამოიწვიოს (ადამიანის დაღუპვას, ჯანმრთელობის დაზიანებას, ქონების განადგურებას და ა.შ); მეორე მხრივ, აუცილებელია, უკვე ჩადენილი დანაშაული გაიხსნას და დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ მოიშლის თავის ჩვევას და ცოტა ხანში „ჩვენც მოგვიკაკუნებს“. ამიტომ საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობა აუცილებელია დანაშაულის თავიდან აცილებისა და წესრიგის დასაცავად.

## არასრულწლოვნის დანაშაული

### არასრულწლოვნის ბრალდებულად ცნობა

კაზუსი 63



*არასრულწლოვანმა მახომ და მისმა მეგობარმა ნიკამ გართობა გადაწყვიტეს: რა ჯობია ზამთარში სამარშრუტო ტაქსებისათვის თოვლის გუნდების სროლას?! ნიკამ თოვლის გუნდაში ჩუმად ქვა ჩადო და მახოს მიაწოდა... მახოს გასროლილმა გუნდამ სამარშრუტო ტაქსის წინა საქარე მინა ჩაამსხვრია. ნიკა ადგილზევე დაიჭირეს, მახომ კი გაქცევა მოასწრო. შეშინებულმა მახომ სახლში არაფერი თქვა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მასთან სახლში მივიდა უზნის ინსპექტორი, რომელმაც მახოს მშობლებს გადასცა უწყება მახოს დაკითხვაზე დაბარების თაობაზე. დაკითხვაზე მისული მახო პროკურორმა ბრალდებულად ცნო. რა უფლებები აქვს მას?*



– მახომ ჩაიდინა დანაშაული – სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. პროკურორმა ის ბრალდებულად ცნო.

ბრალდებულს აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული მრავალი უფლება, მათ შორის: დუმილის უფლება, ადვოკატის ყოლის, გამოძიების ჩატარების, მტკიცებულების წარდგენის, მტკიცებულებათა გაცნობის უფლება და ა.შ..

არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოძახება, თუ ეს შესაძლებელია, უნდა განხორციელდეს მისი მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან იმ დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით, სადაც არასრულწლოვანი ბრალდებული ცხოვრობს.

არასრულწლოვნის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის დასწრებით.

თუ ბრალდებული არასრულწლოვანია, სავალდებულოა, მას ჰყავდეს ადვოკატი. თუ არასრულწლოვანს ადვოკატი არ ჰყავს, იგი ენიშნება სახელმწიფოს ხარჯზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლით, „ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, რომელი დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, ასევე ეცნობოს, რომ მას აქვს დუმილის უფლება, კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების, ადვოკატის უფლება, უფასო სამედიცინო შემოწმების უფლება“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლით, „არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოძახება, თუ ეს შესაძლებელია, უნდა განხორციელდეს მისი მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან იმ დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით, სადაც არასრულწლოვანი ბრალდებული ცხოვრობს“.

ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლით, „თუ ბრალდებული არასრულწლოვანია, მას სავალდებულოდ უნდა ჰყავდეს ადვოკატი“.



### კანონის განმარტება

მახომ ჩაიდინა დანაშაული – სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. მას არ სურდა მანქანის მინის გატეხა, თუმცა, უნდა გაეთვალისწინებინა, რომ გატყდებოდა და შეეძლო კიდეც ამის გათვალისწინება.

როდესაც საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, თუ შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა დანაშაული ჩაიდინა, პროკურორი გამოიტანს დადგენილებას პირის ბრალდებულად ცნობის თაობაზე და პირს წარუდგენს ბრალს. ბრალდებულად ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ბრალდებულისთვისაც, ვინაიდან მას უჩნდება ბევრი ისეთი უფლება, რაც არ აქვს მოწმეს, მაგა-

ლითად: დუმილის, მტკიცებულებების გაცნობის, შუამდგომლობის დაყენების უფლება და ა.შ.

როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია, მას აქვს სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები. მაგალითად, სავალდებულოა, რომ მას ჰყავდეს ადვოკატი, მის დაკითხვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ფსიქოლოგი ან კანონიერი წარმომადგენელი და ა. შ.



### განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული სახელმწიფოს მხრიდან. ვინაიდან ადრეულ ასაკში პიროვნების ღირებულებები ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, სახელმწიფომ უნდა შეარჩიოს ზემოქმედების ის ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის გამოსწორებას, საზოგადოების ღირსეულ წევრად მის ჩამოყალიბებას და არ უზიძვებს მას საბოლოოდ დამნაშავეთა სამყაროსაკენ. ამიტომ, როგორც საერთაშორისო სტანდარტები (მაგალითად, 1989 წლის გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მიმართული უნდა იყოს მისი გამოსწორებისაკენ, პატიმრობა უნდა იყოს გამოყენებული როგორც უკიდურესი ღონისძიება.

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ წესებს არასრულწლოვანთა საქმეების წარმოებისას. მაგალითად, არასრულწლოვანი, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან და დაეკისროს აღმზრდელითი ღონისძიება (გაფრთხილება, ქცევის შეზღუდვა, სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსება და ა.შ.). არასრულწლოვნის საქმის წარმოების უფლება აქვს მხოლოდ იმ გამომძიებელს, მოსამართლესა და პროკურორს, რომელთაც სპეციალური მომზადება გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში; არასრულწლოვნის საქმის განხილვა ტარდება დახურულად, საზოგადოების დასწრების გარეშე; არასრულწლოვანს არ შეიძლება სასჯელის სახით შეეფარდოს სამუდამო პატიმრობა, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულისა და ა.შ.



### საგულისხმო ფაქტები.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ყოველწლიურად დანაშაულს 500-იდან 1000-ამდე არასრულწლოვანი ჩადის, რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 3-4%-ს შეადგენს. აქედან ყველაზე გავრცელებული დანაშაულია ქურდობა ან ცივი იარაღის ტარება. დღეისათვის საქართველოს ციხეებში სასჯელს იხდის 55 არასრულწლოვანი

## მცირეწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

პარაგრაფი 64



სისხლის სამართალი

13 წლის გუჯას ძალიან უყვარს ეზოში ფეხბურთის თამაში, თუმცა მეზობელი უშლის, ვინაიდან ვერ იტანს ხმაურს. ერთ დღესაც მეზობელი დაემუქრა გუჯას ბურთის დაჭრით, თუ არ შეწყვეტდა თამაშს, გუჯა კი გაბრაზდა და მეზობლის ავტომობილი ლურსმნით დაკაწრა. მეზობელმა პოლიცია გამოიძახა.



– მინიმალური ასაკი, რომლის ზემოთ ადამიანი სისხლისსამართლებრივად პასუხს აგებს, არის 14 წელი, შესაბამისად, გუჯა არ დაისჯება, თუმცა გუჯას მშობლებს შეიძლება დაეკისროთ ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით, „სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება დასჯადია, ხოლო 33-ე მუხლით, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი“.

სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლით, „ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც“.



### კანონის განმარტება

საქართველოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი არის 14 წელი. ეს ნიშნავს იმას, რომ 14 წელს მიულწეველ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. თუმცა მეზობელს შეუძლია, შეიტანოს სარჩელი გუჯას წინააღმდეგ და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თუ გუჯას არ აქვს ქონება ან შემოსავალი, მაშინ ზიანის ანაზღაურება დაეკისრებათ მის მშობლებს.



### საგულისხმო ფაქტები

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ეს ასაკი დაბალია, ხოლო ევროპის ქვეყნებში შედარებით მაღალი. მაგალითად: ინდოეთში, ნიგერიაში, პაკისტანსა და სინგაპურში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 7 წლიდან, ინდონეზიაში, კენიასა და ბანგლადეშში 9 წლიდან, ინგლისში 10 წლიდან, ხოლო შვედეთსა და ბელგიაში 16 წლიდან იწყება.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი იყო 16 წელი (14 წელი მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენისას).

2007 წელს ასაკმა დაიწია 12 წლამდე (განსაკუთრებით მძიმე ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისას), თუმცა 2010 წლის ცვლილებებით ისევ 14 წელს დაუბრუნდა.



## დაკავების ბრძანება

კაზუსი 65



სისხლის სამართალი

*სკოლისაკენ მიმავალი 16 წლის ნიკა პოლიციამ დააკავა და განუცხადა, რომ ბრალი ედება ხულიგნობის ჩადენაში და უნდა წაიყვანონ პოლიციის განყოფილებაში. რა უფლებები აქვს მას?*



– ნიკას უფლება აქვს, იცოდეს, რაში ედება ბრალი. მას აქვს დუმილის უფლება, ადვოკატის აყვანის, მტკიცებულებების წარდგენის, ბრალდების მხარის მტკიცებულებების გაცნობის, უფასო სამედიცინო შემოწმების უფლება და სხვ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, „თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, და აცნობოს, რომ მას აქვს ადვოკატის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია, მის წინააღმდეგ

იქნეს გამოყენებული სასამართლოში. დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა. დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში“.



### კანონის განმარტება

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადგენს, რომ ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება განახორციელოს დაკავება, თუმცა დაკავებული 48 საათში უნდა წარედგინოს სასამართლოს. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

დაკავება არის პირისათვის ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთა. პოლიციას მხოლოდ მაშინ შეუძლია დააკავოს ბრალდებული, როცა არსებობს დაკავებისათვის საკმარისი საფუძველი – უნდა არსებობდეს პირის გაქცევის, მტკიცებულებათა განადგურების ან სხვა დანაშაულის ჩადენის საფრთხე. დაკავება, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს განჩინების საფუძველზე. მოსამართლის განჩინების გარეშე დამნაშავის დაკავება ხდება, ძირითადად, დანაშაულზე წასწრებისას, ან ე.წ. „ცხელ კვალზე“, ან როდესაც, სავარაუდოდ, დამნაშავე მიიმალება.

დაკავებულ პირი უკვე იქნეს ბრალდებულის უფლებებს. მას აქვს უფლება, იცოდეს, რაში ედება ბრალი, მას აქვს დუმილის უფლება, ადვოკატს აყვანის, მტკიცებულებების წარდგენის, ბრალდების მხარის მტკიცებულებების გაცნობის, უფასო სამედიცინო შემოწმების უფლება და სხვ. ნიკა პოლიციამ დააკავა ხულიგნობის ჩადენის გამო. ხულიგნობა არის ისეთი ქცევა, რომელიც გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს. თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვეულებრივი ხულიგნობა დანაშაული არ არის, იგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და ისჯება ჯარიმით 100 ლარის ოდენობით ან 90 დღემდე პატიმრობით. ხოლო თუ ხულიგნობა ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ის დანაშაულია და ისჯება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ან 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.



### **ადამიანის თავისუფლება ერთ-ერთი ყველაზე ფასდაუდებელი უფლებაა.**

ის აღიარებული და დაცულია არა მხოლოდ კონსტიტუციით და კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო სამართლით. სახელმწიფოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში შეუძლია შეუზღუდოს ადამიანს თავისუფლება. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა არის ის, როდესაც ადამიანი ექვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში და არსებობს საფრთხე, რომ ის ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა) ადგენს, რომ დანაშაულში ექვმიტანილი პირი დაკავებიდან „დაუყოვნებლივ“ უნდა წარედგინოს სასამართლოს. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პირის თავისუფლების ამა თუ იმ ფორმით შეზღუდვის, ან მისი გაათავისუფლების თაობაზე.

#### **➔ რატომ არის სასამართლოსადმი მიმართვა აუცილებელი?**

ეს იმიტომ, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლე არის ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრესი გარანტი, რომელმაც უნდა დაგვიცვას სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩვენი უფლებების შელახვისაგან; სასამართლოს შეუძლია, აღადგინოს დარღვეული უფლება და სახელმწიფოს დააკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება; თუ სასამართლო ჩათვლის, რომ არ არსებობს პატიმრობის გამოყენების საფუძველი, მან დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს.

## ნასამართლობა



*14 წლის ლევანი მაღაზიაში შოკოლადის ქურდობაზე დაიჭირეს. მისმა მეგობარმა მას უთხრა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნასამართლეთი იქნება და ამის გამო ვეღარ შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლას.*



– თუ ლევანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, მას ნასამართლობა გაუქარწყლდება სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მიხედვით, „მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას“.



### კანონის განმარტება

ნასამართლობა – ეს არის პირის მდგომარეობა, სამართლებრივი სტატუსი, რომელშიც იმყოფება ადამიანი მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანიდან ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე.

ნასამართლობა სასჯელი არ არის და თავისთავად რაიმე ნეგატიურ შედეგს არ იწვევს, თუმცა ის მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და, როგორც წესი, იწვევს პასუხისმგებლობის გამკაცრებას.

ნასამართლობა შეწყდება მისი მოხსნით ან გაქარწყლებით. ნასამართლობის მოხსნა შეუძლია სასამართლოს, ასევე შეიძლება ეს მოხდეს პრეზიდენტის შეწყალების აქტით, ან პარლამენტის ამნისტიის მეშვეობით.

ნასამართლობა თავისთავად გაქარწყლება სასჯელის მოხდიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ (სასჯელის მოხდიდან სამი წლის, ექვსი წლის ან რვა წლის შემდეგ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით).

წარმოდგენილ შემთხვევაში ლევანმა ჩაიდინა დანაშაული – „ქურდობა სადგომში შეღწევით“, რომელიც ისჯება სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით (მაშასადამე, არის ნაკლებად მძიმე დანაშაული). თუ მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა (და არა პირობითი სასჯელი), ნასამართლობა გაუქარწყლდება სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ, თუ მანამდე არ მოეხსნა ნასამართლობა რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი წესით.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნასამართლობა გავლენას არ ახდენს პირის ნებაზე, ისწავლოს უმაღლეს სასწავლებელში. როგორც ზემოთ ითქვა, მას მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ პირის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენისას და იგი ამძიმებს სასჯელს.

# კიბერდანაშაული

## ჰაკერი



გიგამ ინტერნეტში ერთ-ერთ საიტზე მიაგნო ინსტრუქციას, თუ როგორ შეიძლება გატყდეს სკოლის კომპიუტერული სისტემა. „რა მაგარი იდეა“ – გაიფიქრა მან. მეორე დღეს მან შეაღწია სკოლის კომპიუტერში და შეცვალა თავისი ცუდი ნიშნები ათიანებით, თუმცა ეს ცვლილება დამრიგებელს არ გამოჰპარვია.



– გიგამ ჩაიდინა დანაშაული – „კომპიუტერული მონაცემის ხელყოფა კომპიუტერული მონაცემის შეცვლის სახით“.

სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლის მიხედვით, „კომპიუტერული მონაცემის უნებართვო დაზიანება, წაშლა, შეცვლა ან დაფარვა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით“.



### კანონის განმარტება

სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე თავი (35-ე თავი) ეთმობა კომპიუტერულ დანაშაულს. ამ თავის მიხედვით, ისჯება კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევა, მონაცემის ან სისტემის უკანონოდ გამოყენება და/ან ხელყოფა.

კოდექსის 286-ე მუხლის მიხედვით, კომპიუტერული მონაცემის ხელყოფაში იგულისხმება მისი უნებართვოდ დაზიანება, წაშლა, შეცვლა ან დაფარვა.

წარმოდგენილ შემთხვევაში გიგამ ჩაიდინა დანაშაული – „კომპიუტერული მონაცემის ხელყოფა მონაცემის შეცვლის სახით“, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლით.



### უნდა გვახსოვდეს, რომ

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება და ორგანიზაციათა საქმიანობა სულ უფრო და უფრო მეტად არის დამოკიდებული კომპიუტერებზე. ზოგიერთ ორგანიზაციაში ინფორმაციის დამუშავება და მართვა მთლიანად კომპიუტერების მეშვეობით ხორციელდება. ალბათ, ბევრჯერ ვყოფილვართ ბანკში და გვინახავს, თუ როგორ ახორციელებს ბანკის ოპერატორი ყველა მოქმედებას კომპიუტერის მეშვეობით, ოთახიდან გაუსვლელად. შესაბამისად, კომპიუტერულ სისტემაში უკანონოდ შეღწევით შეიძლება ძალიან დიდი ზიანი მივაყენოთ ორგანიზაციას.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი ფაქტები, კანონი კრძალავს კომპიუტერულ სისტემაში უკანონოდ შეღწევას, ანუ ე.წ. „ჰაკერობას“ და აწესებს შესაბამის სასჯელს.

თითქოს გიგას მიერ ჩადენილი ქმედება უმნიშვნელოა თავისი შინაარსით, მაგრამ რეალურად მან ჩაიდინა დანაშაული – „კომპიუტერული მონაცემის ხელყოფა“, რაც ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით.



### საგულისხმო ფაქტები

კომპიუტერულ სისტემაში უკანონოდ შეღწევების ისტორია თითქმის ისეთივე ხანგრძლივია, როგორც კომპიუტერის განვითარების ისტორია. ისტორია იცნობს მრავალ „ცნობილ ჰაკერს“ (მათ შორის ერთ-ერთი ჯონათან ჯეიმსია, რომელმაც თავისი პირველი „გმირობა“ 15 წლის ასაკში განახორციელა; შემდეგ, 1999 წელს, მან შეაღწია აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის კომპიუტერულ სისტემაში, ხოლო 2000 წელს აშშ-ის ცენტრალური კოსმოსური სააგენტოს – NASA – კომპიუტერულ სისტემაში, რის შედეგადაც NASA იძულებული გახდა, სამი კვირის

განმავლობაში შეეჩერებინა საქმიანობა, რითაც 41 მილიონი დოლარის ზიანი მიაღწა). ჰაკერები, როგორც წესი, ნიჭიერი და განათლებული პროგრამისტები არიან, თუმცა ისინი თავიანთ ცოდნას კანონის საწინააღმდეგოდ იყენებენ. ამავე დროს, ცნობილია ბევრი შემთხვევა, როცა „კრიმინალური წარსულის“ მქონე ჰაკერი გამოსწორდა და შემდგომში თავისი ცოდნითა და გამოცდილებით დიდი სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას.



დანაშაული მოსახლეობის ჰანმრთელობისა  
და საგოგადოებრივი ზნეობის  
წინააღმდეგ

ცხოველის მოკვლა

კაზუსი 68



სისხლის სამართალი

*ნუცას ჰყავს საყვარელი კატა, რომელსაც ჰქვია „ფისო“. ნუცას მეზობელი ბიჭი ვერ იტანს კატებს და მათ შორის ნუცას ფისოსაც. ერთ დღესაც ფისომ მეზობელი ბიჭის ეზოში მოისაქმა. გაბრაზებულმა ბიჭმა ჯავრი იყარა – ჯოხით ცემა ფისო და სული გააფრთხოვინა.*



– ნუცას მეზობელმა ბიჭმა ჩაიდინა დანაშაული – ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა გამოიწვია.

სისხლის სამართლის 259-ე მუხლის მიხედვით, „ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, აგრეთვე ცხოველის წვალება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე“.



### კანონის განმარტება

ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა არა მხოლოდ მიუღებელი და ამორალურია, არამედ ისჯება კანონით. ის, რომ ფისომ მეზობლის ეზოში მოისაქმა, ეს მეზობლის ბიჭის ქმედებას არ ამართლებს. მისი ქმედება არის ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. სისხლის სამართლის კანონით ისჯება არა მხოლოდ ცხოველის დასახიჩრება და მოკვლა სასტიკი მოპყრობის მეშვეობით, არამედ ცხოველის წვალებაც.



### არ უნდა დაგვაფიწყდეს,

რომ ცხოველთა სამყარო გარემომცველი ცოცხალი ბუნების უმთავრესი ნაწილია. ზოგიერთი ჩვენგანისთვის ცხოველი მეგობარი და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ცხოველების მნიშვნელობას ბევრი ადამიანი ბოლომდე ვერ აცნობიერებს და ცხოველი მხოლოდ უსიცოცხლო საგნად, ობიექტად მიაჩნია. ამის გამო აუცილებელია ცხოველთა კანონით დაცვა.

ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობა აკრძალულია მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობით, ასევე აკრძალულია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: ევროსაბჭოს 1986 წლის ევროსაბჭოს კონვენცია იმ ხერხემლიანი ცხოველების დაცვის თაობაზე, რომლებიც გამოიყენებიან ექსპერიმენტული ან სამეცნიერო მიზნებისათვის, 1987 წლის ევროპული კონვენცია სახლის ცხოველების დაცვის თაობაზე და სხვ.

მსოფლიოში ცხოველთა უფლებების დაცვას მნიშვნელოვანი ზიძგი მისცა ცნობილი ნოველისტის, ბრიჯიტ ბროფის, 1965 წელს გაზეთ „სანდი თაიმსში“ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა. იგი წერდა:

„ადამიანისა და ცხოველების ურთიერთობა არის ცხოველთა შეუნელებელი ექსპლუატაციის ისტორია: ჩვენ ვიყენებთ მათს შრომას, ვჭამთ მათ და ვატარებთ მათს ტყავს; ადრე მათ ვიყენებდით ჩვენი ცრურწმენების მიზნებისთვისაც: ვწირავდით ღმერთებს და ვიყენებდით მათს შიგნეულობას მომავლის საწინასწარმეტყველოდ, ახლა კი მათ ვწირავთ მეცნიერებას და ექსპერიმენტებს ვატარებთ მათს შიგნეულზე, რათა შეგვეძლოს, უფრო კარგად შევიცნოთ აწმყო.“

დღეისათვის მსოფლიოში არსებობს მრავალი საერთაშორისო და ეროვნული ასოციაცია, რომლებიც იბრძვიან ცხოველთა უფლებების დასაცავად.

ჩვენთან ასეთია საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება, რომელიც 2006 წელს დაარსდა. სხვა საქმიანობებთან ერთად,

ასოციაცია პატრონობს უსახლკარო ძაღლებისა და ლეკვების თავშესაფარს, სადაც უსახლკარო ცხოველები ბინავდება და შემდეგ ბარდება ცხოველების მოყვარულ, გულისხმიერ ადამიანებს.

### საგულისხმო ფაქტები

ერთ-ერთი თანამედროვე კვლევის მიხედვით, დედამიწაზე არსებული ცხოველთა სამყარო 8 მილიონ 700 ათას შესწავლილ სახეობას მოიცავს, რომელთაგან 6 მილიონ 500 ათასი ხმელეთზე ბინადრობს, ხოლო 2 მილიონ 200 ათასი წყლის ქვეშ. ამასთან, ცხოველთა ბევრი სახეობა ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის. ერთ-ერთი გავრცელებული კლასიფიკაციით, ცხოველთა სამყარო იყოფა ფრინველებად, ძუძუმწოვრებად, ამფიბიებად, რეპტილიებად, თევზებად და მწერებად. თუმცა, როდესაც საუბრობენ სასტიკი მოპყრობისაგან ცხოველთა დაცვაზე, მათში, ძირითადად, ხერხემლიან ცხოველებს (ძუძუმწოვრებს, ფრინველებს, რეპტილიებსა და ამფიბიებს) მოიაზრებენ.

საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება:

<http://www.gspsa.org.ge/>

მსოფლიოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება:

<http://www.wspa-international.org/>

# დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

## ცრუ ჩვენების მიცემა



თამთა პოლიციაში დაიბარეს როგორც მოწმე. მან დაინახა, სკოლის ეზოში როგორ ჩხუბობდა მისი ორი თანაკლასელი. ჩხუბის დროს ერთ-ერთმა ამოიღო დანა და მოუქნია, რის შედეგადაც შემთხვევით მეორე თანაკლასელი ხელში დაიჭრა. ვინაიდან თამთას არ სურს, გასცეს თანაკლასელი, პოლიციას განუცხადა, რომ არაფერი დაუნახავს და იმ ადგილას იმ დროს საერთოდ არ ყოფილა.



– თამთა პასუხს აგებს ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მიხედვით, „მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე“.

**კანონის განმარტება**

მაშინ, როდესაც ჩადენილია დანაშაული, გამოძიების ვალდებულებაა, დაადგინოს, რეალურად რა მოხდა. სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტება დგინდება მტკიცებულებების მეშვეობით. მოწმის ჩვენება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა.

მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი.

მოწმის ვალდებულებაა, გამოცხადდეს გამოძახებისას და მისცეს სწორი ჩვენება. ცრუ ჩვენების მიცემისათვის კი იგი ისჯება კანონით. წარმოდგენილ შემთხვევაში თამთამ მისცა ცრუ ჩვენება, რითაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

**როგორც ვიცით,**

დანაშაულის აღკვეთა და მისი გამოძიება პოლიციის ვალდებულებაა, მაგრამ პოლიცია ვერაფერს გახდება მოქალაქეების დახმარების გარეშე. ხშირად ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინფორმაციასაც კი (მაგალითად: ავტომანქანის ფერი, ექვმიტანილის სიმაღლე, ჩაცმულობა) შეუძლია, უდიდესი დახმარება გაუწიოს პოლიციას დანაშაულის გახსნაში და სასამართლოს – მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ალბათ, ზოგჯერ გაგვიგონია, რომ დამნაშავე დაუსჯელი დარჩა, რადგან მას „ბრალი ვერ დაუმტკიცეს“. ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის გასამართლება უნდა მოხდეს კანონიერი პროცედურების სრული დაცვით, ხოლო კანონი ითხოვს, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებდეს პირის ბრალს ჩადენილ დანაშაულში. თუ საქმეში ასეთი მტკიცებულებები არ არის, სასამართლო მას გაამართლებს და, შესაბამისად, რეალური დამნაშავე დაუსჯელი დარჩება.

ასე რომ, თუ ვიფიქრებთ, რომ მართლმსაჯულების განხორციელება ჩვენი საქმე არ არის და ამაზე „სხვამ უნდა იზრუნოს“, დამნაშავე დაუსჯელი დარჩება და ცოტა ხანში იგი „ჩვენც მოგვიკაკუნებს“.

# თავი 3

## მოზარდი და სამოქალაქო სამართალი



# მშობლებისა და შვილების ურთიერთობა (სამოქალაქო სამართალი)

## მებრძოლი ძაღლები



ნიკას სურს, პიტბულის ჯიშის ძაღლი ჰყავდეს. პიტბული ხომ ყველას არ ჰყავს... თუმცა მისი მშობლები კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან. მებრძოლი ძაღლი?!... არავითარ შემთხვევაში არ გეყოლება – განუცხადეს მას მშობლებმა.



– ნიკა, როგორც არასრულწლოვანი, ამ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს მშობლების ნებას.

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მიხედვით, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად კი, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო კოდექსი ცალკე თავით არეგულირებს მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს შვილების მიმართ. შვილების, როგორც არასრულწლოვანთა, კანონიერი წარმომადგენლები ისინი არიან. მათ ეკისრებათ ბავშვის განვითარებაზე ზრუნვის, რჩენისა და აღზრდის ვალდებულება. შესაბამისად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდნენ. მეზრდოლი ძაღლის შეძენამ კი შესაძლოა, ბავშვის განვითარებაზე სულაც არ მოახდინოს დადებითი გავლენა, პირიქით, არ არის გამორიცხული, უარყოფითადაც კი იმოქმედოს. ამიტომაც მშობელს, როგორც არასრულწლოვანი შვილის კანონიერ წარმომადგენელსა და ყველა ეტაპზე მისი ინტერესების დამცველს, შეუძლია, მსგავსი ტიპის გადაწყვეტილება მიიღოს და ნიკა სასურველი ცხოველის გარეშე დატოვოს.



### უნდა გვახსოვდეს, რომ

ნებისმიერ ნორმალურ საზოგადოებრივ ერთობაში მშობლისათვის შვილი და მისი ინტერესები ყველაზე და ყველაფერზე უპირატესია. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ზემოთ მითითებულ მშობლის მოვალეობებს ადამიანები უმეტესად ისე ასრულებენ, ვერც კი აანალიზებენ, რომ ისინი კანონის მოთხოვნაა. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მშობელი შვილის ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს და, ბავშვისაგან განსხვავებით, ამ გადაწყვეტილების სამომავლო შედეგების განსაზღვრაც უნდა შეეძლოს. სწორედ ამიტომ ანიჭებს კანონი მას შვილის კანონიერი წარმომადგენლის სტატუსს და ავალებს, ნებისმიერ შემთხვევაში მის სასარგებლოდ იმოქმედოს. მართალია, მოზარდების უმრავლესობას შინაური ცხოველის ყოლა სურს, მაგრამ ისინი, თავიანთი ასაკიდან გამომდინარე, ხშირად ვერც კი აანალიზებენ, როგორ დიდ პასუხისმგებლობასთან არის ეს დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, კონკრეტული სიტუაციისა და ბავშვის სამომავლო ინტერესების მიხედვით, მშობელი წყვეტს მსგავს საკითხებს.



### საგულისხმო ფაქტები

ჩვენს ქვეყანაში უპატრონო ძაღლების მზარდი სტატისტიკა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ნებისმიერ შინაურ ცხოველს მოვლა და მზრუნველობა სჭირდება. ამიტომაც ნებისმიერი ადამიანი, იქნება ეს სრულწლოვანი თუ არასრულწლოვანი, მხოლოდ კარგად გააზრებულ და მოფიქრებულ გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს ამ კუთხით.



## საოჯახო საქმეები

პაზუსი 71



16 წლის ნინოს მობეზრდა საოჯახო საქმეების კეთება. მას არ მოსწონს, როდესაც დედა ეუბნება: „ნაგავი გადაყარე“, „ოთახი დაალაგე“, „ჭურჭელი გარეცხე“ და ა.შ. თუმცა, პროტესტის მიუხედავად, დედა დაჟინებით იმეორებს, რომ იგი ვალდებულია, გააკეთოს საოჯახო საქმეები.



– როგორც წესი, შვილები მშობლებს ზომიერების ფარგლებში საოჯახო საქმეებში ეხმარებიან, თუმცა ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას მთავარი მაინც ბავშვის უფლებები და ინტერესებია.

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მიხედვით, „მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად კი, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს“.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო კოდექსი შესაბამისი ნორმებით ცალსახად მიუთითებს ბავშვის ინტერესების უპირატესობასა და მშობლების უფლება-მოვალეობებზე, იზრუნონ შვილის გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის. სწორედ ამ დანაწესებით არიან შებოჭილნი 16 წლის ნინოს მშობლები. თუმცა გოგონას სოციალური განვითარებისთვის აუცილებელიც კია პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება და ოჯახის მიმართ გარკვეული ვალდებულებების არსებობის შეგრძნება. ასეთ დროს მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის უფლებებსა (განათლების მიღების უფლება, თავისუფალი დროის არსებობისა და მისი დაგეგმვის უფლება და სხვ.) და მისი განვითარებისათვის საჭირო მიდგომებს შორის ბალანსის დაცვა.



### უნდა გვახსოვდეს, რომ

ოჯახი ნებისმიერი სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესია. საოჯახო სამართალი სწორედ რომ საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ არის მიმართული, რასაც ოჯახის თითოეული წევრის უფლებების უზრუნველყოფითა და შესაბამისი ვალდებულებების გათვალისწინებით ახორციელებს. 16 წლის ნინო მცირეწლოვანი აღარ არის, მას კარგად უნდა ესმოდეს, რომ მორალური ნორმები ოჯახის შესანარჩუნებლად და მშობლების დასახმარებლად საოჯახო საქმეების შესრულებასაც ავალეს. თავის მხრივ, მშობლებმაც უნდა გაითვალისწინონ ქალიშვილის ინტერესები და მისი უფლებებისა და ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებების შესრულება არ უნდა მოსთხოვონ. ნინოს მეგობრებთან ურთიერთობისა და გართობის დროც უნდა ჰქონდეს, რადგან ესეც მის სრულფასოვან განვითარებასა და საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

## ოჯახში ძალადობა

კაზუსი 72



14 წლის ლანა სახლში თავს ცუდად გრძნობს. მისი მშობლები აღარ ზრუნავენ მასზე და ხანდახან საჭმელიც კი არ აქვს. მშობლები ხშირად ნასვამები მოდიან და მისგან ითხოვენ, რომ სკოლაში არ იაროს და საოჯახო საქმეები გააკეთოს.



– მშობლებს არ აქვთ უფლება, ასე მოექცნენ თავიანთ არასრულწლოვან შვილს, ამან შესაძლოა, მშობლის უფლების შეზღუდვამდე ან ჩამორთმევამდეც კი მიგვიყვანოს.

სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობელს, რომელიც სისტემატიურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა რომელმაც ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში (მათ შორის, მათხოვრობა, მაწანწალობა), ან რომლის შვილიც მიტოვებულადაა აღიარებული, ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო კოდექსი, მართალია, მშობელს ანიჭებს კანონიერი წარმომადგენლის სტატუსს და შვილთან დაკავშირებით გადაწყვეტილებათა მთელი რიგის მიღების უფლებამოსილებას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი თავად მშობლისაგან არ არის დაცული. საოჯახო სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვის ინტერესს ოჯახში, ამიტომაც მისი უფლებების ხელყოფას თავად მშობლებსაც კი უკრძალავს. მშობელი ვალდებულია, იზრუნოს თავის არასრულწლოვან შვილზე, მის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე. ამიტომაც 14 წლის ლანას აშკარად ელახება შესაფერის გარემოში ცხოვრების უფლება. მშობლის უფლების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომია, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას მხოლოდ სასამართლო იღებს, ამიტომაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რა ზომით და რა ფარგლებში მოხდა ბავშვის უფლებების დარღვევა და ადეკვატურია თუ არა მშობლის უფლების ჩამორთმევა, როგორც ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ ოჯახური ძალადობის შესახებ ცალკე კანონი მოქმედებს საქართველოში – ეს არის ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.



### გვახსოვდეს,

მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ ნორმის დაწესება კანონის მიზანს ნათელს ხდის – დაიცვას არასრულწლოვანი მშობლის მავნე ზეგავლენისაგან, რაც, საბოლოოდ, ბავშვის ფსიქიკის დამახინჯებასა და მთელი ცხოვრების შეცვლას იწვევს. ბუნებრივია, დედ-მამასთან ურთიერთობა და მათთან ერთად ცხოვრება უმნიშვნელოვანესია ბავშვისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი ასე იდეალურად არ არის.



### საგულისხმო ფაქტები

არასრულწლოვნები არც ისე იშვიათად ხდებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი და ხშირად ამას ვერაფერს იღებს. დამკვიდრებულია სამწუხარო შეხედულება, რომ ოჯახის ამბები ოჯახშივე უნდა დარჩეს და საზოგადოების სხვა წევრებისათვის ცნობილი არ უნდა გახდეს. 2007 წლიდან 2011 წლამდე პერიოდის კვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ოჯახური ძალადობის 1025 ფაქტი მოხდა. აქედან ძალადობის მსხვერპლნი უფრო მეტად ქალები არიან.

# განათლების მიღების სურვილი და პროფესიის შერჩევის თავისუფლება

კაზუსი 73



17 წლის თავოს სურს, ექიმი გამოვიდეს. მას ეს პროფესია ძალიან მოსწონს და ოცნებობს მასზე, თუმცა მშობლები ეუბნებიან, რომ სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლა, დანარჩენ პროფესიებთან შედარებით, ყველაზე ხანგრძლივია. მათ მიაჩნიათ, რომ ამდენი წელი სწავლის ნაცვლად, უმჯობესია, შვილმა მათთან ერთად მაღაზიაში იმუშაოს.

ა. შეუძლიათ თუ არა მშობლებს, თავო აიძულონ, შეცვალოს პროფესიის არჩევანი?

ბ. შეუძლიათ თუ არა მშობლებს, თავო აიძულონ, უარი თქვას განათლების მიღებაზე?



– არა, მშობლები ვერ აიძულებენ თავოს, უარი თქვას განათლების მიღებაზე და ვერც იმას აიძულებენ, ცალსახად შეცვალოს თავისი პროფესიული არჩევანი.



## კანონის განმარტება

ზოგადად, განათლების უფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირეული უფლებაა. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს ვალდებულებას აკისრებს, უზრუნველყოს განათლების უფლების განუხ-

რელი დაცვა, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია არა სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების შეზღუდვასა თუ დარღვევაზე, არამედ მშობლების მხრიდან არასრულწლოვანი შვილის ინტერესებისა და უფლებების დაცვასა თუ დარღვევაზე. წარმოდგენილ მაგალითში მთავარია საოჯახო სამართლით მშობელზე დაკისრებული მოვალეობა, რომ ყველა შემთხვევაში იზრუნოს შვილის გონებრივ თუ სოციალურ განვითარებაზე, განათლება და სასურველი პროფესიის მიღების საშუალება კი სწორედ ამ ვალდებულების გამოხატულებაა.



#### უნდა გვახსოვდეს,

ნებისმიერ ქვეყანასა თუ საზოგადოებაში, გარდა მოქმედი კანონებისა, ხალხში დამკვიდრებული ტრადიციები არსებობს. ჩვენს საზოგადოებაში უცხო არ არის მშობლების მიერ შვილების პროფესიულ არჩევანში ჩარევა, რაც ხშირად მათივე (შვილების) უკეთესი მომავლის უზრუნველყოფითაა გამართლებული. ბუნებრივია, შვილებმა უნდა გაითვალისწინონ დედამამის, როგორც მათი მშობლების, კეთილი ნება, რჩევა და ისე მიიღონ ცხოვრებისეული გადაწყვეტილება; თავის მხრივ, მშობლებიც შვილების უფლებებით, სურვილებითა და ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, თუმცა ფაქტია, რომ შვილისათვის განათლების მიღების აკრძალვა ცალსახად ეწინააღმდეგება მშობლის კანონით დადგენილ ვალდებულებას, იზრუნოს შვილის გონებრივ და სოციალურ განვითარებაზე.

# დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება

## კაზუსი 74

17 წლის ბაჩოს სურს, ბინა იქირაოს და ცალკე გავიდეს საცხოვრებლად, თუმცა მშობლები ამის წინააღმდეგნი არიან.



– ჩვიდმეტი წლის ბაჩო, როგორც არასრულწლოვანი, მშობლების, თავისი კანონიერი წარმომადგენლების, ნებას უნდა დამორჩილდეს.

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მიხედვით, „მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს მათმა შვილმა“.



### კანონის განმარტება

ქართული საოჯახო სამართალი აწესრიგებს მშობლებისა და შვილების ურთიერთობას, მათ უფლება-მოვალეობებს და ორივე მხარის ინტერესებით ხელმძღვანელობს. თუმცა უპირატესი მაინც შვილისათვის, როგორც არასრულწლოვნისათვის, საუკეთესო გარემოს შექმნაა. პირი, რომელიც სრულად ქმედუნარიანი და საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ჯერაც არ არის, უამრავ ურთიერთობაში მშობლის მეშვეობით მონაწილეობს. ეს უკანასკნელი არასრულწლოვანი შვილის კანონიერი წარმომადგენელია და ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტის უფლება, როგორც არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილია, ბუნებრივია, კანონით მას აქვს მინიჭებული. რასაკვირველია, შვილის სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ, როდესაც ის სრულად ქმედუნარიანი ხდება, მშობლების ნებას მხოლოდ რჩევის სტატუსი შეიძლება ჰქონდეს.



### უნდა გავითვალისწინოთ,

რომ კანონის მიზანი ამ შემთხვევაშიც კვლავ არასრულწლოვნის ინტერესების დაცვაა. სრულწლოვანების მიღწევამდე ადამიანი უმეტესად გონებრივად მოუმწიფებელია და ხშირად გადაწყვეტილებების მიღებისას იმპულსურია. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მშობლებს მოშორება და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება კი სერიოზული გადაწყვეტილებაა, რომელმაც შესაძლოა, სრულიად შეცვალოს პირის მომავალი. ამიტომაც

ითვალისწინებს სახელმწიფო ყოველივე აღნიშნულს და ამის საწინააღმდეგო ბერკეტს მშობლებს, ზრდასრულ ადამიანებს ანიჭებს. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია, ამ უფლების მინიჭება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 18 წლამდე პირმა ყველა შემთხვევაში მშობლებთან უნდა იცხოვროს – ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, შესაძლოა, მშობელმა მიზანშეწონილად ჩათვალოს შვილის მისგან განცალკევებულად, დამოუკიდებლად ცხოვრება.



### საგულისხმო ფაქტები

საქართველოში ნაკლებად გხვდება შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი მშობლებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობს, რაც ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციებიდან გამომდინარეობს. ასეთი პრაქტიკა უფრო მეტად ევროპული ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაა დამახასიათებელი.



## მეგობართან შეხვედრის აკრძალვა



*მშობლები მიშოს თავის კლასელ ცოტნესთან შეხვედრას უკრძალავენ, რადგან ცოტნეს არ უყვარს სწავლა და ცუდ ნიშნებს იღებს.*



– მიშო სკოლის მოსწავლეა, და შესაბამისად, ის არასრულწლოვანია. გამომდინარე აქედან, მის განვითარებაზე მისი მშობელია პასუხისმგებელი. იმ შემთხვევაში, თუ ცოტნესთან ურთიერთობა მიშოზე ცალსახად უარყოფით ზეგავლენას ახდენს, რაც მის გონებრივ და სულიერ განვითარებას შეუშლის ხელს, მშობლები უფლებამოსილნი არიან, წინააღმდეგნი იყვნენ ასეთი ურთიერთობისა.

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის შესაბამისად, „მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთი შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება. ამასთანავე, მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს“.



### კანონის განმარტება

მშობლები, როგორც თავიანთი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები, ვალდებული არიან, არა მხოლოდ მათ ფიზიკურ, არამედ სულიერ, გონებრივ და სოციალურ განვითარებაზე იზრუნონ. საერთოდ, მშობლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შვილის ინტერესებითა და საჭიროებებით უნდა იყოს ნაკარნახევი, სწორედ ამის უზრუნველსაყოფადაა საოჯახო სამართლებრივი კანონმდებლობა. შესაბამისად, კანონი მშობელს ანიჭებს შვილთან მესამე პირების ურთიერთობის განსაზღვრის უფლებას. თუკი ცოტნე მავნე ზეგავლენას ახდენს მიმოზე, მის გონებრივ და სულიერ ჩამოყალიბებაზე, მშობლები უფლებამოსილი არიან, ხელი შეუშალონ ასეთ ურთიერთობას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისათვის აუცილებელია მეგობრები და მათთან ურთიერთობა, თავისუფალი და კომფორტული გარემო, ამიტომ მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებების მიღებისას, ისევე, როგორც ნებისმიერ დროს, მშობელი მოვალეა, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ინტერესებით იხელმძღვანელოს.



### საზოგადოებაში გავრცელებულია გამოთქმა:

„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“. ბუნებრივია, ადამიანების დამეგობრებისას, უმეტესად, გადამწყვეტი მსგავსი შეხედულებები და ინტერესებია. როდესაც პირი ზრდასრულია, მასზე ზეგავლენის მოხდენა და შეხედულებების თავს მოხვევა ნაკლებადაა შესაძლებელი. ადრეულ ასაკში კი, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ ღირებულებების ძიებისა და ჩამოყალიბების პროცესშია, ეს ბევრად მარტივია. ამიტომ ყველა მშობელი ფრთხილობს და ცდილობს, ის წრე გააკონტროლოს, სადაც მათი შვილი ტრიალებს და არასასურველ გარემოს მოარიდოს იგი. სწორედ ამიტომ ბუნებრივია ისეთი შემთხვევები, როდესაც მშობელი შვილს გარკვეულ პირებთან ურთიერთობის უფლებას არ აძლევს. მთავარია, რომ ეს ყველაფერი არასრულწლოვნის ინტერესებს ემსახურებოდეს და მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ შეზღუდვას არ იწვევდეს.

## მშობლების გაყრა

პარაგრაფი 76



ნინოს მშობლებმა გაყრა გადაწყვიტეს. გოგონა ამას ძალიან მტკივნეულად აღიქვამს და მთელი დღე ტირის. მას არ სურს, რომ ეს ასე მოხდეს.



– მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მშობლები შვილების ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, მეუღლეებს უფლება აქვთ, ერთმანეთს დაშორდნენ და თავიანთი ქორწინება შეწყვიტონ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის თანახმად, „ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია მეუღლეთა განქორწინება“.



### კანონის განმარტება

ქართული საოჯახო სამართლის მიხედვით, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. ამდენად, პირების დაქორწინებისას არსებითი მნიშვნელობის სწორედ რომ მათი ნებაა. შესაბამისად, კანონი ურთიერთობის დაწყებას მეუღლეთა ნებას უკავშირებს. ბუნებრივია, რომ ამ ურთიერთობის შეწყვეტაც მეუღლეების ნებაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მშობლები ქორწი-

ნებაში იქნებიან თუ გაიყრებიან, თავიანთი შვილების მიმართ მაინც ერთნაირი მოცულობის უფლება-მოვალეობები აქვთ.



### უნდა გვახსოვდეს,

მეუღლეთა დაქორწინების მთავარი მიზანი ერთად ცხოვრებაა, თანაცხოვრებისათვის კი მეუღლეთა ნებაა გადაწყვეტი. ოჯახი, თავისი არსით, მხოლოდ ნებაყოფლობითი შეიძლება იყოს, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო სამართლის უმთავრესი მიზანი ბავშვის, როგორც არასრულწლოვნის, ინტერესების დაცვაა, კანონი არც შვილის სურვილისა და ინტერესის გამო ავალდებულებს მეუღლეებს ერთად ცხოვრებას. ბავშვის აღზრდისა და მისთვის სათანადო გარემოს უზრუნველყოფის პრინციპის არსებობის ფონზე მეუღლეები თავისუფალნი რჩებიან თავიანთ გადაწყვეტილებაში, შეწყვიტონ ქორწინება. ხშირად, მშობლების გაუთავებელ კამათსა და დაპირისპირებას, რასაც ქორწინებისა და თანაცხოვრების ხელოვნურად შენარჩუნება განაპირობებს, საპირისპირო შედეგებამდე მივყავართ. ასეთ დროს მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების გადაწყვეტილება ბავშვისთვისაც საუკეთესო გამოსავალია.



### საგულისხმო ფაქტები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა განქორწინების მაჩვენებელმა და თუ 2001 წლისთვის ოფიციალურად 1987 წყვილი განქორწინდა, 2013 წლისთვის ეს ციფრი უკვე 8089-ამდეა გაზრდილი. საგანგაშოა ის, რომ ამ რაოდენობაში უმრავლესობა ახალგაზრდა წყვილების მიერ შექმნილი ოჯახებია.

შესაბამისად, ოჯახის შექმნისას გვმართებს დაფიქრება, გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ უნდა მივიღოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახი დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ჩვენს კაზუსში მოცემული, მშობლების განქორწინება ბავშვისთვის ტრავმაა და მის მეხსიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებს.

## მშობლებისა და შვილების ურთიერთობა მშობლების გაყრის შემდგომ



14 წლის თეოს მოულოდნელად უთხრეს მშობლებმა, რომ ისინი უნდა გაეყარონ ერთმანეთს. მას ეშინია, რომ რომელიმე მშობლის ნახვას ხშირად ვეღარ მოახერხებს. დედამისი ეუბნება, რომ მასთან ერთად მოუწევს მარტო ცხოვრება და არც არის საჭირო მამასთან კონტაქტი. თეოს კი უნდა, რომ განსაზღვროს, რამდენად ხშირად შეძლებს მამის ნახვას.

ა. აქვს თუ არა თეოს ასეთ სიტუაციაში მამასთან ურთიერთობის უფლება?

ბ. ვის შეუძლია ამ უფლების განხორციელების მოთხოვნა?



– ა. დიახ, აქვს. ქართული კანონმდებლობა უზრუნველყოფს თეოს უფლებას, ურთიერთობა ჰქონდეს, შესაბამისი დოზით, როგორც დედასთან, ისე მამასთან, მიუხედავად იმისა, ისინი ქორწინებაში იმყოფებიან, თუ გაყრილები არიან.

ბ. მამასთან ურთიერთობის მოთხოვნის უფლება აქვს როგორც 14 წლის თეოს, ისე მის მამას სასამართლოსადმი მიმართვის გზით.

სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის თანახმად, „მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან, ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არ აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები“.

სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მიხედვით, „თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან იცხოვრებს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს“.

სამოქალაქო კოდექსის 1198<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, „არასრულწლოვანს აქვს დაცვის უფლება მშობელთან (სხვა კანონიერ წარმომადგენელთან) მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობელთან (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს“.



#### კანონის განმარტება

მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში, ისინი ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ არასრულწლოვანი შვილების აღზრდის საკითხებს, მათ შორის, ბავშვის თითოეულ მშობელთან კონტაქტის ინტენსივობას. შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი, სასამართლო იღებს ამ გადაწყვეტილებას ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მოსამართლეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის დასკვნაც ეხმარება, რომელიც წინასწარ სწავლობს კონკრეტულ საქმეში არასრულწლოვნის მდგომარეობას, ბავშვის დამოკიდებულებას თითოე-

ული მშობლის მიმართ, მშობლების მატერიალურ შესაძლებლობებს და საბოლოო დასკვნას წარუდგენს სასამართლოს. ამდენად, საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, რომ მეუღლეთა გაყრისას ბავშვი ყველა შემთხვევაში დედასთან რჩება, მცდარია. ასეთ დროს სასამართლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის დასკვნის გათვალისწინებით ცდილობს ბავშვისათვის საუკეთესო გამოსავლის მოძებნას, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, თუ რომელ მშობელთან იქნება არასრულწლოვნის განვითარებისათვის საჭირო და უკეთესი გარემო და მხოლოდ ამ ფაქტორებზე დაყრდნობით აკუთვნებს ბავშვს ამა თუ იმ მშობელს.



### უნდა გვახსოვდეს,

რეალურ ცხოვრებაში ნებისმიერი არასრულწლოვნისათვის მშობლების გაყრა ტრაგედიასთან ასოცირდება. თავიანთი წილი სიმართლითა და პრობლემებით დაკავებულ მშობლებს ხშირად მოზარდის განცდებისა და ინტერესების გათვალისწინება საერთოდ ავიწყდებათ, უარეს შემთხვევაში კი, ბავშვი და რომელიმე მშობელთან მისი ურთიერთობა უფროსების მანიპულაციის საგნად იქცევა ხოლმე. სწორედ ამიტომ კანონი განსაკუთრებულ ზომებს ითვალისწინებს არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად და ცდილობს, სპეციალური დანაწესების საშუალებით, მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაშიც კი, მოზარდს შესაბამისი ოჯახური გარემო შეუნარჩუნოს. ეს კი, რასაკვირველია, პირველ რიგში, ორივე მშობელთან შესაბამისი ინტენსივობით ურთიერთობასა და კონტაქტს გულისხმობს. უფრო მეტიც, კანონი არასრულწლოვნის პაპასა და ბებიასაც კი ანიჭებს უფლებას, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან. ამდენად, შესაძლოა, მშობლები ამა თუ იმ მიზეზით ცალ-ცალკე ცხოვრების გადაწყვეტილებას იღებენ, მაგრამ ეს მოზარდისთვის არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს ოჯახის დანგრევას და გამოუსწორებელ ტრაგედიას. ბავშვს ჩვეულებრივად უნარჩუნდება დედასთან, მამასთან, პაპასა თუ ბებიასთან შესაბამისი ინტენსივობის ურთიერთობა, ის კვლავინდებურად მიიღებს სითბოსა და სიყვარულს მათგან.



### საგულისხმო ფაქტები

მართალია, კანონი ორივე მშობელს თანაბარ პირობებში აყენებს შვილებთან მიმართებით, სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ უფრო ხშირია არასრულწლოვნების დედისათვის მიკუთვნების ფაქტები, რაც, სავარაუდოდ, ბავშვისათვის დედის, როგორც განსაკუთრებული და შეუცვლელი პირის, სტატუსიდან გამომდინარეობს. პრაქტიკა ასევე აჩვენებს, რომ

14 წელს მიღწეული არასრულწლოვნები ნაკლებად მიმართავენ სასამართლოს თავიანთი უფლებებისა თუ კანონიერი ინტერესების დარღვევასთან, მშობლის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან (თუნდაც მშობლების გაყრისას ორივე მშობელთან საკმარისი ინტენსივობით ურთიერთობის ქონის მოთხოვნასთან) დაკავშირებით. არადა, კანონი ამ ასაკის არასრულწლოვანს ამ უფლებას ანიჭებს.



## დაქორწინება

კაზუსი 78



17 წლის თათა ყურებამდეა შეყვარებული. მისი შეყვარებული ილო 18 წლისაა. ერთ დღესაც მათ გადაწყვიტეს, დაქორწინდნენ. შეძლებენ თუ არა ისინი დაქორწინებას?



– შეყვარებულებს შეეძლება დაქორწინება, თუ თათას მშობლები წინასწარ წერილობით თანხმობას განაცხადებენ ამის შესახებ, ან სასამართლო გასცემს ასეთ ნებართვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მიხედვით, „ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან. ხოლო 16 წელს მიღწეული არასრულწლოვნის ქორწინება დაიშვება მშობლის ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით. თანხმობაზე მშობლების ან მზრუნველის მიერ უარის თქმის ან თანხმობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, პატივსადები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვის გაცემა შეუძლია სასამართლოს“.



### კანონის განმარტება

მშობელი, როგორც არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, უამრავ ურთიერთობაში გამოდის თავისი არასრულწლოვანი შვილის სახელითა და ინტერესებით. თუნდაც საკუთარი ქონების განკარგვაც კი სრულწლოვანების მიღწევამდე პირს უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ მშობლის მეშვეობით შეუძლია. არსებობს მაგალითები, როდესაც არასრულწლოვანი სხვადასხვა მიზეზის გამო (გარდაცვალება, მშობლის უფლების ჩამორთმევა) მშობლის მზრუნველობას არის მოკლებული, ასეთ დროს მას, როგორც წესი, სახელმწიფო უნიშნავს მზრუნველს, რომელიც მისი წარმომადგენელი და ინტერესების დამცველია. ამდენად, ქორწინებისათვის ნებართვის მიცემაც არასრულწლოვნის წარმომადგენლის უფლებამოსილებაა, იქნება ეს მშობელი თუ მზრუნველი. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი თანხმობის გაცემაზე რომელიმე ეს პირი უარს აცხადებს და სახეზეა რაიმე პატივსაღები მიზეზი (მაგალითად, გოგო ორსულადაა), წყვილს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს და მისგან მოიპოვოს დაქორწინების ნებართვა.



### მიჩნეულია,

რომ ადამიანი 18 წლის ასაკიდან აღწევს როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ მოწიფულობას. ის, რომ კანონით 18 წელი ითვლება სრული ქმედუნარიანობის წარმოშობისა და პირის სრულწლოვნად მიჩნევის ასაკად, შემთხვევითი სულაც არ არის. ბიოლოგიურად სწორედ ეს ასაკი ითვლება ადამიანის ჩამოყალიბებისა და ზრდის დასრულების ასაკად. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ამ ასაკის მიღწევისას კანონი არჩევანის სრულ თავისუფლებას ანიჭებს პირს, იქორწინოს თუ არა, მაგრამ 18 წლის ასაკს მიღწევამდე ქორწინების უფლებას მშობლის ან მზრუნველის სავალდებულო თანხმობით უზღუდავს. ყოველივე ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ქორწინება ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელზეც დამოკიდებულია მისი მომავალი. არასრულწლოვანი კი შესაძლოა, ბოლომდე ვერ ანალიზებდეს ოჯახის შექმნის მნიშვნელობასა და სირთულეს, თუმცა, როგორც ვნახეთ, კანონი აქვე უშვებს გამონაკლისს 16 წელს მიღწეული არასრულწლოვნისათვის და მშობლის (მზრუნველის) თანხმობით დაქორწინების უფლებას ანიჭებს. ნათელია, რომ ეს გამონაკლისია და ამ თანხმობის ვერმიღების შემთხვევაში, საპატიო მიზეზის არსებობისას, სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაც კვლავ დასაქორწინებელი პირების ინტერესებით არის ნაკარნახევი. როგორც წესი, ასეთი საპატიო მიზეზია ქალის ორსულობა და კანონის მიზანი აქაც ნათელია, – იზრუნოს მომავალი თაობის უფლებაზე, აღიზარდოს სრულფასოვან ოჯახურ გარემოში.




### საგულისხმო ფაქტები

აღსანიშნავია, რომ, სტატისტიკური მონაცემებით, საქართველო ადრეული ქორწინებების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად მუშაობს ამ საკითხებზე, მათ მიაჩნიათ, რომ ადრეული ქორწინებების დიდი ოდენობა ამ სტატისტიკური მონაცემების მიღმა რჩება. საქორწინო ასაკს მიუღწეველი (ამ შემთხვევაში იგულისხმება გამონაკლისი 16 წელს ქვემოთ) პირების (ძირითადად გოგონების) დაქორწინება კი ბავშვის განვითარებისათვის უარყოფით მოვლენად აღიქმება.

## მემკვიდრეობა

კაზუსი 79



გიგას პაპამ მემკვიდრეობით დაუტოვა ათი ათასი ლარი, რომელიც ბანკში საანაბრე ანგარიშზე ინახება. გიგა ჯერ არ არის 18 წლის და უფლება არ აქვს, ფული გამოიტანოს. ერთ დღესაც მისმა მშობლებმა გიგას ფული გამოიტანეს ანგარიშიდან და ახალი მანქანა იყიდეს. აქვთ თუ არა მათ ამის უფლება?



– არა, გიგას მშობლებს ასე მოქცევის არც სამართლებრივი და არც მორალური უფლება არ აქვთ.

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მიხედვით, „მშობლებს ვეალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას“.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო სამართლისათვის პირი სრულწლოვანების მიღწევამდე სრულად ქმედუნარიანად არ ითვლება. შესაბამისად, ის სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში შეზღუდულად მონაწილეობს. სწორედ ამიტომ კანონი ასეთი პირის ინტერესების დაცვას მის წარმომადგენელს ავალებს. ჩვენს შემთხვევაში გიგას წარმომადგენლები მისი მშობლები არიან და ამისათვის მათ წარმომადგენლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ სჭირდებათ, – ეს სტატუსი მათ კანონმა მიანიჭა. შესაბამისად, მათი არასრულწლოვანი შვილის საკუთრების მისივე ინტერესების გათვალისწინებით მართვა მშობლის კანონიერი ვალდებულებაა. გიგას მშობლებმა კი ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენეს აღნიშნული ბერკეტი, – ახალი მანქანის შეძენა არცერთ შემთხვევაში არ ემსახურება ბიჭის საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას.



### პირის არასრულწლოვანება და ქმედუნარიობა სულაც არ ნიშნავს,

რომ მას კანონი ქონების მესაკუთრეობის უფლებას სრულად ართმევს. პირიქით, მემკვიდრედ ყოფნის უფლება ახალდაბადებულ ბავშვს და თვით ჩანასახსაც კი აქვს, მაგრამ მემკვიდრეობით მიღებული ამ ქონების გამოყენება არ შეუძლია მანამ, სანამ ქმედუნარიანი არ გახდება. ასეთი მიდგომა სწორედ იქიდან გამომდინარეობს, რომ არასრულწლოვანმა ქონება შესაძლოა, სწორად ვერ განკარგოს და გაუთვითცნობიერებლად საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. ამიტომაც კანონი მშობელს, როგორც შვილის ყველაზე დიდ გულშემატკივარს, ავალდებულებს, ბავშვის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით განკარგოს და გამოიყენოს ქონება.

# მეურვე კაზუსი 80

– ვინ არის მეურვე?

მეურვეობის შესახებ რეგულირებებს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე კარი.



## კანონის განმარტება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მათი გარდაცვლილად აღიარების, მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მშობლის ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა. ამის მიზანი ბავშვის აღზრდა და მისი პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვაა. მეურვეობა ასევე უწესდება სრულწლოვან პირს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები. აქაც უმთავრესი მიზანი სამეურვეო პირის პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვაა.

მეურვეობა უწესდება 7 წლამდე პირს და პირს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუუნაროდ არის ცნობილი. ბავშვის მეურვე ფაქტობრივად ასრულებს მშობლის მოვალეობას. როგორც წესი, მეურვე ვალდებულია, იცხოვროს სამეურვეო ბავშვთან ერთად და იზრუნოს მისი რჩენისათვის, აუცილებელი და ყოფითი პირობების შექმნისათვის, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები. მეურვე, როგორც სამეურვეო პირის კანონიერი წარმომადგენელი, მისი სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დებს ყველა აუცილებელ გარიგებას. თუმცა არის გარკვეული ტიპი გარიგებებისა (ძირითადად, ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული გარიგებები), რომელთა დასადებადაც მეურვეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობა ესაჭიროება. ამასთანავე, მეურვეს სამეურვეო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადებაც ეკრძალება. მეურვედ პირს განაწესებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება,

ასევე მათი ტერიტორიული ორგანოები); მეურვედ შეიძლება დაინიშნოს სრულწლოვანი პირი 18 წლის ასაკიდან, რომელიც სასამართლოს მიერ არ არის ცნობილი ქმედუუნაროდ, მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისათვის თავის არიდების გამო არ აქვს ჩამორთმეული ან შეზღუდული მშობლის უფლება და არ არის მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან გათავისუფლებული იმის გამო, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა ამ მოვალეობას. მეურვე თავის უფლება-მოვალეობებს უსასყიდლოდ ასრულებს.



#### გამომდინარე იქიდან,

რომ ცხოვრებისეული შემთხვევები არასრულწლოვან ბავშვებს ზოგჯერ მშობლის გარეშე ტოვებს, სახელმწიფო და კანონი გარკვეულ საპასუხო ღონისძიებებს ითვალისწინებს. დედ-მამის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვი ხშირ შემთხვევაში არასრულფასოვანია და მისი სწორად განვითარება ეჭვქვეშ დგას. უსუსური და დაუცველი ბავშვისაგან დიდად არ განსხვავდება ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირიც. ამიტომაც კანონი, ვინაიდან იგი იცავს ბავშვისა და ზემოთ მითითებული საფუძვლით ქმედუუნაროდ ცნობილი პირის ინტერესებს, სავალდებულოდ ხდის ასეთი პირებისათვის მეურვის, ე.წ. პატრონის, დანიშვნას.



მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და მეურვეობა/მზრუნველობის დაწესებასთან დაკავშირებით იხილეთ მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი: [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)

# არასრულწლოვნის მიერ გარიგების დადება

## ქმედუნარიანობა

კაზუსი 81



14 წლის საბას სურს ლეპტოპის ყიდვა, თუმცა მისი მშობლები წინააღმდეგნი არიან.



– საბას მიერ ლეპტოპის ყიდვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თანხით იყიდის ის მას.

სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, „თუ არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე ორმხრივ გარიგებას დებს, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა იმაზე იქნება დამოკიდებული, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი სარგებელს იღებს“.

65-ე მუხლის თანახმად კი, „არასრულწლოვნის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული ხელშეკრულება ნამდვილად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლების ან ამ უკანასკნელთა თანხმობით მესამე პირების მიერ მისთვის გადაცემულ საშუალებებს განკარგავს“.





### კანონის განმარტება

საბა 14 წლისაა, შესაბამისად, მას ლეპტოპის ნასყიდობის ორმხრივი ხელშეკრულების დასადებად კანონიერი წარმომადგენლის ნებართვა ან დადების შემდგომ მოწონება სჭირდება. ჩანს, რომ მშობლები, რომლებიც მისი კანონიერი წარმომადგენლები არიან, არ ეთანხმებიან მას. აქედან გამომდინარე, ზოგადი წესის მიხედვით, ის ამ ხელშეკრულებას ვერ დადებს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, კანონმდებლობა გამონაკლისებსაც ითვალისწინებს – საუბარია კანონიერი წარმომადგენლების მიერ არასრულწლოვნისათვის თავისუფალი განკარგვის მიზნით გადაცემულ სახსრებზე. ძნელი სავარაუდოა, რომ ისეთი ძვირადღირებული ნივთის, როგორც ლეპტოპია, საყიდელი თანხა საბას ჯიბის ფულით ან მესამე პირების მიერ გადაცემული ფულით ჰქონდეს მოგროვილი. თუმცა, თუ წარმოვიდგენთ იმას, რომ ბიჭი მშობლების მიერ მიცემულ ჯიბის ფულსა და მისთვის ნაჩუქარ თანხას დააგროვებს და ამ სახსრებით დადებს ლეპტოპის ხელშეკრულებას, ეს ხელშეკრულება ნამდვილი იქნება, მიუხედავად მშობლების ნებისა.

## ნივთების გაცვლა

პაზუსი 82



ლუკას მშობლებმა დაბადების დღეზე აიფონი აჩუქეს. რამდენიმე თვის ხმარების შემდგომ ლუკას მოხერხდა აიფონი და თანაკლასელს „სამსუნგის“ ტელეფონში გაუცვალა. მისმა მშობლებმა ეს რომ შეიტყვეს, გაბრაზდნენ და აიფონის უკან დაბრუნება მოითხოვეს.



– ვინაიდან არასრულწლოვანმა ლუკამ ნივთი განკარგა მშობლების ნებართვის გარეშე, მის მიერ დადებული გაცვლის გარიგების ბედი დამოკიდებული იქნება მშობლების მოწონებაზე – თუ მშობლები ამ გარიგებას არ დასთანხმდებიან, ლუკა ვერ გაცვლის აიფონს.

სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, „თუ არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე ორმხრივ გარიგებას დებს, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა იმაზე იქნება დამოკიდებული, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი სარგებელს იღებს“.



### მატერიალური კანონმდებლობა

ლუკამ ზეპირი ფორმით დადო გაცვლის ხელშეკრულება თანაკლასელთან. ზემოთ ციტირებული კანონის ნორმა კი განსაზღვრავს, რომ ყველა ორმხრივი გარიგების (ყიდვა, გაყიდვა, გაცვლა და სხვა) დასადასტურებლად არასრულწლოვანს სჭირდება მშობლის თანხმობა. გამონაკლისს კანონი ითვალისწინებს მხოლოდ ე.წ. „ჯიბის ფულის“ განკარგვის შემთხვევაში და მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი გარიგებიდან „სარგებელს იღებს“. თუმცა ეს უკანასკნელი არ უნდა გავიგოთ როგორც სარგებელი მოგების მნიშვნელობით (ძვირი ნივთის იაფად ყიდვა ან, პირიქით, რაიმე ნივთის სარგებლიანად გაყიდვა). კანონში მოხსენიებული სარგებელი უფლებრივ სარგებელს გულისხმობს, ანუ ისეთ გარიგებას, რომლითაც არასრულწლოვანს წარმოეშობა მხოლოდ უფლებები და არანაირი ვალდებულება არ ეკისრება მას. ეს კი, ძირითადად, მხოლოდ ჩუქების დროს ხდება. მაშინ, როდესაც ვინმე რამეს ყიდულობს ჩვენგან, ის გვამღევს ფულს და მოელის, რომ მას გაყიდულ ნივთს გადავცემთ (ნივთის გადაცემა არის ჩვენი, როგორც გამყიდველის, ვალდებულება). ხოლო, როდესაც ვინმე რამეს გვჩუქნის, ის ჩვენგან საპასუხოდ არაფერს მოელის (რა თქმა უნდა, მაღლობის გარდა), ამიტომ ჩუქების დროს რაიმე ვალდებულება არ წარმოგვეშობა. შესაბამისად, ჩუქების, როგორც უფლებრივად სარგებლიანი გარიგების, შემთხვევაში მშობლის თანხმობა საჭირო არ არის (თუმცა ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც არასრულწლოვანია დასაჩუქრებული და არა როდესაც ის თავად ჩუქნის სხვას რაიმე ნივთს).

ვინაიდან ამ მაგალითში საქმე გვაქვს გაცვლასთან (რაც არ არის უფლებრივად სარგებლიანი გარიგება) და ვინაიდან ჩანს, რომ მშობლებმა არ მოიწონეს ლუკას ქმედება, შესაბამისად, ისინი შეძლებენ ამ გარიგებისათვის ხელის შეშლას და ლუკა აიფონს ვერ გაცვლის.



### დიდაქტიკა (და კანონის მიზანი)

სამოქალაქო სამართალი პირთა თავისუფალ ნებაზე დადგარებული. თუკი ორ პირს თანმხვედრი სურვილი აღმოაჩნდებათ, დადონ, რაიმე გარიგება, სახელმწიფო ან მესამე პირი, როგორც წესი, ამ ურთიერთობაში ვერ ჩაერევა. არასრულწლოვანი, თავისი გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ამ თავისუფალ და ერთგვარად უკონტროლო ურთიერთობაში შესაძლოა დაზარალდეს, რადგანაც ცნობილია, რომ ორმხრივი გარიგება მის მონაწილე მხარეებს უფლებებთან ერთად ვალდებულებებსაც აკისრებს. ამიტომაც კანონი, ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით, უმეტეს შემთხვევაში მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) სავალდებულო მონაწილეობას ითვალისწინებს ხელშეკრულების ნამდვი-

სამოქალაქო სამართალი

ლობის დასადგენად. თუკი მშობელი ჩათვლის, რომ მისი შვილი კონკრეტულ შემთხვევაში შეცდა, მას უფლება აქვს, არ მოიწონოს გარიგება და ამით არასრულწლოვანს არ მისცეს საშუალება, დადოს იგი. მაგრამ, თუკი მშობელი გარიგებას მოიწონებს, მაშინ ასეთი გარიგება ნამდვილი იქნება.

ამასთან ერთად, კანონი გარკვეულ გამონაკლისებსაც ითვალისწინებს, რათა არასრულწლოვანს მისი ასაკისათვის შესაბამისი წვრილმანი გარიგებების დადების შესაძლებლობა მიეცეს. ერთ გამონაკლისზე – უფლებრივ სარგებლიანი გარიგება – ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი; ასევე გამონაკლისია ე.წ. „ჯიზის ფულის“ განკარგვით დადებული გარიგებები, რაზეც ამ წიგნში მოყვანილ სხვა კაზუსში გვაქვს საუბარი.

## ჯიბის ფული

კაზუსი 83



მშობლები თიკას პერიოდულად ჩუქნიან ფულს. მან ორმოცი ლარის შეგროვება მოახერხა და ამ თანხით MP3-პლეიერის ყიდვა გადაწყვიტა. მშობლები წინააღმდეგნი არიან და ფიქრობენ, რომ MP3-პლეიერის ყიდვას ჯობია, წიგნები იყიდოს.



– თიკას შეუძლია იყიდოს MP3-პლეიერი.

სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, „ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვნის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან, წარმომადგენლების თანხმობით, მესამე პირებმა ამ მიზნით, ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით“.



### კანონის განმარტება

მართალია, სამოქალაქო სამართალი არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობას მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა-მოწონებაზე ხდის დამოკიდებულს, მაგრამ აქვე აწესებს, რომ თავისუფალი განკარგვის მიზნით არასრულწლოვნისათვის გადაცემული საშუალებების გამოყენებით დადებული გარიგების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა საჭირო აღარ არის. ფაქტია, რომ მშობლები თიკას, თავისუფალი განკარგვის მიზნით, ჯიბის ფულად ამღევენ ამ თანხას, შესაბამისად, მოგროვილ თანხას გოგონა თავისი სურვილისამებრ დახარჯავს.



### გახსოვდეთ,

კანონიერმა წარმომადგენლებმა ვინაიდან თავისუფალი განკარგვის მიზნით გადასცეს არასრულწლოვანს თანხა, კანონმდებელი ამ სახსრების გამოყენებისას მშობლის ნებართვას აღარ მოითხოვს. ნებისმიერ ოჯახში დამკვიდრებული ტრადიციაა შვილებისათვის ჯიბის ფულის მიცემა, ხშირად მშობლები ამას ბავშვის კარგ ქცევასაც უკავშირებენ, ამ ხერხით მშობლები მათ კარგი საქციელისაკენ უბიძგებენ. ამიტომაც ბუნებრივია, რომ კანონმდებელი ჯიბის ფულის განკარგვის თავისუფლებას არასრულწლოვანსვე უტოვებს. თუმცა ასეთ დროს არასრულწლოვნის მხრიდან გასათვალისწინებელია მშობლების, როგორც მისი ინტერესების დამცველი პირების, სურვილიც, რადგანაც მშობლებმა უმეტეს შემთხვევებში უკეთ იციან, რა იქნება მათი შვილებისათვის უმჯობესი.

## დივანი



16 წლის მარიამი 2 თვის წინ 24 წლის დემეტრეს გაჰყვა ცოლად. წყვილს ძალიან უყვართ ერთმანეთი და საკუთარი სახლის მოწყობას გეგმავენ. ვინაიდან დემეტრე ბანკში მუშაობს და მძიმე სამუშაო გრაფიკი აქვს, სახლისათვის ნივთების შეძენის საქმე მარიამმა საკუთარ თავზე აიღო. ავეჯის ერთ-ერთ მაღაზიაში მისულ გოგონას ტყავის დივანი მოეწონა, რომლის ღირებულებაც 3000 ლარია. მარიამს ძალიან უნდა, ეს დივანი თავისი სახლის მისაღებ ოთახში იხილოს, ამიტომაც მის ყიდვას გადაწყვეტს. როდესაც მაღაზიის ადმინისტრაციამ შეიტყო, რომ მარიამი არასრულწლოვანია, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ნებართვის გარეშე ამ გარიგების დადებაზე უარი განაცხადა, თანაც თავიანთი პოზიციის ასახსნელად ის მიუთითეს, რომ ნივთი ძვირადღირებულია და არასრულწლოვნებთან დადებული გარიგებები, როგორც წესი, პრობლემურია. ატირებული მარიამი სახლში იმედგაცრუებული დაბრუნდა.



– მარიამს შეუძლია ამ გარიგების დადება.

სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის შესაბამისად, „16 წელს მიღწეული არასრულწლოვნის დაქორწინება დასაშვებია მშობლების ან მზრუნველის თანხმობით, ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი

სასამართლოს ნებართვით“. ამავე კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით კი, „ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც 18 წლის ასაკამდე იქორწინებს“.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო სამართალი ხელშეკრულების ნამდვილობას პირის ქმედუნარიანობას უკავშირებს. ამაზე მეტყველებს სამოქალაქო კოდექსის მეორე კარის მეორე თავი, რომლის სათაური შემდეგია: ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა. ამ თავში შემავალი ერთ-ერთი მუხლის მიხედვით კი, არასრულწლოვნის მიერ კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი, თუ შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს ამ ხელშეკრულებას. თუმცა, თუ არასრულწლოვანი ქმედუნარიანი გახდება, მაშინ იგი თვითონ გადაწყვეტს საკითხს თავისი ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ. ფაქტია, რომ გარიგების ნამდვილობისათვის პირის ქმედუნარიანობა ასრულებს გადამწყვეტ როლს და არა ცალკე აღებული ასაკი. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში არასრულწლოვანი არაქმედუნარიანი (შეზღუდულ ქმედუნარიანი) პირს ნიშნავს. გამონაკლისია სწორედ 16 წლის პირის დაქორწინება – ეს ფაქტორი მას სრულ ქმედუნარიანობას ანიჭებს. ამიტომაც მარიამს ზემოთ მითითებული ხელშეკრულება რომ დაედო, მისი ნამდვილობა გოგონას კანონიერი წარმომადგენლის მოწონებაზე დამოკიდებული აღარ იქნებოდა.



### არავისთვისაა უცხო, რომ,

ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა გარკვეულ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული. ეს წესი საკმაო სიმძაფრით მოქმედებს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებზეც, მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი თავისუფალი და ლიბერალური მიდგომებისა. სწორედ ამიტომ პირს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაში შედის, რაც, ბუნებრივია, მას მომავალში გარკვეულ ვალდებულებებს დააკისრებს, საკუთარი მოქმედების სრულფასოვნად გაანალიზების უნარი უნდა შესწევდეს. არასრულწლოვანი კი, თავისი ასაკიდან გამომდინარე, ამ უნარს მოკლებულია. ამიტომაც მას განსაკუთრებულად მფარველობს კანონი და უკან დახევის საშუალებას უტოვებს. თუკი არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ისეთ სამართლებრივ ურთიერთობაში შევა, რომელსაც შემდგომში ეს უკანასკნელი არ დაეთანხმება, ასეთი გარიგება ბათილად ჩაითვლება.



## ონლაინშესყიდვა

პაზუსი 85



გიორგიმ ერთ-ერთ საიტზე ონლაინმაღაზიაში ციფრული ფოტოაპარატი შეუკვეთა. ორი დღის შემდგომ, როდესაც კურიერმა ფოტოაპარატი სახლში მიუტანა, გიორგიმ გახსნა ამანათი და ნახა, რომ ფოტოაპარატი არ ირთვება. მან ონლაინმაღაზიას მიმართა და სთხოვა, ნივთი გამოეცვალათ. მათ უპასუხეს, რომ გაგზავნისას ფოტოაპარატი მუშაობდა და ის, ალბათ, მან გააფუჭა. მათ ნივთის გამოცვლაზე გიორგის უარი უთხრეს.



– თუ გიორგი დაამტკიცებს, რომ მას არ გაუფუჭებია ფოტოაპარატი, მაშინ მას შეუძლია, მოშალოს ხელშეკრულება, დააბრუნოს ფოტოაპარატი და მოითხოვოს გადახდილი თანხა.

სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის მიხედვით, „გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისგან თავისუფალი ნივთი“. 490-ე მუხლის მიხედვით კი, „თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს იგი საამისოდ აუცილებელ ვადაში“. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი უარს ამბობს ნაკლის გამოსწორებას ან ნივთის შეცვლაზე, მაშინ 491-ე მუხლის თანახმად, მყიდველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო სამართლის მიხედვით, უფლებრივად ნაკლიანია ნივთი, თუკი მესამე პირებს აქვთ მასზე მოთხოვნის უფლება. მაგალითად, თუკი ამ ფოტოაპარატთან მიმართებით მესამე პირი – ზურა – განუცხადებს გიორგის, რომ ფოტოაპარატით სარგებლობის უფლება მას აქვს. რაც შეეხება ნივთობრივად უნაკლო საგანს, ის ნივთობრივად უნაკლოა, თუ შეთანხმებული ხარისხისაა. როცა ხარისხი წინასწარ შეთანხმებული არ არის, მაშინ ის უნაკლოდ ჩაითვლება, თუ ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. წარმოდგენილ კაზუსში სახეზეა ნივთობრივი ნაკლი, რადგანაც ფოტოაპარატი, რომელიც არ მუშაობს, ბუნებრივია, რომ სარგებლობისათვის გამოუსადეგარია. მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ნივთი ნაკლიანია, სამოქალაქო კოდექსი მყიდველს მოქმედების შემდეგ საშუალებას ანიჭებს: პირველ ეტაპზე მყიდველი გამყიდველისაგან დამატებით შესრულებას ითხოვს, რაც თავის თავში ნაკლის გამოსწორებას (ფოტოაპარატის შეკეთება) ან ნივთის ახლით შეცვლას გულისხმობს. ამ ორ მოქმედებას შორის არჩევანის უფლება გამყიდველს აქვს მინიჭებული. თუ მყიდველის მიერ გამყიდველისათვის დადგენილ დამატებით დროში ამ უკანასკნელმა არცერთი გზა არ აირჩია (არც შეაკეთა ფოტოაპარატი და არც ახლით შეცვალა), მაშინ გიორგის შეუძლია, გავიდეს ხელშეკრულებიდან და თანმდევად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. გართულებულია საკითხი, თუ ნივთის ნაკლს გამყიდველი არ აღიარებს, თავის თავზე არ იღებს. ასეთ შემთხვევაში სამტკიცებელია, თუ ვინ იქნება ფოტოაპარატის მწყობრიდან გამოსვლაზე პასუხისმგებელი პირი.



### სიახლე აღარაა,

რომ ინტერნეტვაჭრობა 21-ე საუკუნეში გაცხოველებული ინტერესის საგანი გახდა. ამ ტენდენციას არც საქართველო ჩამორჩება. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები წარმატებით იძენენ ნივთებსა და მომსახურებას როგორც უცხოურ, ისე ქართულ საიტებზე. ფუნქციონირებს გადამზიდველი კომპანიები, რომელთა მეშვეობითაც ქართველები მსოფლიოს წამყვან სავაჭრო ინტერნეტგვერდებზე სასურველ ნივთებს ყიდულობენ. თუმცა ასეთ დროს რამდენიმე ფაქტორს უნდა მიექცეს ყურადღება: პირველი რიგში, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ამ გზით სასურველი საქონლის შეძენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პირი ნასყიდობის ხელშეკრულებას არ აფორმებს. პირიქით, იგი ე.წ. მონიშვნის ნიშნის დასმით, როგორც წესი, ინტერნეტგვერდზე წარმოდგენილ ხელშეკრულების პირობებს ეთანხმება. სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან წვრილი შრიფტით დაწერილ ვრცელ პირობებს და წაუკითხავად ადასტურებენ მათ ნებას, დადონ ხელშეკრულება. ეს კი, დავის წარმოშობის

შემთხვევაში, მათ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 497-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას. წარმოდგენილ მაგალითში თუ გიორგის მიერ ხელმოწერილ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მსგავსი დანაწესი მოიძებნა, გიორგი ვეღარ წაუყენებს მას თავის მოთხოვნას. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ დროს მნიშვნელობას იძენს გამყიდველსა და გადამზიდველს შორის დადებული გადაზიდვის ხელშეკრულების პირობებიც. გამყიდველისათვის პრეტენზიის წასაყენებლად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოსარიცხია გადამზიდველის ბრალი ნივთის დაზიანებისას. თუმცა ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად დაზღვევასაც მიმართავენ ხოლმე.

## ტაქსით მგზავრობა



ლევანი კლათბურთელობას აპირებს და ინტენსიურად ვარჯიშობს. ერთხელაც ვარჯიშიდან გამოსული, დაღლილ-დაქანცული, სახლში ტაქსით მისვლას გადაწყვეტს. მან იცის, რომ სპორტული დარბაზიდან მის სახლამდე ტაქსის მძღოლი, როგორც წესი, 4 ლარს ართმევს, ამიტომაც თანხაზე არც კი უთანხმდება მძღოლს, ისე უჯდება მანქანაში. სახლთან მისულ ლევანს ტაქსის მძღოლი 7 ლარს სთხოვს. ბიჭს მიაჩნია, რომ თანხა არაადეკვატურია და გადახდას არ აპირებს.



– ლევანს ეკისრება მგზავრობის თანხის გადახდის ვალდებულება, მისი რაოდენობა კი შესაძლოა, სადავო იყოს.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზეც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.



### კანონის განმარტება

ლევანისა და ტაქსის მძღოლის შეთანხმება გადაყვანის ხელშეკრულების დადებამდე უნდა მივიჩნიოთ. კაზუსიდან ჩანს, რომ მხარეები ხელშეკრულების ფასზე არ შეთანხმებულან, რამაც შესაძლოა, ერთი შეხედვით, სადავო გახადოს ამ ხელშეკრულების დადების ფაქტი. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ გადაზიდვის ხელშეკრულების არსებით პირობად კანონი იმპერატიულად ფასს და მასზე მხარეების შეთანხმებას არ მიიჩნევს და კონკრეტულ შემთხვევაში თუ ჩავთვლით, რომ მხარეებს ამ სახის მომსახურებაზე მოქმედი ფასი შესაძლოა ევარაუდათ, ხელშეკრულება დადებულად უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება მხარეების მხრიდან ხელშეკრულების დასაბუთებად ნების გამოხატვას, აუცილებელი არ არის, რომ ეს ყველა შემთხვევაში წერილობით ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით გამოიხატებოდეს (გარდა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ფორმებისა). მთავარია, მხარის მოქმედებიდან იკითხებოდეს მისი რეალური ნება. როცა მანქანაში ჩამჯდარმა ლევანმა დანიშნულების ადგილის მისამართი უთხრა მძღოლს, რომელიც შეუდგა მგზავრის გადაყვანას, ლევანმა და ტაქსის მძღოლმაც ხელშეკრულების შესრულება დაიწყეს.

ცალკე საკითხია თავად ფასი, რომელიც მხარეებს შორის შეთანხმებული არ ყოფილა. ოთხ და შვიდ ლარს შორის სხვაობა 3 ლარია და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ასეთი მცირე მნიშვნელობის თანხა სადავო გახდეს რეალურ ცხოვრებაში. თუმცა, თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, მსგავსი ტიპის ხელშეკრულების საბაზრო ფასის, ანუ რეალური ღირებულების დადგენა მოითხოვოს მხარემ და სასამართლომაც მხოლოდ მისი გადახდა დააკისროს მას.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ლევანი არასრულწლოვანია, პასუხი ნათელია – როგორც 81-ე კაზუსის ამოხსნიდან ვიგებთ, მას წვრილმანი გარიგებების დადების უფლება კანონიერი წარმომადგენლის მიერ ამ ან თავისუფალი განკარგვის მიზნით მიცემული სახსრებით უპრობლემოდ შეუძლია. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულების ნამდვილობა მშობლის ნებართვა-მოწონებაზე დამოკიდებული არ იქნება.



### უნდა ვიცოდეთ,

კაზუსში წარმოდგენილი სიტუაცია რეალურ ცხოვრებაში, თავისი მცირე მნიშვნელობის გამო, დიდი ალბათობით მოლაპარაკების გზით გადაწყდება, თუმცა სამართლებრივად მისი გადაჭრის ზემოთ მოცემულ გზაში მთავარი ურთიერთობის მხარეების რეალური ნების დადგენაა. მიღებულია, რომ სამოქალაქო სამართალი, სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, ყველაზე მეტ თავისუფლებას აძლევს თავის სუბიექტებს. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში სასამართლოსთვისაც მხარის რეალური ნების დადგენა ამოსავალი წერტილი.

სამოქალაქო სამართალი

## ყურის გახვრეტა და ტატუ



### 1.1. ყურის გახვრეტა

ნუცა 16 წლისაა და ყურის გახვრეტა სურს. მისი მშობლები კი კატეგორიული წინააღმდეგნი არიან.

### 1.2. ტატუ

16 წლის გუჯას უკვე დიდი ხანია, რაც სურს მხარზე ტატუს გაკეთება, თუმცა მისი მშობლები, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგნი არიან.



### კანონის განმარტება

ვინაიდან საუბარია არასრულწლოვნის მიერ მომსახურების ხელშეკრულების (სალონში ყურის გახვრეტისა და ტატუს დახატვის მომსახურება) ზეპირი ფორმით დადებაზე, საქმე გვექნება სამოქალაქო კოდექსის 63-ე და 65-ე მუხლების გამოყენებასთან (იხ. 81-ე კაზუსის ამოხსნა). ზოგადი წესის მიხედვით, თუკი არასრულწლოვნები თავისუფალი განკარგვის მიზნით მათთვის გადაცემულ სახსრებს გამოიყენებენ ასეთი ხელშეკრულებების დასადებად, მაშინ ფორმალურად მშობლების თანხმობა ან მოწონება ამ გარიგების ნამდვილობისათვის საჭირო არ იქნება. ამ დანაწესის მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, ის არის, რომ, როცა კანონიერმა წარმომად-

გენელმა გარკვეული სახსრები გადასცა თავის არასრულწლოვან შვილს თავისუფალი განკარგვის მიზნით, იმთავითვე გამოთქვა თანხმობა მისი გამოყენებით რაიმე ხელშეკრულების დადებაზე. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მშობლის მიერ გარკვეული სახსრების მიცემა (რომელიც არასრულწლოვანმა დააგროვა და შემდგომში მისი გამოყენებით გადაწყვიტა ყურის გახვრეტა თუ ტატუს გაკეთება) ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ ტიპის ხელშეკრულებაზე წინასწარ გამოთქმულ თანხმობად განიმარტოს. ამდენად, პასუხი ასეთ შემთხვევებზე ცალსახა არ არის და დასაბუთებაზეა დამოკიდებული.



### **უნდა ვიცოდეთ,**

სამართალში, და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში, არის საკითხები, რომლებზეც წინასწარ მკვეთრად განსაზღვრული პასუხები არ არსებობს. ამიტომაც რეალურ ცხოვრებაში ძალიან ბევრია დამოკიდებული ამა თუ იმ კანონის განმარტებასა და მოდავე მხარეების მიერ კონკრეტული შეხედულებებისა და პოზიციების დასაბუთებაზე. მართალია, ნებისმიერი დავის გადაწყვეტისას მოსამართლე კანონით ხელმძღვანელობს, მაგრამ, საბოლოოდ, ის მაინც თავისი შინაგანი რწმენით წყვეტს საკითხს. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონის განმარტებას, რაც ცალკე მეცნიერებად არის აღიარებული. კონკრეტულ მაგალითებში ცალსახა და ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში 16 წლის არასრულწლოვანი მაინც ბავშვად მიიჩნევა და მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, ქართველი მშობლების უმეტესი ნაწილი კი ტატუს გაკეთების ფაქტს, დიდი ალბათობით, უარყოფითად შეხედავს, რაც მოზარდებისათვის გაუგებარია. ამიტომაც შესაძლებელია, რომ ასეთი შემთხვევა რეალურ ცხოვრებაშიც დადგეს. მთავარი მაინც ის არის, რომ მშობლებმა და შვილებმა საერთო ენა გამონახონ და მსგავსი საკითხები ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ.

## საბანკო ანგარიში

კაზუსი 88



16 წლის გიორგი წარმატებული ფეხბურთელია და ხელფასიც აქვს. მას სურს საბანკო ანგარიშის გახსნა, რაზეც ხელფასი უნდა დაერიცხოს.



– გიორგის შეუძლია საბანკო ანგარიშის გახსნა.



### კანონის განმარტება

გიორგი 16 წლის არის, შესაბამისად, მას შრომითი ქმედუნარიანობა სრულად აქვს წარმოშობილი, ამასთანავე, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მას პირადობის მოწმობაც უკვე აღებული აქვს. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ბანკში ანგარიშის გახსნით გიორგი სარგებელს იღებს, ასე რომ, ამ შემთხვევაში ვისიმე ნებართვა საჭირო არ უნდა იყოს.



### საგულისხმო ფაქტები

საქართველოში მოქმედი წამყვანი კომერციული ბანკები ანგარიშის გახსნისას აუცილებელი საბუთების ნუსხაში მხოლოდ პირადობის მოწმობას უთითებენ, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის შესაბამისი ბრძანებით არის განპირობებული. ცალკე საკითხია საბავშვო ანაბარი, რომელსაც, როგორც წესი, მშობელი უხსნის თავის არასრულწლოვან შვილს და რომელიც დაგროვებით ხასიათს ატარებს.



## მოტყუებით დადებული ხელშეკრულებები



გაკვეთილების დამთავრების შემდეგ 16 წლის თენგო თენგო სახლისაკენ გაეშურა. გზაზე მას შემოხვდა მეზობელი, რომელმაც უთხრა, რომ იაფად ჰყიდდა ორიგინალ აიფონს. თენგომ შეხედა მას და ჩათვალა, რომ იგი მართლაც ორიგინალი იყო. ფასიც ძალიან მოეწონა, რადგან ის მხოლოდ ორასი ლარი ღირდა. თუმცა, სახლში მისულს, მშობლებმა უთხრეს, რომ ტელეფონი ორიგინალი არ არის და ის ჩინურია, მაღაზიაში კი მისი ფასი მხოლოდ ორმოცდაათი ლარია. რისი გაკეთება შეუძლია თენგოს?



– თენგოს შეუძლია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა (გაუქმება) 1 წლის განმავლობაში. ამასთანავე, თენგო არასრულწლოვანია და ამ ორმხრივი გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული იქნება მისი კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან ამ გარიგების მოწონებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით, „თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს მოხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. ამასთანავე, ეს გარიგება შეიძლება

სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ“. 63-ე მუხლის მიხედვით კი, „თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას“.



#### კანონის განმარტება

სამოქალაქო სამართალი გარიგების დადებისას პირის ნების ნამდვილობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ნებისმიერ შემთხვევაში პირის სურვილი, დადოს ესა თუ ის ხელშეკრულება, ფორმირდება გარკვეული ინფორმაციის საფუძველზე და თუ ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება და ყოველივე ეს გამყიდველმა მხარემ იცის, ბუნებრივია, რომ საქმე გვაქვს მოტყუებით დადებულ გარიგებასთან. ასეთი ტიპის გარიგებას სამოქალაქო სამართალი საცილო გარიგებას უწოდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ბათილად აღიარება (გაუქმება) დამოკიდებულია მოტყუებული მხარის, ამ შემთხვევაში თენგოს, ნებაზე. მთავარია, ასეთ დროს დადგინდეს, რომ ობიექტურად მოხდა პირის მოტყუება. მას შეუძლია, ამ ფაქტის გაგებიდან 1 წლის განმავლობაში მოითხოვოს ამ გარიგების გაბათილება. ამასთანავე, სახეზე რომც არ გვექნოდა მოტყუებით დადებული გარიგება, ამ გარიგების ბედი დამოკიდებული იქნებოდა თენგოს კანონიერი წარმომადგენლების, ამ შემთხვევაში მისი მშობლების, მხრიდან ამ ხელშეკრულების მოწონებაზე.



#### როგორც ვხედავთ,

კანონმდებლის მიზანი მოტყუებით დადებული გარიგების რეგულირებისას ნათელია – ის ცდილობს, დაიცვას პირი მოტყუებისაგან. ზოგადად, ნებისმიერი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა კეთილსინდისიერების პრინციპზეა აგებული, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო სამართალი, და მით უმეტეს სახელშეკრულებო სამართალი, ძირითადად, მხარეთა თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფო ცდილობს, გარკვეული სავალდებულო წესების დამკვიდრებით დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე პირი სხვების არაკეთილგანზრახული საქციელისაგან. ამიტომაც მოტყუებულ მხარეს ანიჭებს უფლებას, უარი თქვას ასეთ ურთიერთობაზე და თავი დაიცვას.

## ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები



ერთ დღეს ნატას სახლის კარზე ზარი გაისმა. გოგონამ კარი გააღო და დაინახა ახალგაზრდა კურიერი ქალი, რომელმაც ჟურნალ „თბილისელების“ უახლესი გამოცემის ყიდვა შესთავაზა. ნატას შემოთავაზება ძალიან მოეწონა და ჟურნალი შეიძინა, თუმცა მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ მის მშობლებს ეს ჟურნალი უკვე ნაყიდი ჰქონდათ. ნატას სურს ჟურნალის უკან დაბრუნება.



– ნატა ჟურნალს უკან ვეღარ დააბრუნებს.

სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლის თანახმად, „მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე“.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო სამართალი ცალკე ნორმით აწესრიგებს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ პირი, რომელსაც ქუჩაში, უფრო სწორად, ისეთ ადგილას სთავაზობენ ხელშეკრულების დადებას, რომელიც არ არის გამიზნული საამისოდ, არ არის მობილიზებული სამართლებრივ ურთიერთობაში შესასვლელად. ასეთ სიტუაციაში იგი შეიძლება მარტივად შეცდეს, ამიტომაც კანონმდებელი მას ერთი კვირის განმავლობაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის პრეროგატივას ანიჭებს. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულება მისი დადებისთანავე სრულდება. წარმოდგენილ მაგალითში ნატას ჟურნალი უკვე გადაეცა გამყიდველისაგან, შესაბამისად, ხელშეკრულება უკვე შესრულებულია და მას ამ საფუძვლით სადავოდ ვეღარ გავხდით.



### უნდა ვიცოდეთ,

რომ მიზანი კანონმდებლისა, რომელიც განსხვავებულ რეგულირებას აწესებს ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების მიმართ, მომხმარებელთა ინტერესების დაცვაა. როგორც წესი, ქუჩაში მიმავალი ადამიანი, რომელიც საერთოდ არ ფიქრობს რაიმე ხელშეკრულების დადებაზე, სრულად გააზრებულ და ინფორმირებულ გადაწყვეტილებას ვერ იღებს, რაც, საბოლოოდ, მისი, როგორც მომხმარებლის, არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენებას იწვევს. სახლში მისულები, ისინი, ახლობლებთან ერთად, სხვა თვალთ უყურებენ მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებას და ხშირად ნანობენ კიდევ მას. ვინაიდან ასეთი პირი თავად არ მისულა რამის შესაძენად და ხელშეკრულების დადება უჩვეულო სიტუაციაში – ქუჩაში – მოხდა, კანონმდებელი მას უკან დახევის საშუალებას უტოვებს. თუკი ხელშეკრულების შესრულება იმწუთიერად არ მომხდარა, პირს შეუძლია, ხელშეკრულების დადებიდან ერთი კვირის განმავლობაში ამ ხელშეკრულების გაბათილება (გაუქმება) მოითხოვოს.

# არასრულწლოვანი შრომით ურთიერთობებში

## სამოძებლო კარიერა

კაზუსი 91



16 წლის ლიკამ სამოძებლო სააგენტოდან ძალიან მიმზიდველი შემოთავაზება მიიღო – სააგენტო სთავაზობს, მათი ფოტომოდელი გახდეს. ლიკა ფიქრობს, რომ ეს ძალიან კარგი შანსია და ხელიდან არ უნდა გაუშვას, მერე რა, თუ თეთრეულის რეკლამაში მოუწევს მონაწილეობის მიღება. მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, თუმცა მოგვიანებით, როდესაც ამის შესახებ მისმა მშობლებმა შეიტყვეს, გაბრაზდნენ და ლიკას განუცხადეს, რომ ისინი არ აძლევენ ამის უფლებას.

! – ლიკას უფლებრივი მდგომარეობა შრომისსამართლებრივ ურთიერთობაში დამოკიდებული იქნება სარეკლამო საქმიანობის სპეციფიკაზე.

შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, „ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან, თუმცა არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, დამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების

სამოქალაქო სამართალი

## დამზადებასთან, გადაზიდვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად აკრძალულია“.



### კანონის განმარტება

ქართული შრომის სამართალი პირს შრომით ქმედუნარიანობას 16 წლის ასაკიდან ანიჭებს, მაგრამ აქვე გარკვეულ გამონაკლისებსაც უშვებს: 16 წლამდე ასაკის პირთან მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობითაა დასაშვები შრომითი ურთიერთობა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე ეს არასრულწლოვნის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ხოლო 14 წლამდე არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება სარეკლამო საქმიანობის განსახორციელებლად დაიდოს. ამ შემთხვევაში ლიკა 16 წლისაა, შესაბამისად, მას, ზოგადი წესის მიხედვით, შეუძლია გააფორმოს შრომის ხელშეკრულება, თუმცა ის კვლავ არასრულწლოვანია, ამიტომაც აქტუალურია შრომითი ურთიერთობის თავისებურება. მაგალითიდან ცალსახად არ იკვეთება, რა ტიპის რეკლამასთან ან რა ტიპის პროდუქციასთან გვაქვს საქმე. ჩანს, რომ ლიკამ თეთრეულს უნდა გაუწიოს რეკლამა, რაც შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევაში, ეროტიკული პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ სამუშაოდაც იქნეს აღქმული. ლიკა რომ 16 წლამდე ასაკის ყოფილიყო და ამ საქმიანობის ხასიათი და პროდუქციის თავისებურება ცალსახად ნათელი იყოს (არ ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ინტერესს), შრომითი საქმიანობის დასაწყებად მისი მშობლების ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა იქნებოდა საჭირო.



### შრომის უფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური უფლებაა.

ნებისმიერი ადამიანის თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის შრომითსამართლებრივ ურთიერთობასა და მათ მოწესრიგებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გამომდინარე აქედან, კანონმდებელი პირს სრულწლოვანების მიღწევამდე ანიჭებს შრომით ქმედუნარიანობას, თუმცა აწესებს მშობლებისა თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის აუცილებლობას, რითაც ზღუდავს დასაშვები შრომითი საქმიანობის სახეებს და არასრულწლოვნისადმი, როგორც განსაკუთრებული და განსხვავებული სუბიექტისადმი, სპეციალურ მიდგომებს ამკვიდრებს. სახელმწიფოსათვის ამ შემთხვევებში გადამწყვეტია არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინება, პირის შრომით ქმედუნარიანობასა და მის სამომავლო განვითარებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა.

## რეკლამაში გადაღება

კაზუსი 92



6 წლის ნიკოლოზი პირველკლასელია, ის ცისფერთვალება, ქერათმიანი ბავშვია. ერთ დღესაც სკოლაში ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი ერთ-ერთი ცნობილი კომპანიის წარმომადგენლები მივიდნენ და თავიანთი სარეკლამო რგოლისთვის 2 გოგონა და 2 ბიჭი შეარჩიეს, მათ შორისაა ნიკოლოზიც. კომპანიის წარმომადგენელმა ნიკოლოზს მასთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულება და სავიზიტო ბარათი გადასცა, თან დააბარა, რომ მშობლებს იმ საღამოსვე დაერეკათ მათთვის.



– ნიკოლოზთან შრომითი ხელშეკრულების დადება შესაძლებელია მისი მშობლების თანხმობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

შრომის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, „16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და

გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. ამასთანავე, 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად“.



### კანონის განმარტება

როგორც კონკრეტული კანონის მუხლიდან ჩანს, შრომისსამართლებრივი ურთიერთობების დასაწყებად არასრულწლოვანებთან მიმართებით კანონმდებელი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. რაც უფრო ნაკლები ასაკისაა პირი, მით მეტად ამკაცრებს სახელმწიფო მისი დაცვის მექანიზმებს და ამ მიზნით მის უფლებრივ მდგომარეობას განსხვავებულად აყალიბებს. იმ შემთხვევაში, თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, კანონმდებელს მისი ინტერესების გათვალისწინება და ამ ფონზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კანონიერი წარმომადგენლისათვის, ან მეურვეობის/მზრუნველობის ორგანოსათვის აქვს მინდობილი. თუ პირი 14 წელსაც კი არ არის მიღწეული, ნახსენები სუბიექტების თანხმობას დასაქმების სფეროს (საქმიანობის ტიპი) შეზღუდვაც ემატება. გამომდინარე იქიდან, რომ დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული საქმიანობა ტანსაცმლის რეკლამირებაა, რაც კანონის მიერ დადგენილ ფარგლებში თავისუფლად ჯდება, 6 წლის ნიკოლოზსა და ტანსაცმლის მწარმოებელ კომპანიას შორის შრომითი ხელშეკრულების დადების საკითხი მხოლოდ ბავშვის მშობლებზე იქნება დამოკიდებული. თუ ნიკოლოზის დედა-მამა მიიჩნევს, რომ მათი შვილის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და განათლებას ხელი არ შეეშლება, ისინი კომპანიის შემოთავაზებაზე თანხმობას განაცხადებენ და ნიკოლოზი შრომისსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე გახდება.



### მიზანი კანონმდებლისა,

რომელიც დაცვის ორმაგ საფეხურს აწესებს, ბუნებრივია, არასრულწლოვანის ინტერესებით არის ნაკარნახევი. შესვლა ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც, უფლებებთან ერთად, მხარეს მოვალეობებს აკისრებს, გააზრებულ გადაწყვეტილებას მოითხოვს. არასრულწლოვანის შემთხვევაში კი სრულად გააზრებული გადაწყვეტილება ხშირად პირის ასაკიდან გამომდინარე არ გვაქვს. ამიტომაც ითვალისწინებს კანონი მთელ რიგს შეზღუდვებისას და ასეთი პირების მეთვალყურეობას მათ კანონიერ წარმომადგენლებს აკისრებს.



## 14 წლის ძიძა

კაზუსი 93



14 წლის თავოს სურს, ჯიბის ფული იშოვოს. მისი მეზობელი კი, რომელსაც ორი პატარა ბავშვი ჰყავს, წინააღმდეგი არ იქნებოდა, ბავშვების მოვლაში დახმარების საფასურად ფული გადაეხადა თავოსათვის.



– თავოს შეუძლია ბავშვების მომვლელად დაიწყოს მუშაობა, თუ ეს მის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება და თუკი მისი კანონიერი წარმომადგენელი თანახმა იქნება.

შრომის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, „16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას“.



### კანონის განმარტება

როგორც კონკრეტული კანონის მუხლიდან ჩანს, შრომისსამართლებრივი ურთიერთობების დასაწყებად არასრულწლოვნებთან მიმართებით კანონმდებელი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. რაც უფრო ნაკლები ასაკისაა პირი, მით მეტად ამკაცრებს სახელმწიფო მისი დაცვის მექანიზმებს და ამ მიზნით მის უფლებრივ მდგომარეობას განსხვავებულად აყალიბებს. იმ შემთხვევაში, თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, კანონმდებელს მისი ინტერესების გათვალისწინება და ამ ფონზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კანონიერი წარმომადგენლისათვის, ან მეურვეობის/მზრუნველობის ორგანოსათვის აქვს მინდობილი. კონკრეტულ კაზუსში თავო უკვე 14 წლის არის, თუმცა 16 წლამდეა და ამიტომაც საჭიროა ზემოთ მითითებული პირების თანხმობა. ამასთანავე, გასარკვევია, რამდენად დატვირთული იქნება თავო მეზობლის ბავშვების მოვლისას, შეეშლება თუ არა ხელი მის განვითარებას. თუკი მის განვითარებას ხელი არ შეეშლება, დამსაქმებელთან თავო, თავისი ასაკიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, სამუშაო გრაფიკზე (დატვირთვა) შეთანხმდება და მისი კანონიერი წარმომადგენლები ან შესაბამისი ორგანო ასევე თანხმობას გამოთქვამენ, სავსებით შესაძლებელია, არასრულწლოვანი შრომისსამართლებრივ ურთიერთობაში შევიდეს მეზობელთან და მუშაობა დაიწყოს.

## გამოსაცდელი ვადა

კაზუსი 94



16 წლის გუგამ მაღაზიაში მუშაობა დაიწყო. მას შრომის ხელშეკრულებაში ჩაუწერეს, რომ ერთთვიანი გამოსაცდელი ვადითაა მიღებული. რას ნიშნავს ეს?

საქართველოს შრომის კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, თუმცა არა უმეტეს 6 თვისა. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად წერილობითი ფორმის უნდა იყოს. ასეთი მუშაობა, ჩვეულებრივ, ანაზღაურებადია. დამსაქმებელს ამ ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლია დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების დადება ან გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა.



### კანონის განმარტება

როგორც წინა კაზუსებში განვიხილეთ, შრომის კოდექსი ადამიანის შრომითი ქმედუნარიანობის ასაკად 16 წელს მიიჩნევს, რაც იმას ნიშნავს, რომ

16 წლის გუგას თავისუფლად შეუძლია მაღაზიაში მუშაობის დაწყება. მაგალითიდან ჩანს, რომ ხელშეკრულება წერილობითი ფორმითაა დადებული და თანაც ერთი თვით. შესაბამისად, არაფერი ირღვევა.



### გამონაკლისი ზოგადი წესიდან

16 წლის გუგას შემთხვევაში შრომის კოდექსი ერთ საგამონაკლისო რეგულირებას ითვალისწინებს: მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული მაღაზია ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების რეალიზაციით არ იყოს დაკავებული. ჩამოთვლილი სამუშაოების შესასრულებლად არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება აკრძალულია. გუგა 16 წლისაა, შესაბამისად, 18 წლამდე ის არასრულწლოვნად ითვლება და მასთან ასეთი საქმიანობით დაკავებული მაღაზიის ადმინისტრაცია ვერც გამოსაცდელი ვადით და ვერც მის გარეშე შრომით ურთიერთობას ვერ დაიწყებს.



### გაითვალისწინეთ,

თანამედროვე სახელმწიფოებში ნებისმიერი დამსაქმებელი ორიენტირებულია, სამუშაოზე კვალიფიციური და უნარიანი თანამშრომელი აიყვანოს. ხშირად მხოლოდ განათლება და მისი დამადასტურებელი დოკუმენტი საკმარისი არ არის იმის განსასაზღვრავად, გაართმევს თუ არა პირი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს თავს. შრომითი ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტა კი შესაძლოა, დამსაქმებლისათვის გარკვეულ რისკთან იყოს დაკავშირებული, ამიტომაც ზოგჯერ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დამსაქმებელი ბოლომდე არ არის დარწმუნებული პირის უნარში, შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები, მასთან შრომითი ხელშეკრულების გამოსაცდელი ვადით დადებას ამჯობინებს. ამ ვადის განმავლობაში ან მისი გასვლისთანავე კი წყვეტს, პირთან შრომითი ხელშეკრულება გააფორმოს, თუ შეწყვიტოს ეს ურთიერთობა. თავის მხრივ, დასაქმებულსაც მოტივაცია აქვს, თავი გამოიჩინოს და დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობები, საკუთარი პიროვნების შესაბამისობა არსებულ სამუშაოსთან.

## შრომითი ხელშეკრულება



17 წლის ნონამ უბანში, მაღაზიის ვიტრინაზე, წარწერა შენიშნა: „ვეებზე კლიენტების მომსახურე პერსონალს“. მას მცირეოდენი ფულის შოვნა მოუნდა და დაელაპარაკა მაღაზიის მენეჯერს, რომელმაც უთხრა, რომ ხვალიდანვე შეეძლო მუშაობის დაწყება. მენეჯერმა ნონას განუცხადა, რომ საკმარისი იყო ზეპირი შეთანხმება და აუცილებელი არ იყო ხელშეკრულების წერილობით გაფორმება. ამის გამო გოგონას გული ეთანადრება, არ იცის, დაიწყოს თუ არა მუშაობა.



– შრომითი ხელშეკრულების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ვადით იდება ხელშეკრულება.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით ან ზეპირი ფორმით, მაგრამ, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ხელშეკრულება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს.



### კანონის განმარტება

სახელშეკრულებო სამართლისათვის უმრავლეს შემთხვევაში ფორმის თავისუფლებაა დამახასიათებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მხარეები თავად წყვეტენ, ხელშეკრულება ზეპირად დადონ თუ წერილობით. თუმცა არის ხელშეკრულებათა გარკვეული სახეები, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებლად წერილობითი ფორმის დაცვაა საჭირო. ასეთია, მაგალითად, ნაკვეთის ან ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. რაც შეეხება შრომით ხელშეკრულებას, როგორც ვხედავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის ხანგრძლივობას ენიჭება. 3 თვეზე მეტი ხნის ვადით დადებული ხელშეკრულებისათვის წერილობითი ფორმის დაცვაა სავალდებულო. ამდენად, ნონას, რომელიც 17 წლისაა, ჩვეულებრივად შეუძლია შრომისსამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა, ხელშეკრულების ფორმა კი მის ვადაზე იქნება დამოკიდებული.



### როგორც აღვნიშნეთ,

ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები უამრავ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედიან და არც კი ფიქრობენ მისი წერილობითი ფორმით დადების შესაძლებლობაზე. თუმცა არსებობს გარკვეული ურთიერთობები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ყოველდღიური წვრილმანი მოქმედებები. ასეთ შემთხვევებში ადამიანები ცდილობენ, რომ ხელშეკრულება წერილობით დადონ, რადგანაც მხარეების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი უფრო სანდოდ და გარანტირებულად მიაჩნიათ. ამიტომ ასეთი გარიგებების სიმყარისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების უკეთ უზრუნველსაყოფად კანონი სავალდებულო წერილობით ფორმას ითვალისწინებს.

## სტაჟირებისა და შრომითი ხელშეკრულების გამიჯვნა

პარაგრაფი 96



უკვე სამი თვეა, რაც 17 წლის ლევანი 1. სტაჟირებას გადის, 2. მუშაობს გამგეობაში. იგი თავისი საქმიანობით კმაყოფილია, თუმცა უფროსისაგან მოწონებას ვერ იმსახურებს – უფროსი ხშირად აიძულებს, სამუშაო დროის შემდეგ დარჩეს და ზეგანაკვეთურად იმუშაოს მანამ, სანამ დაწყებულ საქმეს არ დაასრულებს.



– პირველ შემთხვევაში, როდესაც ლევანი სტაჟირებას გადის, ის შრომის კანონმდებლობით უფროსს ვერაფერს მოსთხოვს, მე-2 შემთხვევაში კი, როდესაც ლევანს შრომითი კონტრაქტი აქვს გაფორმებული, უფროსი არღვევს შრომისსამართლებრივ ნორმებს, როცა არასრულწლოვანს ზეგანაკვეთურად მუშაობას სთხოვს.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ“.

ამავე კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით, „16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს. მე-17 მუხლის თანახმად კი, აკრძალულია არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე“.



### კანონის განმარტება

იმ შემთხვევაში, თუ ლევანი სტაჟირებას გადის გამგეობაში, მის უფროსს შრომის კანონმდებლობის ზემოთ მითითებული ნორმებით ვერ შევზღუდავთ. შრომის კოდექსი დასაწყისშივე განმარტავს, თუ რას მიიჩნევს შრომით ურთიერთობად – დასაქმებულის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულებას. სტაჟირებას კი ამ ურთიერთობაში ვერ მოვაქცევთ. ამდენად, უკმაყოფილების შემთხვევაში, ლევანი შრომის კოდექსზე ვერ მიუთითებს და შეუძლია, რომ თავი დაანებოს სტაჟირებას.

იმ შემთხვევაში, თუ ლევანი შრომით ურთიერთობაშია გამგეობასთან, ანუ მუშაობს, მას უფროსი 36 საათზე მეტი ხნით მუშაობას (ზეგანაკვეთურად) ვერ მოსთხოვს, რადგანაც ის 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანია.



### უნდა ვიცოდეთ,

შრომის კანონმდებლობაში შედგავთების მთელი რიგია გათვალისწინებული ორსული და ახალნამშობიარები ქალებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და არასრულწლოვნებისათვის. კანონის მიზანი ზემოთ ჩამოთვლილი პირებისათვის გამონაკლისების დაწესებისა, ძალიან მარტივია – მათ, თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ. ზეგანაკვეთურად მუშაობა არც ისე მარტივია და ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. სწორედ იმიტომ, რომ 18 წლამდე პირი არასრულწლოვანია, ზრდა არ აქვს დასრულებული და მისი ჩამოყალიბება ჯერ კიდევ გრძელდება, კანონი მის ნებასა და სურვილზე ტოვებს, ზეგანაკვეთურად იმუშავეს თუ არა.



## არასრულწლოვნის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა



16 წლის თიკო ხუთი თვეა, ერთ-ერთ პრესტიჟულ კომპანიაში მდივნად მუშაობს. მან ურთიერთობის დასაწყისშივე კომპანიის ადმინისტრაციასთან ხელი მოაწერა 1-წლიან შრომით ხელშეკრულებას ნახევარ განაკვეთზე, შესაბამისად, თიკო სკოლაში გაკვეთილების დასრულების შემდგომ, 3 საათიდან 8 საათამდე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით ამ კომპანიაში საქმიანობს. თიკოს დედას მიაჩნია, რომ გოგონა, რომელიც ყოველთვის საუკეთესო მოსწრებით გამოირჩეოდა, სწავლას ჩამორჩა, სამსახურიდან მოსულს, დადლილობის გამო გაკვეთილების მომზადების შესაძლებლობა აღარ აქვს, ყველა სასკოლო საგანში უდაბლეს ნიშნებს იღებს. ამიტომაც მშობელმა კომპანიის ადმინისტრაციას მიმართა და ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა.



– თიკოს დედას უფლება აქვს, მოითხოვოს ამ ხელშეკრულების შეწყვეტა.

საქართველოს შრომის კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, „არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს არასრულწლოვანთან

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს.



#### კანონის განმარტება

შრომის კანონმდებლობა შრომითი ქმედუნარიანობის ასაკად 16 წელს აცხადებს. ამდენად, 16 წლის თიკოს შეუძლია შრომითი საქმიანობის განხორციელება და კონტრაქტზე ხელის მოწერა. თუმცა ამავე კანონმდებლობით გათვალისწინებულია საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება ზიანს აყენებს არასრულწლოვნის მნიშვნელოვან ინტერესებს. თიკო 16 წლის არის და ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობს, შესაბამისად, სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია სასკოლო განათლების მიღება მის მნიშვნელოვან ინტერესად მივიჩნიოთ.



#### გვახსოვდეს,

ნებისმიერი ადამიანის სრულფასოვანი განვითარებისა და საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის სასკოლო განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საქართველოს კონსტიტუცია დაწყებით და საბაზო განათლებას (9 კლასი) სავალდებულოდ მიიჩნევს. მართალია, თიკო 16 წლის არის და, შესაბამისად, დაწყებითი და საბაზო განათლება დასრულებული აქვს, ის საშუალო განათლების (9-12 კლასი) ეტაპზეა, მაგრამ განათლება, მით უმეტეს სასკოლო, ნამდვილად არის მოზარდის განსაკუთრებული ინტერესი. თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ კონკურენტულ გარემოში განათლება წამყვან როლს ასრულებს ადამიანის წარმატებისა და ღირსეული ცხოვრების შექმნისათვის. წარმატებული მოქალაქეები, რომლებიც ღირსეულ ცხოვრებას ქმნიან, სტიმულია ნებისმიერი ადამიანისათვის, ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, ქვეყნის განვითარებასა და საზოგადოების დონის ამაღლებას განაპირობებს.

## გასაუბრება

პაპუხი 98



18 წლის დიანა ერთ-ერთმა ფირმამ გასაუბრებაზე მიიწვია. გასაუბრებისას მენეჯერმა ჰკითხა, ფეხმძიმედ ხომ არ არის, ან გათხოვებას ხომ არ აპირებს. დიანას აინტერესებს, უნდა გასცეს თუ არა ამ კითხვებს პასუხი.



– ამ კითხვებზე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს, თუმცა, უმეტესად, შეკითხვის დასმა კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მისაღებად დამსაქმებლისათვის ერთ-ერთი კანონით მინიჭებული უფლებაა.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, „შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, სქესის... გამო“. მე-5 მუხლის მიხედვით კი, „დამსაქმებელი უფლებამოსილია, მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად“.



### კანონის განმარტება

შრომისსამართლებრივი კანონმდებლობა დამსაქმებელს უფლებას ანიჭებს, წინასახელშეკრულებო ეტაპზე შეკითხვების დასმით კანდიდატზე ინფორმაცია მიიღოს, მაგრამ, ამასთანავე, ეს არ უნდა იყოს პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამ ბალანსის დაცვა და იმის გარკვევა, თუ რა მიზანი აქვს დამსაქმებელს ასეთი შეკითხვის დასმისას. ამასთანავე, წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში (სანამ პირს სამსახურში აიყვანენ) ასეთი შეკითხვის დასმა შესაძლოა დისკრიმინაციულ მიდგომადაც კი განიმარტოს. ქალისათვის ორსულობა მისი სქესიდან გამომდინარე მოვლენაა, ამიტომაც შეკითხვა ორსულად ხომ არ არის, ან ხომ არ აპირებს შვილის გაჩენას, შესაძლოა, სქესის მიხედვით მის დისკრიმინაციად ჩაითვალოს. საბოლოოდ, ეს საკითხი მაინც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს – დავის წარმოშობისას სასამართლოსათვის დამსაქმებლის არგუმენტაცია და მიზანი იქნება მნიშვნელოვანი შეკითხვის დასმისას. მაგალითად, შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, აკრძალულია არასრულწლოვანთან, ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, მსგავსი შეკითხვის შესაბამისობა და არადისკრიმინაციულობა დამსაქმებელმა შესაძლოა, სულაც ამ არგუმენტით დაასაბუთოს.



### აღსანიშნავია,

რომ ნებისმიერი ქალისათვის შვილი და ოჯახი, ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რამ არის ცხოვრებაში. სახელმწიფოსთვისაც მოსახლეობის ზრდა და ამ მხრივ ქალის უფლებების დაცვა პრიორიტეტია. ქალს, რომელიც შვილს ელოდება, უფრო მეტად სჭირდება სამსახური და ამ მხრივ მისი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება ახალშობილთა რაოდენობას შეამცირებს. ეს კი ბევრ სახელმწიფოზე და, მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაზე, ცალსახად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს.



### საგულისხმო ფაქტები

ქალის, და მით უმეტეს ორსული ქალის, უფლებებს უამრავი საერთაშორისო აქტი იცავს და განამტკიცებს. ზოგიერთ ქვეყანაში დამსაქმებლის მხრიდან ინტერვიუს დროს ამ ტიპის შეკითხვის დასმა ყველა შემთხვევაში დისკრიმინაციულ მიდგომად ითვლება და კანონით აკრძალულია.

# არასრულწლოვნის მიერ ზიანის მიყენება

## შინაური ცხოველი



9 წლის ლუკას ძალიან უყვარს თავისი ბულდოგის ჯიშის ძაღლი. ის ყოველ დილასა და საღამოს შინაურ ცხოველს შესაბამისი ალიკაპით ასეირნებს. ერთ მშვენიერ დილას ლუკა აღმოაჩენს, რომ ალიკაპი გატეხილა. ის გადაწყვეტს, რომ არაფერი მოხდება, თუკი ამ ერთხელ მოწყობილობის გარეშე გაიყვანს მეგობარს გარეთ. ბიჭი ასეც მოიქცევა. სამწუხაროდ, ძაღლს რაღაც ემართება, ის პატრონს ხელიდან გაუსხლტება და ქუჩაში მშვიდად მიმავალ დემეტრეს საშინლად დაკბენს. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას ლუკასათვის?



– კონკრეტულად ლუკასათვის აღნიშნულს არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება. მისი მშობლები ან მის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი სხვა პირები კი ვალდებული იქნებიან, აანაზღაურონ მიყენებული ზიანი, თუ დამტკიცდება, რომ მათ ამ ზიანის თავიდან აცილება შეეძლოთ.

სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მიხედვით, 10 წლის ასაკს მიუღწეველი პირი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც სხვას მიაყენა. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მის მშობლებს ან 10 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებულ სხვა პირებს ეკისრებათ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება. ამასთანავე, 1003-ე მუხლის თანახმად, ცხოველის მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. არ აქვს მნიშვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად.



#### კანონის განმარტება

სამოქალაქო სამართალი მრავალ ნორმას ითვალისწინებს პირის მიერ სხვისთვის ზიანის მიყენების შემთხვევებში პასუხისმგებლობის ზომებთან დაკავშირებით. პირველი და უზოგადესი წესი ადგენს, რომ პირი პასუხისმგებელია მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ზიანისათვის 10 წლის ასაკიდან. 10 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მიერ გამოწვეული ზიანისათვის კი მისი მშობელი ან მის მეთვალყურეობაზე უფლებამოსილი პირი იქნება პასუხისმგებელი. გადამწყვეტი ამ პირებისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ის არის, რომ მათ დამდგარი ზიანის თავიდან აცილების შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. გარდა ამისა, კანონმდებლობა შინაური ცხოველის მიერ მიყენებულ ზიანს ცალკე გამოყოფს. ლუკა, რომელსაც ბუღდოგის ჯიშის ძაღლი ჰყავს და სათანადო დამცავი მოწყობილობის გარეშე გაჰყავს ძაღლი სასაქონლოდ, შესაბამისად, სხვათა დასაცავად საჭირო ზომებს არ იღებს. ამდენად, ის რომ 10 წლის ზემოთ იყოს, თავისი ძაღლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი თავადაც იქნებოდა. კონკრეტულ მაგალითში ლუკას პასუხისმგებლობა გამოერიცხულია. მშობლები კი, როცა ასეთი ჯიშის ძაღლს თავიანთი 9 წლის შვილისათვის ყიდულობენ, საკუთარ თავზე იღებენ ამ ტიპის რისკებს.



#### უნდა გვახსოვდეს,

ძაღლი ნებისმიერი ბავშვისათვის სასურველი შინაური ცხოველია, თუმცა მისი ყოლა გარკვეულ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. ლუკასა და მის მშობლებს, რომელთაც ბუღდოგის ჯიშის ძაღლი ჰყავთ,

კარგად უნდა ესმოდეთ, რომ შესაბამისი დამცავი აღჭურვილობის – ალიკაპის გარეშე ძაღლის ქუჩაში გამოყვანა გარკვეული რისკების შემცველია. ბუნებრივია, 9 წლის ბავშვი ვერც სამართლით და ვერც მორალური ნორმებით პასუხს ვერ აგებს მიყენებული ზიანისათვის. ჩვეულებრივ, ცხოვრებაში მშობლების უმრავლესობისათვის არც არის ცნობილი ზემოთ მითითებული ნორმების შესახებ. მშობლები დამკვიდრებული ჩვეულებებისა და მორალური დანაწესების კარნახით, ძირითადად, ნებაყოფლობით ასრულებენ მათი არასრულწლოვანი, და მით უმეტეს მცირეწლოვანი, შვილების მიერ მიყენებული ზიანისათვის დამდგარ ვალდებულებებს.

## ზიანის ანაზღაურება

კაზუსი 100



მშობლებმა კოტეს ახალი მობილური ტელეფონი უყიდეს. მის თანაკლასელს კი, რომელმაც სთხოვა ეჩვენებინა, თუ როგორ სურათებს იღებდა აპარატი, იგი შემთხვევით ხელიდან გაუვარდა და ეკრანი გაეზარა.



– კოტეს თანაკლასელს შეიძლება მოეთხოვოს სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო სამართალი ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძვლად ზიანის მიყენებას განიხილავს. ბუნებრივია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ერთი პირი მეორეს ზიანს მიაყენებს, მაგალითად, დაუზიანებს ქონებას, ის ვალდებული იქნება, აანაზღაუროს ეს ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დასაკისრებლად მთავარია ზიანის მიმყენებლის ბრალი იკვეთებოდეს. საუბარია პირის მიერ ზიანის მიყენების განზრახ-



ვაზე, როდესაც ზიანის მიყენება მას განზრახული აქვს, ან გაუფრთხილებლობით აყენებს სხვას ზიანს. წარმოდგენილ მაგალითში თანაკლასელმა კოტეს გაუფრთხილებლობით მიაყენა ზიანი, დაუზიანა ქონება. თუ ჩავთვლით, რომ კოტეს კლასელი 10 წელს არის გადაცილებული, მას, ჩვეულებრივ, დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (საკუთარი სახსრებით ნივთის შეკეთების ვალდებულება); თუ მას დამოუკიდებელი შემოსავალი ან ქონება არ გააჩნია, მაშინ მის წარმომადგენლებსაც დაეკისრებათ დამატებითი პასუხისმგებლობა.



#### **გახსოვდეთ,**

ყოველი 10 წლის ასაკს გადაცილებული პირი მიყენებული ზიანისათვის თავად არის პასუხისმგებელი (გარდა გარკვეული გამონაკლისებისა ზოგადი წესიდან) და აქ კანონმდებლის მიზანი ნათელია – ნებისმიერი ვალდებულია, აკონტროლოს თავისი ქმედება. წარმოდგენილი შემთხვევა სამართლებრივად ზემოთ მითითებული გზით იჭრება, თუმცა, როგორც წესი, რეალურ ცხოვრებაში ასეთ შემთხვევებს მოლაპარაკების გზით წყვეტენ. ხშირად, ამ ტიპის ზიანს პატიობენ არასრულწლოვანს, ან მისი მშობლები ერთვებიან საქმეში და, მიუხედავად არასრულწლოვანის ასაკისა, დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზიანს უნაზღაურებენ.

## ჩამტვრეული მინა



13 წლის გიორგი მეგობრებთან ერთად ყოველ შაბათ-კვირას ეზოში ფეხბურთს თამაშობს. თამაშის დროს გიორგიმ ძლიერად დაარტყა ბურთს ფეხი, ბურთი მოედნის ღობეს გადასცდა და ქუჩის კუთხეში არსებულ მაღაზიას უზარმაზარი ვიტრინა ჩაუმტვრია. ვინ არის პასუხისმგებელი მიყენებულ ზიანზე?



– ზიანის ანაზღაურება დაეკისრება გიორგის ან გიორგისა და მის წარმომადგენლებს ერთად.

სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „ათწელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც“.



### კანონის განმარტება

სამოქალაქო სამართალი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას პირს 10 წლის ასაკიდან აკისრებს. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე 11 წლის ასაკის მოზარდს დამოუკიდებელი შემოსავალი ჰქონდეს. ამიტომაც ასეთ დროს კანონი დამატებით მის წარმომადგენელსაც აკისრებს პასუხისმგებლობას. წარმოდგენილ მაგალითში, თუ გიორგი თავისი ქონებითა და შემოსავლით თავად ვერ შეძლებს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურებას, პასუხისმგებლობა დამატებით მის მშობლებს ან მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ სხვა პირებს დაეკისრებათ.



### უნდა ვიცოდეთ,

ქვეყანაში მოქმედი სამართლის სხვადასხვა დარგი პირისათვის ამა თუ იმ ტიპის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სხვადასხვა ასაკობრივ ზღვარს ადგენს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელია, ადმინისტრაციული გადაცდომისათვის 16 წლიდან დგება პასუხისმგებლობა, ხოლო ზიანის მიყენებისათვის სამოქალაქოსამართლებრივი წესით პირი 10 წლიდან არის პასუხისმგებელი. ნათელია, რომ ყველაზე დაბალი ზღვარი მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქოსამართლებრივი წესით პასუხისმგებლობისას არის დადგენილი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ასაკობრივი მიჯნა საქართველოსა და მისი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული თუ ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა განპირობებული. მიჩნეულია, რომ მიყენებული ზიანისათვის პირმა 10 წლიდან უნდა აგოს პასუხი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავისი მოქმედების მნიშვნელობის გაგება არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, ქართულ რეალობაში, ძირითადად, მშობლები ზრუნავენ თავიანთი შვილების (და არა მხოლოდ არასრულწლოვნების) ნამოქმედარზე, რაც სწორედ რომ ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციებიდან გამომდინარეობს.

სამოქალაქო სამართალი

## ფასიანი საუბარი



ნათიას მეზობლად თანაკლასელი მეგობარი ცხოვრობს. იგი ხშირად სტუმრობს ხოლმე ნათიას. ერთ დღესაც სთხოვა ნათიას, სახლის ტელეფონიდან დამარეკინეო. ნათიამ ნება დართო. მეგობარმა საკმაოდ დიდ ხანს ისაუბრა ტელეფონით. თვის ბოლოს მოვიდა ტელეფონის ანგარიში და აღმოჩნდა, რომ თანაკლასელს მობილურზე დაურეკავს და გადასახდელი თანხა ოც ლარს შეადგენს.

შეუძლია ნათიას, თანაკლასელს მოსთხოვოს თანხის გადახდა?



### კანონის განმარტება

ნათიამ ამ თანხის ანაზღაურების მოსათხოვად უნდა დაამტკიცოს, რომ თანაკლასელის მიერ მობილურზე დარეკვის ფაქტი მისთვის უცნობი იყო და ის ამას არ დასთანხმებია. ეს კი გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო სამართლის უზოგადესი პრინციპიდან, მოსარჩელემ თავად უნდა ამტკიცოს თავისი პოზიცია. მსგავსი ტიპის დავა ნაკლებ სავარაუდოა, სასამართლომდე მივიდეს, თუმცა, ჰიპოთეზურად თუ ვიმსჯელებთ, ასეთ დროს ზიანის დანაწესითაა შესაძლებელი დავა. ნათიასათვის ეს 20 ლარი სწორედ რომ ზიანად შეიძლება აღვიქვათ. თუმცა პასუხი ასეთ დროს მაინც არ არის ცალსახა. რეალურ ცხოვრებაში ასეთი გაუგებრობა მოლაპარაკების გზით წყდება: ან ნათიას მხარე (შმობლები) გადაიხდის ამ მცირე მნიშვნელობის თანხას, ან მისი თანაკლასელისა.

## საავტორო უფლებები

### ნაწარმოების პირატული გამრავლება

კაზუსი 103



თიკამ ნინო ქათამაძის ახალი ალბომი შეიძინა. მისმა რამდენიმე თანაკლასელმა თიკას სთხოვა, მათთვისაც გადაეწერა დისკებზე ალბომი; შემდგომ სხვა თანასკოლელებმაც სთხოვეს ამის გაკეთება. თიკამ იფიქრა, მოდი, ბარემ ფულს ვიშოვი და ერთი დისკში ორ ლარს გამოვართმევო.



– თიკა არასწორად მოიქცა, მან დაარღვია ნინო ქათამაძის ან უფლების სხვა მფლობელის საავტორო, კერძოდ ქონებრივი, უფლება.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საავტორო უფლებების დარღვევა იწვევს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“; ამავე კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, „საავტორო უფლებების მფლობელს უფლება აქვს, დამრღვევისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით“; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის 157<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „შემოსავლის მიღების მიზნით ნაწარმოების უკანონო რეპროდუცირება, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მათი კონტრაფაქციული ასლების გაყიდვა, გაქირავება ან სხვა უკანონო გზით გამოყენება, აგრეთვე, შემოსავლის მიღების მიზნით საავტორო უფლების მფლობელის უფლებათა სხვა დარღვევა, იწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან სამი ათას ლარამდე“.



### კანონის განმარტება

აღნიშნული მუხლით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელიც შემოსავლის მიღების მიზნით ახდენს ნაწარმოების უკანონო რეპროდუცირებას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საავტორო უფლებები იცავს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, ამ ტიპის ნაწარმოებებს კი სხვებთან ერთად ტექსტიანი თუ უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებებიც მიეკუთვნება. ამასთანავე, ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება აქვს, რაც გულისხმობს მის უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების რეპროდუცირება, ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით.



### გამონაკლისები ზოგადი წესიდან

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პასუხისმგებლობის ზომების დადგენისას იმ ქმედებებისათვისაც, რომელთაც სამართალდარღვევად მიიჩნევს, აწესებს, რომ: თუ ჩადენილია მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადამწყვეტ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია, პირი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს. ამ კაზუსიდან არ ჩანს, თიკას ქმედებებმა რა მასშტაბი მიიღო და რა ოდენობის ზიანი გამოიწვია, ამიტომაც რთულია ასეთ დროს მუხლის შესაბამისობაზე საუბარი. თუმცა, თუ გოგონამ ალბომის მხოლოდ რამდენიმე ერთეული ეგზემპლარი გააკეთა და გაყიდა, თეორიულად შესაძლებელია ამ დანაწესის ამოქმედებაც.



### უნდა ვიცოდეთ,

21-ე საუკუნეში, როგორც გამოგონებისა და ტექნიკური პროგრესის ერაში, ინტელექტუალური საკუთრების სამართალსა და ავტორებისა თუ გამომ-

გონებლების უფლებების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რომ არა დაცვის ის სამართლებრივი ბერკეტები, რომელთაც ნებისმიერი განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო ითვალისწინებს, ბევრი ნაწარმოები თუ გამოგონება დღის შუქს ვერც ნახავდა. ადამიანი, რომელიც თავისი შრომისა თუ საქმიანობის შედეგს ვერ იმკის, უმეტესად, მოტივაციას კარგავს, გააგრძელოს ამ კუთხით საქმიანობა, ამიტომაც ინტელექტუალური სამართალი და საავტორო უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პროგრესის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობაც ცდილობს, მაქსიმალურად უსაფრთხო და დაცული გარემო შეუქმნას ავტორებსა და გამომგონებლებს საქმიანობისათვის და მათი უფლებების ნებისმიერ დარღვევაზე კანონით ათავალისწინებული რეაგირება მოახდინოს.



### საგულისხმო ფაქტები

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის შესაბამისად, საქართველოში შექმნილია და ფუნქციონირებს საავტორო უფლებათა ასოციაცია, რომლის უმთავრესი მიზანია, დაიცვას საავტორო უფლებათა მფლობელის ინტერესები და ებრძოდეს საავტორო უფლებათა არალეგალურ გამოყენებას. ამ კუთხით საზოგადოების მართლშეგნების ასამაღლებლად ასოციაცია სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავს. ერთ-ერთი ასეთი იყო, მაგალითად, მუსიკალური ალბომის – „ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას!“ – გამოცემა, რომელშიც 30 შემსრულებლის სიმღერა შევიდა.



საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაცია: <http://www.gca.ge/>

# საავტორო უფლებების დარღვევა

პაზუსი 104



ნინომ გადაწყვიტა საკუთარი ვებგვერდის შექმნა. მან ინტერნეტში მოიპოვა ლამაზი ფოტოები, ფოტოებზე კი აღნიშნული იყო, რომ საავტორო უფლებები დაცულია. მიუხედავად ამისა, მან ფოტოები საკუთარ ვებგვერდზე განათავსა.



– ნინო არღვევს ფოტოს ავტორის საავტორო უფლებას.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, „ავტორს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მის უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აუკრძალოს სხვებს ნაწარმოების სხვადასხვაგვარი გამოყენება“.



კანონის განმარტება

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საავტორო უფლებები იცავს მეცნიერების, ლიტერატურისა



და ხელოვნების ნაწარმოებებს, ამ ტიპის ნაწარმოებებს კი სხვებთან ერთად ფოტოსურათიც მიეკუთვნება. ფოტოს ავტორს მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება აქვს. „განსაკუთრებულ უფლებაში“ კანონმდებელი მოიაზრებს: ნაწარმოების რეპროდუცირების უფლებას, ნაწარმოების საჯარო ჩვენებას, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გაქირავებას, ნაწარმოების სხვაგვარ გამოყენებას. ამდენად, ნაწარმოების ავტორის ნებაზეა დამოკიდებული, მისცემს თუ არა საკუთარი ნაწარმოების გამოყენების უფლებას სხვა პირს. ყოველ შემთხვევაში, მისი ნებართვის გარეშე ნაწარმოების გამოყენება მისი უფლებების დარღვევა იქნება. ამ ზოგადი წესიდან კანონმდებელი გამონაკლისსაც უშვებს, მაგალითად, ავტორის ნებართვის გარეშე დასაშვებია გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკური პირის მიერ მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის; საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით და ა.შ. წარმოდგენილი მაგალითის მიხედვით, დაცული ფოტოების ნინოს მიერ საკუთარ ვებგვერდზე უნებართვოდ განთავსება არცერთი კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევაში არ ჯდება და საავტორო უფლების შელახვად გვევლინება.



### საგულისხმო ფაქტები

21-ე საუკუნეში – ინტერნეტის ხანაში – საკმაოდ გამწვანებულია ფოტოსურათის ავტორის საავტორო უფლებების დაცვა. ამ მხრივ არც საქართველოშია სახარბიელო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს ჩვენი ქვეყანაც მიერთებულია, მოქალაქეებს, ხშირად, უჭირთ იმის გაანალიზება, რომ თუნდაც ინტერნეტში ძებნისას მოპოვებულ ფოტოზეც შეიძლება ვრცელდებოდეს საავტორო უფლებები.

სამოქალაქო სამართალი

# არასრულწლოვნის სამოქალაქო უფლებები

## დისკოთეკა

კაზუსი 105



16 წლის გოგლას სურს, თავის მეგობრებთან ერთად წავიდეს დისკოთეკაზე, თუმცა დაცვის წევრმა იგი არ დაუშვა დისკოთეკაზე იმ მიზეზით, რომ არასრულწლოვანია.



– დაცვის წევრს ჰქონდა ამის უფლება, თუკი დისკოთეკა ღამის კლუბში იმართებოდა (ღამის საათებში), რადგანაც ღონისძიებას მავნე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო არასრულწლოვანზე.

„მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, „აკრძალულია ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა დაშვება 23-იდან 8 საათამდე. ბარისა და ღამის კლუბის ხელმძღვანელებს უფლება აქვთ, შეამოწმონ ბარსა და ღამის კლუბში შემსვლელთა ასაკი ადამიანის უფლებათა დაცვის სრული გარანტიით. ამ მოთხოვნების დარღვევისათვის გათვალისწინებულია სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“.



### კანონის განმარტება

დისკოთეკა, ძირითადად, ღამის კლუბებში იმართება. ამ შემთხვევაში მთავარია იმის დაზუსტება, თუ დროის რა მონაკვეთში ცდილობდნენ გოგლა და მისი მეგობრები დისკოთეკაზე მოხვედრას. თუ არც ღამის კლუბზე და არც ღამის საათებზე არ არის საუბარი და დისკოთეკა, უბრალოდ, საღამოს საათებში იმართებოდა, მაშინ არასრულწლოვნებს, რომელთაც გართობის უფლება აქვთ, პრობლემა არ უნდა შექმნოდათ ღონისძიებაზე მოხვედრისას; მეორე მხრივ, სამოქალაქოსამართლებრივი კუთხით, თუკი ფიზიკური პირი ან რომელიმე კომპანია სთავაზობს ამ აქტივობას ხალხს, მას ამ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც ხელშეკრულების მხარეს, შეუძლია შეზღუდოს ხელშეკრულების მეორე მხარე და სავალდებულო მოთხოვნად დააწესოს პირის სრულწლოვანება.



### გახსოვდეთ,

კანონის მიზანი ასეთი შეზღუდვის დაწესებისას ისევ და ისევ არასრულწლოვნის ინტერესების უზრუნველყოფაა. თავად კანონის სახელწოდებაც მეტყველებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვაა პრიორიტეტული. როგორც წესი, ბარებსა და ღამის კლუბებში ღამის საათებში შესაძლოა მარტივად ხელმისაწვდომი იყოს ალკოჰოლური სასმელი, ესა თუ ის მავნე ნივთიერება. არასრულწლოვანი კი თავისი სუსტი ფსიქიკით ასეთ დროს ხვდება მაღალი რისკის ქვეშ, ჩაიდინოს არასწორი საქციელი და ზიანი მიაყენოს საკუთარ ჯანმრთელობას. ამიტომაც კანონი ცდილობს, ისეთი გარემო შექმნას, რომ 18 წელს მიუღწეველი ფიზიკურად ვერ დადგეს მსგავსი ცდუნების წინაშე.

## აბორტი



ლიკას შეყვარებულთან დაუგეგმავი სქესობრივი კონტაქტი ჰქონდა, რის შედეგადაც დაორსულდა. პირველი ორი თვე იგი ვერ მიხვდა, რომ ორსულად იყო, თუმცა შემდგომ ნელ-ნელა დაეტყო მუცელი. იგი დაიბნა და არ იცის, რა გააკეთოს. მშობლებმა რომ გაუგონ, ალბათ, მოკლავენ. შეყვარებული ეუბნება, რომ მუცელი მოიშალოს, მან კი არ იცის, რა უნდა ქნას.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 139-ე მუხლის მიხედვით, „ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას და ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და ამ მომენტიდან გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა“.



### კანონის განმარტება

როგორც მუხლიდან ჩანს, 12 კვირამდე ნაყოფის შემთხვევაში კანონმდებელი აბორტს დასაშვებად მიიჩნევს და აქვე ამკვიდრებს გარკვეულ მოსაფიქრებელ ვადას, რათა ქალს საშუალება ჰქონდეს, გააზრებული და ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს. ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისიც, როდესაც 12-კვირიანი ვადა გასულია, მაგრამ სახეზეა სამედიცინო თუ სოციალური ჩვენებები. პირველი თავის თავში იმ შემთხვევებს გულისხმობს, როდესაც, სამედიცინო თვალსაზრისით, აბორტი რეკომენდებულია, ხოლო მეორე ისეთი სოციალური გარემოებების არსებობას გულისხმობს, როდესაც აბორტი გამართლებულია. „სოციალურ ჩვენებებში“, როგორც წესი, მოიაზრებენ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და ა.შ. ლიკას შემთხვევა საკმაოდ მძიმეა, თუმცა დასაშვები აბორტის ვადა (12 კვირა) ჯერ გასული არ არის.



### უნდა ვიცოდეთ,

ნებისმიერ საზოგადოებასა და ნებისმიერ ქვეყანაში აბორტის შესახებ მუდმივი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ამ რთულ სოციალურ საკითხს საზოგადოების სხვადასხვა ფენისა თუ პროფესიის ადამიანები განსხვავებულად უყურებენ, არსებობს უამრავი სამედიცინო, რელიგიური თუ სამართლებრივი არგუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც კონკრეტული სფეროს წარმომადგენლები ემხრობიან ან ეწინააღმდეგებიან მას. მიზანი კანონმდებლისა, რომელიც ორსულობის 12 კვირამდე და 12 კვირის შემდგომ განსხვავებულ მიდგომებს აწესებს, ქალის ჯანმრთელობის დაცვაა, თუმცა ამ პრიორიტეტის დაცვას ის აბორტების რაოდენობის შემცირებით ცდილობს. თუკი მითითებული დროის ზღვარი დაცულია, გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში ქალის მისაღებია. წარმოდგენილ მაგალითში, მართალია, ლიკა ძალიან დაბნეულია, ეშინია თავისი საიდუმლოს გამხელისა, მაგრამ ასეთი სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისას ის მაინც მშობლებს უნდა დაელაპარაკოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგას კონკრეტული ნაბიჯი.

სამოქალაქო სამართალი

## რელიგიის თავისუფლება

კაზუსი 107



მე-10 კლასელი თათიას ბინის კარზე ერთ დღეს ზარის ხმა გაისმა. თათიამ კარი რომ გააღო, დაინახა ქალი და კაცი, რომლებმაც განუცხადეს, რომ მასთან „ჭეშმარიტ ღმერთზე“ საუბარი სურდათ. კითხვაზე, თუ რომელი რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები არიან, მათ უპასუხეს, რომ წარმომადგენენ „ჭეშმარიტი ღმერთის სექტას“. თათიას არ სურს მათთან გასაუბრება. რა უნდა ქნას?



– თათიას შეუძლია უპასუხოს, რომ არ აინტერესებს ეს საკითხი და ბინაში შებრუნდეს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, დაუშვებელია ამის გამო ადამიანის დევნა“; მე-20 მუხლის მიხედვით კი, „არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ბინაში... პირთა ნების საწინააღმდეგოდ,... თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“.



### კანონის განმარტება

ქართული კონსტიტუციური სამართალი ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას განამტკიცებს. შესაბამისად, ნებისმიერი მრწამსის, მათ შორის, რომელიმე სექტის მიმდევართ უფლება აქვთ, სწამდეთ და მისდევდნენ მათთვის სასურველ რელიგიას. ამასთან, თათიას, რომელიც განსხვავებული რელიგიის მიმდევარია, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს, არ მოუსმინოს მათ. მით უმეტეს, რომ საუბარია პირის საცხოვრებელ სახლში შესვლაზე, რაზეც ნების დართვის პრეროგატივა მხოლოდ იქ მცხოვრებ პირს აქვს.



### უნდა ვიცოდეთ,

საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს რელიგიის თავისუფლებას, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მახასიათებელია და ნებისმიერ პირს ანიჭებს უფლებას, სწამდეს და მისდევდეს სასურველ რელიგიას. წარმოდგენილ მაგალითში თათიამ, რომელიც შეიძლება არ იზიარებდეს სტუმრების შეხედულებებს რელიგიაზე, ზრდილობიანად უნდა განუმარტოს მათ, რომ ამ საკითხით დაინტერესებული არ არის. თავის მხრივ, ისინიც ვალდებული არიან, დაემორჩილონ თათიას სურვილს და თავს არ მოახვიონ თავიანთი შეხედულებები.



### საგულისხმო ფაქტები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული არ არის. სახელმწიფო რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას აცხადებს, მაგრამ, ამასთან ერთად, აღიარებს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში.

# თავი 4

## მოზარდი და სკოლის დისციპლინა





## საჩივარი მასწავლებლის წინააღმდეგ კაზუსი 108

*ერთ-ერთი მასწავლებელი თამუნას მუდმივად აყენებს შეურაცხყოფას, რადგან თამუნა კარგად არ სწავლობს. იგი შეურაცხყოფისათვის იყენებს შემდეგ ფრაზებს: „აბა, ასეთ ოჯახში ვინ უნდა გაიზარდოს!“, „რაც შენი მშობლები არიან, ის გამოხვალ შენც“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ თამუნამ რამდენიმეჯერ მოსთხოვა, შეეწყვიტა მის მიმართ ასეთი ფრაზების თქმა, მასწავლებელი მაინც არ გაჩერდა. როგორ უნდა დაიცვას თავი თამუნამ? რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მასწავლებელს?*



– თამუნას უფლება აქვს, გაასაჩივროს მასწავლებლის საქციელი სკოლის ადმინისტრაციაში, რამდენადაც მოსწავლის შეურაცხყოფა დაუშვებელია საქართველოს კანონმდებლობით. იგი ეწინააღმდეგება როგორც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ისე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგება მასწავლებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად: „მოსწავლეს უფლება აქვს, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან“;

მე-20 მუხლის მიხედვით: „დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“;

ამავე კანონის მე-12 მუხლის მიხედვით კი: „მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. სკოლა ვალდებულია, შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება“;

„მასწავლებლის პროფესიული ეთიკის“ კოდექსის მე-4 მუხლში ვკითხულობთ: „მასწავლებელი არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას“.



### კანონის განმარტება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-20 მუხლები კრძალავს ძალადობას სკოლაში როგორც მოსწავლის, ისე ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კანონმდებელი ძალადობად მოიაზრებს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სიტყვიერ შეურაცხყოფასაც.

თავის მხრივ, შეურაცხყოფა გულისხმობს პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებას. სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს დამნაშავე აკნინებს სხვის პატივსა და ღირსებას ვერბალური ფორმით, რომელიც შეეხება პირის ზნეობრივ და გონებრივ თვისებებს, მის ახლობლებს, ოჯახს, საქმიანობას. ასეთ დროს მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაციის სისწორეს.

სწორედ ამიტომ კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სკოლაში მსგავსი ტიპის ძალადობის დაუშვებლობას. უფლების შელახვის შემთხვევაში კი პირდაპირ ავალდებულებს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ერთი მხრივ, რეაგირებას, მეორე მხრივ კი, დაზარალებულთა საჩივრის განხილვის ეფექტური მექანიზმის შექმნას.



### გაითვალისწინეთ,


საქართველოს უზენაესი კანონი, ქვეყნის კონსტიტუცია მე-17 მუხლში ადამიანის პატივსა და ღირსებას მოიაზრებს აბსოლუტური უფლებების კონტექსტში, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ამ უფლების შეზღუდვის არანაირი საფუძველი. ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას გამართლება არ აქვს.

სწორედ ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს საკუთარი მოქალაქეების უფლებათა დაცვის ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია ძალადობის ნებისმიერი ფორმის აკრძალვა სკოლებში. სამწუხაროდ, ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის არ არის უცხო როგორც მოსწავლის შეურაცხყოფა მასწავლებლის მხრიდან, ისე პირიქით. სწორედ ამიტომ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი კანონი იცავს არა მხოლოდ მოსწავლეს, არამედ მასწავლებელსაც.

შეურაცხყოფა არ უნდა გავიგოთ როგორც, უბრალოდ, პიროვნების უფლების შელახვა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ქმედება, რომელიც ადამიანს აყენებს ზიანს. სიტყვას არცთუ იშვიათად შეუძლია ადამიანს იმაზე დიდი ტკივილი მიაყენოს, ვიდრე ფიზიკურმა ძალადობამ. მოზარდები ამ მხრივ განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან, რადგანაც მათი პიროვნება ჩამოყალიბების პროცესშია და ნებისმიერმა სტრესმა შესაძლოა, სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს მათ მომავალ განვითარებაზე.

მასწავლებლის უპირველესი ფუნქცია მოსწავლეზე ზრუნვაა. მისი სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეთათვის ინფორმაციის გადაცემით. კანონის თანახმად, სკოლამ ჯანსაღი სასწავლო გარემო უნდა შექმნას, სასწავლო გარემო კი არ არსებობს მასწავლებლის გარეშე. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯანსაღ სასწავლო გარემოს ქმნიან სწორედ მასწავლებლები. ამიტომაც არის, რომ ამ უკანასკნელთ, როგორც კანონი, ისე ეთიკის კოდექსი, განსაკუთრებით ავალდებულებს მოსწავლის პატივისა და ღირსების დაცვას.

## დღიურის საიდუმლოება



*მე-8 კლასელ თიკოს საკლასო ოთახში დარჩა დღიური. მასწავლებელმა იპოვა და ცნობისმოყვარეობის გამო წაიკითხა ის. თიკოს დღიურში ჰქონდა აღწერილი თავისი გრძნობები შეყვარებულის, მეგობრების მიმართ. მასწავლებელმა ეს ყველაფერი სხვა მასწავლებლებს უამბო. ჰქონდა თუ არა მასწავლებელს ამის უფლება?*



– მასწავლებელს შეეძლო წაეკითხა მოსწავლის დღიური, თუმცა მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა დღიურის შინაარსი, იგი ვალდებული იყო, დაეცვა კონფიდენციალობა და არ გაემხილა მასში არსებული ინფორმაცია, თუ ამას არ მოითხოვდა მოსწავლის ინტერესები.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ, გაამჟღავნონ ინფორმაცია თავიანთ პირად ცხოვრებაზე“; ამავე კანონის მეხუთე ნაწილის თანახმად კი: „დაუშვებელია მოსწავლისა და მასწავლებლის პირადი ცხოვრების, კერძო კომუნიკაციის, აგრეთვე მოსწავლისა და მასწავლებლის პირად სარგებლობაში გადაცემული,

სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების ხელშეუხებლობის უფლების თვითნებურად შეზღუდვა“;

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მესამე მუხლის მეხუთე ნაწილში ვკითხულობთ: „მასწავლებელი იცავს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.



### კანონის განმარტება

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი აწესებს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ გახლავთ აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, კანონი აწესებს მასში ჩარევის გარკვეულ საფუძვლებს. მაგალითად, პირადი ცხოვრების დაცვის საბაზით მოსწავლე და მასწავლებელი ვერ იტყვიან უარს დაავადებებთან, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლთან დაკავშირებული შემოწმების გავლაზე.

ჩვენს შემთხვევაში მტკიცება იმისა, რომ მასწავლებელს არ ჰქონდა დღიურის წაკითხვის უფლება, საფუძველსაა მოკლებული. უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელმა არ იცოდა, თუ რა სახის ინფორმაციას შეიცავდა ეს დღიური, ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ მასწავლებლის მუშაობის სპეციფიკა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პედაგოგი არ შემოიფარგლება მოსწავლეთათვის მხოლოდ გაკვეთილის ჩატარებით. ეს ძალიან კარგად არის ხაზგასმული მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლში, რომლის თანახმადაც: „მასწავლებელი ითავსებს მოსწავლის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახავად და მოსწავლის სურვილის შემთხვევაში ეხმარება მას პირადი პრობლემების მოგვარებაში.“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასწავლებელს შესაძლოა, გამართლებული ინტერესი ჰქონდეს საკუთარი მოსწავლის პირადი ცხოვრების ცალკეული დეტალების მიმართ, მაგალითად: ხომ არ აქვს უსიამოვნება ვინმესთან, ხომ არ არის ძალადობის მსხვერპლი და ა.შ. თუ დღიურში მოსწავლის გრძნობების ნაცვლად საუბარი იქნებოდა მოსწავლისათვის საფრთხის შემცველ პრობლემებზე, პედაგოგს დაეკისრებოდა შესაბამისი რეაგირების ვალდებულება. ამ შემთხვევაში კი შეეძლო, უბრალოდ, შეენახა მოსწავლის საიდუმლო, ან უშუალოდ მასთან ერთად განეხილა ეს საკითხი. არავითარი კანონიერი და, თუნდაც, მორალური

აუცილებლობა დღიურის შინაარსის კოლეგებისათვის გაცნობისა არ არსებობდა.



**გახსოვდეთ,**

ჩვენ მიერ განხილული კანონის მიზანია, დაიცვას მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის პირადი ცხოვრება. ძირითადი ყურადღება ისევ და ისევ მოსწავლეზეა გამახვილებული, რაც გამომდინარეობს ბავშვისა და მოზარდის ხასიათის თავისებურებიდან. ის, რასაც, ჩვეულებრივ, ზრდასრული ადამიანი ნაკლებად მიაქცევს ყურადღებას, მოზარდისათვის შესაძლოა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მოზარდის გრძნობებს ეხება.

## გაკვეთილების გაცდენა



*რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობს მშვიდობიანი დემონსტრაცია. ეთუნამ და მისმა თანაკლასელმა დემონსტრაციაზე წასვლა გაკვეთილების პერიოდში მოინდომეს. მათ მასწავლებელმა უთხრა, რომ არ ჰქონდათ ამის უფლება. მიუხედავად ამისა, მოსწავლეებმა მაინც გადაწყვიტეს დემონსტრაციაზე წასვლა. მასწავლებელმა განუცხადა, რომ თუ წავლენ, „თავის თავს დააბრალონ, რაც მოუვათ“. აქვს მას ასე დამუქრების უფლება?*



– არა, რადგან მასწავლებელს უნდა აეხსნა მოსწავლეებისათვის, თუ რატომ არ ჰქონდათ მათ გაკვეთილების პერიოდში დემონსტრაციაზე წასვლის უფლება; მას ასევე უნდა აეხსნა მოსწავლეთათვის, თუ რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ მათ დისციპლინის ამგვარი ფორმით დარღვევისათვის. მასწავლებლის მუქარა ორაზროვანია და მიზნად ისახავს მოსწავლეებზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზემოქმედებას, რაც დაუშვებელია.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, რომლის თანახმადაც: „მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და

თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ“; მნიშვნელოვანია ასევე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს: „მასწავლებელი არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ/ფსიქოლოგიურ ზეგავლენას.“



### კანონის განმარტება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია სკოლის, როგორც საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების, სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტს ჰქონდეს სრული ინფორმაცია თავისი უფლებების შესახებ. ეს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც საქმე ეხება მოსწავლეს.

ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში აშკარაა, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს არ აუხსნა სრულყოფილად, თუ რატომ არ ჰქონდათ მათ სასწავლო პროცესის დროს გაკვეთილის გაცდენისა და დემონსტრაციაზე დასწრების უფლება. მას აუცილებლად უნდა განემარტა ბავშვებისათვის, თუ რა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაკისრებოდათ მათ გაკვეთილის თვითნებურად გაცდენის შემთხვევაში.

ლოგიკურია, რომ მოსწავლეებმა ვერ გააცნობიერეს უფლების შეზღუდვის არსი, შესაბამისად, არ დაემორჩილნენ მასწავლებლის მოთხოვნას. ამ დროს მასწავლებელმა აირჩია მოსწავლეთა დარწმუნების მიუღებელი ფორმა – მუქარა.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი პედაგოგს ავალდებულებს, არ განახორციელოს მოსწავლეზე ემოციური ან ფსიქოლოგიური ზეგავლენა. ისმის კითხვა: რატომ? – უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მუქარით შეუძლებელია სასურველი შედეგის მიღება. შესაძლოა, მოსწავლეებს აღარ გაეცდინათ გაკვეთილი, მაგრამ ამის მიზეზი იქნებოდა არა საკუთარი უფლებების გაცნობიერება, არა სასწავლო პროცესისადმი პატივისცემა, არამედ შიში. ამან კი, შესაძლოა, გრძელვადიან პერსპექტივაში მოზარდები ნეგატიურად განაწყოს სასწავლო პროცესის, მასწავლებლის და, ზოგადად, სკოლის მიმართ.



### უნდა ვიცოდეთ,

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიზანია, უზრუნველყოს სკოლაში ჯანსაღი ურთიერთობების დამკვიდრება მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს შორის. ამისთვის აუცი-



ლებელია, ყველამ იცოდეს საკუთარი უფლებები და მათი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი. ნებისმიერი უფლების დაცვის უმთავრესი წინაპირობა ამ უფლების ცოდნაა. მართლაც, თუ არ ვიცით ჩვენი უფლებები, მაშინ ვერც მათ დაცვას შევძლებთ და ვერც მოვალეობებს გავაცნობიერებთ სრულფასოვნად.

რაც შეეხება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლს, იგი მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობის სტანდარტებს აწესებს. მისი მიზანი, ისევე როგორც განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა, გახლავთ მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი მუქარას, როგორც ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, არ თვლის ურთიერთობის ეთიკურ და მისაღებ ფორმად.

## მოსწავლის დასჯა

კაზუსი 111



*გაკვეთილებს შორის შესვენებისას ლუკამ და მისმა თანაკლასელმა ნიკამ იჩხუბეს. დერეფანში დიდი აურზაური გამოიწვიეს. დირექტორი მათ სკოლიდან გარიცხვით დაემუქრა. აქვს თუ არა დირექტორს მოსწავლის ამგვარად დასჯის უფლება?*



– არა, რადგან გადაწყვეტილებას მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ იღებს დისციპლინური კომიტეტი. დირექტორს მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ლუკა და ნიკა დაწყებითი ან საბაზო საფეხურის მოსწავლეები არიან, მათი სკოლიდან გარიცხვა საერთოდ დაუშვებელია.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად: „მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინური კომიტეტს ფარული კენჭისყრით“;

ამავე მუხლის მე-12<sup>1</sup> პუნქტის თანახმად: „დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა.“



### კანონის განმარტება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი ადგენს სასკოლო დისციპლინის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ფორმებსა და პირობებს. სკოლამ, როგორც საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომ იფუნქციონიროს, აუცილებელია გარკვეული წესების დაცვა. წესების დაცვის უზრუნველსაყოფად კანონი განსაზღვრავს პასუხისმგებლობის ფორმებსა და პირობებს.

მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ეს არის დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ფორმა, რომლის შესახებ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება გაუმართლებელია. შესაბამისად, კანონი ადგენს ასეთი გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებულ წესს. როგორც ეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-12 ნაწილშია მითითებული, მოსწავლის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ დისციპლინურ კომიტეტს. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლის საკითხს განიხილავს არა ერთი ადამიანი, არამედ კოლექტიური ორგანო. ამდენად, მნიშვნელოვნად მცირდება შანსი იმისა, რომ მოსწავლე გახდეს არასამართლიანი მოპყრობის მსხვერპლი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ასეთი მძიმე ფორმის, სკოლიდან გარიცხვის, გამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც სასჯელის უკიდურესი ფორმისა.

დაწყებითი (1-ლი – მე-6 კლასები) ან საბაზო (მე-6 – მე-9 კლასები) საფეხურის მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვა საერთოდ დაუშვებელია. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ როგორც დაწყებითი, ისე საბაზო განათლება სავალდებულოა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად.



### უნდა გვახსოვდეს,

სკოლა საჯარო დაწესებულებაა, რომელიც გარკვეულ წესებს ემორჩილება. სასკოლო დისციპლინის დაცვა სკოლის სრულფასოვანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პირობაა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის მეთოდები, რითაც სკოლა იცავს დისციპლინას. სწორედ ამიტომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი მკაფიოდ ახ-

დენს დისციპლინური პასუხისმგებლობის რეგლამენტაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონმდებლობით მკაცრად არის დადგენილი ის ჩარჩოები, რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დისციპლინური სახდელის გამოყენებისას.

კანონი პირდაპირ გვეუბნება, რომ „სასკოლო დისციპლინა დაცულ უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლისა და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია, დისციპლინურ სახდელად გამოვიყენოთ მოსწავლის შეურაცხყოფელი ან დამამცირებელი ქმედება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დისციპლინური სახდელის ნებისმიერი ფორმა მოსწავლის მხრიდან აღიქმება როგორც სასჯელი. სასჯელის ძირითადი ფუნქცია კი არ გახლავთ ადამიანისათვის სამაგიეროს გადახდა ან მისი წვალება – ნებისმიერი სასჯელი უნდა ემსახურებოდეს გამოსწორებას.

სამწუხაროდ, სასკოლო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენებოდა ისეთი სასჯელები, როგორებიცაა: მოსწავლის ცემა სახაზავით, ყურის აწევა, სიტყვიერი შეურაცხყოფა. ასეთი ქმედებების შედეგად შეუძლებელია, მოსწავლემ გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი დისციპლინის დარღვევის არსი და გაიგოს, თუ რატომ არ მოიქცა ის კარგად. ერთადერთი ფაქტორი, რის გამოც მოსწავლე შემდგომში თავს შეიკავებს დისციპლინის დარღვევისაგან, იქნება სასჯელის შიში, რაც, ბუნებრივია, არ ემსახურება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს, პრინციპებსა და სულისკვეთებას.

გარდა იმისა, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა შეურაცხყოფდეს მოსწავლეს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად კრიტერიუმს, კერძოდ: დისციპლინური სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი მოსწავლის მიერ ჩადენილი ქმედებისა.

გონივრულობა ამ შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ სახდელით გათვალისწინებული ზომა არ უნდა აღმატებოდეს მოსწავლის შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია სახდელის დასაბუთება ისე, რომ მოსწავლე სწორად ჩასწვდეს დასჯის მიზეზს და არ გაუჩნდეს უსამართლობის განცდა. ანალოგიური მიზეზით, მნიშვნელოვანია, რომ სახდელი შეესაბამებოდეს ჩადენილ ქმედებას.

ასეთი სტანდარტების შემოღება განაპირობა სკოლებში არსებულმა ე.წ. „მოსწავლეთა დასჯის“ მავნე ტრადიციამ. არ შეიძლება, სკოლა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეს სამაგიეროს გადაუხდინან. იქ მოზარდის სრულფასოვან პიროვნებად, სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება უნდა ხდებოდეს.

## სკოლის გაცდენა

პაზუსი 112



*უკვე მესამე თვეა, რაც გიორგი გაკვეთილებს აცდენს. იგი დილით მიდის სკოლაში, თუმცა ეზარება და არ შედის გაკვეთილებზე. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას?*



– სკოლას შეუძლია, დაიწყოს მოსწავლის დისციპლინური დევნა შინაგანაწესისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლამ ამის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს გიორგის მშობლებს.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს“; მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „მასწავლებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობასა და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.“



### კანონის განმარტება

მოსწავლის მიერ განათლების მიღების უმთავრესი პირობა მისი გაკვეთილებზე დასწრებაა. შესაბამისად, ეს შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სასკოლო დისციპლინის უმთავრესი კომპონენტი. ამდენად, გიორგი თავისი საქციელით არღვევს სასკოლო დისციპლინას და ლოგიკურად დღის წესრიგში დგება დისციპლინური დევნის დაწყებისა და დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხი, რასაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი არეგულირებს. ეს მუხლი დისციპლინური დევნის დაწყებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ავალდებულებს მშობლის ინფორმირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც გიორგი ამბობს, რომ იგი სკოლაში მიდის. მაშინ, როდესაც მშობელს შვილი გაკვეთილზე ჰგონია, გიორგი შესაძლოა, სადმე სხვაგან იმყოფებოდეს. ეს არა მხოლოდ მოსწავლის განათლებას, არამედ მის პირად უსაფრთხოებას შეიძლება ემუქრებოდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში არგამოცხადების შემთხვევაში პროფესიული ეთიკის კოდექსი მასწავლებელს პირდაპირ აკისრებს მშობლის ინფორმირების ვალდებულებას. განხილული შემთხვევის მიხედვით, აშკარაა, რომ პედაგოგები არ მოიქცნენ ეთიკის კოდექსის შესაბამისად, თორემ ისინი შეძლებდნენ მშობლის ინფორმირებას გიორგის მიერ გაკვეთილების გაცდენის პირველივე შემთხვევისას და შესაძლოა, მომდევნო 3 თვის განმავლობაში ეს პრობლემა აღარც დამდგარიყო.

ამდენად, არა მხოლოდ გიორგის ქმედება შეგვიძლია მივიჩნიოთ სასკოლო დისციპლინის დარღვევად, არამედ იმ პედაგოგისაც, რომელსაც პროფესიული ეთიკის კოდექსი პირდაპირ ავალდებულებდა მშობლის ინფორმირებას და ეს არ გააკეთა. შესაბამისად, დღის წესრიგში უნდა დადგეს მასწავლებლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხიც.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის ზოგად მიზნებზე, თუმცა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კანონის ეს ნორმა აგრეთვე ემსახურება სკოლის უსაფრთხოებას და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას. იმავეს ემსახურება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლიც, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობის პრინციპებს.



### უნდა გვახსოვდეს,

რომ, ვინაიდან, მოზარდი ცხოვრების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს სკოლაში ატარებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებუ-

ლია, განსაკუთრებით ზრუნავდეს მასზე. შესაბამისად, მოსწავლის სკოლაში არგამოცხადებისას პედაგოგი ვალდებულია, გაარკვიოს, თუ რა ხდება.

შესაძლოა, ვიღაცას ზედმეტად მოეჩვენოს მასწავლებლის მხრიდან ამგვარი ყურადღების გამოჩენა, მაგრამ, როგორც ჩვენ მიერ განხილული შემთხვევიდან ჩანს, ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც, ხშირად, შესაძლოა, მშობელიც კი არ იყოს ინფორმირებული შვილის საქციელის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ გიორგის უსაფრთხოებას ან ჯანმრთელობას რაიმე საფრთხე დაემუქრებოდა, მშობელი სავსებით ლოგიკურად დააყენებდა სკოლის ადმინისტრაციის ან პედაგოგების პასუხისმგებლობის საკითხს, რადგანაც, მისი ვარაუდით, შვილი გაკვეთილებს ესწრებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ჯანმრთელობას საფრთხე არ დამუქრებია, სამი თვის განმავლობაში გაკვეთილების გაცდენა, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება მისი ცოდნის ხარისხზე, შესაბამისად, მოსწავლე მაინც დაზარალდა.

სწორედ ამგვარი შემთხვევების პრევენციას კანონის ძირითადი მიზანი.

## სკოლაში სიგარეტის მოწევა



*თექვსმეტი წლის ომარი სიგარეტს ეწევა, რასაც მშობლები მკაცრად უშლიან. რადგან ომარს არ სურს, რომ ვინმემ დაინახოს, ამიტომ იგი გაკვეთილებს შორის შესვენებებზე საპირფარეოში ჩუმად ეწევა. აქვს თუ არა ომარს ამის უფლება?*



– ომარს არ აქვს სკოლის ტერიტორიაზე არათუ თამბაქოს მოხმარების, არამედ მისი სკოლაში შემოტანის უფლებაც კი. ამისთვის მას შეიძლება დაეკისროს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი დისციპლინური სახდელი, რის შესახებაც აუცილებლად უნდა მოხდეს მშობლის ინფორმირება.

სკოლაში, როგორც საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თამბაქოს მოხმარება იკრძალება. მეტიც, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტში ამასთან დაკავშირებით წერია:

„სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული



და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, აგრეთვე, თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე:

ბ) ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარების ან უკანონო ქმედების წახალისებისა“.



### კანონის განმარტება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტის ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ, არათუ თამბაქოს მოხმარება, არამედ ნებისმიერი ქმედება, რომელიც წახალისებს სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარებას, არის მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებათა კანონიერი შეზღუდვის საფუძველი.

ეს განპირობებულია იმ მიზნებით, რასაც ემსახურება ზოგადი განათლება. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ლოგიკურია, ცხოვრების ჯანსაღი წესი შეუსაბამო თამბაქოს მოხმარებასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თამბაქოს ნაწარმი, ისევე როგორც სანთებელა ან ასანთი, მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, სკოლაში აკრძალული ნივთების სიას განეკუთვნება.

მეტეც, წარმოიდგინეთ, რამხელა აბსურდთან გვექნებოდა საქმე, სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება რომ არ იკრძალებოდა მაშინ, როდესაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი პირდაპირ კრძალავს არასრულწლოვნისათვის თამბაქოს მიყიდვას.



### უნდა ვიცოდეთ,

წარმოდგენილი კანონის მიზანი მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების ხელშეწყობაა. თამბაქოს მოწვევა ის მავნე ჩვევაა, რომლის წინააღმდეგაც მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილი აქტიურ კამპანიას აწარმოებს. ფილტვებისა და ყელის კიბო, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კანის ნაადრევი დაბერება – მხოლოდ უმცირესი ჩამონათვალია იმ დაავადებებისა, რომელთაც მოწვევა იწვევს. სიგარეტი ხომ 1000-ზე მეტ ტოქსიკურ (შხამიან) ნივთიერებას შეიცავს. ამდენად, სკოლა ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს, რათა არ დაუშვას მოზარდებში თამბაქოს მოხმარების გავრცელება, რადგან მოზარდის ორგანიზმი გაცილებით ადვილად ითვისებს სიგარეტში შემავალ მავნე ნივთიერებებს, ვიდრე ზრდასრულის ან მოხუცის ორგანიზმი.

## რელიგიის გაკვეთილი კაზუსი 114

*მშობლებს არ სურთ, გუგა დაესწროს რელიგიის გაკვეთილს, თუმცა რელიგიის მასწავლებელი ფიქრობს, რომ ის ვალდებულია. სწორია თუ არა მასწავლებლის მოსაზრება?*



– არა, რადგან მასწავლებლის მოსაზრება ეწინააღმდეგება მოსწავლის რწმენის თავისუფლებას. ამასთანავე, რელიგიის შესწავლა დასაშვებია სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რწმენის თავისუფლების ფარგლები.

ამ მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ ამბობს: „დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დამტკიცებას“;

იმავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი: „საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.“



### კანონის განმარტება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის რწმენის თავისუფლებას. ამის დადასტურებაა კანონის მე-18 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს რწმენის თავისუფლების ფარგლებს.

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება დაცულია საქართველოს უმაღლესი კანონით, ქვეყნის კონსტიტუციით.

სკოლა, როგორც საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ორიენტირებულია საერო განათლების მიცემაზე (თუ, რა თქმა უნდა, სკოლის პროფილი არ გახლავთ სასულიერო). შესაბამისად, საერო საგანმანათ-

ლებლო სივრცე, რომელიც თანაბრადაა ღია საქართველოს ყველა აღმსარებლობის მოქალაქისათვის, განსხვავებულად არეგულირებს რელიგიის შესწავლის საკითხებს.

კანონის თანახმად, არ შეიძლება, რელიგიის შესწავლა იყოს სავალდებულო, იგი ნებაყოფლობითია. რელიგიის გაკვეთილები კი უნდა ტარდებოდეს სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს, ამდენად, მან ხელი არ უნდა შეუშალოს ძირითად სასწავლო პროცესს.


დაუშვებელია, მოსწავლე ვაიძულოთ, დაესწროს რელიგიის გაკვეთილს, ისევე როგორც დაუშვებელია, ნებისმიერი ადამიანი ვაიძულოთ, რწმენა შეიცვალოს. მსგავსი ზეწოლა მთლიანად ანგრევს პიროვნების სულიერ სამყაროს და მას განუზომელ ტრავმას აყენებს. რელიგიის შესწავლა უნდა იყოს პიროვნების სურვილი და არა იძულების შედეგი.



### **გახსოვდეთ,**

წარმოდგენილი კანონის მიზანია მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფა. კანონი განსაკუთრებით მოსწავლეებს იცავს. მსგავსი ტიპის კანონის მიღება განაპირობა იმან, რომ ხშირ შემთხვევაში საერო სივრცეში რელიგიის სწავლება არ იყო სწორად გაგებული. ნაცვლად ზოგადად რელიგიის სწავლებისა, მოსწავლეებს უტარდებოდათ გაკვეთილები ერთ კონკრეტულ რელიგიასთან დაკავშირებით. ამ დროს ხდებოდა სხვა აღმსარებლობისა და რწმენის ადამიანების წარმოჩენა საზოგადოების არასრულფასოვან წევრებად, რაც დაუშვებელია, რადგანაც კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია.

## მოსწავლის დასჯის მეთოდი



*მანდატურმა ლაშას სკოლის საპირფარეოში სიგარეტის წევისას წაასწრო. რადგან სიგარეტის მოწევა აკრძალულია, ამიტომ მანდატურმა მას სასჯელად ორმოცდაათი აზიდვის გაკეთება დააკისრა. ლაშა ფიზიკურად სუსტია და იცის, რომ ვერ შეძლებს აზიდვების გაკეთებას. ვაღიფებულია თუ არა ლაშა, დაემორჩილოს მანდატურის მოთხოვნას?*



– არა, რადგან სკოლის მანდატური არ არის უფლებამოსილი, მოსწავლეს დააკისროს დისციპლინური სახდელი.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48<sup>3</sup>-ე მუხლი მანდატურის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს. მის ძირითად უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება: „საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება (ცივი იარაღის ტარების, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-მოხმარების, ჯანმრთელობის დაზიანების, თამბაქოს რეალიზაციის წესების დარღვევის, წვრილმანი ხულიგნობისა და

სხვა ისეთი ქმედებების შესახებ, რომლებიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას),“ მანდატური ასევე კონტროლს უწევს სკოლის შინაგანაწესის შესრულებას. ამ მუხლის პირველი ნაწილის „კ“ პუნქტის მიხედვით, განსაზღვრულია დარღვევისას მანდატურის რეაგირების ფორმა. ამ ნორმის თანახმად, მანდატურის უფლებამოსილებაში შედის: „საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა.“



### კანონის განმარტება

ჩვენ მიერ აღწერილი საკანონმდებლო ნორმის ანალიზზე დაყრდნობით აშკარაა, რომ დარღვევის აღმოჩენისას მანდატურმა უნდა აღკვეთოს იგი და დადგენილი წესით აღრიცხოს მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა. ამის შესახებ უნდა აცნობოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებს, რომლებიც, შინაგანაწესისა და კანონის შესაბამისად, დააკისრებენ მოსწავლეს დისციპლინურ სახდელს. კანონში არსად წერია, რომ მანდატურს აქვს მოსწავლის დასჯის უფლება.

ცალკე განხილვის საგანია უშუალოდ სასჯელის ფორმა. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, სასჯელი უნდა იყოს გონივრული და ჩადენილი ქმედების პროპორციული.

შესაძლოა, ამ შემთხვევაში ფიზიკური ვარჯიში იყოს პროპორციული ჩადენილი ქმედებისა, თუმცა იგი ვერ იქნება გონივრული, რადგანაც აღემატება მოსწავლის შესაძლებლობებს. ამასთანავე, არსებობს დისციპლინური დევნისა და სახდელის გამოყენების წესი, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი.

შესაბამისად, მანდატურის ქმედება ამ შემთხვევაში გაუმართლებელია.



### უნდა ვიცოდეთ,

რომ ჩვენ მიერ განხილული კანონი ემსახურება სკოლაში უსაფრთხოებისა და დისციპლინის კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – მანდატურის სამსახურის – რეგულირებას, განსაზღვრავს მისი უფლებამოსილების ფარგლებს.

## „შატალო“

კაზუსი 116



დათომ და მისმა რამდენიმე თანაკლასელმა აიყოლიეს კლასი, რათა „შატალოზე“ წასულიყვნენ. „ვინც არ წამოვა, ლაჩარია“ – გამოაცხადეს მათ. დათომ გამოაღო ფანჯარა პირველ სართულზე, საიდანაც კლასელები გადახტნენ და წავიდნენ „შატალოზე“. როგორ შეიძლება შეფასდეს მათი საქციელი?



– დათოსა და მისი კლასელების საქციელი ფასდება სასკოლო დისციპლინის დარღვევად, რისთვისაც მათ შესაძლოა დაეკისროთ შესაბამისი დისციპლინური სახდელი.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილში დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმების შესახებ ნათქვამია: „სკოლის შინაგანაწესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გარდა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს: მოსწავლის გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, გაკვეთილიდან გამეგება, სკოლიდან დროებით დათხოვნა, მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება და სხვა დისციპლინური სახდელები.“



### კანონის განმარტება

როგორც ეს ზემოთ განხილული შემთხვევებიდან გვახსოვს, სასკოლო დისციპლინის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებსა და წესებს ადგენს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი. ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს დისციპლინური სახდელი. ამჯერად გავამახვილოთ ყურადღება, თუ რა ფორმით შეიძლება მოხდეს იმ მოსწავლეთა „დასჯა“, რომლებმაც გააცდინეს გაკვეთილი.

ჩვენ ასევე გვახსოვს, რომ სახდელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების შესაბამისი და გონივრული; ასევე გვახსოვს ისიც, რომ ნებისმიერი სახდელი თუ სასჯელი მიზნად უნდა ისახავდეს მოსწავლის გამოსწორებას; სახდელს არ უნდა ჰქონდეს სამაგიეროს ფორმა და არ უნდა იყოს ერთგვარი შურისძიება.

ბუნებრივია, მაშინ, როდესაც მოსწავლეებს ეზარებათ გაკვეთილებზე გაჩერება, მათი სკოლიდან დათხოვნა არ შეიძლება გავიგოთ როგორც სახდელის შესაბამისი ფორმა. ამდენად, შესაძლოა, მოსწავლეებს მიეცეთ გაფრთხილება, ან დაეკისროთ სკოლისათვის სასარგებლო შრომა (მაგალითად, გაკვეთილების შემდეგ დარჩენ და მონაწილეობა მიიღონ სკოლის დალაგებაში, ან მოუარონ სკოლის ეზოში არსებულ მწვანე ნარგავებს).



### როგორც უკვე აღვნიშნეთ,

სკოლა საჯარო დაწესებულებაა, რომელსაც აქვს ქცევის რეგლამენტირებული წესები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა როგორც მოსწავლისათვის, ისე მასწავლებლისა და მშობლისათვის. კანონსა და შინაგანაწესში გაწერილი წესების ერთობლიობა ქმნის სასკოლო დისციპლინას. სწორედ ამ დისციპლინის დაცვაა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მიზანი. როგორც ეს ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რამდენად უწყობს ხელს კანონი დისციპლინის დაცვას, არამედ ისიც, თუ რა მეთოდებით ახორციელებს კანონი ამას.

## „შპარგალკები“ კაზუსი 117

*ლაშა კარგად ვერ მოემზადა ქართული ენის საკონტროლოსათვის, ამიტომ მან „შპარგალკიდან“ მოახერხა საკონტროლოს გადაწერა, თუმცა მასწავლებელმა შეამჩნია, ჩამოართვა იგი და დაუწერა 0 ქულა. სწორია თუ არა მასწავლებლის საქციელი?*



– ცალსახად პასუხის გაცემა ამ კითხვაზე რთულია, რადგან ეს შემთხვევა განეკუთვნება კატეგორიას, სადაც მასწავლებელს აქვს გადაწყვეტილების მიღების ერთპიროვნული უფლება. რაც შეეხება კანონს, მასწავლებლის საქციელით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი არ დარღვეულა.

წარმოდგენილი შემთხვევის განხილვისას მნიშვნელოვანია უშუალოდ მოსწავლის შეფასების საკითხი, რასაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი არეგულირებს. ამ მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, „სკოლა ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.“



### კანონის განმარტება

მოსწავლის შეფასება საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ჩვენ მიერ განხილული საკანონმდებლო ნორმა ცალსახად ამბობს, რომ მხოლოდ მოსწავლის ცოდნაა შეფასების ობიექტი. დაუშვებელია, ცოდნის შეფასება განპირობებული იყოს მოსწავლის დისციპლინით ანუ მისი ქცევით. მოსწავლის საქციელი და მის მიერ მიღებული ცოდნის ხარისხი უნდა შევავსოთ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ რასთან გვაქვს საქმე „შპარგალკების“ შემთხვევაში? ერთი მხრივ, ნათელია, რომ მოსწავლე არ მოიქცა სწორად, მან გამოიყენა „შპარგალკა“ და ეს საქციელი შეგვიძლია შევაფასოთ დისციპლინის დარღვევად; მეორე მხრივ, მოსწავლემ „შპარგალკა“ გამოიყენა იმიტომ, რომ იგი არ იყო სათანადოდ მომზადებული, შესაბამისად, მას არ შეეძლო ნაშრომის დამოუკიდებლად დაწერა. თუ საკითხს შევხედავთ ამ კონტექსტში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელმა სა-



თანადოდ შეაფასა მოსწავლის ცოდნა. არც კანონი და არც მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი მსგავსი სიტუაციების ცალსახა რეგულირებას არ იძლევა.



**როგორც ვხედავთ,**

კანონი არ იძლევა მსგავსი სიტუაციის ცალსახად რეგულირების საშუალებას. ასეთ დროს მასწავლებელს აქვს გადაწყვეტილების თავისუფლება; მეორე მხრივ, კანონის მიხედვით, ცოდნის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ ცოდნა და არაფერი სხვა. ცოდნა და დისციპლინა განსხვავებული შეფასების ობიექტებია.

კანონის მიზანი ასეთ დროს ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველყოფაა. იყო თუ არა მასწავლებლის შეფასება სამართლიანი? პასუხი მეტწილად დადებითია, რადგან საკონტროლო წერა აფასებს მოსწავლის ცოდნას, ლაშას კი თავისი ცოდნით საკონტროლოზე არაფერი დაუწერია. ამდენად, ყოველთვის ჯობია, მოსწავლემ, დამოუკიდებლად, ყოველგვარი „მპარგალკის“ გარეშე დაწეროს ის, რაც იცის, ვიდრე მოატყუოს როგორც საკუთარი თავი, ისე მასწავლებელი და დაუმსახურებლად ეცადოს ნიშნის მიღებას.

## საკონტროლოს გადაწერა

კაზუსი 118



გია არ სწავლობს კარგად, თუმცა გადაწერა ეხერხება. ქართული ლიტერატურის საკონტროლოზე მან თავის წინ მჯდომი თავოსაგან გადაწერა თემა. მასწავლებელმა გასწორებისას შენიშნა, რომ თავოსა და გიას ნაშრომები ერთმანეთის იდენტური იყო, ამიტომ ორივეს „0“ ქულა დაუწერა. რამდენად სწორად მოიქცა მასწავლებელი?



– იდენტური ნაშრომის აღმოჩენის შემთხვევაში მასწავლებელს უნდა ეცადა იმის გარკვევა, თუ ვინ გადაწერა ნაშრომი და ვინ დაწერა ის დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში თავოს შეეზღუდა ცოდნის სამართლიანი შეფასების უფლება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 ნაწილი ცალსახად ამბობს, რომ „სკოლა ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.“



### კანონის განმარტება

წარმოდგენილი შემთხვევა, მსგავსად წინა შემთხვევისა, მოსწავლის ცოდნის სამართლიან შეფასებას ეხება. თუმცა ამ შემთხვევაში სახეზეა არა ე.წ. „შპარგალკით“ სარგებლობის, არამედ გადაწერის ფაქტი. ბუნებრივია, ასეთ დროს დაუშვებელია როგორც ერთი, ისე მეორე მოსწავლის ნაშრომის განულება, რადგან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოსწავლეებს აქვთ ცოდნის სამართლიანი შეფასების უფლება, სკოლა კი ვალდებულია, უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის ცოდნის ადეკვატური შეფასება. თავის შესაძლოა არც კი სცოდნოდა იმის შესახებ, რომ მისგან გია იწერდა. ამდენად, ეს უკანასკნელი უსამართლო მოპყრობის მსხვერპლია მაშინ, როცა მასწავლებელი ყოველგვარი მიზეზის გარეშე 0 ქულით აფასებს მის ნაშრომს.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მასწავლებელი ასეთ დროს? მას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეცადა გაერკვია, თუ რომელმა დაწერა ნაშრომი დამოუკიდებლად და რომელმა გადაიწერა ის. ამის გარკვევა მასწავლებელს სულ იოლად შეეძლო, თუნდაც ორივე მოსწავლის ცოდნის ზეპირი შემოწმებით ან, სულაც, მათთვის საკონტროლოს ხელახლა დაწერინებით, ისე, რომ ერთმანეთისაგან გადაწერის საშუალება არ ჰქონოდათ. ამ შემთხვევაში, თავო, რომელსაც საგანი ნასწავლი ჰქონდა, ადვილად დაწერდა, ხოლო გიას გაუჭირდებოდა. შესაბამისად, მასწავლებელი შეძლებდა ორივე მოსწავლის ცოდნის სამართლიან შეფასებას.



### უნდა გვახსოვდეს,

ჩვენ მიერ განხილული საკანონმდებლო ნორმის მიზანია, ერთი მხრივ, მოსწავლის დაცვა უსამართლო მოპყრობისაგან, მეორე მხრივ კი, მისთვის უკეთ სწავლაში ხელის შეწყობა. არ შეიძლება, ადამიანი სხვისი გადაცდომის გამო დაისაჯოს. ყველა პასუხს აგებს საკუთარ საქციელზე. ამ პრინციპის დამკვიდრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში, რადგან ერთმა უსამართლო მოპყრობამაც კი შესაძლოა, მოსწავლეს გული აუცრუოს სწავლაზე.

# სკოლის ინვენტარის დაზიანება

კაზუსი 119



*ჯაბა ყურებამდეა შეყვარებული თავის თანაკლასელ ანაზე. მან მერხებზე დანით ამოკაწრა: „ჯაბა + ანა = შეყვარებულებს“. შეაფასეთ მოსწავლის ქმედება.*



– მართალია, კანონმდებლობა ცალსახად არ არეგულირებს წარმოდგენილ საკითხს, მაგრამ ეს ქმედება შეგვიძლია შევაფასოთ როგორც დისციპლინური გადაცდომა, მით უმეტეს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მას სკოლაში ჰქონდა აკრძალული ნივთი, დანა.



## კანონის განმარტება

სამწუხაროდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ცალკე არ გამოყოფს და არ განიხილავს მსგავს შემთხვევებს, თუმცა მოცემულ კონტექსტში საინტერესოა 2010 წლის 30 აგვისტოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსწავლის ქცევის კოდექსი“. ამ დოკუმენტის მე-7 მუხლის მე-9 ნაწილი ცალსახად ამბობს: „მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას.“ მერხი ამ შემთხვევაში არის სკოლის ქონება, შესა-

ბამისად, მოსწავლის მხრიდან მისი დაზიანება, თუნდაც ისეთი კეთილშობილური მიზნით, როგორცაა სიყვარულის გამოხატვა, აღიქმება დისციპლინურ გადაცდომად.

კიდევ ერთი დისციპლინური გადაცდომა, რომელიც ჩაიდინა ჯაბამ, გახლავთ მის მიერ სკოლაში აკრძალული ნივთის – დანის შეტანა. მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, დანით სკოლის ტერიტორიაზე შესვლა აკრძალულია.

მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად: „ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“



### **გვახსოვდეს,**

ამ ნორმის მიზანია მოსწავლის ქცევისა და დისციპლინის რეგულირება. ახალგაზრდას სკოლის მერხიდანვე უნდა ესმოდეს, რომ არ შეიძლება სხვისი საკუთრების ხელყოფა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ჯაბას საქციელი ვიდაცას უწყინარ, ბავშვურ გართობად მოეჩვენოს, მაგრამ ასეთი გართობის გამო სკოლას მოუწევს მერხის რესტავრაცია ან მისი შეცვლა, რაც, ბუნებრივია, ხარჯებთანაა დაკავშირებული.

## ჟურნალის დაწვა

პაზუსი 120



თემურს ყველა საგანში ცუდი ნიშანი ჰქონდა, რის გამოც მან გადაწყვიტა ჟურნალის მოპარვა და დაწვა. ერთ დღესაც მასწავლებელს ჟურნალი კლასში დარჩა. თემურმა განაცხადა, რომ ის მიუტანდა ჟურნალს მასწავლებელს, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ჟურნალი მართლა წაეღო მასწავლებლისათვის, შეიტანა საპირფარეოში და ცეცხლი წაუკიდა მას. შეაფასეთ თემურის საქციელი.



– თემურის საქციელი სერიოზული ხასიათის დისციპლინური გადაცდომაა, რადგან, ერთი მხრივ, თემურმა გაანადგურა სკოლის საკუთრებაში არსებული ქონება (ჟურნალი), მეორე მხრივ კი, ამ მიზნის მისაღწევად მან გამოიყენა სკოლაში აკრძალული ნივთი (ასანთის ან სანთებელას გარეშე თემური ჟურნალს ცეცხლს ვერ წაუკიდებდა), რასაც შესაძლოა, მოჰყვეს დისციპლინური პასუხისმგებლობა სკოლის შინაგანაწესისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-7 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად: „მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას.“



### კანონის განმარტება

თემურის საქციელი ამ ნორმას პირდაპირ ეწინააღმდეგება. მან, უბრალოდ, სკოლის ქონება კი არ გაანადგურა, არამედ გაანადგურა სკოლის საკუთრებაში არსებული საადრიცხო დოკუმენტი, რითაც სკოლას, მატერიალური ზიანის გარდა, სერიოზული პრობლემა შეუქმნა ადმინისტრაციული თვალსაზრისით.

წინა შემთხვევის მსგავსად, ამჯერადაც სახეზე გვაქვს სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების განადგურება. შესაბამისად, ამჯერადაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მოსწავლის ქცევის კოდექსით, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს მოსწავლეებს როგორც სკოლის, ასევე ერთმანეთის ქონების გაფრთხილებას.

როგორც წინა შემთხვევაში, ამჯერადაც სახეზე გვაქვს სკოლაში აკრძალული ნივთის შეტანა. რამდენადაც ვიცით, თემურმა ჟურნალს ცეცხლი წაუკიდა სკოლის საპირფარეშოში. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ თემურს თან ჰქონდა ასანთი ან სანთებელა, რაც, მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, სკოლაში აკრძალული ნივთების სიას განეკუთვნება.



### უნდა გვახსოვდეს,

რომ მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-7 მუხლის მიზანია მოსწავლის ქცევის რეგულირება სკოლაში. ყოველთვის, როდესაც ვსაუბრობთ უფლებებზე, იქვე არსებობს მოვალეობებიც. თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობა კი სხვისი ქონების, მათ შორის უფლების, დაცვაა. რამდენადაც დაუშვებელია, რომ სკოლის წარმომადგენელმა გაანადგუროს მოსწავლის პირადი ნივთი, ანალოგიურად არ შეიძლება მოსწავლემ ხელყოს სკოლის საკუთრება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლის ქცევის კოდექსი იძლევა იმ ნივთების ჩამონათვალს, რომელთა შეტანაც დაუშვებელია სკოლის ტერიტორიაზე. ამ ნორმის მიზანია სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ერთ დღეს შესაძლოა, მოსწავლემ დანით შეყვარებულის სახელი ამოკაწროს მერხზე, თუმცა შესაძლოა, იმავე დანით მან ვინმეს სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას შეუქმნას საფრთხე. იგივე შეიძლება ითქვას სანთებელასა და ასანთზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ მოსწავლეს უნდა ემორჩილებოდეს ქცევის წესებს, რათა თავისი ქმედებით არ შეზღუდოს სხვათა კანონიერი უფლებები.

## ჟურნალში „10-იანების“ შეტანა

კაზუსი 121



ერთ დღეს მასწავლებელს ჟურნალი კლასში დარჩა. ამით ისარგებლა ანამ, რომელსაც ქართულ ენაში ცუდი ნიშანი ჰქონდა და ქართული ენის გრაფაში თავისი სახელისა და გვარის გასწვრივ „10-იანები“ ჩაწერა. შეაფასეთ ანას ქმედება.



– ანას ქმედება არის დისციპლინური გადაცდომა, რადგან მან ჟურნალში მაღალი ნიშნების ჩაწერით დააზიანა სკოლის საკუთრებაში არსებული ქონება.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ არ ახდენს მსგავსი შემთხვევების ინდივიდუალურ რეგულირებას, თუმცა, ზემოთ განხილული სიტუაციების მსგავსად, ამჯერადაც შეგვიძლია დავვეყრდნოთ მოსწავლის ქცევის კოდექსს, კერძოდ, მისი მე-7 მუხლის მე-9 ნაწილს, რომლის თანახმადაც: „მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას.“





### კანონის განმარტება

ამ ნორმის სამართლებრივი დაცვის ობიექტი არის როგორც მოსწავლის საკუთარი, ისე სხვა პირთა და, უშუალოდ, სკოლის ქონება. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა ჟურნალში „10-იანების“ ჩაწერა შევადგასოთ როგორც დაზიანება? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჟურნალი არის სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელიც რეალურად გამოიყენება შეფასებისა და დასწრების შესახებ ინფორმაციის დასაფიქსირებლად, პასუხი ნათელია: ჟურნალში მცდარი ინფორმაციის შეყვანით მან, როგორც სააღრიცხვო დოკუმენტმა, დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ამდენად, სახეზე გვაქვს მისი დაზიანება, რაც ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ნორმას.



### ზემოთ უკვე განვიხილეთ

მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-7 მუხლის მიზანი. ერთადერთი, რისი დამატებაც შეიძლება, არის ის, რომ ჩვენს სიტუაციებში მოცემული ქცევები არ არის პრობლემის მოგვარების გზა. ჟურნალის განადგურებით ან დაზიანებით მხოლოდ იმას აჩვენებს მოსწავლე, რომ მას არ სურს ან ეზარება სწავლა. ამით ხომ იგი ვერავის მოატყუებს? განა ქართულის მასწავლებელმა არ იცის, თუ როგორ ჰყვება ანა გაკვეთილს? „ათიანების“ ჩაწერით ხომ ანასთვის არაფერი შეიცვლებოდა, გარდა იმისა, რომ მასწავლებლის გულისწყრომას დაიმსახურებდა? ხომ არ აჯობებდა, საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ანას უკეთ ესწავლა გაკვეთილი და მართლა დამსახურებულად მიეღო ის „ათიანები“, რომლებიც მან თვითნებურად ჩაიწერა ჟურნალში? ამით მისი ნიშანიც გაუმჯობესდებოდა და მასწავლებლის პატივისცემასაც დაიმსახურებდა.

# მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე ატეხილი ხმაური/გაკვეთილის ჩაშლა

## კაზუსი 122

მოსწავლეებს არ ჰქონდათ მომზადებული გაკვეთილი ფიზიკაში, ამიტომ გადაწყვიტეს გაკვეთილის ჩაშლა. ნიკამ, წინასწარ შეთანხმებული გეგმის თანახმად, ერთ-ერთ მოსწავლეს, როდესაც მასწავლებელმა იგი დაფასთან გამოიძახა, ცარცი ესროლა, რამაც მასწავლებლის გულისწყრომა გამოიწვია. მოსწავლეებმა ნიკა დაიცვეს, დაიწყეს ხმამაღლა ყვირილი და ცარცების სროლა, რითაც შეუძლებელი გახადეს გაკვეთილის ჩატარება.



– მოსწავლეთა მხრიდან დაირღვა სასწავლო დისციპლინა, შესაბამისად, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა სკოლის შინაგანაწესისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა მიხედვით.

მოსწავლეთა ქცევა აშკარად შეუსაბამოა მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-4 თავთან, რომლის თანახმადაც: „მოსწავლე ყოველთვის თავაზიანია მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.“ აღნიშნული საქციელი ასევე ეწინააღმდეგება მოსწავლის ქცევის კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილს, რომლის მიხედვითაც: „მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.“



### კანონის განმარტება

გაკვეთილები სასწავლო პროცესის უმთავრესი შემადგენელი კომპონენტია. სკოლა, სადაც გაკვეთილები არ ტარდება, უბრალოდ, არ არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. შესაბამისად, გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი სკოლისათვის.

ბუნებრივია, გაკვეთილს მასწავლებელი უძღვება და მეტწილად სწორედ ისაა გაკვეთილის ხარისხზე პასუხისმგებელი, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები თავისუფალნი არიან

ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და მოვალეობებისაგან. სწორედ ამ პასუხისმგებლობასა და მოვალეობებზე საუბრობს მოსწავლის ქცევის კოდექსი, რომლის თანახმადაც, „მოსწავლე ყოველთვის თავაზიანია მასწავლებელთან.“ ლოგიკურია, ჩნდება კითხვა, თუ რატომ ითხოვს მოსწავლის ქცევის კოდექსი მოსწავლისაგან პედაგოგისადმი თავაზიან მოპყრობას? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მასწავლებელი, როგორც საზოგადოების საუკეთესო ნაწილის, მისი მომავალი თაობის აღმზრდელი, განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებს, არა მხოლოდ საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან, არამედ უშუალოდ საკუთარი აღსაზრდელისაგან.

მეორე მნიშვნელოვანი ვალდებულება, რასაც მოსწავლეს აკისრებს ქცევის კოდექსი, ისაა, რომ მოსწავლე არავითარ შემთხვევაში არ უშლის ხელს „მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.“

მართლაც, კლასში, როგორც წესი, მოსწავლეთა რაოდენობა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, 10-ს აღემატება, მასწავლებელი კი მხოლოდ ერთია. შესაბამისად, მოსწავლის პასუხისმგებლობა გაკვეთილის სრულფასოვნად ჩატარებაზე ძალზე დიდია.

ჩვენს შემთხვევაში სახეზეა მოსწავლეთა მხრიდან მასწავლებლის ამკარა უპატივცემულობა, როდესაც მათ პედაგოგის შენიშვნის პასუხად ყვირილი და ცარცების სროლა დაიწყეს, რასაც გაკვეთილის ჩაშლა მოჰყვა. ამდენად, მოსწავლეებმა მხოლოდ იმიტომ, რომ სათანადოდ მომზადებულნი არ იყვნენ, გაკვეთილი ჩაშალეს.



### **გახსოვდეთ,**

ჩვენ მიერ განხილულ ნორმათა უმთავრესი მიზანი სკოლაში ჯანსაღი ურთიერთობებისა და სრულფასოვანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფაა, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მასწავლებელს მოსწავლეები პატივისცემით ეპყრობოდნენ; ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა დაიცვან გაკვეთილზე ქცევის ელემენტარული წესები და არ შეუშალონ ხელი სასწავლო პროცესს. მით უმეტეს, ჩვენს შემთხვევაში განხილულის მსგავსი ქმედებები არ არის პრობლემის მოგვარების გზა. ცხადია, მოსწავლეებს არ ჰქონდათ გაკვეთილი სათანადოდ მომზადებული, შესაბამისად, გაკვეთილის ჩაშლით მათი ცოდნისა და მომზადების დონე ხომ ოდნავაც არ მოიმატებდა. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ, გაკვეთილის ჩაშლის ნაცვლად, მოსწავლეები პედაგოგს სთხოვდნენ, დამატებით აეხსნა მათთვის განვლილი მასალა.

# მასწავლებლის მიერ საკუთარი მოსწავლის მომზადება

## კაზუსი 123

*ირაკლი და ნინო ბიოლოგიაში მუდმივად ცუდ ნიშნებს იღებდნენ, რასაც ძალიან განიცდიდნენ. იმისათვის, რომ მათ ნიშნები გამოესწორებინათ, გადაწყვიტეს, დამატებით კერძოდ მომზადებულიყვნენ ამ საგანში. რაკი მათ ბიოლოგიის მასწავლებელი ძალიან უყვარდათ და თვლიდნენ, რომ მასზე უკეთ ვერავინ შეძლებდა გაკვეთილის ახსნას, სწორედ მას სთხოვეს კერძო გაკვეთილების ჩატარება ანაზღაურების სანაცვლოდ. მასწავლებელმა ბავშვებს უარი უთხრა კერძოდ მომზადებაზე.*



– ბიოლოგიის მასწავლებელი სწორად მოიქცა, რადგან მას პროფესიული ეთიკის სტანდარტი უკრძალავს ანაზღაურების სანაცვლოდ საკუთარი მოსწავლეების კერძოდ მომზადებას.

მსგავსი სიტუაციის შესახებ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილში წერია: „მასწავლებელი არ უწევს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“



### კანონის განმარტება


მართალია, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ არ ახდენს ჩვენს შემთხვევაში განხილული სიტუაციის პირდაპირ რეგულაციას, მაგრამ ამაზე მკაფიოდ საუბრობს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომელშიც, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოდგენილია მასწავლებლის პროფესიული ქცევის ნორმების ერთობლიობა. შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი პირდაპირ უკრძალავს მასწავლებელს საკუთარი მოსწავლეების კერძოდ მომზადებას.



### უნდა ვიცოდეთ,

ჩვენ მიერ განხილული ნორმატიული რეგულაციის, ანუ პედაგოგისათვის საკუთარი მოსწავლის კერძოდ მომზადების აკრძალვას არცთუ სასიამოვნო საფუძვლები აქვს. იგულისხმება მანკიერი პრაქტიკა, რომელიც არ იყო უცხო ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სივრცისათვის. კერძოდ, მასწავლებლები მაღალ ნიშანს მხოლოდ იმ მოსწავლეებს უწერდნენ, ვინც მასთან კერძოდ ემზადებოდა გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

## სკოლა და „ჭეშმარიტება“



ერთ-ერთი საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა გაკვეთილზე განაცხადა, რომ, მისი ღრმა რწმენით, დედამიწა არ იყო ერთადერთი პლანეტა, სადაც სიცოცხლე არსებობდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სიცოცხლე არსებობდა მარსზეც და ადრე თუ გვიან მარსზე მყოფი უცხოპლანეტელები დაიპყრობდნენ დედამიწას. ამის დასადასტურებლად მან შეშინებულ ბავშვებს გაზეთ „იდუმალების კიდობანში“ გამოქვეყნებული სტატია აჩვენა, რომლის ასლებიც თითოეულ მოსწავლეს გადასცა და შემდეგი გაკვეთილისათვის სტატიის კარგად სწავლა დაავალა. პატარა ნიკამ აღნიშნული გააპროტესტა და თქვა, რომ ეს ყველაფერი ფანტასტიკაა და მას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს, რაზეც მასწავლებელმა მიუგო, რომ მან უკეთ იცის, რა არის მეცნიერება და რა არა.



– მასწავლებლის საქციელი არის დისციპლინური გადაცდომა, რადგან იგი ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობას.

მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტი ცალსახად ამბობს:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, არ დაუშვას არამეცნიერული შეხედულების ან თეორიის, როგორც მეცნიერული თეორიის ან ფაქტის, სწავლება“.



#### **კანონის განმარტება**

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს. ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტის თანახმად, დაუშვებელია არამეცნიერული თეორიის ან შეხედულების სწავლება როგორც მეცნიერული თეორიისა ან ფაქტისა. წარმოდგენილი შემთხვევა ამ ნორმის ზემოქმედების ქვეშ ექცევა. აშკარაა, რომ ყვითელ პრესაში გამოქვეყნებულ პარადოქსულ სტატიას არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ აზრთან. შესაბამისად, სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მასწავლებლის ქმედებაზე და არ დაუშვას მის მიერ შემოტანილი „მასალის“ სწავლება.



#### **დაუშვებელია,**

მოსწავლეებს არამეცნიერული თეორიები ასწავლო როგორც მეცნიერება, რადგან ეს, საბოლოოდ, ნეგატიურად აისახება განათლების ხარისხზე და მოსწავლეებს დამახინჯებულ წარმოდგენას შეუქმნის ცალკეული საგნების შესახებ. ჩვენ მიერ განხილული საკანონმდებლო ნორმის მიზანია, უზრუნველყოს სასკოლო განათლების მაღალი ხარისხი.

## მოსწავლის დისკრიმინაცია კაზუსი 125

არსენის მშობლებმა თბილისში დაიწყეს მუშაობა, ამიტომ მას მოუწია მშობლებთან ერთად თბილისში წამოსვლა, შესაბამისად, იგი სოფლის სკოლიდან თბილისის სკოლაში გადმოვიდა. არსენი საქართველოს ისტორიას ახალ კლასში ყველაზე უკეთ სწავლობდა, ერთხელაც, როცა დაასრულა გაკვეთილის მოყოლა, არსენმა გაიგონა, თუ როგორ ჩაილაპარაკა მასწავლებელმა: „ამ პროვინციელს მაღალ ნიშანს მაინც არ დავუწერ“. ატირებულმა არსენმა ყველაფერი უამბო მშობლებს, რომლებმაც სკოლის დირექტორს მიმართეს სასწრაფო რეაგირებისათვის.



– მასწავლებლის საქციელი უხეში დისციპლინური გადაცდომაა, რომელიც ეწინააღმდეგება როგორც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობას, ისე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დადგენილია მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიები. ამ მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ: „მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით“.

წარმოდგენილ შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების საკითხი. როგორც ეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 ნაწილშია ნათქვამი: „სკოლა ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად.“ რაც შეეხება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს, მასში პირდაპირაა მითითებული: „მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი

მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა, და ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად“.



### კანონის განმარტება

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნორმები თავისუფლად შეგვიძლია გავიგოთ როგორც ვალდებულება საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვისა. დისკრიმინაცია გულისხმობს ვინმეს უფლების ან თავისუფლების შეზღუდვას რაიმე ნიშნით, მაშინ როდესაც უფლების შეზღუდვის არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობს. მსგავსი მიდგომა ლახავს თანასწორობის პრინციპს, რომელიც გარანტირებულია საქართველოს უზენაესი კანონით, ქვეყნის კონსტიტუციით.

ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში გვაქვს მოსწავლის დისკრიმინაცია წარმოშობის ადგილის მიხედვით. მასწავლებელი მას არ უწერს მალალ შეფასებას იმიტომ, რომ იგი წარმოშობით სოფლიდანაა. ასეთი მიდგომა ყოვლად დაუშვებელია, რადგან ახდენს მოსწავლის არა მხოლოდ დისკრიმინაციას, არამედ ზღუდავს მის უმთავრეს უფლებას – მიიღოს ცოდნის სამართლიანი შეფასება.



### ადნიშნული კანონის მიზანია,

დაამკვიდროს სკოლაში ჯანსაღი დამოკიდებულება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათია ჩვენს სინამდვილეში, როდესაც სკოლებში პედაგოგთა მხრიდან ხდება მოსწავლეთა ათვალწუნება სხვადასხვა ნიშნით, როგორებიცაა, მაგალითად: სოციალური წარმოშობა, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილება, კუთხური წარმომავლობა და ასე შემდეგ.

ბუნებრივია, ასეთი მიდგომა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც დასაშვები, იმიტომ, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია. არ შეიძლება, ადამიანი ვინმეზე მეტი ან ნაკლები იყოს, იმიტომ, რომ წარმოშობით სოფლიდანაა.

წარმოდგენილ შემთხვევაში მასწავლებლის დამოკიდებულება სოფლიდან ჩამოსული მოსწავლის მიმართ ნათლად აჩვენებს, თუ რამხელა ტკივილი შეიძლება მიადგეს მოზარდს. ერთი მხრივ, იგი ხედავს, რომ მისი შრომა დაუფასებელია, შესაბამისად, მას შეიძლება, გული აუცრუვდეს სწავლაზე და გაუჩნდეს უსამართლობის განცდა; მეორე მხრივ, იგი ხედავს, რომ ამ უსამართლობის მიზეზი მისი წარმოშობაა. აქედან გამომდინ-



ნარე, პატარა არსენს შეიძლება, ანალოგიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს ქალაქის მიმართ.

ნებისმიერი დისკრიმინაციული მოპყრობა ადრეულ ასაკში ხელს უწყობს მოზარდის საზოგადოებისაგან გარიყვას, რაც, საბოლოოდ, ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების უმთავრეს მიზანს, როგორცაა მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბება.

## გიფიქრია,

სად გადის ზღვარი გართობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას შორის?



## განიმეორებ,

რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება „Facebook“-ის გატეხას?



## გინდა იცოდე,

გაქვს თუ არა ტოტალიტატორში თამაშის უფლება?



## – გაშინ ეს წიგნი შენთვისაა!

მასში აღწერილია 125 პრობლემური სიტუაცია, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება მოზარდის ცხოვრებაში. წიგნში გაიგებ, თუ როგორი სამართლებრივი გადაწყვეტა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ყოფით შემთხვევას; რა უფლებები გაქვს შენ და, ამავე დროს, რა ვალდებულებები გაკისრია.

ISBN: 978-9941-0-6761-7



giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH